გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გულის ანატომიის და ფიზიოლოგიის ცოდნას. გულმკერდის ნინა ზედაპირის გამოკვლევისას ისნავლეთ გულის სტრუქტურების გარჩევა.

დაიმახსოვრეთ, რომ გულის წინა ზედაპირის უდიდესი ნაწილი *მარჯვენა პარკუჭს* უჭირავს. ეს ღრუ და ფიცრის არტერია ქმნიან სოლისებურ სტრუქტურას მკერდის ძვლის უკან და მარცხნივ, რაც სურათზე წითელი ფერითაა ნაჩვენები.



მარჯვენა პარკუჭის ქვედა საზღვარი მდებარეობს მკერდის ძვლისა და მახვილისებრი მორჩის შეერთების ადგილის ქვემოთ. მარჯვენა პარკუჭი ზემოთკენ ვიწროვდება და უერთდება ფილტვის არტერიას მკერდის ძვლის ან "გულის ფუძის" დონეზე – ეს არის ღრინარუჯრი ტერმინი, რომელიც ასახავს გულის პროქსიმალურ არეს, რომელიც მდებარეობს მკერდის ძვალთან მარჯვნივ და მარცხნივ მე-2 ნეკნთაშუა არეში.

მარცხენა პარკუჭი მარჯვენა პარკუჭის უკან და მარცხნივაა, და ნარმოქმნის გულის მარცხენა ღარტერალურ საზღვარს. მის ქვედა ნვეროს გულის "მწვერვალი" ეწოდება. ის ღრინარუჯრად მნიშვნელოვანი ნანილია, ვინაიდან ნარმოქმნის გულის ან *მწვერვალის ძაგარს* (მწვერვალის იმპულსს), რასაც უწოდებენ *მაქსიმალური იმპულსის ნერტილს (მინ)*. ძაგარი მდებარეობს გულის მარცხენა საზღვართან მე-5 ნეკნთაშუა სივრცეში მკერდის ძვლის შუა ხაზიდან 7 - 9 სმ-ით ღარტერალურად. ის დაახლოებით 1-დან 2,5 სმ-მდე დიამეტრის ზომისაა. ვინაიდან ძაგარი ყველაზე ძლიერი შეიძლება არ იყოს მწვერვალზე, ზოგი ავტორი ეძახება ტერმინის "მაქსიმალური იმპულსის ნერტილის" ხმარებას.

გულის მარჯვენა საზღვარს ნარმოქმნის *მარჯვენა წინაგული*, რომლის გამოკვეთვა ჩვეულებრივი გასინჯვის დროს ვერ ხერხდება. *მარცხენა წინაგული* ყველაზე უკანაა და უშუალოდ მისი გამოკვეთვაც არ არის შესაძლებელი, თუმცა მისი მცირე ნანილი ქმნის გულის მარცხენა საზღვრის სეგმენტს ფილტვის არტერიასა და მარცხენა პარკუჭს შორის.



გულის ზემოთ მდებარეობს დიდი სისხლძარღვები. *ფილტვის არტერია* იყოფა მარცხენა და მარჯვენა ტოტებად. *აორტა* აჯეთებს ჩაკლს მარცხენა პარკუჭიდან ზემოთ მკერდის ძვლის ჯუთხის დონემდე, სადაც ის ეშვება მარცხნივ და ქვემოთ. მარჯვნივ ზემო ღრუ ვენა ჩადის მარჯვენა წინაგულში.
თუმცა ეს არ არის ნაჩვენები სურათზე, ქვედა ღრუ ვენაც ასევე ჩაედინება მარჯვენა წინაგულში. *ზედა და ქვედა ღრუ ვენებს* გულში მიაქვთ ვენური სისხლი სხეულის ზედა და ქვედა ნაწილებიდან.

გულის ღრუები, სარქვლები და სისხლის მიმოქცევა

გულში სისხლის ცირკულაცია ქვემოთ მოყვანილ ჩანახატზე არის ასახული, ნაჩვენებია გულის ღრუები, სარქველები და სისხლის დინების მიმართულება. მათი მდებარეობიდან გამომდინარე, *სამკარიან* და *მიტრალურ* სარქველებს ხშირად უწოდებენ *ატრიოვენტრიკულურ* სარქველებს. *აორტის* და *ფილტვის არტერიის სარქველებს ნახევარმთვარისებრი სარქველებს* უწოდებენ, ვინაიდან მათი ყოველი ჯარღვი ნახევარმთვარისებურია. ამ დიაგრამაზე ყველა სარქველი გახსნილია, მაგრამ ცოცხალ გულში ისინი ერთდროულად არ იღება.



RA (მწ) = მარჯვენა წინაგული
LA = მარცხენა წინაგული
⇨ ვანგბადით მდიდარი სისხლის დინება
➔ ვანგბადით ღარიბი სისხლის ნაკადი
RV = მარჯვენა პარკუჭი
LV = მარცხენა პარკუჭი

ხოლესაც გულის სარქველები იხურება, გულის ხმიანობა ნარმოქმნება ჯარღვების, მიმდებარე გულის სტრუქტურების და სისხლის დინებით ნარმოშობილი ვიბრაციით. გულის ცკრის დასადგენად აუცილებელია სარქველების პოზიციისა და მოძრაობის გაგება.

გულის სიხელი

გული ასრულებს ტუმბოს ფუნქციას, რომელიც წარმოქმნის სხვადასხვა წნევებს მისი ღრუების შეკუმშვისა და მოდუნების გზით. *სისტოლა არის პარკუჭების შეკუმშვის პერიოდი.* ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე მარცხენა პარკუჭში არსებული წნევა მილიმეტრებით მდგომარეობაში 5 მმ. ვწ. სვ-დან მატულობს ნორმალურ პიკამდე – 120 მმ [illegible], მას შემდეგ, რაც პარკუჭი განდევნის მასში არსებული სისხლის უმეტეს ნაწილს აორტაში, წნევის დონე იწყებს შემცირებას. *დიასტოლა არის პარკუჭების ჰელაქსაციის (მოდუნების) ფაზა.* პარკუჭშიდა წნევა ქვეითდება 5 მმ. ვწ. სვ.-ზე ქვემოთ და სისხლი გადადის წინაგულიდან პარკუჭში. დიასტოლის მოგვიანებით ფაზაში, წინაგულების შეკუმშვის და სისხლის მიდინების შედეგად პარკუჭში წნევა მცირედ მატულობს.



დაიმახსოვრეთ, რომ *სისტოლის* დროს აორტის სარქველი ღიაა და საშუალებას იძლევა სისხლი მარცხენა პარკუჭიდან აორტაში გადავიდეს. მიტრალური სარქველი დახურულია, რათა სისხლს არ მისცეს უკან წინაგულში რეგურგიტაციის (დაბრუნების) საშუალება. საპირისპიროდ, *დიასტოლის* ფაზაში აორტის სარქველი დახურულია, რათა არ დაუშვას სისხლის დაბრუნება უკან – აორტიდან მარცხენა პარკუჭში. მიტრალური სარქველი ღიაა და საშუალებას აძლევს სისხლს ჩავიდეს მარცხენა წინაგულიდან მოდუნებულ მარცხენა პარკუჭში.

ამ სამ ღრუს – მარცხენა წინაგულს, მარცხენა პარკუჭსა და აორტას შორის წნევათა გრადიენტების ურთიერთქმედების გაგება, სარქველების მდგომარეობასა და მოძრაობასთან ერთად, გულის ხმიანობის გაგების საფუძველია. ამ წნევათა ცვლილებები და შედეგად წარმოშობილი ხმიანობა ან აღნერილია გულის ერთი ციკლის პერიოდში. გახსოვდეთ, რომ

აუსკულტაციის დროს გულის პირველი და მეორე ტონი ასახავს *სისტოლის* და *დიასტოლის* მიმდინარეობას. მხვალრიცხოვან ლიტერატურულ წყაროებში მოცემულია გულის ტონების წარმოშობის შესაძლო ახსნა, მათ შორისაა სარქველის ჯარედების დახურვა, მასთან დამოკიდებული სტრუქტურების დაჭიმვა, ჯარედების მდგომარეობა, წნევის გრადიენტი წინაგულებისა და პარკუჭების სისტოლის დროს და სისხლის ნაკადის ზემოქმედება. ეს მოტანილი ახსნა გამარტივებულია, მაგრამ შენარჩუნებული აქვს ფიზიკური მნიშვნელობა.

დიასტოლის განმავლობაში, წნევა სისხლით სავსე მარცხენა წინაგულში მცირედ აჭარბებს მოდუნებულ მარცხენა პარკუჭში არსებულ წნევას, სისხლი ჩაედინება მარცხენა წინაგულიდან მარცხენა პარკუჭში ღია მიტრალური სარქველის გავლით. პარკუჭების სისტოლის დაწყების წინ, წინაგულების შეკუმშვა იწვევს წნევის მცირე მატებას ორივე ღრუში.



სისტოლის განმავლობაში, მარცხენა პარკუჭი იწყებს შეკუმშვას და პარკუჭების წნევა სწრაფად აჭარბებს მარცხენა წინაგულის წნევას, რაც ხელს უშლის მიტრალური სარქველის. *მიტრალური სარქველის დახურვა წარმოქმნის გულის პირველ ტონს, S_1.*



ვინაიდან მარცხენა პარკუჭის წნევა აგრძელებს მატებას, იგი სწრაფად გადააჭარბებს წნევას აორტაში და აჩქარებს აორტის სარქველის გახსნას. ზოგი პათოლოგიური მდგომარეობის დროს, აორტის გახსნის ხმიანობას ახლავს ადრეული სისტოლური განდევნის ხმიანობა (Ej). *ნორმაში, მარცხენა პარკუჭის მაქსიმალური წნევა შეესაბამება სისხლის სისტოლურ წნევას.*



ვინაიდან მარცხენა პარკუჭი განდევნის სისხლის უმეტეს ნაწილს, პარკუჭის წნევა იწყებს შემცირებას. ხოლესაც მარცხენა პარკუჭის წნევა დაინევს აორტის წნევაზე ქვევით, აორტის სარქველი იხურება. *აორტის სარქველის დახურვა ნარმოშობს მეორე ტონს - S_2,* რის შემდეგაც იწყება შემდეგი დიასტოლა.



დიასტოლაში ნნევა განაგრძობს შემცირებას და ვარდება მარცხენა წინაგულის ნნევაზე ქვემოთ. მიტრალური სარქველი იღება. ეს, ჩვეულებრივ, ჩუმი მოვლენაა, მაგრამ შეიძლება გახდეს მოსმენადი, როგორიცაა პათოლოგიური გაღების ხმა-ნობა (ტკაცუნი) - OS, თუ სარქვლის ჯარდების მოძრაობა შეზღუდულია, როგორც ამას ადგილი აქვს მიტრალური სტენოზის დროს.



მიტრალური სარქველის გაღებას მოსდევს პარკუჭების სწრაფი ავსების ფაზა, ვინაიდან ადრეული დიასტოლის ფაზაში სისხლი ჩაედინება მარცხენა წინაგულიდან მარცხენა პარკუჭში. ბავშვებსა და მოზარდებში, პარკუჭის ჯედელთან შეჯახების დროს სისხლის ნაკადის სწრაფი შენელებისას შეიძლება გაჩნდეს გულის მესამე ტონი - S_3. ასაკოვან ზრდასრულებში S_3, რომელსაც ეწოდება "ქენების S_3", ჩვეულებრივ, მიუთითებს პარკუჭის პათოლოგიურ ცვლილებაზე.



ბოლოს, იშვიათად, ჯანმრთელ ზრდასრულებში მოისმინება გულის მეოთხე ტონი - S_4, რაც წინაგულების შეკუმშვას გამოხატავს. ეს ტონი წინ უსწრებს შემდეგი შეკუმშვის S_1-ს და, ასევე, პარკუჭში პათოლოგიური მდგომარეობის გამომხატველია.



გულის ტონების გახლეჩა

მაშინ, როდესაც ეს მოვლენები მიმდინარეობს გულის მარცხენა ნახევარში, მსგავს ცვლილებებს ადგილი აქვს მარჯვენა ნახევარშიც, მოიცავს მარჯვენა წინაგულს, მარჯვენა პარკუჭს, ტრიკუსპიდულ სარქველს, ფილტვის სარქველს და ფილტვის არტერიას. ნნევა მარჯვენა პარკუჭში და ფილტვის არტერიაში საკმაოდ დაბალია, ვიდრე ნნევა გულის მარცხენა ნაწილის შესაბამის ღრუებში. მეტიც, მარჯვენამხრივი მოვლენები, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს ოდნავ მოგვიანებით, ვიდრე შესაბამისი – მარცხენა მხარეს. გულის ერთიანი ტონის ნაცვლად, თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ გარჩევადი კომპონენტები, პირველი წარმოქმნება მარცხენა არტერიის სარქველის დახურვის შედეგად, ანუ A_2, და მეორე, მარჯვენა - ფილტვის არტერიის სარქველის დახურვით, ანუ P_2. განიხილეთ გულის მეორე ტონი და მისი ორი

კომპონენტი, A_2 და P_2, რომლებიც შესაბამისად ნაიმოიქმნება აორტის და ფილტვის არტერიის სარქველების დახურვის შედეგად. ჩასუნთქვის დროს A_2 და P_2 მცირედ გაყოფილია და S_2 შეიძლება გაიხლიჩოს ორ მოსმენად კომპონენტად. ამოსუნთქვის დროს ეს ორი კომპონენტი ერთიანდება S_2 ტონში.



ჩასუნთქვის დროს გახლეჩის მიზეზია ფილტვის სისხლძარღვოვანი ქსელის მომატებული წინააღმდეგობა, რომელიც ახანგრძლივებს სისხლის განდევნას მარჯვენა პარკუჭიდან, ანელებს ფილტვის სარქველის დახურვას, ანუ P_2. მარცხენა პარკუჭიდან სისხლის განდევნა არის შედარებით ხანმოკლე, ანუ A_2 ნარმოიქმნება ოდნავ ადრე.

გულის მეორე ტონის კომპონენტებიდან, A_2 ნორმაში უფრო ხმამაღალია, ვიდრე აორტაში მაღალია წნევა. იგი მოისმინება ყველგან გულის ზედაპირზე. საპირისპიროდ, P_2 არის შედარებით ჩუმი, რაც გამოწვეულია ფილტვის არტერიაში შედარებით დაბალი წნევით. იგი უკეთ მოისმინება თავის საკუთარ უბანზე – მე-2-3 ნეკნთაშუა არეში მარცხნივ მკერდის ძვალთან ახლოს. ამ ადგილას საძებნია მეორე ტონის გახლეჩა.

S_1-ს ასევე გააჩნია ორი კომპონენტი: ადრეული მიტრალური და მოგვიანებითი სამკარედიანი სარქველის ხმიანობა. მიტრალური სარქველის ხმიანობა – მთავარი კომპონენტი – გასინჯებით უფრო ხმამაღალია, რაც გამოწვეულია გულის მარცხენა ნახევარში არსებული მაღალი წნევით. იგი მოისმინება გულის მთელ ზედაპირზე და ყველაზე მაღალია გულის მწვერვალზე. უფრო ხშირი სამკარედიანი სარქველის კომპონენტი უკეთ მოისმინება მკერდის ძვლის მარცხენა კიდეა საზღვართან და აქვე თქვენ ყველაზე უკეთ მოისმენთ გახლეჩილ S_1-ს.

ადრეული ხმამაღალი მიტრალური კომპონენტი შეიძლება ფარავდეს სამკარედიანი სარქველის ხმიანობას, ამიტომ გახლეჩას ყოველთვის ვერ დავადგენთ. S_1 გახლეჩა არ ცვალებადობს სუნთქვის მიხედვით.

გულის შუილები

გულის შუილები გულის ტონებისგან განსხვავდება მათი ხანგრძლივობით. ისინი დაკავშირებულია სისხლის ტურბულენტურ დინებასთან და შეიძლება იყოს "უვნებელი", როგორც დინების შუილი მოზარდებში ან გულის სარქველოვანი დაზიანების ნიშნები. სტენოზით მიმდინარე მანჯის დროს ხდება სარქველის ხვრელის შევიწროვება, რაც აფერხებს სისხლის დინებას, როგორც აორტის სტენოზის დროს, და ნარმოქმნის დამახასიათებელ შუილს. ასევე ხდება, როდესაც სარქველი ვერ იხურება, როგორც ამას ადგილი აქვს *აორტული რეგურგიტაციის ან უკმარისობის* დროს. ასეთი სარქველი სისხლს აძლევს უკან რეტროგრადული მიმართულებით დაბრუნების საშუალებას და იწვევს რეგურგიტაციულ შუილს.

შეიღების ზუსტი განსაზღვრისთვის, თქვენ უნდა ისწავლოთ გულმკერდის ზედაპირზე მათი ლოკალიზების შეფასება, სადაც ისინი უკეთ მოისმინება, მათი თანხვედრა სისტოლასა და დიასტოლასთან და მათი ხასიათი. გამოკვლევის მეთოდების თავში თქვენ შეისწავლით ჩიგ მახასიათებლებს, ჩოგორიცაა შეიღის ინტენსივობა, სიმაღლე, ხანგრძლივობა და გატარების მიმართულება (იხ. გვ. 316-319).

აუსკულტაციური მონაცემების გულის ზედაპირთან დამოკიდებულება

გულმკერდის ზედაპირის უბნები, სადაც თქვენ მოისმენთ გულის ტონებსა და შეიღებს, გეხმარებათ იმ სარქველებისა და ღრუების დადგენაში, სადაც ისინი წარმოიშობიან. ტონები და შეიღები, ჩომლებიც წარმოქმნებიან მიტრალური სარქველიდან, ჩვეულებრივ, უკეთ მოისმინება გულის მწვერვალსა და მიმდებარე არეში, სამკარიანი სარქველიდან წარმოშობილი კი უკეთ ისმის მკერდის ძვლის მარცხენა ქვედა კიდესთან. ფილტვის არტერიის სარქველიდან წარმოშობილი შეიღები, ჩვეულებრივ, კარგად მოისმინება მე-2 და მე-3 ნეკნთაშუა არეში მკერდის ძვლის გვერდით, მაგრამ, ზოგჯერ, ასევე მოისმინება უფრო ზემოთ ან ქვემოთ. აორტის სარქველში წარმოქმნილი ხმიანობა შეიძლება მოისმინოთ ყველგან – მარჯვნივ მე-2 ნეკნთაშუა სივრციდან მწვერვალამდე. ეს უბნები ნაწილობრივ გადაიფარება, ყველა ნაჩვენებია ქვემოთ. თქვენ დაგჭირდებათ აუსკულტაციური მონაცემების დაკავშირება გულის გამოკვლევის სხვა მონაცემებთან, რათა ტონები და შეიღები ზუსტად განსაზღვროთ.



გულის გამტარებელი სისტემა

გულის ელექტრული იმპულსის გამტარებელი სისტემა ასტიმულირებს და ახეგულირებს გულის ჯუნთის შეკუმშვას.



ყოველი ნორმალური ელექტრული იმპულსი ნარმოიქმნება *სინუსის კვანძში* გულის სპეციალური უჯრედების ჯგუფის მიერ, რომელიც მდებარეობს მარჯვენა წინაგულში ღრუ ვენის შეერთების ადგილას. სინუსის კვანძი მოქმედებს, როგორც გულის რითმის ნამყვანი (პეისმეკერი) და ავტომატურად ნარმოქმნის 60-დან 100 იმპულსამდე წუთში. ეს იმპულსები ტარდება ორივე წინაგულის გავლით *ატრიოვენტრიკულურ კვანძში*, რომელიც ნარმოადგენს უჯრედთა სპეციალურ ჯგუფს და განლაგებულია წინაგულთაშუა ძგიდის ქვემო ნაწილში. იქ იმპულსები ყოვნდება, სანამ გაივლის ქვემოთ ჰისის კონასა და მის ტოტებში პარკუჭების მიოკარდიუმისკენ. ამას კუნთების შეკუმშვა მოჰყვება: პირველად წინაგულების, შემდეგ პარკუჭების. ნორმალური გამტარი გზა გამარტივებული ფორმით მოცემულია დიაგრამაზე.

იმპულსის გატარების ჩანერა ხდება ელექტროკარდიოგრამაზე (ეკგ). გულის გღვივი კუნთის შეკუმშვა ნარმოქმნის ელექტრულ აქტივობას, რაც ეკგ-ზე ტალღების (კბილების) სერიით გამოისახება. *ნორმალური ეკგ* კომპონენტები და მათი ხანგრძლივობა აქ მოცემულია შეჯამებული, მაგრამ თქვენ დაგჭირდებათ შემდგომი მითითებები და გამოცდილება პაციენტის ეკგ მონაცემების ინტერპრეტაციისთვის. დაიმახსოვრეთ:

- წინაგულების დეპოლარიზაციის პატარა *P კბილი* (ხანგრძლივობა 80 მილიწამამდე; *PR ინტერვალის* ხანგრძლივობა 120-200 მილიწამია)
- უფრო ფართო *QRS კომპლექსი* აღნერს პარკუჭების დეპოლარიზაციას (100 მილიწამამდე), შედგება ერთი ან მეტი ჩამოთვლილი კომპონენტისგან:
  - *Q კბილი* უარყოფითია და გამოხატავს ძგიდის დეპოლარიზაციას.
  - *R კბილი* (იზოელექტრული ხაზიდან ზემოთ მიმართული) გამოხატავს პარკუჭთა დეპოლარიზაციას.
  - S კბილი, ქვემოთ მიმართული გადახრა, რომელიც მოჰყვება R კბილს.
- პარკუჭების რეპოლარიზაციის, ანუ აღდგენის *T კბილი* (ხანგრძლივობა დამოკიდებულია QRS-ზე).



ელექტრული იმპულსი მცირედ უსწრებს მიოკარდიუმის შეკუმშვას, რომელსაც თავადვე ასტიმულირებს. ეკგ-ის კბილების გულის ციკლთან დამოკიდებულება ნაჩვენებია ქვემოთ.



გული როგორც ტუმბო

მარცხენა და მარჯვენა პარკუჭები სისხლს გადატუმბავს შესაბამისად აორტაში და ფილტვების არტერიებში. *გულის წუთმოცულობა*, ანუ 1 წთ-ში გულის თითოეული პარკუჭიდან განდევნილი სისხლის რაოდენობა, *გულისცემის სიხშირის და დარტყმითი მოცულობის* შედეგია. დარტყმითი მოცულობა (განდევნილი სისხლის მოცულობა გულის თითოეული შეკუმშვისას) დამოკიდებულია გულის პრედატვირთვაზე, მიოკარდიუმის კუმშვადობაზე და გულის პოსტდატვირთვაზე.

გულის *პრედატვირთვა* არის ის დატვირთვა, რომელიც გააჭიმავს მიოკარდიუმს შეკუმშვის წინ. დიასტოლის ბოლოს მარჯვენა პარკუჭში სისხლის მოცულობა ქმნის გულის პრედატვირთვას მომდევნო შეკუმშვისთვის. მარჯვენა პარკუჭის პრედატვირთვა იზრდება მარჯვენა წინაგულში ვენური სისხლის მიდენის გაზრდით. ამის ფიზიოლოგიური მიზეზებია ჩასუნთქვა და სისხლის გაზრდილი მოცულობის მიდინება დატვირთვის მდგომარეობაში მყოფი კუნთებიდან. გულის შეგუბებითი უკმარისობის დროს დილატირებულ პარკუჭში სისხლის გაზრდილი მოცულობა აგრეთვე ზრდის გულის პრედატვირთვას. მარჯვენა პარკუჭის პრედატვირთვა მცირდება ამოსუნთქვისას, მარცხენა პარკუჭის წუთმოცულობის შემცირებისას და სისხლის ჯაჭვირარე ქსელში ან ვენურ სისტემაში შეგუბების დროს.

მიოკარდიუმის კუმშვადობა არის მოცემულ დატვირთვაზე გულის კუნთის შეკუმშვის უნარი. კუმშვადობა მატულობს სიმპათიკური ნერვული სისტემის სტიმულაციით და მცირდება, როდესაც სისხლის დინება ან მიოკარდიუმში ჟანგბადის მინოდება მცირდება.

გულის *პოსტდატვირთვა* არის სისხლძარღვთა ჩეზისტენტობა პარკუჭის შეკუმშვის დროს. მარცხენა პარკუჭის შეკუმშვის მიმართ ჩეზისტენტობა განისაზღვრება აორტის კედლების, მსხვილი არტერიების და პერიფერიული სისხლძარღვების (უპირატესად, მცირე ყაბიბის არტერიები და არტერიოლები) ტონუსით (დაჭიმულობით), აგრეთვე, აორტაში არსებული სისხლის მოცულობით.

პრედატვირთვის და პოსტდატვირთვის პათოლოგიურ მომატებას, შესაბამისად, ენოდება *მოცულობითი და წნევით გადატვირთვა*, რაც იწვევს პარკუჭების ფუნქციის ცვლილებებს და შეიძლება ქრონიკულად გამოვლინდეს. ამ ცვლილებებში შედის პარკუჭების ბიძგის შეცვლა, რაც პალპაციით გამოვლინდება, აგრეთვე გულის ნორმალური ხმიანობების შეცვლა. ასევე შეიძლება განვითარდეს პათოლოგიური ხმიანობები და შუილები.

III.III არტერიული წნევა და სისხლის ნაკადი

ყოველი შეკუმშვისას მარცხენა პარკუჭი გადაისვრის გარკვეული მოცულობის სისხლს აორტაში და იქიდან არტერიულ სისტემაში. ნარმოშობილი ნაკადის ტალღები სწრაფად ვრცელდება არტერიული სისტემით, სადაც ის შეიგრძნობა, როგორც *არტერიული პულსი*. თუმცა ნაკადის ტალღები სწრაფად გადაადგილდება – ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე სისხლი – პარკუჭების შეკუმშვასა და პერიფერიულ პულსს შორის პალპატორული შენელება გამოუსადეგარს ხდის ხელებსა და ფეხებზე პულსის მიხედვით გულის ცემის მოვლენების პერიოდულობის დადგენას.

არტერიულ სისტემაში *სისხლის ნაკადი* ცვალებადობს გულის ცემის განმავლობაში, პიკს აღნევს სისტოლის პერიოდში და თავის უდაბლეს მნიშვნელობამდე ჩამოდის დიასტოლაში. ეს არის დონეები, რომელიც იზომება სისხლის ნაკადის აპარატით (სფიგმომანომეტრით). სხვაობას სისტოლურ და დიასტოლურ ნაკადებს შორის *პულსური ნაკადი* ეწოდება.



არტერიულ ნაკადზე მოქმედი უმთავრესი ფაქტორებია:

- მარცხენა პარკუჭის დარტყმითი მოცულობა
- აორტის და დიდი არტერიების ელასტიურობა
- პერიფერიული სისხლძარღვოვანი ჩაზისტენტობა, განსაკუთრებით, არტერიოლების დონეზე
- არტერიულ სისტემაში სისხლის მოცულობა

ამ ოთხი ფაქტორიდან ნებისმიერის ცვლილება მოქმედებს სისტოლურ ნაკადზე, დიასტოლურ ნაკადზე ან ორივეზე ერთად. სისხლის ნაკადის დონე ცვალებადობს 24 სთ-ის განმავლობაში ფიზიკურ დატვირთვაზე, ემოციურ სტრესზე, ტკივილზე, ხმაურზე, გარემოს ტემპერატურაზე, ყავის, თამბაქოს და ნამღების გამოყენებაზე და ღრის განმავლობაშიც.

საუღლე ვენის ნაკვეთი

სისტემური ვენური ნაკვეთი ბევრად დაბალია არტერიულ ნაკვეთზე. თუმცა ვენური ნაკვეთი უპირობოდ დამოკიდებულია მარცხენა პარკუჭის კუმშვადობაზე, უმეტესი ამ ძალისხმევისა იკარგება, როდესაც სისხლი გადის არტერიულ განტოტებებსა და კაპილარულ ქსელში. ვენების კედლები ნაკლებად შეიცავენ გლუვ კუნთებს, ვიდრე არტერიების კედლები, ამის გამოც ვენური სისხლძარღვოვანი ტონუსი უფრო მცირეა და ვენები უფრო მეტად ელასტიური. ვენური ნაკვეთის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორებია სისხლის მოცულობა და მარჯვენა გულის უნარი, განდევნოს სისხლი ფილტვების არტერიულ სისტემაში. გულის დაავადებები ცვლის ამ ფაქტორებს და იწვევს ცენტრალური ვენური ნაკვეთის ცვლილებებს. მაგალითად, ვენური ნაკვეთა ქვეითდება, როდესაც მარცხენა პარკუჭის ნუთმოცულობა მნიშვნელოვნად მცირდება; ის იზრდება მარჯვენა პარკუჭის უკმარისობის დროს ან როდესაც პერიკარდიუმის ღრუში ნაკვეთის გაზრდა ხელს უშლის მარჯვენა ნინაგულში სისხლის დაბრუნებას. ვენური ნაკვეთის ცვლილებები ვლინდება ვენური სისხლის სვეტის სიმაღლით შიდა საუღლე ვენებში და ეწოდება *საუღლე ვენის ნაკვეთი (სვნ).*

საუღლე ვენის ნაკვეთი ასახავს მარჯვენა ნინაგულის ნაკვეთს და აძლევს კლინიცისტებს გულის ფუნქციისა და მარჯვენა გულის ჰემოდინამიკის შეფასების საშუალებას. საუღლე ვენური ნაკვეთის შეფასება არის აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევა. იგი ყველაზე უკეთ იზომება შიდა საუღლე ვენიდან, რადგანაც მარჯვნივ, პირდაპირ მარჯვენა შიდა საუღლე ვენას აქვს პირდაპირი ანატომიური კავშირი მარჯვენა ნინაგულთან[1].

შიდა საუღლე ვენები მოთავსებულია კისერში მკერდ-ძვინ-დვრილისებრი კუნთის სიღრმეში და მათი დანახვა ვერ ხერხდება, ამიტომ კლინიცისტმა უნდა ისწავლოს შიდა საუღლე ვენების პულსის გასინჯვა, რომელიც გადაეცემა კისრის ზედაპირზე და დარწმუნდეს, რომ ეს ვენური პულსაცია განსხვავდება საძილე არტერიის პულსაციისაგან. თუ ვერ ისინჯება საუღლე ვენების პულსაცია, უნდა იქნას გამოყენებული გარეთა საუღლე ვენებისა, მაგრამ ეს ნაკლებ სასურველია.



საუღლე ვენების ნნევის დონის გასაზომად თქვენ უნდა ისწავლოთ *მიგნითა საუღლე ვენის ხილვის (ოსცილაციის) უმაღლესი წერტილის* მონახვა, ან, თუ აუცილებელია, უნდა მოიძებნოს ის წერტილი, რომლის ზემოთ გახეთა საუღლე ვენა ჩაფუშულად გამოიყურება. საუღლე ვენის ნნევა, ჩვეულებრივ, იზომება ვერტიკალური მონაკვეთით (მანძილით) მკერდის ძვლის კუთხის ზემოთ, მეორე ნეკნთან ძვლოვანი შემაღლების მიმდებარედ, სადაც მკერდის ძვლის ტარი უკავშირდება სხეულს.

ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი ილუსტრაციები. გახსოვდეთ, რომ პაციენტის პოზიციის მიხედვით, მკერდის ძვლის კუთხე ჩრება დაახლოებით 5 სმ-ით ზევით მარჯვენა წინაგულიდან. ამ პაციენტში, შიდა საუღლე ვენის ნნევა მომატებულია.

- პოზიცია A-ში სანოლის თავი არის ჩვეულებრივ დონეზე, 30°, მაგრამ საუღლე ვენური ნნევა ვერ იზომება, ვინაიდან მენისკი ანუ ხილვის (პულსაციის) დონე არის ქვედა ყბის ზემოთ და შესაბამისად არ ჩანს.

- პოზიცია B-ში სანოლის თავი ამაღლებულია 60°-მდე. შიდა საუღლე ვენის "თავი" ახლა კარგად ჩანს, ამიტომ ვერტიკალური მონაკვეთი მკერდის ძვლის კუთხიდან ან მარჯვენა წინაგულიდან ახლა შეიძლება გაიზომოს.

- პოზიცია C-ში პაციენტი დგას და ვენები თვალნათლივ ჩანს ღავიწის ზემოთ, სადაც გაზომვას გამოუსადეგარს ხდის.



დარმახსოვრეთ, რომ მკერდის ძვლის კუთხიდან გაზომილი ვენური ნნევის სიმაღლე *ერთი და იგივეა* სამივე პოზიციაში, მაგრამ თქვენი შესაძლებლობა, *გაზომოთ* ვენური სისხლის ნნევის სვეტის სიმაღლე ან საუღლე ვენების ნნევა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოზიციაშია პაციენტი. მკერდის ძვლის კუთხიდან 4 სმ-ით ზემოთ ან მარჯვენა წინაგულიდან 9 სმ-ით ზემოთ გაზომილი საუღლე ვენური ნნევა განიხილება, როგორც მომატებული ან არანორმალური. საუღლე ვენების ნნევის გაზომვის ტექნიკა სრულად აღწერილია თავში გასინჯვის ტექნიკა (გვ. 302-304).

საულე ვენური პულსაცია

ხშირად (ოსცილაცია,) ჩასაც თქვენ ხედავთ შიდა საულე ვენებზე (და ხშირად, ასევე, გარეთაზეც), ასახავს წნევათა ცვლილებებს მარჯვენა წინაგულში. მარჯვენა შიდა საულე ვენა უფრო პირდაპირ უერთდება მარჯვენა წინაგულს და, ამიტომ, უკეთესად ასახავს წნევის ცვლილებებს.

დაკვირვებით დათვალიერება ავლენს, რომ შიდა საულე ვენების (ზოგჯერ გარეთასიც) ტალღისებური პულსაცია შედგება ორი სწრაფი პიკის და ორი ვარდნისგან.



პირველი ანევა - **a** *ტალღა* ასახავს წინაგულში წნევის მკვეთრ მომატებას, რომელიც ახლავს წინაგულების შეკუმშვას. ეს ვრცელდება ზუსტად გულის პირველი ტონის წინ და ჯაროტიდულ პულსამდე. მას შემდეგ მოსდევს ვარდნა, ***x*** *დაქვეითება* და იწყება წინაგულების მოდუნებასთან ერთად. იგი გრძელდება, ვიდრე სისტოლის დროს შეკუმშული მარჯვენა პარკუჭი გადანაწევს წინაგულის ფუძეს ქვემოთ. პარკუჭების სისტოლის ფაზაში სისხლი აგრძელებს ღრუ ვენიდან მარჯვენა წინაგულში მიდინებას. სამკარიანი სარქველი დახურულია, ღრუ იწყებს ავსებას და მარჯვენა წინაგულში წნევა ჯერავ იწყებს მომატებას, აღწევს მეორე ეკვივალენტს, ***v*** *ტალღას*. როცა სამკარიანი სარქველი იღება ადრეული დიასტოლის დროს, სისხლი მარჯვენა წინაგულიდან მარჯვენა პარკუჭში გადადის პასიურად და მარჯვენა წინაგულში წნევა ისევ ქვეითდება, აქეთებს შემდგომ ვარდნას, ანუ ***y*** *დაქვეითება*. ამ ოთხი ხერხის ცოდნა ჩამდენადმე გამარტივებული სახით გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ: წინაგულთა შეკუმშვაზე, წინაგულთა მოდუნებაზე, წინაგულთა ავსებასა და წინაგულთა დაცლაზე (თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ **a** *ტალღა* არის წინაგულთა შეკუმშვა და ***v*** *ტალღა* არის ვენური ავსება).

შეუიარაღებელი თვალით ეს ორი დაქვეითება არის ნორმალური საულე პულსის უმთავრესი მოვლენები. ამ ორიდან სწრაფი ვარდნა ***x*** დაქვეითების სისტოლის მოგვიანებით ფაზაში უფრო ხანგრძლივია და გრძელდება გულის მეორე ტონამდე. ***y*** დაქვეითება მოსდევს გულის მეორე ტონს ადრეული დიასტოლის ფაზაში.

ასაკთან დაკავშირებული ცვლილებები

ჯარიოვასკულური მონაცემები ცვალებადობს ასაკთან ერთად. ასაკი მოქმედებს მწვერვალის საძგერის ადგილმდებარეობაზე, გულის ტონების სიმაღლეზე და შუილებზე, არტერიების ელასტიურობასა და სისხლის ნნევაზე. მაგალითად, *მწვერვალის საძგერი*, ჩვეულებრივ, ადვილად შეიგრძნობა ბავშვებსა და ახალგაზრდებში; თუ იზრდება გულმკერდის წინა-უკანა დიამეტრი, საძგერი ძნელი მოსაძებნი ხდება. იგივე მიზეზით *გულის მეორე ტონის გახლეჩა* უფრო ძნელი მოსასმენი იქნება მოხუცებში, ვინაიდან მისი ფილტვისმიერი ჯომპონენტი ნაკლებად ისმინება. ცხოვრების განმავლობაში ყველას ეკრნება *გულის შუილი*. შუილთა უმეტესობას არ ახლავს გულის დაავადების ნიშანი და განიხილება უვნებელ შუილებად. შუილები ასაკთან ერთად იცვლება და მათი ხასიათი ნორმისა და პათოლოგიის გარჩევის საშუალებას იძლევა. იხ. თავი 16, ბავშვების შეფასება:

ჩვილობიდან მოზარდის ასაკამდე და გვ. 817-838, თავი 19, ოსული ქალი, ჰათა გაარჩიოთ უვნებელი შეიცები.

შეიცები შეიძლება ნარმოიქმნას დიდ სისხლძარღვებში, ისევე როგორც გულში. საულე ვენებში შეიცი, რომელიც ძალიან ხშირია ბავშვებში, ახალგაზრდობამდე შეიძლება მოისმინებოდეს. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მაგალითია *ჯისეზე სისტოლური შეიცის მოსმენა*, რომელიც ბავშვებში შეიძლება უვნებელი იყოს, მაგრამ მოზრდილებში არტერიის შევიწროვების მარჩენებელია.

III ავადმყოფობის ისტორია

ხშირი ან განსაზღვრული სიმპტომები

- ტკივილი გულმკერდის არეში
- გულის ფრიალი (გულის ცემის შეგრძნება)
- სუნთქვის გაძნელება: ქოშინი, ორთოპნოე ან ღამის პაროქსიზმული ქოშინი
- შეშუპება

ტკივილის ან დისკომფორტის შეგრძნება გულმკერდის არეში არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმპტომი, რომელსაც თქვენ შეხვდებით, როგორც ჯერინალისტი. ისმენთ რა თქვენი პაციენტის მონათხრობს, თქვენ ყოველთვის ინახავთ მეხსიერებაში ისეთ მნიშვნელოვან და გადაუდებელ მდგომარეობებს, როგორიცაა სტენოკარდიის, მიოკარდიუმის ინფარქტის ან აორტის განშრევებადი ანევრიზმის არსებობის შესაძლებლობა[2-4]. ეს თავი აგიწერთ გულის სიმპტომებს ჯერიული თვალსაზრისით, რომელშიც მოიცავს ტკივილს გულმკერდის არეში, გულის ფრიალს, ქოშინს, ორთოპნოეს, ღამის პაროქსიზმულ ქოშინს და შეშუპებას. ამ ჩვილების მიხედვით უნდა იფიქროთ გულის, ფილტვების და ექსტრათორაკალურ პათოლოგიებზე. მიმოიხილეთ მე-7 თავის ანამნეზის ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია გულმკერდის არეში ტკივილის შესაძლო ორგანოები: მიოკარდიუმი, პერიკარდიუმი, აორტა, ტრაქეა და მსხვილი ბრონქები, პარიეტული პლევრა, საყლაპავი, გულმკერდის ჯირკვალი, ექსტრათორაკალური სტრუქტურები, როგორიცაა ჯისერი, ნაღვლის ბუშტი, ჯიგარი. ეს მიმოხილვა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისეთი სიმპტომები, როგორიცაა ქოშინი, ხმაურიანი სუნთქვა და ჰემოპტიზიც კი, შეიძლება გულისმიერიც იყოს, და ფილტვისმიერიც.

იხ. ცხრილი 8-1. ტკივილი გულმკერდის არეში გვ. 268-269.

თქვენი საწყისი კითხვა უნდა იყოს ... "გულმკერდის არეში ტკივილს ხომ არ გრძნობთ?" სთხოვეთ გიჩვენოთ ტკივილის ადგილი და აღნერეთ მისი შვიდივე ატრიბუტი. როდესაც მოისმენთ ავადმყოფის აღნერას, გადადით უფრო სპეციფიკურ კითხვებზე, როგორიცაა "ტკივილი დაკავშირებულია დატვირთვასთან?" და "რა სახის აქტივობა იწვევს ტკივილს?" ასევე "რა ინტენსივობისაა ტკივილი 1-დან 10-მდე ქულის მიხედვით?"... "ტკივილი განიცდის ირადიაციას კისერში, მხრებში, ზურგში ან ქვედა მკერდებში?" "ახლავს თუ არა სხვა სიმპტომები, როგორიცაა ქოშინი, ოფლიანობა, გულის ფრიალი ან გულისრევა?" "ყოველთვის გაღვიძებთ ღამით?" "რას აკეთებთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?"

დატვირთვით გამოწვეული ტკივილი გულმკერდის არეში ირადიაციით მარცხნივ კისერში და ქვევით მკერდებში აღინიშნება სტენოკარდიის დროს. ძლიერი ტკივილი, ირადიაციით ზურგში ან კისერში – *აორტის განშრევებადი ანევრიზმის* დროს

გულის ფიალი გულისცემის უსიამოვნო შეგრძნებაა. ამ შეგრძნების გამოხატვისას ავადმყოფი სხვადასხვა ტერმინს იყენებს, როგორიცაა ხტუნვა, სირბილში შეჯიბრი, თრთოლვა, მსხვრევა ან გულის გაჩერება. გულის ფიალი შეიძლება ნარმოიშვას არითმიის, გულის ცემის სწრაფი არჩევების ან შენელების, ან გულის ჯუმშვადობის გაზრდის შედეგად. ეს შეგრძნება ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პასუხობს ავადმყოფი საკუთარ შეგრძნებებს. გულის ფიალი აუცილებლად გულის დაავადებას არ ალნიშნავს. საპირისპიროდ, უფრო სერიოზული არითმიები, როგორიცაა პარკუჭოვანი ტაქიკარდია, ხშირად არ იწვევს გულის ფიალს.

იხ. ცხრილი 8-1 და 8-2 გულისცემის სიხშირის და რიტმის განსაკუთრებულ (გვ. 324-325).

გულის არაგულარული მოქმედების სიმპტომები ან ნიშნები მოითხოვს ეკგ-ს. მხოლოდ "მოციმციმე არითმიის" დადგენა არის შესაძლებელი ავადმყოფის სანორეთან.

თქვენ პირდაპირ უნდა შეეკითხოთ გულისფიალის შესახებ, მაგრამ თუ ავადმყოფმა ვერ გაიგო თქვენი შეკითხვა, გადმოეცით სხვანაირად. "ხოლმე დაგვირვებიხართ თქვენს გულისცემას? როგორია ის?" სთხოვეთ, გიჩვენოთ რიტმი თითით ან ხელით. ჩქარია თუ ნელი? ხშირი თუ არა? და ხანგრძლივობისაა? იყო თუ არა სწრაფი გულისცემის ეპიზოდი, სწრაფად იწყებოდა და სწრაფადვე ქრებოდა? (ასეთ შემთხვევებში გესაჭიროებათ ეკგ).

ანამნეზის ინფორმაცია მოიცავს ნახტომს (შესაძლოა ექსტრასისტოლა); სწრაფი რიტმული გულისცემის უცარი შეტევა და გაქრობა (შესაძლო სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდია); სწრაფი რიტმული გულისცემა 120 დარტყმამდე ნუთში, განსაკუთრებით, თუ სწრაფად იწყება და სწრაფადვე ჩერდება (შესაძლო სინუსური ტაქიკარდია).

დაგეხმარებათ, თუ ავადმყოფს ასწავლით, როგორ გაისინჯოს თვითონ პულსი.

სუნთქვის გახშირება ხშირი ჩივილია და შეიძლება აღნიშნავდეს ქრონულ, ორთოპნოეს ან ღამის პაროქსიზმულ ქრონულ. ქრონული არის სუნთქვის დისკომფორტი მოცემულ დატვირთვაზე. ამ ჩივილის მიზეზი გულის ან ფილტვის პირობებია, რომელიც აღნერილია მე-7 თავში, გულმკერდი და ფილტვები, გვ. 249.

ორთოპნოეს არის უმარტივესი ორთოპნოეს ეპიზოდები, რომელიც ვითარდება ნოლის დროს და მცირდება ადგომისას. ჩვეულებრივ, მისი შეფასება ხდება ბალიშების რაოდენობით, რასაც იყენებს ავადმყოფი ძილის დროს ან იმ ფაქტით, რომ ავადმყოფი მჯდომარე მდგომარეობაში იძინებს. დარწმუნდით, რომ ბალიშების გამოყენება ან მჯდომარე ძილი გულის მიზეზითაა გამოწვეული.

ღამის პაროქსიზმული ქრონული არის უცარი ქრონულის და ორთოპნოეს ეპიზოდები, რაც აღვიძებს ავადმყოფს, ჩვეულებრივ, დაძინებიდან 1-2 საათში და აიძულებს მას წამოჯდეს, ფეხზე დადგეს ან მივიდეს ფანჯარასთან. მას შეიძლება ახლდეს ხმაურიანი სუნთქვა და ხველა. ეპიზოდი, ჩვეულებრივ, ნელდება, მაგრამ შეიძლება განმეორდეს იგივე დროს მომდევნო ღამეებში.

შეშუპება ვითარდება სხეულის ქვედა ნაწილში: ფეხებზე ჯდომისას და წელის არეში წოლისას. მიზეზები შეიძლება იყოს ჯარიული (*გულის შეგუბებითი უკმარისობა*), ჯვებითი (*ჰიპოალბუმინემია*) ან პოზიციური.

შეშუპება დაკავშირებულია ინტერსტიციულ სქოვილებში სითხის ჭარბ დაგროვებასთან და ვლინდება შესიების სახით. შეშუპების შესახებ კითხვები ტიპიურად მოიცავს გულის დაავადებების ანამნეზს, თუმცა შეშუპებას ბევრი სხვა მიზეზიც გააჩნია: ადგილობრივი და ზოგადი. თქვენი შეკითხვები დააკონკრეტეთ მდებარეობაზე, განვითარების დროზე, ასოციებულ სიმპტომებზე. "სადმე შესიება ხომ არ გაქვთ? სად? კიდევ სხვაგან? როდის გაჩნდა? დილით უფრო მეტია თუ საღამოს? ფეხსაცმელები ხომ არ დაგიპატარავდათ?"

შეშუპება ჩნდება თირკმელების და ღვიძლის დაავადებების დროს: ჰეპატომეგალია შეშუპება, ბეჭდის დაპატარავება – *ნეფროზული სინდრომის* დროს. ნელის არეში გადიდება ასციტის და ღვიძლის უკმარისობის დროს.

გააგრძელეთ კითხვით "ბეჭედი ხომ არ დაგიპატარავდათ? დილობით ქუთუთოები ხომ არ გისივდებათ? ქამარი ხომ არ გაიდიდეთ?" ასევე "ნელზე ტანსაცმელი ხომ არ დაგიპატარავდათ?"

მოგეხმარებათ, თუ სთხოვთ ყოველდღიურად დილას და საღამოს აინონოს, ვინაიდან შეშუპება გარეგნულად არ ვლინდება, სანამ არ დაგროვდება ჩამოღენიმე ლიტრი სითხე.

ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ჩვეულებები

ჯანმრთელობის ხელშეწყობის და ჩვეულებების მნიშვნელოვანი პუნქტები

- ჰიპერტენზიის პროფილაქტიკა
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ინსულტის პროფილაქტიკა
- ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (LDL) დონის დაწევა
- ცხოვრების წესის შეცვლა და რისკ-ფაქტორებზე ზემოქმედება, ჯანსაღი ჭამების და დონისა და ფიზიკური ვარჯიშის შერჩევის ჩათვლით

მიუხედავად რისკ-ფაქტორების მოდიფიკაციის გაუმჯობესებისა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ოგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში და აშშ-ში საერთო სიკვდილობის დაახლოებით 1/3-ია. ორივე, *პირველადი პროფილაქტიკა* მათში, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სიმპტომები არ გააჩნია, და *მეორადი პროფილაქტიკა* იმ პაციენტებში, ვისაც აქვს სტენოკარდია ან მიოკარდიუმის ინფარქტი, მნიშვნელოვანი პიორიტეტული ღონისძიებაა სამსახურში, საავადმყოფოში და, საერთოდ, ეროვნულ ჯანდაცვის სისტემაში. განათლება და განხილვა ეხმარება ავადმყოფს, მოინესხიგოს სისხლის წნევა, სისხლში ქოლესტერინის დონე, წონა და შეამციროს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ინსულტის რისკ-ფაქტორები.

ჰიპერტენზიის პროფილაქტიკა. აშშ პროფილაქტიკური მომსახურების კომისიის მონაცემებით, მიოკარდიუმის ინფარქტის და ინსულტის ყველა შემთხვევის 35%-ში, გულის უკმარისობის 49%-ში და უეცარი სიკვდილის 24%-ში აღინიშნება ჰიპერტენზიის არსებობა.[5] კომისია მკაცრ ჩეკომენდაციას უწევს 18 წლის ზევით პირების სკრინინგის ჩატარებას სისხლის მაღალი წნევის თვალსაზრისით. ბოლო დროს ჩატარებულმა პოპულაციურმა ხანგრძლივმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეროვნულ სტრატეგიაში აუცილებელია მკვეთრი გადახრა სისხლის წნევის შემცირებისა და პროფილაქტიკისკენ. "სისხლის მაღალი წნევის პროფილაქტიკის, დადგენის, დაკვირვების და მკურნალობის გაერთიანებული ეროვნული კომიტეტის" – JNC 7 მეშვიდე მოხსენებამ; სისხლის მაღალი წნევის ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამამ და კლინიკურმა კვლევებმა გამოსცა რამოდენიმე სახვანძო გზავნილი (იხ. ჩამონათვალი შემდეგ გვერდზე)[6,7] ეს მონაცემები საფუძვლად უდევს სისხლის წნევის კლასიფიკაციას JNC 7-ის მიხედვით (იხ. ცხრილი გვ. 109)[10];

- სისხლის წნევის არსებული 6 კატეგორია შემცირდა ოთხამდე და ნორმალურ წნევად განისაზღვრა <120/80 მმვწყსვ.
- სისტოლური წნევა 120-დან 139 მმვწყსვ და დიასტოლური 80-დან 89 მმვწყსვ აღარ არის "მაღალი ნორმა". ეს არის "პრეჰიპერტენზია".

- მედიკამენტური მკურნალობა უნდა დაიწყოს პირველ სტადიაზე, სადაც სისტოლური წნევა არის 140-დან 159-მდე ან დიასტოლური წნევა 90-დან 99 მმვწყსვ.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ყველასთვის აუცილებლად ითვლება

საკვანძო გზავნილები პრეკლინიკური ჰიპერტენზიისთვის

- 55 წლის ასაკის ნორმოტენზიული პირებისთვის ჰიპერტენზიის განვითარების რისკი 90%-ია.
- 60 წლის ზევით ყოველი 2 ადამიანიდან ერთს პრეკლინიკური ჰიპერტენზია აქვს[7] და ჰიპერტენზიით ავადმყოფთა მხოლოდ 34%-შია მიღწეული სამიზნე წნევა.[6]
- წნევასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევათა რისკს შორის ურთიერთკავშირი დიდია, ხანგრძლივი და დამოუკიდებელი სხვა რისკ-ფაქტორებისგან. 40-დან 70 წლამდე პირებში სისტოლური წნევის 20 მმ ვწყ სვ-ით და დიასტოლური წნევის 10 მმ ვწყ სვ-ით მომატება ორმაგებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევათა რისკს ორივე წნევის საზღვრებია სანყისი 115/75 □დან 185/115 მმ ვწყ სვ[6,8]
- ბოლო დროს ჩატარებულმა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკ-ფაქტორების ფართო პოპულაციურმა კვლევებმა გამოავლინა ორი საკითხი[9]:

1. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის პირთა მხოლოდ 4.8-დან 9.9%-ს აქვს დაბალი რისკი.
2. დაბალი რისკის მდგომარეობის გამოვლინებები ძალიან დიდი: 72-დან 85%-მდე მცირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილობა და 40-დან 58%-მდე მცირდება ყველა მიზეზით სიკვდილობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება 5.8-დან 9.5 წლამდე. ეს ზრდა ეხება ნებისმიერი სოციალური მდგომარეობის თეთრკანიანებსაც და აფრო-ამერიკელებსაც[9]

- აქედან გამომდინარე, რისკის მქონე პირების გამოვლენა და მკურნალობა საკმარისი არ არის. ფართო პოპულაციური სტრატეგია მდგომარეობს პრევენციაში და ყველა დიდი რისკ-ფაქტორის შემცირებაში, რათა ადამიანებს განუვითარდეს ჩვევები ბავშვობიდანვე და მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩეთ დაბალი რისკი[9].

ჰიპერტენზიის რისკ-ფაქტორებია ფიზიკური აქტივობის ნაკლებობა, მიკროალბუმინურია ან დაგენილი GFR <60მლ/წთ, ანამნეზში გიდ არსებობა (ასაკი <55 მამაკაცებისთვის და <65 ქალებისთვის), სუფრის მარილის ჭარბი მიღება, კალიუმის არასაკმარისი მიღება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება[6].

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ინსულტის პრევენცია. ამერიკის გულის ასოციაციის 2002 წლის გადასინჯვაში მოცემულია რისკ-ფაქტორების შემცირების ჩვევები ექიმებისთვის: "ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებისთვის არჩევანს წარმოადგენს გამოიყოს ავადმყოფთა დიდი ჯგუფი დაავადების არქეულ ეტაპზე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შემცირების მიზნით", რათა გაფართოვოს პირველადი პრევენციის ღირებულება. "მიმდინარე გზავნილი არის: ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრება არის პირველადი პრევენციის ქვაკუთხედი". "პირველადი მნიშვნელობისაა გიდ-ის პირველი ეპიზოდის ან ინსულტის, ან ართრის ანევრიზმის და პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებების განვითარების პრევენცია, რადგან ჯერ კიდევ პირველი შეტევა შეიძლება იყოს ფატალური ან მდგომარეობის დამამძიმებელი"[11]

პირველ საფეხურზე ჯერ-იერობით უნდა დაადგინოს არა მარტო წნევის მომატება, არამედ სხვა ჯარგად შესწავლილი გიდ რისკ-ფაქტორები. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ინსულტის პირველადი პროფილაქტიკის ჩვევმენდაციებში ამერიკის გულის ასოციაცია გვთავაზობს 20 წლის ასაკიდან პირებში რისკ-ფაქტორების გამოკვლევას და 40 წლის და მეტი ასაკის პირებისთვის გიდ გლობალური აბსოლუტური რისკის დადგენას.[11]

20 წლის ასაკიდან პირებში რისკ-ფაქტორები და გამოკვლევის სიხშირე

რისკ-ფაქტორები	სიხშირე
გულის იშემიური დაავადების (გიდ) ოჯახური ანამნეზი	გადაამოწმეთ ჩვეულებრივად
თამბაქოს მოხმარება დიეტა არტერიული წნევის მოხმარება ფიზიკური აქტივობა	ჩვეულებრივ ვიზიტებზე
სისხლის წნევა სხეულის მასის ინდექსი წელის გარშემოწერილობა პული (მოცემული არითმიის დადგენა)	ჩვეულებრივ ვიზიტებზე (2 წელიწადში ერთხელ)
დიაბეტი პირველი ტიპის გლუკოზა უზმოზე	სულ მცირე ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, თუ ჰიპერლიპიდემიის ან დიაბეტის რისკია, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ

40 წლის ზევით ასაკის პირებში გიდ 10 წლიანი რისკის დასადგენი გლობალური რისკის განსაზღვრა

გიდ მრავლობითი რისკის გამოთვლა ემყარება შემდეგს:

- ასაკი
- სქესი
- თამბაქოს მონევა
- სისტოლური (ზოგჯერ დიასტოლური) წნევა
- საერთო (ზოგჯერ LDL) ქოლესტერინი
- HDL ქოლესტერინი
- დიაბეტი

გიდ გლობალური რისკის გამოსათვლელად გამოიყენეთ ვებ-გვერდებზე მოცემული მეთოდები:
http://www.americanheart.org/presenter.jhtml?identifier=3003499
http://hin.nhlbi.nih.gov/atpiii/calculator.asp?usertype=prof

ღრობაღური ჩისჯის გამოთვლის მიზანია ავადმყოფმა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე შეამცირიოს ჩისჯ-ფაქტორები. დაიმახსოვრეთ, რომ დიაბეტი ან 20%-ზე მაღალი 10-წლიანი ჩისჯი, გიდ განვითარებისთვის თანაბარ ჩისჯ-ფაქტორს წარმოადგენს.

ქოლესტერინის და LDL ქოლესტერინის შემცირება. 2001 წელს ჯანმთელობის ეროვნული ინსტიტუტის გული, ფილტვის და სისხლის ეროვნულმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა "ქოლესტერინის შემსწავლელი ეროვნული პროგრამის ექსპერტთა (NCEP) მესამე შეტყობინება", რაც ცნობილია ATP III -ის სახელით.[12] სრული შინაარსი მოცემულია 2002 წელს[13]. აქ მოცემულია ფაქტებზე დამყარებული მედიცინის ჰეჯომენდაციები მაღალი ქოლესტერინის და ღიპიდური ცვლის დარღვევის მართვის შესახებ და დადგენილია, რომ ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა სისხლში ქოლესტერინის დონის მჭიდრო კორელაცია გიდ განვითარების ჩისჯთან" მსოფლიოს უმეტესობა პოპულაციებში[14]. ATP III -ის საკვანძო საკითხებია:

- LDL-ის, როგორც ჰიპოღიპიდემიური მკურნალობის პირველადი სამიზნეს დადგენა
- ჩისჯ-ფაქტორების სამი კატეგორიის სახეები:
  - *მაღალი ჩისჯი (10-წლიანი ჩისჯი>20%)*: დადგენილი გიდ და გიდ ჩისჯის ეკვივალენტი
  - *ზომიერად მაღალი ჩისჯი (10-წლიანი ჩისჯი 10%-20%)*: მრავალი ან 2+ ჩისჯ-ფაქტორები
  - *დაბალი ჩისჯი (10-წლიანი ჩისჯი<10%)*: 0-1 ჩისჯ-ფაქტორი

ჩისჯ-ფაქტორებია: თამბაქოს მოხმარება, სისხლის წნევა >140/90 მმ ვწყ. სვ. ან ანტიჰიპერტენზიული ფარმაკოთერაპიის ხმარება, HDL <40 მგ%, გიდ ოჯახური ანამნეზი <55 წლის ასაკის პირველი ხარისხის მამაკაც ნათესავებში ან <65 წლის ასაკის პირველი ხარისხის ქალ ნათესავებში, და ასაკი ≥45 მამაკაცებისთვის და ≥55 ქალებისთვის.

გიდ მოიცავს მიოკარდიუმის ინფარქტის ანამნეზს, სტაბილურ ან არასტაბილურ სტენოკარდიას, კორონარულ არტერიებზე ჩარცედურებს, როგორიცაა ანგიოპლასტიკა და არტო-კორონარული შუნტირება ან მიოკარდიუმის გამხარტული იშემიის ნიშნებს.

გიდ ჩისჯის ეკვივალენტებია არაკორონარული ათეროსკლეროზი, როგორიცაა პერიფერიული არტერიების დაავადებები, მუცლის აორტის ანევრიზმა, საძილე არტერიების დაავადებები (საძილე არტერიების >50% ობსტრუქციისას, მოსალოდნელია გარდამავალი იშემია ან ინსულტი); *დიაბეტი; და 2+ ჩისჯ-ფაქტორები, რომელსაც გიდ 10-წლიანი ჩისჯი >20%-ზე.*

- *მაღალი ჩისჯის* პირებისთვის, როგორიცაა "გიდ ან გიდ ეკვივალენტების მქონე პირებისთვის", დადგენილია *LDL სამიზნე დონე < 100 მგ/დლ.*

2004 წლის ივლისში NCEP გამოაქვეყნა ხუთი დიდი კლინიკური კვლევის შედეგები[14]. *მაღალი ჩისჯის მქონე* პირებისთვის NCEP ჰეჯომენდაციით LDL სამიზნე დონე <70 მგ% და საჭიროა ინტენსიური ჰიპოლიპიდემიური მკურნალობა[15]. NCEP მონაცემებით მაღალი ჩისჯის მქონე ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესება მატულობს 30%-დან 40%-მდე, როცა მათი LDL დონე <100 მგ%.

ამჟ ჰოფიდაქტიკური მომსახურების ექსპერტთა ჯგუფი ჰეჯომენდაციას უწევს LDL-ის ჰატონულ განსაზღვრას 35 წლის ზევით მამაკაცებში და 45 წლის ზევით ქალებში[16]. მათთვის, ვისაც გიდ ჩისჯ-ფაქტორები გააჩნიათ, სკრინინგი უნდა დაიწყოს 20 წლის ასაკიდან[17,18].

მოელაპარაკეთ ავადმყოფს, რომ უზმოზე *განსაზღვრათ ლიპიდები* საერთო და LDL ქოლესტერინის განსაზღვრის მიზნით. გამოიყენეთ ჩისჯის გამოანგარიშება გვ. 297 ან იხელმძღვანელეთ ATP III-ით, რათა დაადგინოთ თქვენი ავადმყოფის 10-წლიანი ჩისჯის ხარისხი. გამოიყენეთ 2004 წლის ჩეჯომენდაცია, სადაც გამოყოფილია ჩისჯის 4 ჯგუფი, რათა დაგეგმოთ ცხოვრების წესის ცვლილებები და ჰიპოლიპიდემიური საშუალებების საჭიროება.

ATP III გაუმჯობესებული ჩეჯომენდაციები

10-წლიანი ჩისჯის ხარისხი	LDL-ის სასურველი დონე	მედიკამენტის განხილვა, თუ LDL:
მაღალი ჩისჯი (>20%)	<100 მგ% *ოპტიმალური მიზანი:* <70მგ%	≥100მგ% (<100 მგ%:განიხილეთ მედიკამენტის დანიშვნა, LDL-ის 30-40%-ით დაქვეითების მიზნით)
ზომიერად მაღალი ჩისჯი (10-20%)	<130 მგ% *ოპტიმალური მიზანი:* <100 მგ%	≥130მგ% (100-129 მგ%: განიხილეთ მედიკამენტის დანიშვნა, რათა მიღწეულ იქნას LDL<100 მგ/დღ).
ზომიერი ჩისჯი (<10%)	<130 მგ%	≥160მგ/დღ
დაბალი ჩისჯი (0-1 ჩისკ-ფაქტორი)	<160 მგ%	≥190მგ/დღ (160-189 მგ/დღ: მედიკამენტური მკურნალობა აუცილებელი არ არის)

ცხოვრების წესის შეცვლა და ჩისკ-ფაქტორებზე ზემოქმედება. JNC VII, სისხლის მაღალი წნევის განათლების ეროვნული პროგრამისა და AHA მიერ მონოდებულია ჯარგად შესწავლილი ცხოვრების წესის შეცვლისა და ჩისკ-ფაქტორებზე ზემოქმედების საშუალებები ჰიპერტენზიის, გიდ-ის და ინსულტის პროფილაქტიკის მიზნით.

ცხოვრების წესის შეცვლა ჰიპერტენზიის პრევენციისა და მართვისთვის

- ოპტიმალური წონა ან სმი ჩარის 18.5 – 24.9 კგ/მ²
- სუფრის მარილის მიღების შემცირება 6 გრამამდე ან ნატრიუმის შემცირება 2.4 გრამამდე დღეში.
- ჩეგულარული აერობული ვარჯიშები, როგორიცაა სწრაფი სიარული არა ნაკლებ 30 წუთისა დღეში ყველის უმეტეს დღეებში
- ალკოჰოლის ზომიერი მიღება: მამაკაცებისთვის 2 დაღება ან ნაკლები, ქალებისთვის 1 დაღება ან ნაკლები (2 დაღება= 30 გ სპირტი, 70 გ ღვინო, 300 გ ლუდი ან 60-90გ ვისკი)
- დღეში 3.500 მგ-ზე მეტი კალიუმის მიღება
- ხილით, ბოსტნეულით და დაბალცხიმიანი პროდუქტებით მდიდარი საკვების მიღება და ნაჯერი და საერთო ცხიმების შეზღუდვა

ჰიპერტენზიის დროს ცხოვრების წესის შეცვლა ინვევს სისხლის წნევის 2-დან 20 მმ ვწყ სვ-ით დაქვეითებას[6]. ცხოვრების წესის შეცვლა ჰიპერტენზიის შემცირებისთვის ნაწილობრივ ემთხვევა გიდ-ის და ინსულტის ჩისჯის შემცირების ჩეჯომენდაციებს, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები.

ბუღ-სისხლძარღვთა დაავადებების და ინსულტის პრევენციისთვის ჩისჯზე ზემოქმედება

- თამბაქოს მოხმარების სრული შეწყვეტა
- სისხლის ოპტიმალური წნევის ჯონტროლი – იხილე JNC VII ჩეჯომენდაციების ცხრილი
- ჯანმრთელი ჯვება – იხ. ჩეჯომენდაციები დიეტის შესახებ წინა გვერდზე
- ლიპიდური ცვლის ჯონტროლი – იხ. ცხრილი გვ. 299
- ჩეგულარული აერობული ვარჯიში – იხ. წინა გვერდი
- ოპტიმალური წონა – იხ. წინა გვერდი
- დიაბეტის ჯონტროლი ისე, რომ უზმოზე გლუჯოზის დონე იყოს 110 მგ%-მდე, ხოლო HgA1c – 7%-ზე ნაჯლები
- მოციმციმე ინფექციის გადაყვანა სინუსურ ინფექციში, ხოლო ქრონიჯული ბრონქიტის შემთხვევაში – ანტიჯოაგულაციური მკურნალობა

ჯანმრთელი ჯვება. დაიწყეთ ჯვების ანამნეზით (იხ. გვ 92-93), შემდეგ ჯი შეუმცირეთ ქოლესტერინის და საერთო ცხიმის, განსაკუთრებით, ნაჯერი და ტრანს ცხიმების მიღება. საჯვები, რომელიც შეიცავს პოლიუჯერ ცხიმებს, ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს (თევზის ქონი), ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

მიმოიხილეთ საჯვების სახეობები, რომლებიც შეიცავს ჯანსაღ და არაჯანსაღ ცხიმებს.[19]

არაჯანმრთელი ცხიმის წყაროები

- *ქოლესტერინით მდიდარი საჯვები:* ხძის პროდუქტები, ჯვერცხის გული, ღვიძლი და ორგანოების ხორცი, ცხიმიანი ხორცი და შინაური ფრინველი.
- *ნაჯერი ცხიმებით მდიდარი საჯვები:* მაღალცხიმიანი ხძის პროდუქტები – ნაღები, ყველი, ნაყინი, სოფლის და 2%-იანი ხძე და არაჟანი. ასევე შაშხი, ჯარაქი, შოკოლადი, ჯაჯაოს ცხიმი, სარა, მაღალცხიმიანი ხორცი, სოსისი, ჰოთ-დოგი.
- *ტრანს ცხიმებით მდიდარი საჯვები:* გვერცის ხორცი, ჰიდროლიზური ან ნაწილობრივ ჰიდროლიზური ცხიმით დამზადებული ცომეული, მარგარინი, ჯულინარული ცხიმი, შემწვარი ჯარტოფილი.

ჯანსაღი ცხიმის წყაროები

- *მონოუჯერი ცხიმით მდიდარი საჯვები:* თხილი, ნუში, პეკანის თხილი, მიწის თხილი; სეზამის მარცვლები, ავოკადო, ჯანორცის ზეთი, ზეითუნის და არაქისის ზეთი, არაქისის ჯარაქი.
- *პოლიუჯერი ცხიმით მდიდარი საჯვები:* მარცვლეული, საფლორი, ჯანაფის თესლი, სოიოს თესლის ზეთი,

ჯაჯაღი, მზესუმზირა, ხბილი მარგარინი, მაიონეზი, საღათის საჯაზმი.

- *ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავით მდიდარი საჭვები:* თუნუსი, ქამაყი, სკუმბრია, ჯალმახი, ორაგული, სარდინი.

წონისა და ვარჯიშების განხილვა.

2004 წლის იანვრის "ჰორგანესის მიმოხილვა – ჭვება და ქარბი წონა" ჯანმრთელ პირებში 2010 იუწყება, რომ "დიეტური ფაქტორები უკავშირდება სიკვდილის 4-დან 10-მდე ძირითად მიზეზს –გულის იშემიური დაავადება, სიმსივნის ზოგიერთი სახე, ინსულტი, მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტი, ისევე როგორც სისხლის მაღალი წნევა და ოსტეოპოროზი. საერთოდ, ჯანმრთელი ადამიანები 2010 ჭიღვის მონაცემებით მოზრდილთა და ბავშვებთა წონის მდგომარეობას გაუარესებისკენ აქვს ტენდენცია"[20]. ამერიკელთა 60%-ზე მეტს სიმსუქნე აღენიშნება, რომელთა სმი 25-ზე მეტია.

წონის დაკლება სამკურნალო მოთხოვნაა. სხეულის მასის ინდექსის გამოთვლის პრინციპი, აღწერილია მე-4 თავში, გვ 90-92. განიხილეთ ჯანსაღი ჭვების პრინციპები – პაციენტებს, რომლებიც დიდი ჩარჩენობით ცხიმს იღებენ, უფრო მეტად უგრძოდებათ სხეულის ცხიმი, ვიდრე იმათ, ვინც ციცოვან და ნახშირწყლოვან საჭვებს იღებს. განიხილეთ ავადმყოფის ჭვების ჩვევები და ოჯახის წევრების წონის მარჩენებლები. დაგეგმეთ ჩაღური ამოცანები, რაც ავადმყოფს დაეხმარება ჯანმრთელი ჭვების ჩვევების შემუშავებაში.

ჩეგულარული ვარჯიში აშშ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ჯანმრთელი ადამიანები 2010 პირველი ჩეჯომენდაციაა. 2004 წლის აპრილის "ჰორგანესის მიმოხილვა – ფიზიკური აქტივობა და ჯარგი ფიზიკური მდგომარეობა" ჯანმრთელი ადამიანები 2010 აღგენს, რომ "2000 წელს სიკვდილის მნიშვნელოვანი მიზეზი იყო არასწორი ჭვება და არააქმარისი ვარჯიში. შეღედი ამ რისკ-ფაქტორებსა და თამბაქოს მოწევას, როგორც ეროვნულ ძირითად რისკ-ფაქტორს შორის, განსაკუთრებით შემცირდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში."[21] გულის იშემიური დაავადების რისკის შემცირებისთვის ავადმყოფს ურჩიეთ ერობული ვარჯიშები ან ვარჯიშები, რომლებიც ზრდიან ჯუნთების მიერ ჟანგბადის მოხმარებას თუნდაც 30 წთ-ის განმავლობაში ჯვირის უმეტეს დღეებში. ავადმყოფს უნდა დაეხმაროთ, განუწყოს ვარჯიშისთვის და სკრედულს, რომ ვარჯიშის დაწყებისთანავე თავს გაცილებით უკეთ იგრძნობს. ღრმა სუნთქვა, ოფლის გამოყოფა გრილ გარემოში და ჰულსის გახშირება არაა შესაბამისი მაქსიმალური გულისცემის 60%-ით (220-ს გამოკლებული ასაკი) მარჩენებლებია, რაც ეხმარება ავადმყოფს დაადგინოს ერობული მეტაბოლიზმის დაწყება. ვარჯიშის სახეობის შერჩევამდე შეამოწმეთ გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის ან ძვალ-ჯუნთოვანი სისტემების მდგომარეობა, რომ არ არის რაიმე უკუჩვენება.

ბამოკვლევის მეთოდები

ჩოდესაც დაიწყებთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევას, ნახეთ სისხლის წნევა და გულისცემის სიხშირე, რომელიც გაზომილი გაქვთ ზოგადი გამოკვლევისა და სასიცოცხლო ნიშნების შესწავლისას ჯერ-ჯერობით გამოკვლევის დასაწყისში. თუ გესაჭიროებათ ამ გამოკვლევების გამეორება ან ახლიდან ჩაგიტარებიათ, გამოძებნეთ ცხრილში ამის ჩასატანებლად (იხ. თავი 4, ჯერ-ჯერობით გამოკვლევების დაწყება: ზოგადი გამოკვლევა და სასიცოცხლო ნიშნები).[22-26]

სისხლის წნევის გაზომვისას ავადმყოფი დასვენეთ 5 წთ-ით, შეარჩიეთ შესაფერისი ზომის მანჟეტი, ჯერ-ჯერობით ავადმყოფის მჯდარი მოათავსეთ გულის დონეზე, ხოლო ფეხზე დგომისას – მკერდის შუა ნაწილის დონეზე. დარწმუნდით, რომ გასაბერი მანჟეტი მხრის არტერიაზეა. მანჟეტში წნევა ასწიეთ 30 მმ ვწყ სვ-ით ზევით იმ დონიდან, სად დონეზეც ქრება პულსაცია სხივის არტერიაზე. მანჟეტიდან ჰაერის გამოშვების ჩრდილოეთ მოისმინეთ პირველივე სულ ცოტა ორი ერთმანეთის მომდევნო გულისცემის ხმა, რომელიც გამოხატავს სისტოლური წნევის სიდიდეს. შემდეგ დააფიქსირეთ გულისცემის ხმიანობის გაქრობის მომენტი, ანუ დიასტოლურ წნევას შეესაბამება. პულსი დათვალეთ სხივის არტერიაზე საჩვენებელი და შუა თითების ბალიშებით ან გულის მწვერვალზე სტეტოსკოპით.

ამის შემდეგ თქვენ მზად ხართ თანმიმდევრულად შეაფასოთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის კომპონენტები:

- საუღლე ვენის წნევა
- ჯაროტიდული პულსაცია და შუბლის არსებობა ან არარსებობა
- გულის საძგერი და მისი ფართობი, სიმაღლე და ხანგრძლივობა
- გულის პირველი და მეორე ტონები S_1 და S_2
- დამატებითი ტონების არსებობა ან არარსებობა S_3 და S_4
- შუილების არსებობა ან არარსებობა

საუღლე ვენის წნევა (სვწ) და პულსაცია

საუღლე ვენის წნევა (სვწ). სვწ-ის დადგენა ჯერ-ჯერობით გამოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი მეთოდია. თავიდან შეიძლება ძნელად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვარჯიშით და ხელმძღვანელის დახმარებით დაინახავთ, რომ სვწ მნიშვნელოვან ინფორმაციას განგდით ავადმყოფის მოცულობით სტატუსზე. როგორც უკვე იცით, სვწ მარჯვენა წინაგულში წნევას ან ცენტრალურ ვენურ წნევას ასახავს და მისი შეფასება ყველაზე ადვილად შესაძლებელია მარჯვენა შიგნითა საუღლე ვენის პულსაციით. ჩაინიშნეთ, რომ საუღლე ვენების და მათი პულსაციის ნახვა ძნელია 12 წლამდე ასაკის ბავშვებში, ამიტომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ეს გამოკვლევა არ ტარდება.

სვწ-ის გამოკვლევის საფეხურები მომდევნო გვერდზეა აღნერილი. როდესაც დაიწყებთ გამოკვლევას, დააკვირდით ავადმყოფის მდგომარეობას და განსაზღვრეთ, რა სიმაღლეზე ასწიოთ სანოლის თავი ან გამოსაკვლევი მაგიდა. სვწ-ის განსაზღვრა იწყება სანოლის თავის ანევით 30°-ით. ორივე მხარეს მოძებნეთ გარეთა საუღლე ვენები, შემდეგ – შიგნითა საუღლე ვენის პულსაცია, რომელიც ტარდება სიღრმიდან ჯისრის ზედაპირისკენ. Зსვწ არის ანევის ის სიმაღლე, როდესაც, ჩვეულებრივ, აღინიშნება ყველაზე მაღალი ოსცილაციური ნერტილი, ანუ ვენური პულსაციის მენისკი მოცარიელებულ სისხლის ნორმალური

მოცულობის მქონე ჯანმრთელ პირებში. *ჰიპერვოლემიის* ავადმყოფებში შეიძლება ივარაუდოთ, რომ *სვნ დაბალი იქნება*, რის გამოც *სანოლის თავი შეგიძლიათ დაბლა დაყენოთ*, ზოგჯერ 0°-ზეც, რათა ნახოთ ოსცილაციური ნეტილი. *ჰიპერვოლემიის* პირებში შეგიძლიათ ივარაუდოთ, რომ *სვნ მაღალი იქნება*, რის გამოც *სანოლის თავს აამაღლებთ*.

ჰიპოვოლემიური ავადმყოფები სწორად უნდა ინვენენ, რათა ვენები ჯარგად დათვალიერდეთ. ამის საპირისპიროდ, როდესაც სვნ იმატებს, დაგჭირდებათ სანოლის თავის ამაღლება 60° ან 90°-ით. ყველა ამ პოზიციაში მკერდის ძვლის ჯუთხე, ჩვეულებრივ, მარჯვენა წინაგულიდან 5 სმ-ით ზემოთ მდებარეობს, როგორც გვ. 291 დიაგრამაზეა ნაჩვენები.

საულე ვენის წნევის (სვწ) შეფასების საფეხურები

- ავადმყოფი ჯომფორტულად დაანვინეთ. სანოლის თავი ან ბალიში ოდნავ ზემოთ ასწიეთ, რათა მოდუნდეს მკერდ-ღავინ-დვრილისებრი ჯუნთები.
- სანოლის თავი ან გამოსახვლევის მაგიდა ასწიეთ დაახლოებით 30°-ით. ავადმყოფის თავი ოდნავ გადანიეთ იმ მხრის საწინააღმდეგოდ, რომელსაც თქვენ იკვლევთ.
- გამოიყენეთ გვერდითი განათება და დათვალიერეთ ჯილის ორივე მხარე. გამოყავით გარეთა საულე ვენები ორივე მხარეს, შემდეგ მოძებნეთ შიგნითა საულე ვენების პულსაცია.
- თუ საჭიროა, სანოლის თავი ასწიეთ ან დასწიეთ, სანამ არ დაინახავთ მარჯვენა შიგნითა საულე ვენაზე პულსაციის ოსცილაციური ნეტილის ან მენისჯს ჯილის ქვედა ნახევარზე.
- დააჯვირდით მარჯვენა შიგნითა საულე ვენას. მკერდის ძვლის ნაჭდევთან დააჯვირდით პულსაციას მკერდ-ღავინ-დვრილისებრი ჯუნთის და ღავინის ძვლის საზღვარზე ან მკერდ-ღავინ-დვრილისებრი ჯუნთის ზესტად უკან. ქვემოთ მოცემული ცხრილი მოგეხმარებათ გაარჩიოთ შიგნითა საულე ვენა სარძილე არტერიისგან.
- დაადგინეთ პულსაციის ყველაზე მაღალი ნეტილი მარჯვენა შიგნითა საულე ვენაზე. გაჭიმეთ გრძელი სწორი საგანი ჰორიზონტალურად ამ ნეტილიდან, ხოლო მკერდის ძვლის ჯუთხიდან ვერტიკალურად დაყენეთ სახაზავი ისე, რომ შექმნას მართი ჯუთხე. ვერტიკალური მანძილი გაზომეთ სანტიმეტრებში მკერდის ძვლის ჯუთხის ზემოთ იმ ნეტილში, სადაც სახაზავს გადაკვეთს ჰორიზონტალური საგანი. ეს მანძილი, რომელიც სანტიმეტრებშია გაზომილი მკერდის ძვლის ჯუთხის ან წინაგულის ზემოთ, არის სვნ.

ქვემოთ მოცემული ნიშნები დაგეხმარებათ საულე ვენის და ჯაროტიდული პულსაციების გარჩევაში:[1]

- *საულე ვენის და ჯაროტიდული პულსაციების გარჩევა*

შიგნითა საულე ვენის პულსაცია	ჯაროტიდული პულსაცია
პალპაცია იშვიათადაა შესაძლებელი	პალპაცია შესაძლებელია
ხშირი, სწრაფი, ტალღისებური, ჩვეულებრივ ორი მაღალი და ორი დაბალი ტალღა გულისცემის მიხედვით	უფრო ძლიერია და ერთი ჯომპონენტი აქვს
პულსაცია ქრება ვენაზე მსუბუქი ზეწოლით მკერდის ძვლის ზემოთ ან ღავინთან	ზეწოლით პულსაცია არ ქრება
პულსაციის დონე იცვლება სხეულის მდებარეობის შეცვლით	მდებარეობის შეცვლით პულსაციის დონე არ იცვლება
პულსაციის დონე მცირდება ჩასუნთქვისას	ჩასუნთქვა პულსაციის დონეზე არ მოქმედებს

დაკვირვებათა მაბაზირებები

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ზუსტი დადგენა სვნ-ის გაზომვისთვის ითვლება, ისევე როგორც სუპათის სწორად დაყენება, როდესაც ახლოს გიყურებთ. სახაზავი დააყენეთ მკერდის ძვლის კუთხეზე ვერტიკალურად და მის პერპენდიკულარულად გაქიმეთ სწორი საგანი. ამით შექმნით ჰორიზონტალურ ხაზს. ჰორიზონტალური საგანი ჩამოასურეთ ისე, რომ მისი ქვედა კიდე საუღლე ჭედსაკრის მწვერვალს დაეყრდნოს და სახაზავზე გაზომეთ ვერტიკალური ზომა სანტიმეტრებში.

-ნნევის მომატება მიუთითებს გულის მარჯვენა ნაწილის უკმარისობაზე, ან, უფრო იშვიათად, კონსტრიქციული პერიკარდიტზე, სამკარიანი სარქვლის სტენოზზე ან ზემო ღრუ ვენის ობსტრუქციაზე[27-33]

ნამლისმიერი ფაღარათი	მრავალი ნამლის მოქმედება, როგორიცაა მაგნიუმის შემცველი ანტაციდები, ანტიბიოტიკები, სიმსივნის სანინააღმდეგო და საფაღარათო საშუალებები	მშრალი ან წყლიანი
ქრონიკული ფაღარათი		
ფაღარათის სინდრომები		
▪ გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი	ნაწლავის ჰერისტალტიკის დარღვევა ფაღარათის და ყაბზობის მონაცვლეობით	მშრალი, შეიძლება ჩანდეს ლორწოსისხლის გარეშე. ყაბზობის დროს განავალი მკვრივია, და მცირე
▪ სიგმოიდური ჯოლინჯის ჯიბო	სიმსივნით ნაწილობრივი ობსტრუქცია	განავალზე შეიძლება იყოს სისხლის ზოლები
ნაწლავის ანთებითი დაავადება		
▪ წყლულოვანი ჯოლიტი	სხვილი და სწორი ნაწლავის ლორწოვანის და ლორწქვეშა შრის ანთება წყლულების განვითარებით. მიზეზი უცნობია	განავალი ხშირი ან წყლიანია, ხშირად სისხლს შეიცავს
▪ ნვრილი ნაწლავის (ილეონული ენტერიტი) ან მსხვილი ნაწლავის (გრანულომატოზური ჯოლიტი) Crohn-ის (ჭრონი) დაავადება	ნაწლავის კედლის ქრონიკული ანთება, ძირითადად ზრდასრულებში მცირე ნაწლავის ტერმინალური ნაწილი და/ან პროქსიმალური ჯოლინჯი	მცირე, ხშირი, მშრალი ან წყლიანი განავალი, ჩვეულებრივ, არ შეიცავს დიდი ოდენობით სისხლს (ენტერიტი) ან უფრო ცოტა სისხლია, ვიდრე წყლულოვანი ჯოლიტის დროს (ჯოლიტი)
მოსულობითი ფაღარათი		
▪ მალაბსორბციის სინდრომი	ცხიმის შეწოვის დაქვეითება ცხიმში ხსნადი ვიტამინების ჩათვლით, სტეატორეა (ცხიმის ქარხნი გამოყოფა) როგორიცაა პანკრეასის უკმარისობის, ნაღვლის მარილების დეფიციტის, ბაქტერიების ჭარბი ზრდის დროს	განავალი ჩვეულებრივ დიდი ოდენობითაა, ხშირია, ღია მწვანე ან ყავისფერის, ფაფისებური კონსისტენციის, ცხიმიანი ან ზეთოვანი, ზოგჯერ ქაფიანი; ცუდი სუნით. ჩვეულებრივ წყალში ტივტივებს
▪ ოსმოსური ფაღარათი		
მგრძნობელობის მომატება ლაქტოზას მიმართ	ნაწლავის ლაქტაზას დეფიციტი	დიდი მოცულობის წყლიანი ფაღარათი
ოსმოსური საფაღარათო საშუალებების ქარხნი ხმარება	საფაღარათო საშუალებების მიღების ჩვევა, ხშირად ჩუმად მიღება	დიდი მოცულობის წყლიანი ფაღარათი
▪ სეკრეციული ფაღარათი ბაქტერიული ინფექციის შედეგად, სეკრეციული ნამწამოვანი ადენომა, ცხიმის და ნაღვლის მარილების მალაბსორბცია, ჰორმონ-დამოკიდებული მდგომარეობები (გასტრინი ზოლინგერ-ელისონის სინდრომის დროს, ვაზოაქტიური ინტესტინური პეპტიდი [ვიპ])	ცვალებადი	დიდი მოცულობის წყლიანი ფაღარათი

მიმდინარეობა	თანმხლები სიმპტომები	პირობები, ისჯის ქვემ მყოფი პირები
ხამოდენიმე დღის განმავლობაში, შესაძლოა უფრო ხანგრძლივც. ხანგრძლივ მიმდინარეობას შეიძლება ღაქტაზას დეფიციტი ედოს საფუძვლად	გულისრევა, პირღებინება, მოქრთამა ტკივილი ქიპის არეში. სხეულის ტემპერატურა ნორმალურია ან მცირედ მომატებული	ხშირია მოგზაურებში, მიზეზი შეიძლება საზოგადოებრივი ჯვება ან ეპიდემია იყოს
სხვადასხვა ხანგრძლივობის მწვავე დაავადება	მოქრთამა ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, ჯუჭში გასვლის გადაუდებელი სურვილი, ტენეზმები, ცხელება	მოგზაურობა, დაბინძურებული საკვები და წყალი. მამაკაცებს და ქალებს, ვისაც ხშირი ანალური სექსი აქვთ
მწვავე, მოხეხილივე ან ქრონიკული	შესაძლოა გულისრევა და სუსტი ტკივილი	ექიმის მიერ დანიშნული ან ზედმეტი დოზით მედიკამენტების მიღება
ხშირად უარესდება დილით. ფალარათი იშვიათად აღვიძებს ღამე ავადმყოფს	მოქრთამა ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, მუცლის შებერვა, არომებით გადავსება, გულისრევა, ყაბზობა	ახალგაზრდა და საშუალო ასაკის პირებს, უფრო ხშირია ქალებში
ცვალებადი	ნაწლავთა მოქმედების ჩვევის ცვლილება, მოქრთამა ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, ყაბზობა	საშუალო და მაღალი ასაკის პირებში, განსაკუთრებით 55 წლის ზევით
დაწყება შეიძლება იყოს ფარული ან მწვავე. ტიპიურად მოხეხილივე, შეიძლება გახანგრძლივდეს. ფალარათმა შეიძლება ღამით გააღვიძოს ავადმყოფი.	მოქრთამა ტკივილი ან მუცლის ქვედა ნაწილში ან დიფუზური. უმადობა, სისუსტე, ცხელება	ხშირია ახალგაზრდებში
შეუმჩნეველი დაწყება, ქრონიკული ან მოხეხილივე. ფალარათმა შეიძლება ღამით გააღვიძოს ავადმყოფი.	მოქრთამა ტკივილი ქიპის არეში ან მარჯვენა ქვედა კვადრანტში (ენტერიტი) ან დიფუზური (კოლიტი), უმადობა, დაბალი ცხელება და/ან ნონაში ჯდება. ჰემიანალური ან ჰემორეექტული აბსცესი და ფისტულები	ხშირია ახალგაზრდებში, განსაკუთრებით 18-19 წლის ასაკში, მაგრამ ასევე შესაძლებელია საშუალო ასაკის პირებში. უფრო ხშირია ებრაელებში
დაავადების დაწყება შეუმჩნეველია	უმადობა, ნონაში ჯდება, სისუსტე, მუცლის შებერვა, ხშირად მოქრთამა ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში. ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ნიშნები, ჰიპოპროთრომბინემია (K ვიტამინის დეფიციტი), ძვლების ტკივილი და მოტეხილობა (D ვიტამინის დეფიციტი), გლოსიტი (B ვიტამინის დეფიციტი) და შეშუპება (ცილის დეფიციტი)	სხვადასხვა, დამოკიდებულია მიზეზზე
დაკავშირებულია ძძის და ძძის პროდუქტების მიღებასთან, მახვის დროს არ აღინიშნება	მოქრთამა ტკივილი მუცლის არეში, მუცლის შებერვა, არომებით გადავსება	აფრო-ამერიკელებში, აზიელებში და ამერიკელ ებრაელებში
ცვალებადი	ხშირად არ აღინიშნება	ნელთბილი ანთროქსითა და ბულიმიით პირებში
ცვალებადი	ნონაში დაჯდება, დეჰიდრატაცია, გულისრევა, პირღებინება, მოქრთამა ტკივილი მუცლის არეში	ცვალებადია, დამოკიდებულია მიზეზზე

პრობლემა	მიზეზი	თანმხლები სიმპტომები და გავრცელება
მეღენა მეღენა აღნიშნავს შავი ფერის, ჯუჭის-ფერ განავალს (წებოვანი და ჭიაღა). ფარული სისხლდენაზე ტესტი დადებითია. მეღენა ვითარდება ჯეჯ-ნაწლავის ტრაქტში სულ მცირე 60 მლ სისხლის ჯამგვის დროს (ახალშობილებში და ბავშვებში უფრო ნაკლები). სისხლდენა ჩვეულებრივ საყლაპავიდან, ჯეჯიდან ან 12-გოჯა ნაწლავიდანაა. შედარებით იშვიათად, როდესაც ნაწლავში გატარება შენელებულია, სისხლი შეიძლება ნარმოიშვას მცირე, თქმის ნაწლავში და ასნვრივ ჯოლინჯში. ახალშობილებში მეღენა შეიძლება განვითარდეს მშობიარობის პროცესში სისხლის ჩაყლაპვის შედეგად.	პეპტიური წყლული	ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის ანამნეზში ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში
	გასტრიტი ან სტრესული წყლული	ახლო წარსულში აცეტილსალიცილის, ასპირინის ან ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება; სხეულის ტრავმა, მძიმე დამწვრობა, ოპერაცია ან ინტრაკრანიული ნნევის მომატება
	საყლაპავის ან ჯეჯის ვენების ვარიკოზი	ღვიძლის ციროზი ან პორტული ჰიპერტენზიის სხვა მიზეზი ანამნეზში გულძმარვა
	მეჯეჯს-ეზოფაგიტი, Mallory-Weiss-ის (მელორი-ვეისი) ნახეთრი, საყლაპავში ნახეთრების გარენა ღებინების გამო	გულისრევა, ღებინება, ახლო წარსულში აცეტილსალიცილის მიღება
შავი ფერის, მაგრამ არაჯუჭის-ფერი განავალი შავე ფერის განავალი სხვა მიზეზებითაც შეიძლება განვითარდეს, ამ დროს ტესტი ფარულ სისხლდენაზე ჩვეულებრივ უარყოფითია. (თუმცა საკვებით ან სხვა სახით რკინის მიღებით ეს ტესტი შეიძლება დადებითი აღმოჩნდეს სისხლის არარსებობის მიუხედავად). ასეთ განავალს პათოლოგიური მნიშვნელობა არ აქვს.	რკინის, ბისმუტის მარილების პეპტო-ბისმოლის სახით, ძირტკბილას ჯამფეტების, მოკლედის ნანარმის მიღება	
წითელი სისხლი განავალში განავალში წითელი სისხლი, ჩვეულებრივ, ხვდება ჯოლინჯიდან, სწორი ნაწლავიდან, ანუსიდან, უფრო იშვიათად წვრილი ნაწლავიდან. თუმცა ჯეჯ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილში განვითარებული სისხლდენის დროსაც შესაძლებელია განავალში წითელი სისხლის არსებობა. ამ შემთხვევაში იკარგება დიდ რაოდენობით (1 ლიტრზე მეტი) სისხლი, რომელიც სწრაფად გადაადგილდება ნაწლავში და ვერ ასწრებს გამავებას.	ჯოლინჯის კიბო	ხშირია ნაწლავთა მოქმედების ცვლილებები
	ჯოლინჯის ჯეთილთვისებიანი პოლიპები	ხშირად სხვა სიმპტომები არ აღინიშნება
	ჯოლინჯის დივერტიკული ჯოლინჯის და სწორი ნაწლავის ანთებითი პროცესები	ხშირად სხვა სიმპტომები არ აღინიშნება
	• წყლულოვანი ჯოლიტი, ჭრონის დაავადება	იხ. ცხრილი 10-4, ფაღარათი
	• ინფექციური დიზენტერია	იხ. ცხრილი 10-4, ფაღარათი
	• პროქტიტი (სხვადასხვა ეტიოლოგიის) მამაკაცებში და ქალებში, რომელთაც ხშირი ანალური სექსი აქვთ	ჯეჯის მოქმედების გადაულებელი სურვილი
	იშემიური ჯოლიტი	ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, ზოგჯერ ცხელება და ორი 50 წელზე მეტი ასაკის პირებში
	ბუასილი	სისხლი ჩნდება ტუალეტის ქაღალდზე, განავლის ზედაპირზე ან წვეთავს ტუალეტში
	ანუსის ნასკერდი	სისხლი ჩნდება ტუალეტის ქაღალდზე, განავლის ზედაპირზე; ანუსის ტკივილი
მონითალო, მაგრამ არა სისხლიანი განავალი	ხორცის მიღება	ვარდისფერი შარდი, რაც ჩვეულებრივ უკავშირდება მონითალო განავალს

პრობლემა	მექანიზმი	მიზეზები	თანმხლები სიმპტომები
შარდვის სისტემის	**შარდის ბუშტის ცვალებობის შემცირება**		
	▪ ანთების გამო შარდის ბუშტის მგრძნობელობის შემცირება გაჭიმვაზე	ინფექცია, ქვები, სიმსივნე ან უცხო სხეული შარდის ბუშტში	ხშირი შარდვის ცრუ, მოშარდვის გადაუდებელი სურვილი, ზოგჯერ მაჯრისემატურია
	▪ ბუშტის ჯეღის ელასტიურობის შემცირება	შემაერთებელი ქსოვილით ან სიმსივნით ინფილტრაცია ცენტრალური ნერვული სისტემის	ხშირია ანთებისთვის დამახასიათებელი ნიშნები (იხ. ზემოთ)
	▪ ბუშტის კუმშვადობაზე ფოკუსური ინჰიბიციის დაქვეითება	მოტორული დარღვევები, ოგოხიცაა ინსულტი	მოშარდვის გადაუდებელი სურვილი; ნევროლოგიური სიმპტომები, ოგოხიცაა სისუსტე და დამბლა
	შარდის ბუშტის დაცლის შემცირება და ნარჩენი შარდის არსებობა		
	▪ შარდის ბუშტის ყელის ან პროქსიმალური შარდსადენის ნაწილობრივი მექანიკური შევიწროება	ყველაზე ხშირია პროსტატის ჯოთიდოთვისებიანი ჰიპერტროფია; ასევე შარდსადენის სტრიქტურა და შარდის ბუშტის ან პროსტატის ობსტრუქციული დაზიანება	ობსტრუქციის სიმპტომები: შარდვის დასაწყისში შარდის ნაკადის ხრევა, ბუშტის ძაღვატანებით დაცლა, შარდის ნაკადის შემცირება და შესუსტება; წყვეტილობა შარდვის დასაწყისში და ბოლოში.
	▪ შარდის ბუშტის პერიფერიული ინერვაციის დაკარგვა	ნევროლოგიური დაავადებები, რომლებიც ზიანებს გავის ნერვს ან ნერვების ფესვებს. მაგ. დიაბეტური ნეიროპათია	სისუსტე ან მგრძნობელობითი დარღვევები
ნიკტურია			
დიდი მოცულობით	*დიდი მოცულობით* პოლიურიის სახეების უმეტესობა (იხ. გვ, 369)		
	თირკმლების კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, რის გამოც ღამით შარდის გამოყოფის ნორმალური შემცირების პროცესი იცვლება	ჩვეულებრივ გამონაყოფი თირკმლების ქრონიკული უკმარისობა	შესაძლოა იყოს თირკმლების უკმარისობის სხვა ნიშნები
	ძილის წინ დიდი ოდენობით სითხის მიღება	ჩვეულებები, განსაკუთრებით ალკოჰოლის და ყავის მიღება	
	სითხის შეკავება, შეშუპებითი პროცესი ღლის განმავლობაში შეშუპებითი სითხის დაგროვება და მისი გამოყოფის გაძნელება, როდესაც ავადმყოფი ღამე წვება	გულის შეგუბებითი უკმარისობა, ნეფროზული სინდრომი, ღვიძლის ციროზი ასციტით, ქრონიკული ვენური უკმარისობა	შეშუპება და თანმხლები დაავადებების სხვა სიმპტომები. ღლის განმავლობაში შარდის გამოყოფა შეიძლება შემცირდეს სხეულში სითხის შეკავების გამო. იხ. ცხრილი 14-4, შეშუპების ზოგიერთი პერიფერიული მიზეზი
მცირე მოცულობით	ხშირი შარდვა	უძილობა	ცვალებადი
პოლიურია	ანტიდიურეზული ჰორმონის დეფიციტი (უშაქრო დიაბეტი) თირკმელი ვერ ხვდება ანტიდიურეზულ ჰორმონზე (ნეფროგენული უშაქრო დიაბეტი)	ჰიპოფიზის უკანა წილის და ჰიპოთალამუსის დარღვევები თირკმლების ხიგი დაავადებები ჰიპერკალცემიური და ჰიპოკალემიური ნეფროპათიის ჩათვლით; ნამლისმიერი ინტოქსიკაცია, მაგ. ლითიუმით	წყურვილი და პოლიდიფსია, ხშირად მძიმე და ხანგრძლივი; ნიკტურია წყურვილი და პოლიდიფსია, ხშირად მძიმე და ხანგრძლივი; ნიკტურია
	ხსნადი ნივთიერებებით გამონაყოფი		
	▪ ელექტროლიტები, ოგოხიცაა ნატრიუმის მარილები	დიდი ოდენობით ხსნარების გადასხმა, შარდმდენების მოქმედება, თირკმლების ზოგიერთი დაავადება	ცვალებადი
	▪ არაელექტროლიტები, ოგოხიცაა გლუკოზა	არაკონტროლირებადი შაქრიანი დიაბეტი	წყურვილი, პოლიდიფსია და ნიკტურია
	წყლის ჭარბი ოდენობით მიღება	პირველადი პოლიდიფსია	ეპიზოდური პოლიდიფსია წყურვილი არ აღინიშნება

შახდის შეუჯავებლობა

პრობლემა	მექანიზმი
სტრესული შეუჯავებლობა. შახდსადენის სფინქტერი ისეა მოდუნებული, რომ მუცლის შიგა ნივთის ხანმოკლე გაზრდა შახდის ბუშტში ნივთს სწევს იმ დონემდე, რაც აღემატება შახდსადენის წინააღმდეგობას.	ქალებში, უფრო ხშირად მენჯის ფსკერის სისუსტე და შახდის ბუშტის და შახდსადენის პროქსიმალური ნაწილის ანატომიური ურთიერთობის შეცვლა. მიზეზები მოიცავს მშობიარობას და ოპერაციას. შახდსადენის შიგნითა სფინქტერის აგზნებადობის დაზიანებები, რომელიც ღრმა ანესთეზიის და უმეტესი ინფექციის, შესაძლოა ხელშემწყობი ფაქტორები აღმოჩნდეს.
უცნაური შეუჯავებლობა. მომზიდველი კუნთის შეკუმშვა ნორმალურზე ძლიერია და აჭარბებს შახდსადენის ნორმალურ წინააღმდეგობას. შახდის ბუშტი ტიპიურად *პატარაა.*	▪ მომზიდველი კუნთის კუმშვადობის პროგრესული ინჰიბიციის (შეჯავება) შემცირება ინსულტით, ტვინის სიმსივნით, დემენციით, და გავის დონეზე სპინალური ჭრილის დაზიანებით. ▪ სენსორული გამტარებლობის გადაჭარბებული მგრძნობელობა, როგორც შახდის ბუშტის ინფექციის, სიმსივნის, და განავლით ზენოლის დროს. ▪ დაცლის ეფექტურის გაუარესება, როგორიცაა მცირე მოცულობის შახდის ბუშტის ხშირი ნებითი დაცლა.
სისავსით გამოწვეული შეუჯავებლობა. მომზიდველი კუნთის შეკუმშვა არ არის საკმარისი, რათა დასძლიოს შახდსადენის წინააღმდეგობა. შახდის ბუშტი ჩვეულებრივ *დიდია,* ბევრია დაცლის შემდეგაც კი.	▪ შახდის ბუშტის გამომტანი გზის ობსტრუქცია, როგორც ჰიპერტროფიული პროსტატის ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზიის ან სიმსივნის დროს ▪ მომზიდველი კუნთის სისუსტე, რომელიც დაკავშირებულია გავის დონეზე პერიფერიული ნერვის დაავადებასთან ▪ შახდის ბუშტის დაქვეითებული მგრძნობელობა, რომელიც განაპირობებს ეფექტური ჯაჭვის შეწყვეტას, როგორც დიაბეტური ნეიროპათიის დროს
ფუნქციური შეუჯავებლობა ეს არის ფუნქციური დარღვევა, როდესაც ადამიანი ვერ ასწრებს ტუალეტში მისვლას. გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესების ან გარემო პირობების გამო.	მოძრაობის პრობლემები, რაც განპირობებულია სისუსტით, ართრიტით, ცუდი მხედველობით ან სხვა მდგომარეობებით. გარემო პირობებით გამოწვეული ფაქტორები, როგორიცაა უცხო გარემო, ტუალეტის შორს მდებარეობა, სანოლის მოაჯირი ან ფიზიკური ფაქტორებით შეზღუდვა.
მედიკამენტებით გამოწვეული მეორადი შეუჯავებლობა. ნამლებმა შეიძლება გამოიწვიოს ზემოთ ჩამთვლილი ყველა სახის შახდის შეუჯავებლობა.	სედატიური ჰიპნოტიკები, ტრანკვილიზატორები, ანტიქოლინერგული საშუალებები, სიმპათიკური ბლოკერები და ძლიერმომქმედი შარდმდენები

* ავადმყოფს შეიძლება აღენიშნებოდეს ერთზე მეტი სახის შეუჯავებლობა

სიმპტომები	ჯერნიჯური ნიშნები
მკრთალი ხაოდენობით მახდის დენა თან ახლავს სტრესს, ხოგორიცაა ხველა, სიცილი და ცემინება მაშინ, ხოდესაც ადამიანი ვერტიკალურ მდგომარეობაშია. მომახდვის გაძლიერებული სურვილი არ ასოცირდება სუფთა სტრესულ შეუკავებლობასთან.	მუცლის გამოკვლევისას მახდის ბუშტი არ ისინჯება. სტრესული შეუკავებლობა შესაძლებელია გამოვლინდეს ძირითადად მაშინ, თუ პაციენტს გასინჯავთ ბუშტის დაცლამდე, ვერტიკალურ პოზიციაში. შესაძლებელია გამოვლინდეს ატროფიული ვაგინიტი.
მახდის შეუკავებლობას წინ უძღვის მოშახდვის გადაუდებელი სურვილი. მოცულობა სამეალია მოუთმენლობა სიხშირე და ნიკტურია მკრთალ და სამეალო მოცულობით თუ მწვავე ანთება არის გამოხატული, მახდვის დროს ტკივილია შესაძლებელია "ფსევდო-სტრესული შეუკავებლობა" დაცდა ხდება სტრესიდან 10-20 წმ-ის შემდეგ, ხოგორიცაა მდგომარეობის შეცვლა, ადგომა ან დანოლა, შესაძლებელია ხველის, სიცილის ან ცემინების შემდეგ.	მუცლის გასინჯვისას ბუშტი არ ისინჯება. ხოდესაც ქრონული შეკავება დაკვეთებულია, ინტესტინალის დაკვეთება ან ნიშნების დეფორმაცია ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების გამო მოტორული ნიშნების არსებობა ხშირია, მაგრამ არა აუცილებელი.
მახდის ნვეთვის ან ნაკადის გახანგრძლივება მახდის ნაკადის ძალა შემცირებულია შესაძლებელია გამოვლინდეს მახდსადენის ნაწილობრივი ობსტრუქცია ან პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადების სხვა სიმპტომები.	გადიდებული მახდის ბუშტი ხშირად გვხვდება მუცლის გასინჯვისას და შესაძლოა იყოს მტკივნეული. სხვა შესაძლო ნიშნებია გადიდებული პროსტატა, პერიფერიული ნერვის დაავადების მოტორული ნიშნები, მგრძნობელობის დაკვეთება, მოხრის მგრძნობელობის ჩათვლით და რეფლექსების შემცირება ან არ არსებობა.
მახდის შეუკავებლობა ტუალეტში ნასვლისას ან მხოლოდ დილით	ობიექტური გამოკვლევით მახდის ბუშტი არ ისინჯება. მიზეზის დასადგენად შეამოწმეთ ფიზიკური ან სიტუაციური ფაქტორები
ცვალებადი. მნიშვნელოვანია ანამნეზისა და ჯერნიჯური მონაცემების ჩანაწერების ყურადღებით შესწავლა	ცვალებადი.

შემოფარგლული სიმკვრივეები მუცლის ღრუში

მუცლის ღრუში შემოფარგლული სიმაგრეები მოიცავს ვენტრალურ (მუცლის ღრძილის) თიაქრებს (მუცლის ღრძილის დეფექტი, რომელშიც ხდება ქსოვილის გაძრომა) და ანკვეშა სიმსივნეებს, როგორიცა ღიპომა. ვენტრალური თიაქრები ყველაზე ხშირია ჭიპის, თეთრი ხაზის და ეპიგასტრიუმის არეებში. თიაქარი და სწორი კუნთების დაშორება, რვეულებრივ, ჯარგად შეიმჩნევა, როდესაც ზურგზე მწოლიარე ავადმყოფი თავს და მხრებს სანოლიდან ნამოსწევს.



ჭიპის თიაქარი

ჭიპის ჩაღრმავების დეფექტის გამო მასში ხდება ქსოვილის გამოწნევა, ყველაზე ხშირია ახალშობილებში, მაგრამ შეიძლება მოზრდილებშიც განვითარდეს. ახალშობილებში და არა მოზრდილებში ჭიპის თიაქარი შეიძლება 1-2 წლისთვის სპონტანურად დაიხუროს.

სწორი კუნთების დაშორება

მუცლის სწორი კუნთების დაშორების გამო მათ შორის გამოდის მუცლის შიგთავსი, რაც ქმნის შეა შემაღლებას, როდესაც ავადმყოფი თავს და მხრებს სანოლიდან ნამოსწევს. ხშირად ვითარდება განმეორებადი ოპერაციების შემდეგ, სიმსუქნის და ფილტვების ქრონიკული დაავადებების დროს. მას ღრმა ჯანმრთელობა არ გააჩნია.





საზარდულის თიაქარი

არის ოპერაციული ნაწიბურში ქსოვილების გამოსვლა. მუცლის ღრუში დეფექტის სიგრძის და სიგანის დასადგენად ჩაატარეთ პალპაცია. როდესაც თიაქარი დიდი და დეფექტი მცირე ზომის, ასეთ შემთხვევაში გართულების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე დიდი დეფექტის დროს.





ეპიგასტრიუმის თიაქარი

თეთრი ხაზის მცირე ზომის დეფექტის დროს აღინიშნება მცირე ზომის ამობურცულობა შუა ხაზზე მახვილისებურ მოხრასა და ჭიპს შორის. როდესაც ავადმყოფი თავს და მხრებს სანოლიდან ნამოსწევს (ან როცა ფეხზე დგას) ჩაყოლეთ თითები სწორ ხაზს, რათა შეიგრძნოთ ეს თიაქარი.



ღიპომა

ხშირი, ჯეთილთვისებიანი, ცხიმოვანი სიმსივნეა, რომელიც, რვეულებრივ, ჩნდება ანკვეშ სხეულის ნებისმიერ ადგილზე მუცლის ღრძილის ჩათვლით. შეიძლება იყოს მცირე ან დიდი

ამობურცული მუცელი

ცხიმი



მუცლის ამობურცვის ყველაზე ხშირი მიზეზი ცხიმია. ცხიმი იწვევს მუცლის ჯეღის, ჯოჯოხეთის და ბადეჯორის გამეჯირვებას. ჭიპი შეიძლება ჩანეული იყოს. ჰანესი, ანუ ცხიმოვანი ქსოვილის ნინა ჯალთა შეიძლება გიძეღებოდეს სახახელეღის იოგის ქვევით. ასწიეთ მუცელი, ჩათა ნახოთ ჯანის ნაოჭებში ანთებითი პროცესის ან თიაქრის არსებობა.

აირები



აირებით მუცლის შებერვა შეიძლება იყოს შემოფარგლული ან დიფუზური. ეს ნიშნავს ტიმპანურ პერკუსიულ ხმიანობას. გარკვეული საკვების მიღებით ნაწლავში აირების ნიშნოქმნა მცირე შებერილობას ნიშნავს. უფრო სერიოზულია ნაწლავის გაუვალობა და პარეზი. დაადგინეთ შებერილობის ლოკალიზაცია. შებერილობა უფრო მეტადაა გამოხატული მსხვილი ნაწლავის გაუვალობის, ვიდრე წვრილი ნაწლავის გაუვალობის დროს.

სიმსივნე



დიდი ზომის, მკვრივი სიმსივნე, რომელიც მენჯის გარეთ იზრდება, პერკუსიით მოყრუებას იძლევა. კუჭის ჰაერის ბუშტი პერიფერიისკენ ინაცვლებს. მიზეზებია საკვერცხის სიმსივნე და საშვილოსნოს მიომა. იშვიათად ძალიან გადავსებული შარდის ბუშტი შეიძლება შეცდომით სიმსივნედ ჩაითვალოს.

ორსულობა



ორსულობა მენჯის ღრუში "სიმაგრის" ჩვენებივი მიზეზია. მოისმინეთ ნაყოფის გულისცემა (იხ. გვ. 830-831)





ასციტური სითხე

ასციტური სითხე მუცლის ქვედა ნაწილში გროვდება, იწვევს ფერხების ამოვსებას, ასევე პერკუსიით მოყრუებას იძლევა. ჭიპი შეიძლება ამობურცული იყოს. გადაამოწმეთ ავადმყოფი გვერდზე, ჩათა დაადგინოთ სითხის გადაადგილება (გადაადგილებითი მოყრუება) (იხ. გვ. 387-389 ასციტის შეფასება)





ნაწლავის ხმიანობები

ნაწლავის ხმიანობები შეიძლება:
- *გაძლიერდეს* ფაღარათის ან *ნაწლავის გაუვალობის დასაწყისში*
- *შემცირდეს*, შემდეგ გაქრეს *ნაწლავის პარეზის და პერიტონიტის დროს.*

სანამ გადაწყვეტთ, რომ ნაწლავის ხმიანობა არ მოისმინება, დაჯექით და მოუსმინეთ 2 წუთის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში სუპათზე ნაჩვენებ ადგილზე.

მაღალი ტონალობის ჟღარუნა ხმიანობა მიუთითებს წნევით გაფართოებულ ნაწლავში სითხის და ჰაერის არსებობაზე. *მაღალი ტონალობის ხმიანობების* შეწყმა ნაწლავის სპაზმთან ნაწლავის გაუვალობაზე მიუთითებს.

შუილები

ღვიძლის არეზე შუილი ღვიძლის ჯარცინომაზე ან აღოჰოლის ჰეპატიტზე მიუთითებს. *არტერიებზე შუილი* სისტოლური და დიასტოლური კომპონენტებით აორტის ან მსხვილი არტერიების ნაწილობრივ შევიწროვებაზე მიუთითებს. თირკმლის არტერიის ნაწილობრივი შევიწროვებით არტერიული ჰიპერტენზიის არსებობა.





ვენური შუილი

ვენური შუილი იშვიათია. ეს ხმილი ხმიანობაა, რასაც გააჩნია სისტოლური და დიასტოლური კომპონენტები. იგი გამოხატავს ტოლატერალური სისხლის მიმოქცევის გაზრდას პორტულ სისტემასა და ვენურ სისტემას შორის, ღვიძლის ციროზის დროს.

ხახუნის ხმიანობა

ხახუნის ხმიანობა იშვიათია, ცვალებადობს სუნთქვასთან. მიუთითებს ორგანოს მფარავი პერიტონეუმის ანთებაზე ღვიძლის კიბოს, ქრომილიური პერიტონიტის, ახლო ნარსულში ჩატარებული ღვიძლის ბიოფსიის ან ელენთის ინფარქტის დროს. თუ ხახუნს ახლავს სისტოლური შუილი, ეს ღვიძლის კიბოზე მიუთითებს.

მტკივნეული მუცელი

მუცლის ჯედლის მტკივნეულობა



ვისცერული მტკივნეულობა



მტკივნეულობა შეიძლება მუცლის ჯედელში ნახმოიშვას. ხოლესაც ავადმყოფი სანოლიდან თავს და მხრებს ნამოსწევს, მტკივნეულობა გრძელდება, მაშინ ხოლესაც უფრო ღრმა დაზიანებით (ხომელიც დაცულია მუცლის ჯუნთების დაჭიმვით) გამოწვეული ტკივილი მცირდება.

ნახატზე ნაჩვენები ორგანოები შეიძლება მტკივნეული იყოს ღრმა პალპაციით. ჩვეულებრივ, დისკომფორტი ყრუ ხასიათისა და ად ვლინდება ჯუნთების ძაბრობა ან ხშირი ტკივილი. ავადმყოფის გამხნევება განსაკუთრებით მოგვხმარება.

გულ-მკერდის და მენჯის ღრუს დაავადებებით გამოწვეული მტკივნეულობა



ცალმხრივი ან ორმხრივი, მუცლის ზედა ან ქვედა ადგილში



მწვავე პლევრიტი

პლევრის მწვავე ანთებამ შეიძლება გამოიწვიოს ტკივილი მუცლის ადგილში. ხოლესაც ანთება ცალმხრივია, შეიძლება ჰგავდეს მწვავე ქოლეცისტიტს ან აპენდიციტს. ხშირი ტკივილი და ჯუნთების ძაბრობა იშვიათია. ჩვეულებრივ, ვლინდება გულ-მკერდის დაზიანების ნიშნები.

მწვავე პანკრეატიტი

ხშირად ორმხრივია, მწვავე პანკრეატიტით (ფაღარის მიღის ანთება) გამოწვეული ტკივილი, ჩვეულებრივ, მაქსიმალურია ზედა ნაწლავის ორგის ადგილში. შეიძლება აღინიშნებოდეს ხშირი ტკივილი და ჯუნთების ძაბრობა. მენჯის გამოკვლევისას საკვერცხის შეხება მტკივნეულია.

მტკივნეული მუცელი (გაგრძელება)

მუცლის სეროზული გარსის (პერიტონეუმის) ანთებით გამოწვეული მტკივნეულობა

პერიტონეუმის ანთებასთან დაკავშირებული ტკივილი უფრო ძლიერია, ვიდრე ვისცერული მტკივნეულობა. კუნთების ხიგიდობა და ხშირი ტკივილი ხშირი, მაგრამ არა აუცილებელი ნიშანია. დიფუზური პერიტონიტი ნარმოშობს მკვეთრ ტკივილს მუცლის არეში, რასაც ახლავს კუნთების ფიზიოლოგიური ხიგიდობა. პერიტონეუმის ანთების ადგილობრივი მიზეზებია:



მწვავე ქოლეცისტიტი

ნიშნები მაქსიმალურად გამოხატულია მარჯვენა ზედა კვადრანტში. შეამოწმეთ Murphy-ის (მერფის) ნიშანი (იხ. გვ. 400)



მწვავე პანკრეატიტი

მწვავე პანკრეატიტის დროს, ჩვეულებრივ, ვითარდება ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში და ხშირი ტკივილი, მაგრამ მუცლის კედელი რბილია.



მწვავე აპენდიციტი

მწვავე აპენდიციტისთვის ტიპიურია სიმპტომების მარჯვენა ქვედა კვადრანტში განვითარება. თუმცა დაავადების დასანყისში სიმპტომები შეიძლება არ აღინიშნებოდეს. ტკივილის ტიპიური ლოკალიზაცია სუსათზეა ნარჩენები. გამოიკვლიეთ მარჯვენა ქვედა კვადრანტის დანარჩენი არეები, ისევე როგორც მარჯვენა ფეხის არე.



მწვავე დივერტიკულიტი

მწვავე დივერტიკულიტი ყველაზე ხშირად სიგმოიდურ ლორწოში ვითარდება და ჰგავს მარცხენამხრივ აპენდიციტს.

ღვიძლის გადიდება: მანიფესტირებული და ჭეშმარიტი

ღვიძლის გადიდება ყოველთვის ჰეპატომეგალიას (გადიდებული ღვიძლი) არ გამოხატავს, მაგრამ უფრო ხშირად მისი მიზეზია ჯონსისტენციის ცვლილება: ნორმალური ხბილიდან პათოლოგიურ გამკვრივებამდე, როგორც ეს ღვიძლის ციროზის დროსაა. ღვიძლის ზომის ჯილინჯური შეფასება უნდა ემყარებოდეს ჰეჯუსიულ და პალპაციურ მონაცემებს, თუნდაც ეს მეთოდები შორს იყოს იდეალურისგან.





დიაფრაგმის დაბრა დგომით განპირობებული ღვიძლის დანევა

ღვიძლის დაწევა ხშირია დიაფრაგმის დაბრა დგომის დროს (მაგ. ემფიზემის დროს). პალპაციით ღვიძლის ჯიდე ჯარგად ისინჯება ნეკნთა რკალის ქვემოთ. ჰეჩჯესიით ზედა საზღვარი დანეულია, ხოლო ღვიძლის ვერტიკალური ზომა ნორმალურია.

ღვიძლის ფორმის ნორმული ცვლილებები

ზოგიერთ ადამიანს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ასთენიური აღნაგობა აქვთ, ღვიძლი ნაგრძელებული აქვს ისე, რომ მისი მარჯვენა წილი პალპაციით ადვილად ისინჯება თეძოს ქედთან. ასეთ დაგრძელებას ეწოდება *Riedel-ის* (რიდელის) *წილი*, რაც ღვიძლის ფორმის და არა ზომის ან მოცულობის ცვლილებას წარმოადგენს. ექიმს ასევე შეუძლია დაადგინოს ორგანოს ზედა და ქვედა საზღვრები სამ გარომიერებაში და სხვადასხვა მორფულობით. შესაძლებელია მცირეოდენი შეცდომები.





გადიდებული ღვიძლი სწორი ჯიდეებით

ციროზის დროს ისინჯება გადიდებული ღვიძლი მკვრივი *უმტკივნეულო* ჯიდეებით. თუმცა ასეთ მდგომარეობაში ღვიძლი ყოველთვის არ არის გადიდებული, და ამგვარი ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი სხვა დაავადებითაც. გადიდებული *მტკივნეული* ღვიძლი სწორი ჯიდეებით მიეთითება ანთებაზე, მაგალითად, ჰეპატიტის, ვენური შეგუბების (მარჯვენამხრივი გულის უკმარისობით გამოწვეული) დროს.

ღვიძლის არათანაბარი გადიდება

ღვიძლის არათანაბარი გადიდება გამკვრივების უბნებით და არასწორი ჯიდეებით ავთვისებიან სიმსივნეზე მიუთითებს. შეიძლება ერთი ან მეტი კვანძის არსებობა. ღვიძლი შეიძლება მტკივნეული ან უმტკივნეულო იყოს.

11 მამაკაცის სასქესო ორგანოები და თიაქრები

ანატომია და ფიზიოლოგია

მამაკაცის სასქესო ორგანოების ანატომია

ასოს სხეულს წარმოქმნის სისხლძარღვოვანი ეროქტიული ქსოვილის სამი სვეტი: *ღრუბლისებრი სხეული*, რომელიც შარდსადენს შეიცავს და ორი *მღვიმოვანი სხეული*. ღრუბლისებრი სხეული წარმოქმნის ასოს ბოლქვს, რომელიც ბოლოვდება ჯონესის ფორმის ასოს *თავის გვირგვინით*.



მამაკაცებში, ვისაც არა აქვს გაჯეთებული ცირკუმციზიო, ასოს გვირგვინი დაფარულია თავისუფალი კაპიუშონის მსგავსი კანის ნაკეცით, რასაც *ჩუჩა* ეწოდება. ჩუჩაში *სმეგმა*, ანუ ასოს სეკრეტი გროვდება. შარდსადენი მდებარეობს ვენტრალურად ასოს სხეულში. ამ უბანში ვლინდება ზოგჯერ მისი დარღვევები. შარდსადენი იხსნება ვერტიკალური ნაპრალის ფორმის ხვრელში, რასაც შარდსადენის გარეთა ხვრელი ეწოდება. ხვრელი მდებარეობს ასოს თავის მწვერვალზე ოდნავ შიგნით.

სათესლე ოვალური ფორმის ჩეზინის ჯონსისტენციის სტრუქტურაა, დაახლოებით 4.5 სმ ზომის, ზომა ცვალებადობს 3.5-დან 5.5 სმ-მდე. მარცხენა სათესლე მარჯვენასთან შედარებით ოდნავ ქვემოთ მდებარეობს. სათესლეები გამოიმუშავებენ სპერმას და ტესტოსტერონს. ტესტოსტერონი ასტიმულირებს მამაკაცის სასქესო ორგანოების სქესობრივ მომწიფებას, ჰორმატის და სათესლე ბარკის განვითარებას. ის აგრეთვე უზრუნველყოფს მეორადი სასქესო ნიშნების – სახის, ტანის თმიანობის, ძვალ-კუნთოვანი სისტემის განვითარებას, ხორხის გაგანიერებას, რასაც შედეგად მოსდევს ხმის ტონალობს დაქვეითება.

სათესლეს გარშემო ორგი სტრუქტურები არსებობს. დანაოჭებული *სათესლე ბარკი* გაყოფილია ორ ბაკნად, თითოეული მათგანში მოთავსებულია სათესლე. უკანა ნაწილის გარდა, სათესლე დაფარულია *ვაგინური გარსის* სეროზული მემბრანით. უკანა ღარტყიანის ზედაპირზე ბრტყელი, მძიმის ფორმის *სათესლეს დანამატია* (ეპიდიდიმისი), რომელიც შეიცავს სპერმატოზოიდების ფორმის სპერმის სადინარს, სადაც ხდება სპერმის დაგროვება, მომწიფება და ტრანსპორტი სათესლედან *თესლის გამომტან სადინარში*.

თესლის გამომტანი სადინარი ჭორფის მსგავსი სტრუქტურაა, იწყება სათესლეს დანამატის ბუდიდან, აღის სათესლე ბარკში და საზარდულის გარეთა ბაგოლით გაღის მუცლისკენ და მენჯისკენ. შარდის ბუშტის უკან მას უერთდება სათესლე ბუშტის სადინარი და უერთდება შარდსადენს წინამდებარე ჯირკვალში. ასე, რომ სათესლედან და სათესლეს დანამატიდან წამოსული სპერმა სათესლეს გამომტანი მილაკით ხვდება შარდსადენში. სპერმას ქმნის გამომტან მილაკში, სათესლე ბუშტში და წინამდებარე ჯირკვალში წარმოქმნილი სეკრეტი. სათესლე ბარკის შიგნით თითოეული სადინარი მჭიდროდ ეხება სისხლძარღვებს, ნერვებს და ბუნთოვან ბოჭკოებს. ეს სტრუქტურები წარმოქმნიან *სათესლე ბაგირაკს*.

მამაკაცის სქესობრივი ფუნქცია დამოკიდებულია ტესტოსტერონის ნორმალურ დონეზე, ადენოჰიპოფიზის სისხლის მიმოქცევაზე ქვედა ეპიგასტრიულ არტერიასა და ჭიმასტერის (სათესლის ამწევი ბუნთის) და ჭიპის ტოტებში, ასევე ნორმალური ალფა-ადრენერგული და ქოლინერგული ინერვაციაზე. ასოს მღვიმოვანი სხეულიდან ვენური შეგუბებით გამოწვეული ერექცია ხდება ორი სახის სტიმულაციით. ვიზუალური, სმენითი ან ტაქტილური სიგნალები წარმოშობს სიმპათიკური იმპულსის გავრცელებას ტვინის უმაღლესი ცენტრებიდან ზურგის ტვინის T11-დან L12-მდე მონაკვეთში. ტაქტილური სტიმულაცია წარმოშობს სენსორულ იმპულსს გენიტალიიდან S_2-S_4 ნერვულ ბოჭკოზე და პარასიმპათიკურ გატარებას სასიცოცხლო ნერვზე. ორივე სახის სტიმულაცია ინვევს აზოტის ოქსიდის და ციკლური გმფ დონის მომატებას, რის შედეგადაც ფართოვდება ადგილობრივი სისხლძარღვები.

ღიმფური სისტემა. ასოს და სათესლე ბარკის ზედაპირიდან ღიმფა ჩაედინება საზარდულის კვანძებში. *ორგანოს ნაკვთ ამ არეების ანთებით ან სიმსივნურ დაზიანებას*, განსაკუთრებული ყურადღებით *გამოიკვლიეთ საზარდულის ღიმფური კვანძები*, მათი გადიდება ან მტკივნეულობა. სათესლეების ღიმფა ჩაედინება მუცლის ღრუში, სადაც ღიმფური კვანძების გადიდების გასინჯვა ვერ ხერხდება. იხ. გვერდი 477 საზარდულის ღიმფური კვანძების შეფასებისთვის.

შოჰისის ანატომია. თიაქრების შედარებითი სიხშირის გამო მნიშვნელოვანია შოჰისის ანატომიის გაცნობა. ძირითადი ადგილია თეძოს ძვლის წინა ზედა წვეტი, ბოქვენის ძვლის ხოჭოლი და საზარდულის იოგი, რომელიც მათ შორის გადის. მოძებნეთ ისინი საკუთარ თავზე ან თქვენს ყოლეგაზე.



საზარდულის არხი, რომელიც საზარდულის იოგის ზარალეულად და ოდნავ შიგნით მდებარეობს, წარმოქმნის გვირაბს სათესლეს გამომტანი ბაგირისთვის, რომელიც გადის მუცლის ჯუნთებს შორის. არხის გარეთა ხვრელი – *საზარდულის გარეთა ჩაღრმავება* – არის სამკუთხედის ფორმის ნაპრალისებური სტრუქტურა, რომლის ზღვარსაც შესაძლებელია ბოქვენის ძვლის ხოჭოლის ზუსტად ზევით და გარეთ. არხის შიგნითა ხვრელი – *საზარდულის შიგნითა ჩაღრმავება* – საზარდულის იოგის შუა ნაწილიდან დაახლოებით 1 სმ-ით ზევითაა. არხის და შიგნითა ჩაღრმავების ზღვარსაც მუცლის ჯედილან შეუძლებელია. თუ ნაწლავის მარყუჟი დაწვება საზარდულის მიდამოს დასუსტებულ უბანს, წარმოიქმნება საზარდულის თიაქარი, ჩაგრძელებულია 426-427 გვერდზე.

მეორე ადგილი, სადაც შესაძლებელია თიაქრის განვითარება, არის *ბარძაყის არხი*. იგი საზარდულის იოგის ქვემოთ მდებარეობს. მისი დანახვა შეუძლებელია, მაგრამ მდებარეობა შეგიძლიათ დაადგინოთ მარჯვენა საჩვენებელი თითის დადებით ბარძაყის მარჯვენა არტერიაზე. ამ დროს შუა თითი ედება ბარძაყის ვენას, ხოლო მეოთხე თითი – ბარძაყის არხს. ამ არეში ჩნდება ბარძაყის თიაქარი.

ანამნეზი

ხშირი ან განსაკირვებელი სიმპტომები

- სექსუალური ფუნქციის დარღვევები
- ასოს გამონადენი ან დაზიანება
- სათესლე ბარკის ტკივილი, შესივება ან დაზიანება

მამაკაცებში სასქესო ორგანოების შესახებ შეკითხვები ბუნებრივად მოჰყვება საშარდე სისტემის გამოკვლევას. თქვენ უნდა განიხილოთ პაციენტის სექსუალური ფუნქცია და ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები. დაიწყეთ ზოგადი შეკითხვებით, როგორიცაა: "როგორია თქვენი სექსუალური ფუნქცია?" "კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი სქესობრივი ცხოვრებით?" "როგორია თქვენი სქესობრივი შესაძლებლობები?" თუ პაციენტს სქესობრივი პრობლემები აღენიშნება, სთხოვეთ მოგიყვეთ ამის შესახებ. ჰკითხეთ, ბოლო დროს ხომ

ას შეიცვალა მისი ტემპერატურა ან სექსუალური აქტივობის დონე. მისი აზრით, რა ასის ამ ცვლილების მიზეზი, რას ელოდა ან რისი იმედი აქვს. დაადგინეთ მისი სექსუალური მიდრეკილებები პარტნიორთან დაკავშირებით (ქალი, მამაკაცი თუ ორივე). გაარკვიეთ, რა მოსაზრებები აქვს პაციენტის პარტნიორს.

პირდაპირი შეკითხვები დაგეხმარებათ სქესობრივი აქტის თითოეული ფაზის გარკვევაში. *ლიბიდოს*, ანუ ტემპერატურის შეფასებითვის ჰკითხეთ: "შენარჩუნებული გაქვთ ინტერესი სექსის მიმართ?" აგზნების ფაზის დასადგენად ჰკითხეთ: "ელენეთ თუ არა და ინარჩუნებთ ერექციას?" გამოარკვიეთ დრო, სიმტკიცე, სტაბილურობა და სხვა ფაქტორები, რომელიც უკავშირდება პრობლემას. ასის თუ არა რაიმე ცვლილება პარტნიორთან ურთიერთობაში ან ცხოვრების პირობებში, რაც უკავშირდება პრობლემის გაჩენას? რა სიტუაციაში ვითარდება ნორმალური ერექცია? დილით ადრე გაღვიძებისას, თუ ღამე? სხვა პარტნიორებთანაც? მასტურბაციის დროს?

ლიბიდოს დაქვეითება შეიძლება განვითარდეს ფსიქოგენური მიზეზით, როგორცაა დეპრესია, ენდოკრინული დარღვევებით და წამლების გვერდითი მოქმედებით.

ერექციის დარღვევა შეიძლება იყოს ფსიქოგენური, განსაკუთრებით, თუ შემცირებულია დილის ერექცია. ასევე მიზეზი შეიძლება იყოს ტესტოსტერონის შემცირება, სისხლის მიმოქცევის შემცირება ჰიპოგასტრიუმის არტერიულ სისტემაში და ინერვაციის დაქვეითება.

სხვა შეკითხვები ეხება *ორგაზმის* და სპერმის *ეკულაციის* ფაზებს. თუ ეკულაცია ნაადრევია და გაუკონტროლებელი, ჰკითხეთ "ამდენ ხანს გძლებდებოდა ბოლო ჯერ?" "რის ძალიან ადრე ალწევთ?" "ხომ არ გძინობთ, რომ არაკონტროლებთ რის?" "ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს პარტნიორს სურს, რომ სქესობრივი აქტი უფრო ხანგრძლივი იყოს?" როდესაც ეკულაცია შემცირებულია ან საერთოდ არ არის, დასვით შემდეგი კითხვები: "ალწევთ თუ არა ორგაზმს, მიუხედავად ერექციის არსებობისა?" ელოდეთ გაარკვიოთ, პრობლემა მოიცავს ორგაზმის სიმძაფრების შეგრძნებას, სპერმის ეკულაციას, თუ ორივეს. დაადგინეთ პრობლემის სიხშირე და სიტუაცია, მიღებული მედიკამენტები, ჩატარებული ოპერაციები და ნევროლოგიური დარღვევები.

ნაადრევი ეკულაცია განსაკუთრებით ხშირია ახალგაზრდებში. უფრო იშვიათად ეკულაციის შემცირება ან არარსებობა აღინიშნება საშუალო ასაკის ან ხანდაზმულ პირებში. შესაძლო მიზეზებია მედიკამენტები, ოპერაცია, ნევროლოგიური დარღვევები, ენდოკრინების ნაკლებობა. ორგაზმის არარსებობა ეკულაციით ფსიქოგენურია.

სქესობრივად გადამდები გენიტალური ინფექციის არსებობის დადგენისთვის ჰკითხეთ ავადმყოფს, ხომ არ აღენიშნება *ასოდან გამონადენი*, ნვეთები ან ზოლები საცვალზე. თუ ასოდან გამონადენი აღინიშნება, დაადგინეთ მისი ხასიათი, ფერი და კონსისტენცია, აქვს თუ არა ავადმყოფს ცხელება, ქავილი, გამონაყარი ან თანმხლები სიმპტომები.

ასოდან გამონადენი ვითარდება გონოკოკური (ჩვეულებრივ, ყვითელი ფერის) და არაგონოკოკური (შეიძლება იყოს თეთრი ან გამჭვირვალე) ურეთრიტის დროს.

დაკავშირდით *ასოზე ნაღვლის ან ნარჩენაქმნების* და *სათესლე პარკის შეშუპების და მტკივნეულობის* არსებობას. ჰკითხეთ ავადმყოფს, ნარსულში არსებული გენიტალური სიმპტომების ან გადატანილი ჰერპესული ინფექციის, გონოროეის ან ათაშანგის შესახებ. ავადმყოფს, რომელსაც მრავალი პარტნიორი ყავს, ჰომოსექსუალისტია, მოიხმარს არაძალიან ნამლებს ან ანამნეზში აღენიშნება სქესობრივად გადამდები დაავადება, ამ დაავადებების განვითარების მაღალი რისკი აქვს.

იხ. ცხრილი 11-1, ასოს დაავადებები (გვ. 422), ცხრილი 11-2, სათესლე პარკის დაავადებები (გვ. 423) და ცხრილი 11-3, სათესლეს დაავადებები (გვ. 424). როგორც სქესობრივად გადამდები დაავადებების დროს, ყანის ბევრი დაავადება ზიანებს გენიტალიას; ასევე, ზოგიერთ სქესობრივად გადამდებ დაავადებებს მინიმალური სიმპტომები ახასიათებს.

იმის გამო, რომ სქესობრივად გადამდები დაავადებები ზიანებენ სხეულის სხვა ნაწილებსაც, ხშირად ნაჩვენებია დამატებითი კითხვების დასმა. დაგეხმარებათ განმარტებითი შესავლის გაკეთება. "სქესობრივად გადამდებმა დაავადებებმა შეიძლება მოიცვას სხეულის ნებისმიერი უბანი, სადაც თქვენ სექსი გაქვთ." "ძალიან მნიშვნელოვანია მითხრათ, რა სახის სექსს იყენებთ" ამის შემდეგ თუ საჭიროა: "ორალური სექსი გაქვთ? ანალური?" თუ პასუხი დადებითია, ჰკითხეთ ისეთი სიმპტომების შესახებ, რომელიც ყელის ტკივილი, ფალარათი, სისხლდენა სწორი ნაწლავიდან და ანუსის ქავილი ან ტკივილი.

ავადმყოფებს, ჰომელთაც არ გააჩნიათ სიმპტომები ან ჩისჯ-ფაქტორები, უნდა დაუსვათ მნიშვნელოვანი შეკითხვა "ხა იცით არე ინფექციის შესახებ?" და საუბარი გააგრძელოთ უფრო ზოგადი კითხვებით, ჰომელიც 48-49 გვერდზეა განხილული.

ჯანმთელობის ხელშეწყობა და განხილვა

ჯანმთელობის ხელშეწყობისა და განხილვის მნიშვნელოვანი საკითხები

- სქესობრივად გადამდები დაავადებების და აიმ ინფექციის პროფილაქტიკა
- სათესლეების თვითგასინჯვა

ყველა ექიმმა უნდა იცოდეს სქესობრივად გადამდები დაავადებების სიხშირე ამ პოპულაციაზე, რაც პირდაპირ კავშირშია პაციენტთა ავადობის პროფილაქტიკასთან, განსაკუთრებით, მოზარდებსა და ახალგაზრდებში. ამ დაავადებათა პრევენციის სამუშაო ჯგუფს დარეგისტრირებული ჰყავს ყოველწლიურად 12 მილიონი დადგენილი *Chlamidia-ით (ქლამიდიით)* ინფიცირების ახალი შემთხვევა (დაახლოებით 4 მლნ შემთხვევა), გონორეის (დაახლოებით 800 000 შემთხვევა) და *Trichomonas (ტრიქომონული)* ვაგინიტის და არასპეციფიკური ურეთრიტის ჩამოყალიბების მლნ შემთხვევა)[1]. 1 მლნ-ზე მეტი ამერიკელი აივ ინფიცირებულია, ყოველწლიურად ვლინდება დაახლოებით 40 000 ახალი შემთხვევა. სხვა ინფექციები, ჰომელებიც სქესობრივი გზით გადადის, არის ათამდანი, ადამიანის პაპილომავირუსი (HPV), B ჰეპატიტი, გენიტალური ჰერპესი. ექიმმა პაციენტს უნდა გააცნოს ინფორმაცია სქესობრივად გადამდებ დაავადებებსა და აივ ინფექციაზე, დროულად გამოავლინოს ანამნეზის შეგროვებისა და ფიზიკალური გასინჯვის დროს, დაადგინოს და უმკურნალოს ინფიცირებულ ავადმყოფს და მის პარტნიორს.

ჯანმთელობის დაცვა და განხილვა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ პაციენტს გააცნოთ სქესობრივად გადამდები დაავადებები და აივ ინფექცია, დროულად დაადგინოთ ინფექცია ანამნეზის შეგროვებისა და ფიზიკალური გამოკვლევის დროს, გამოავლინოთ ინფიცირებული პარტნიორები და უმკურნალოთ. სქესობრივად გადამდები დაავადებების და აივ ინფექციის ჩისჯ-ფაქტორების განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, ჰომელებსაც ყველაზე დიდი ჩისკი აქვთ. პაციენტები თავს კომფორტულად უნდა გრძნობდნენ სექსუალური ანამნეზის შეგროვების და მის სქესობრივ ცხოვრებაზე დაწვრილებითი, მაგრამ ტაქტიანი შეკითხვების დასმის დროს. მინიმალური ანამნეზური მონაცემები მოიცავს ავადმყოფის სექსუალური ორიენტაციის დადგენას, ბოლო თვეში სქესობრივი კონტაქტების რაოდენობას და ანამნეზში სქესობრივად გადამდები დაავადებების არსებობას (იხ. თავი 2, გვ. 48). განხილვა უნდა იყოს გულახდილი და კრიტიკის გარეშე. ასევე უნდა დაადგინოთ, იღებს თუ არა ალკოჰოლს და ნარკოტიკულ საშუალებებს, განსაკუთრებით ინტრავენურს. დაეხმარეთ ავადმყოფს პარტნიორების შემცირების, პრეზერვატივის ხმარების და სქესობრივად გადამდები დაავადებების და აივ ინფექციის ჰეგულარული მკურნალობის შესახებ. მამაკაცებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასქესო ორგანოების რაიმე დაზიანებას ან ასოდან გამონადენის არსებობას.

ამ დაავადებათა პროფილაქტიკის სამუშაო ჯგუფი ჰეკომენდაციას უწევს აივ ინფექციის განხილვას და გამოკვლევას შემდეგ ჯგუფებში:

ყველა პირი, ვისაც სქესობრივად გადამდები დაავადებების, აივ ინფექციის ან ორივეს გაზრდილი რისკი აქვთ; მამაკაცები, ვისაც მამაკაცი პარტნიორები ჰყავთ; პირები, რომელთაც წარსულში ან ამჟამად აივ ინფიცირებული, ბისექსუალი ან ინტრავენური ნარკომანი პარტნიორები ჰყავთ; პირები, რომელთაც 1978-85 წლებში ჩატარებული აქვთ სისხლის გადასხმა.

დამატებით, განსაკუთრებით 15-დან 35 წლამდე ასაკის მამაკაცებს, უნდა ურჩიოთ ყოველთვიურად ჩაიტარონ *სათესლეების თვითგასინჯვა* და მიმართონ ექიმს შემდეგი ნიშნების აღმოჩენისას: რომელიმე სათესლე ჯირკვლის მტკივნეული სიმაგრე, შესიება, გადიდება; სათესლე ჯირკვლის ან სათესლე პარკის ტკივილი ან დისკომფორტი; სათესლე პარკში სიმძიმე ან სითხის დაგროვება; მუცლის ქვედა ნაწილში ან საზარდულში ყრუ ტკივილი. (იხ. გვ. 420, ინსტრუქციები ავადმყოფისთვის)[2].

ბამოკვლევის მეთოდები

ბევრი სტუდენტი მამაკაცის სასქესო ორგანოების გამოკვლევას ითვლის პროცესად თვლის. "როგორი ეკითხება ავადმყოფს?" "ენება ეკითხა?" რომელმა გასინჯვის უფლებას?" ავადმყოფს უნდა აუხსნათ გამოკვლევის ყველა საფეხური, ისე რომ იცოდეს, რას უნდა ელოდოს. ჩვეულებრივი პრაქტიკაა გასინჯვაში ასისტენტის დახმარების გამოყენება. იშვიათად, გამოკვლევის დროს მამაკაცებს შეიძლება ჰქონდეთ ეიაკულაცია. ამ შემთხვევაში უნდა აუხსნათ, რომ ეს ნორმალურია, დაამთავრეთ გამოკვლევა და გააგრძელეთ მშვიდად საუბარი. თუ ავადმყოფ მამაკაცს არ სურს გამოკვლევა, თქვენ უნდა პატივი სცეთ მის სურვილს.

გენიტალიის გამოკვლევას ყარგად ჩაატარებთ, თუ ავადმყოფი ფეხზე იდგება ან ზურგზე იწვება. თიაქრის ან ვარიკოცელეს სანახავად პაციენტი ფეხზე უნდა იდგეს, თქვენ კი მოხერხებულად იჯდეთ სკამზე. პენანგი უნდა ფარავდეს გულ-მკერდს და მუცელს. გამოკვლევისთვის გაიკეთეთ *ხელთათმანები*. გამოარჩინეთ გენიტალია და საზარდულის არეები. ახალგაზრდა პაციენტებში სქესობრივი მომწიფების ხარისხი განხილულია 781 გვერდზე.

ასო

ინსპექცია

დაათვალიერეთ ასო:

- *ანი*

- *ჩრჩ*. გადაუწიეთ ან სთხოვეთ ავადმყოფს, თვითონ გადაიწიოს. ეს საფეხური აუცილებელია, რათა დაადგინოთ შანკრი (წყლული) და კარცინომა. ჩრჩის ქვეშ ნორმალურად გროვდება თეთრი ფერის ხაჭოსებური ნივთიერება.

იხ. ცხრილი 11-1, ასოს დაავადებები (გვ. 422).

ფიმოზი არის მკრთალი ჩრჩა, რომლის გადანევა ასოს თავზე ვერ ხერხდება. *პარაფიმოზი* არის ჩრჩის ისეთი მოჭერა, რომელსაც გადანევის შემდეგ უკან ვეღარ ბრუნდება. ამის შედეგად ვითარდება შეშუპება.

- *ასოს თავი.* დაათვალიერეთ, არის თუ არა წყლული, ნაწიბური ან ანთების ნიშნები.

დაათვალიერეთ ასოს ძირში კანი ექსკორიაციების და ანთების არსებობაზე. ასევე ნახეთ ბოქვენის თმაში არის თუ არა ტილები და წილები.



ნახეთ მარცხენის გარეთა ხვრელი.

ფრთხილად მოუჭირეთ საჩვენებელი და ცერა თითები ასოს თავს. ამ დროს გაიღება მარცხენის ხვრელი და შეგიძლიათ დაათვალიეროთ გამონადენის არსებობა. ნორმალურად გამონადენი არ უნდა იყოს.

თუ ავადმყოფი აღნიშნავს გამონადენის არსებობას, ჩასაც თქვენ ვერ ხედავთ, სთხოვეთ გაჭიმოს და გამოწუროს ასო ან ეს თქვენ გააკეთეთ. ამ დროს მარცხენის ხვრელში შეიძლება გამოჩნდეს გამონადენი. მომზადებული გქონდეთ სასაგნე მინა და ნიადაგი კულტურისთვის.

ბალანიტი (ასოს თავის ანთება); *ბალანოპოსტიტი* (ასოს თავის და ჩრჩილ ანთება).

ბოქვენის ან გენიტალური ექსკორიაციები ნიღბის, ან, ზოგჯერ, მენის შესაძლებლობაზე მიუთითებს.

ჰიპოსპადია არის ხვრელის თანდაყოლილი ვენტრალური გადანაცვლება ასოზე (გვ. 422).

დიდი ალბათობით ყვითელი ფერის გამონადენი გონოკოკურ ურეთრიტს ახასიათებს; მცირე ალბათობით თეთრი ფერის გამონადენი არაგონოკოკური ურეთრიტის დროსაა; დიაგნოზს აზუსტებს გრამის წესით შეღებვა და კულტურის ამოთესვა.

პალპაცია

ჩაატარეთ ასოს პალპაცია და დააკვირდით მტკივნეულობას ან გამაგრებას. ასოს სხეულის პალპაცია ჩაატარეთ საჩვენებელი და ცერა თითებით და ნახეთ, არის თუ არა სიმაგრე. ანგარიშში მამაკაცებში, ვისაც ჩივილები არ აქვს, ეს გამოკვლევა შეგიძლიათ არ ჩაატაროთ.

თუ თქვენ გადანევთ ჩრჩილს, უკან დააბრუნეთ, სანამ სათესლე პარკის გამოკვლევაზე გადახვალთ.

ასოს ვენტრალური ზედაპირის გამკვრივება მარცხენის სტრიქტურაზე ან მეტაძლო კარცინომაზე მიუთითებს. გამაგრებული ადგილის მტკივნეულობა სტრიქტურის შედეგად განვითარებულ პერიურეთრულ ანთებაზე მიუთითებს.

იხ. ცხრილი 11-2, სათესლე პარკის დაავადებები (გვ. 423).

სათესლე პარკი და მისი შემადგენლობა

ინსპექცია

დაათვალიერეთ სათესლე პარკი:

- *კანი.* ასწიეთ სათესლე პარკი ისე, რომ დარწმუნდეთ მისი უკანა ზედაპირი.
- *სათესლე პარკის კონტური:* დაათვალიერეთ შეშუპება, სიმაგრე ან ვენები.

გამონაყარი, ეპიდერმული კისტა, იშვიათად კანის კიბო.

ცარიელი ან ორივე მხარეს ცუდად განვითარებული სათესლე პარკი *კრიპტორქიზმზე* მიუთითებს (სათესლე ჯირკვალი, რომელიც არ არის ჩამოსული სათესლე პარკში). სათესლე პარკის ზომაში შესიების მიზეზი შეიძლება იყოს საზარდულის ირიბი თიაქარი, ჰიდროცელე და სათესლე პარკის შეშუპება.

პალპაცია



თითოეული სათესლე ჯირკვლის პალპაცია ჩაატარეთ ცერა და პირველი ორი თითის საშუალებით. გასინჯეთ სათესლე ჯირკვლის დანამატები ზედა უკანა ზედაპირზე. გასინჯვით მათ ჯვანძოვანი ან თოკისებური აღნაგობა აქვთ, რაც არ უნდა შეგეშალოთ პათოლოგიურ სიმაგრეში.

სათესლე ჯირკვლის ანთებითი პროცესის დროს ხშირად ვითარდება მწვავე ეპიდიდიმიტის, მწვავე ორქიტის, სათესლე ბაგირისებრის შემოგრეხვის ან სპერმატოცელის ჩაჭედილი თრომბის დროს.

იხ. ცხრილი 11-3, სათესლეს დაავადებები (გვ. 425) და ცხრილი 11-4, სათესლე ბარძაყისა და თესლის გამომტანი სადინრის დაავადებები (გვ. 425).

დაადგინეთ ზომა, ფორმა, კონსისტენცია და მტკივნეულობა. არის თუ არა ჩამიჩი ჯვანძები. სათესლე ჯირკვლებზე ზენოლა ნორმალურად მცირე მტკივნეულობას იწვევს.

სათესლე ჯირკვლის ანომალიებს შორის ყველაზე ხშირია 15-დან 35 წლამდე ასაკში.



სათესლე ჯირკვლის დანამატიდან სპერმატოზოიდების გამოთავისუფლების შემდეგ ცერით და საჩვენებელი თითით ჩაატარეთ თითოეული *სათესლე ბაგირისებრის პალპაცია*, რომელიც შეიცავს თესლის გამომტან სადინარს.

ამ არეში, ჩვეულებრივ მარცხნივ, ხშირად შესაძლებელია მარცხნივ ვარიკოცელის აღმოჩენა და დანახვა. ეს *ვარიკოცელეზე* მიუთითებს (გვ. 425).

დააჯვირხეთ ჩამიჩი ჯვანძის ან შესიების არსებობას

თესლის გამომტანი სადინარი ქრონიკული ანთების გამო შეიძლება იყოს გასქელებული ან მძივისებური. სათესლე ბაგირისებრის კისტური სტრუქტურა ბაგირისებრის ჰიდროცელეზე მიუთითებს.

სათესლე ბარძაყის, ისევე როგორც სათესლე ჯირკვლის შესიება შეიძლება დაადგინოთ გამუქებით. ოთახის ჩაბნელების შემდეგ სინათლის მკვეთრი სხივით გაანათეთ სათესლე ბარძაყი. დააჯვირხეთ სინათლის სხივის გატარებას წითელ ნათებად.

შესიება, რომელიც სქროზულ სითხეს შეიცავს, როგორც ეს ჰიდროცელეს დროსაა, წითლად ნათდება. სისხლი და ქსოვილი, როგორც ეს ნორმალურ სათესლე ჯირკვალშია, წითელ ნათებას არ იძლევა.

თიაქრები

ინსპექცია

ყურადღებით *დააკვირდით სახრჩელის და ბარძაყის არეები* ამობურცულობაზე. გამოკვლევის ჩატარებისას სთხოვეთ ავადმყოფს გაიჭიმოს და ძირს დაიხაროს, ისე, როგორც ნაწლავთა მოქმედების დროს (Valsalva-ს (ვალსალვას) მოძრაობა), რათა აღვილად შეამოწმოთ თიაქრები.

გაჭიმვის დროს ამობურცულობის გაჩენა თიაქრზე მიუთითებს.

პალპაცია

სახრჩელის თიაქრის პალპაცია. ხელესაც პაციენტი ფეხზე დგას, ჩიგ-ჩიგობით გამოიყენეთ მარჯვენა ხელი ავადმყოფის მარჯვენა მხარის და მარცხენა ხელი მარცხენა მხარისთვის, ჩაწიეთ სათესლე პარკის ჯანი საჩვენებელი თითით. გასინჯვა დაიწყეთ საყმარისად ქვედა ნეჭტიღიდან, რადგან თქვენს თითს საყმარისი საშუალება ჰქონდეს, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს სახარჩელის შიგნითა ხვრელამდე, თუ ეს შესაძლებელი იქნება. გაყევით სათესლე ბაგირარას სახარჩელის იოგის ზემოთ და მოძებნეთ სამკუთხედი, რომელიც ნაპრალისებურად იხსნება სახარჩელის გარეთა ხვრელთან. იგი მდებარეობს ბოქვენის ხოხრის ზუსტად ზემოთ და ღატერალურად. თუ ჩაღი გაფართოებულია, ამას დაადგენთ საჩვენებელი თითით. თუ შესაძლებელია, ფრთხილად გაყევით სახარჩელის არხს ღატერალურად, რომელიც ირიბად მიემართება. ხელესაც თითი გიდევთ გარეთა ჩაღზე ან არხში, სთხოვეთ ავადმყოფს დაიხაროს ან ჩაახველოს. დააკვირდით, თითზე ხომ არ გეხებათ თიაქრის სიმაგრე.

იხ. ცხრილი 11-5, სახარჩელის არეში თიაქრების მიმართულება და გამოვლინება (გვ. 426).

იხ. ცხრილი 11-6, სახარჩელის თიაქრების დიფერენცირება (გვ. 427).

თუ შეგიძლიათ, მაშინ ეს მასაც ჩაიწეროს.





ბარძაყის თიაქრის პალპაცია ჩაატარეთ თეძოს წინ ბარძაყის არხის მიდამოში თითების დადებით. ისევ სთხოვეთ ავადმყოფს, დაიხაროს ან ჩაახველოს. დააკვირდით სიმაგრეს ან მტკივნეულობას.

სათესლე პარკის შესაძლო თიაქრის განვითარება. თუ ნახავთ დიდი ზომის სათესლე პარკის მასას და ეჭვობთ, რომ ეს შეიძლება თიაქარი იყოს, სთხოვეთ ავადმყოფს დაწვეს. ამ დროს მასა შეიძლება თავისით ჩაბრუნდეს მუცლის ღრუში. თუ ასე მოხდება, მაშინ ის თიაქარია. თუ არა, მაშინ:

- შეგიძლიათ თითი დადოთ სათესლე პარკში მასის ზემოთ?
- სტეტოსკოპით მოისმინეთ მასის არეში ნაწლავთა ხმიანობა

ნაწლავთა ხმიანობა მოისმინება თიაქარზე და არა ჰიდროცელეზე.

თუ მონაცემები თიაქარზე მეტყველებს, ეცადეთ ჩაასწოროთ (დააბრუნოთ მუცლის ღრუში) თითების ზეწოლით. ამას ნუ გააკეთებთ, თუ სიმაგრე მტკივნეულია ან ავადმყოფს გულისრევა და პირღებინება აღენიშნება.

დაგეხმარებათ ავადმყოფის ანამნეზი. ავადმყოფმა შეიძლება გიამბოთ, რა მოსდის ამობურცულობას პირქვე წოლის დროს და გირჩევნოთ, როგორ ისწორებს თიაქარს თვითონ. გახსოვდეთ, ჰკითხოთ ამის შესახებ.

თიაქარი *ჩაჭედილია*, როდესაც მისი მუცლის ღრუში ჩაბრუნება ვერ ხერხდება. თიაქარი *სტრანგულაციურია*, როდესაც მისი სისხლის მომარაგება დარღვეულია. სტრანგულაცია უნდა ივარაუდოთ, როდესაც ავადმყოფს აღენიშნება ტკივილი, გულისრევა, პირღებინება და განიხილოთ ქირურგიული ჩარევის საკითხი.

განსაკუთრებული მეთოდები

სათესლე ჯირკვლის თვითგასინჯვა

სათესლე ჯირკვლის კიბოს სიხშირე დაბალია და 100 000 მამაკაცზე 4-ს შეადგენს, მაგრამ ყველაზე ხშირი სიმსივნეა ახალგაზრდა ასაკის – 15-35 წლის მამაკაცებში. მიუხედავად იმისა, რომ სათესლე ჯირკვლის თვითგასინჯვა არ წარმოადგენს კიბოს სკრინინგის ოფიციალურად აღიარებულ საშუალებას, თქვენ მაინც უნდა ასწავლოთ პაციენტს ეს პროცედურა, რათა ავადმყოფი უფრო გათვითცნობიერებული იყოს და შეეძლოს თავის მოვლა. აღრეულ სტადიაზე დადგენის შემთხვევაში სათესლე ჯირკვლის კიბოს კარგი პროგნოზი აქვს. რისკფაქტორებია: კრიპტორქიზმი, როდესაც კიბოს განვითარების რისკი მაღალია იმ სათესლეში, რომელიც ბარძაყში არ არის ჩამოსული; ანამნეზში მეორე სათესლე ჯირკვლის სიმსივნე; ყბაყურით გამოწვეული ორქიტი; საზარდულის თიაქარი და ბავშვობაში გადატანილი ჰიდროცელე.

სათესლე ჯირკვლის თვითგასინჯვის ინსტრუქციები ავადმყოფისთვის

გამოკვლევის ჩატარება უმჯობესია ცხელი აბაზანის ან შხაპის მიღების შემდეგ. სითბო მოადუნებს სათესლე ბარძაყს და უფრო ადვილი გახდება ჩარევა უჩვეულოს აღმოჩენა.



- დადექით სარკის წინ და შეამოწმეთ სათესლე ბარძაყის ქანის შესიება
- თითოეული სათესლე ჯირკვალი გასინჯეთ ორი ხელით. საჩვენებელი და შუა თითები დაადეთ სათესლეს ქვეშ, ხოლო ცერა თითი დაადეთ მის მწვეხვარეს.
- ფრთხილად აგრძავეთ სათესლე თითებს შორის. ერთი ჯირკვალი შეიძლება მეორეზე დიდი იყოს . . . ეს ნორმალურია, მაგრამ დარწმუნდით, რომ არ არის შესიება ან ტკივილი.
- მოძებნეთ სათესლეს დანამატები. ეს არის ბრილი, მოგრძო სტრუქტურა სათესლე ჯირკვლის უკან, რომელიც აგრძოვებს სპერმას.

- თუ რაიმე სიმაგრეს აღმოაჩენთ, დროულად მიმართეთ ექიმს. სიმაგრე შეიძლება ინფექციით იყოს გამოწვეული, თუ ის სიმსივნეა, შეიძლება გავრცელდეს, ხოლო მკურნალობის შემთხვევაში - შეჩერდეს.

მიღებული მონაცემების ჩანერა

დაიმახსოვრეთ, რომ მონაცემების აღწერისთვის თავდაპირველად შეგიძლიათ გამოიყენოთ წინადადებები; მოგვიანებით კი ფრაზები. ქვემოთ მოყვანილი ნიმუში შეიცავს ფრაზებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება ჩანაწერებში.

ქრონიკული გამოკვლევის შედეგების ჩანერა – მამაკაცის სასქესო ორგანოები და თირკმელები

"მამაკაცს ჩატარებული აქვს ცირკუმციზია. ასოდან გამონადენი ან დაზიანება არ აღინიშნება. ასევე არ არის სათესლე ბურთის შესიება ან ფერის შეცვლა. სათესლე ჯირკვლები ორივე მხარეს ჩამოსულია, გლუვია, სიმაგრის გარეშე. საზარდულის და ბარძაყის თირკმელები არ აღინიშნება"

ან

"მამაკაცს არ აქვს ჩატარებული ცირკუმციზია. წუჩა ადვილად გადადის. ასოდან გამონადენი ან დაზიანება არ აღინიშნება. ასევე არ არის სათესლე ბურთის შესიება ან ფერის შეცვლა. სათესლე ჯირკვლები ორივე მხარეს ჩამოსულია, მარჯვენა სათესლე გლუვია; მარცხენა სათესლეში ლატერალურად აღინიშნება 1×1 სმ ჯვანძი, რომელიც ფიქსირებულია და უმტკივნეულო. სათესლეს დანამატი უმტკივნეულოა. საზარდულის და ბარძაყის თირკმელები არ აღინიშნება"

სავარაუდოა სათესლე ჯირკვლის კიბო, რომელიც ყველაზე ხშირი სიმსივნეა 15-დან 35 წლამდე ასაკის მამაკაცებში.

ბიბლიოგრაფია

CITATIONS

1. Agency for Healthcare Research and Quality. Electronic Archive. Guide to Clinical Preventive Services, 2nd ed. 1996. Available at: www.ahrg.gov/clinic/cpsix.htm#counseling. Ac-ccssed October 31, 2004. (For the Guide *to Clinical Preventive Services,* 3rd ed., periodic updates, see : www.ahrg.gov/clinic/cps3dix.htm. Accessed October 31, 2004.)
2. National Cancer Institute. Cancer Facts. Available at: www.cis.his.gov/fact/6_34.htm. Accessed October 31, 2004.

ADDITIONAL REFERENCES

Barry MJ. Prostate-specific antigen testing for early diagnosis of prostate cancer. N Engl J Med 344(18):1373-1377, 2001. Campbell MF, Walsh PC, Patrick C, Retik AB (eds). Campbell's
Urology, 8th ed. Philadelphia, WB Saunders, 2002.
DeBusk RF Sexual activity in patients with angina. JAMA 290(23):3129-3132, 2003.
Delancey JOL, Ashton-Miller JA. Pathophysiology of adult urinary incontinence. Gastroenterology 126(Suppl 1):S23-S32, 2004.
Eubanks S. Hernias (Chapter 42). In Townsend CM, Sabiston DC (eds). Sabiston Textbook of Surger}': The Biological Basis of Modern Surgical Practice, 17th ed. Philadelphia, Elsevier Saunders, 2004.
Fitzgibbons RJ, Filipi CJ, Quinn TH. Inguinal hernias (Chapter 36). In Brunicardi FC, Andersen DK, Billiar TR, et al (eds). Schwartz's Principles of Surgery, 8th ed. New York, McGraw-Hill, 2005.
Gillenwater JY. Adult and Pediatric Urology, 4th ed. Philadelphia, Lippincott Williams & Wilkins, 2002.
Handsfield HH. Color Atlas and Synopsis of Sexually Transmitted Diseases, 2nd ed. New York, McGraw-Hill, 2001.
Laumann EO, Paik A, Rosen RC. Sexual function in the United States: prevalence and predictors. JAMA 281(6):537-544, 1999.
Tanagho EA, McAninch JW (eds). Smith's General Urology, 16th ed. New York, Lange Medical Books, McGraw-Hill, 2004.
Teunissen TAM, de Jonge A, van Weel C, et al. "Treating urinary in-continence in the elderly-conservative measures that work: a systematic review. J Fam Pract 53(1):25-30, 2004.



ვენერიული მეჭეჭი
(Condyloma acuminatum)
ვენერიული მეჭეჭი სნეხაფიდმზარდი წანაზარდია, რომელიც სველია და ხშირად ცუდი სუნი აქვს. მისი მიზეზია ადამიანის პაპილომავირუსით ინფიცირება.



ჰიპოსპადიაზი
ჰიპოსპადიაზი არის შარდსადენის ხვრელის თანდაყოლილი გადანაცვლება ასოს ზედაპირზე ქვემოთ. ხვრელი თავის ნორმალური მდებარეობიდან გადაადგილებულია ასოს თავის მწვერვალისკენ.



გენიტალური ჰერპესი
მცირე ზომის ბუშტუკების მტევანი, რომელსაც მოყვება ნითელი ფსკერის მქონე ზედაპირული, მტკივნეული, ახალგამჟღავნებული წყლულები, რაც ჰერპეს სიმპტომებზე მიუთითებს. დაზიანება შეიძლება გამოვლინდეს ასოს ნებისმიერ უბანში. მოჰყვება ინფექციის ღრმა ჩვეულებრივ მცირე დაზიანება ვლინდება.



Peyronie-ს (პეირონის) დაავადება
პეირონის დაავადების ღრმა ასოს ზურგის ქანზე პალპაციით აღინიშნება მაგარი უმტკივნეულო ფოლაქი. ავადმყოფი უჩივის ახასნორ მტკივნეულ ეიექციას.



ათამანგური მანჯი
ათამანგური მანჯი, ჩვეულებრივ, ვლინდება ოვალური ან მრგვალი, მუქი ნითელი ფერის, უმტკივნეულო ელოზიის ან წყლულის სახით, რომელსაც გამჟღავნებული ძირი აქვს. ტიპიურად მას ახლავს სახსრების ღიმფური ქსოვილების უმტკივნეულო გადიდება. მანჯი შეიძლება მრავლობითი იყოს, ხოლო მეორადი ინფექციის გამო – მტკივნეული. ამ შემთხვევაში მანჯი შეიძლება შეგეშალოთ ჰერპესულ დაზიანებაში. მანჯი გადამდებია.



ასოს ჯარცინომა
წინამდებარე ჯირკვლის ჯეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (benign prostatic hyperplasia – BPH) იწყება ცხოვრების მესამე ათწლეულში და მისი გამოვლინების ალბათობა იზრდება. დაზიანებული ჯირკვალი, პალპაციით ხშირად სიმეტრიულად არის გადიდებული, ბლუკი და უმნიშვნელოდ ელასტიური. იგი ჩანს უფრო გამოშვერილი სწორი ნაწლავის სანათურიდან. მას ღარი, შესაძლოა, ნაიშალოს. პალპაციით თუ ჯირკვლის ზომა ნორმალურია, ეს არ ნიშნავს, რომ წინამდებარე ჯირკვლის ჯეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიისას, იგი, როგორც წესი, ნორმაა. წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერპლაზიამ, შესაძლოა, გამოინვიოს შარდვის შეფეხება, სხვა ჩივილები, მაგრამ პალპაციით ყველა არ ისინჯებოდეს.



წინამდებარე ჯირკვლის კიბო

წინამდებარე ჯირკვლის არეში სიმაგრის არსებობა გვაფიქრებინებს მის კიბოზე. მკვეთრად გამოხატული ყველაზე, რომელიც ცვლის ჯირკვლის კონტურს, შესაძლებელია ისინჯებოდეს ან არ ისინჯებოდეს პალპაციისას. როდესაც კიბო იზრდება, იგი შეიგრძნობა, როგორც არასწორკონტურებიანი და ვრცელდება შორს ჯირკვლის საზღვრებიდან. მას ღარი შესაძლოა იყოს არამკვეთრი. წინამდებარე ჯირკვალში არსებული სიმაგრე ყოველთვის არ არის ავთვისებიანი. იგი შეიძლება აღმოჩნდეს ქვების არსებობის, ქრონიკული ანთების და სხვა მდგომარეობის შედეგი.

14

პერიფერიული სისხლძარღვთა სისტემა

ანატომია და ფიზიოლოგია

ამ თავში აღწერილია სისხლის მიმოქცევა ზემო და ქვემო ჯიღუებში. იგი მოიცავს არტერიებს, ვენებს, მათ დამაკავშირებელ კაპილარულ კალაპოტს და ლიმფის სისტემას ლიმფის კვანძებთან ერთად.

არტერიები

არტერიული პულსის პალპაცია შესაძლებელია, როდესაც არტერია სხეულის ზედაპირთან ახლოსაა. *მხრის არტერიის* პულსაციის ნახვა შეიძლება იდაყვის სახსართან ოდნავ კუნთის იოგის და კუნთის ზუსტად მედიალურად. მხრის არტერია იყოფა სხივის და იდაყვის არტერიებად. *სხივის არტერიის* პულსაცია შეიძლება ნახოთ მომხრე ზედაპირზე ღატერალურად. მედიალურად შეიძლება ნახოთ *იდაყვის არტერიის* პულსაცია, მაგრამ არტერიის მფარავი ქსოვილები ართულებს მის დადგენას.



სხივის და იდაყვის არტერიები ერთმანეთს უკავშირდება ორი სისხლძარღვოვანი ჩაღრმავებით ხელის მტევანში. ამის გამო მტევნის და თითების სისხლის

მიმოქცევა ოხმაგად ახის დაცული ახტეხიის შესაძლო დაზიანების დროს. ფეხებზე ახტეხიული პულსაცია ოთხ ადგილზე შეიძლება გაისინჯოს. *ბახძაყის ახტეხიის* პალპაცია შესაძლებელია საზახელის იოგის ქვეშ თეძოს ძვლის წინა ზედა ნვეტს და ბოქვენის სიმფიზს შორის. ბახძაყის ახტეხია ქვემოთ მიემახთება ბახძაყის სიღრმეში, გაივლის მედიალურად ბახძაყს და ამის შემდეგ მას უკვე ენოდება *მუხლქვეშა ახტეხია*. მუხლქვეშა პულსაცია შეიძლება ნახოთ მუხლის უკან ქსოვილებს შორის. მუხლის ქვემოთ მუხლქვეშა ახტეხია იყოფა ორ ტოტად, რომლებიც ფეხებში მიემახთებიან. წინა ტოტს ენოდება *ტეხფის დორსალური ახტეხია*. მისი პულსაციის პალპაცია შესაძლებელია ტეხფის ზურგზე ღატეხალურად დიდი თითის გამშლელ მყესთან. უკანა ტოტს ენოდება *დიდი წვივის უკანა ახტეხია*. მისი გასინჯვა შეიძლება მედიალური გოჯის უკან.

ხელის მსგავსად ფეხიც დაცულია ამ ორი ძირითადი ახტეხიის შემაეთებელი ჩაკლებით.



ვენები

მკლავების, სხეულის ზედა ნაწილის, თავის და კისრის ვენები ჩაედინება ზედა ღრუ ვენაში და შემდეგ მარჯვენა წინაგულში. ფეხების და ტანის ქვედა ნაწილის ვენები ჩაედინება ქვედა ღრუ ვენაში. ვინაიდან ფეხების ვენებს უფრო მეტად ახასიათებს ფუნქციის დარღვევა, ამიტომ საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

ფეხების *ღრმა ვენებს* მოაქვს ვენური სისხლის 90% ქვედა ჯიდურებიდან. ისინი ჯაჭვად ახიან დაცული გაჰმემომყოფი ქსოვილებით.



აღნიშნულისგან განსხვავებით, *ზედაპირული ვენები* ჯანქვეშ მდებახეობს და შედახებით ცუდად ახიან დაცული. ზედაპირული ვენებია: (1) *დიდი საჩინო ვენა*, ჩომელიც იწყება ფეხის ზუჰგზე, მიემახოება მედიალური გოჯის წინ და გზას აგრძელებს ზევით ფეხის მედიალუჰ მხახეს და უეჩთდება ღრმა ვენური სისტემას - ბაჰძაყის ვენას საზახდელის იოგის ქვემოთ; და (2) *მცირე საჩინო ვენა*, ჩომელიც იწყება ფეხის გვერდზე და მიემახოება ზევით ფეხის უკანა ზედაპირზე და მუხლქვეშა ფოსოში უეჩთდება ღრმა ვენუჰ სისტემას. ამ ორ საჩინო ვენას ზედაპირულად აეჩთებს ვენური ანასტომოზები და გაფახთოების შემთხვევაში მათი დანახვა ადვილად შესაძლებელია. საჩინო ვენებს ღრმა ვენუჰ სისტემასთან აეჩთებს *დამაკავშირებელი*, ანუ *გამგმირავი* ვენები.



ღრმა, ზედაპირული და დამაკავშირებელ ვენებს აქვთ ერთი მიმახთულების სარქველები. ამის გამო სისხლი ყოველთვის მიედინება ზედაპირული ვენებიდან ღრმა ვენებისკენ და გულისკენ, მაგრამ არასდროს სანინააღმდეგო მიმახთულებით. კუნთების შეკუმშვა ხელს უწყობს ვენური სისხლის მოძრაობას. მაგალითად, როდესაც სირბილის დროს გლევი კუნთები იკუმშება, ვენური სისხლი ზემოთ მიემახთება და ვენური სარქველები ხელს უშლიან სისხლის უკან დაბრუნებას.

ლიმფური სისტემა და ლიმფური ჯვანძები

ლიმფური სისტემა მოიცავს ფართო ლიმფური საღინარების ქსელს, რომლის საშუალებით სხეულის ქსოვილებიდან ლიმფა მოედინება და უკან ბრუნდება ვენური სისხლის მიმოქცევაში. სისტემა იწყება პერიფერიიდან ბრმა ლიმფური კაპილარებით და გრძელდება ცენტრალურად წვრილი ძარღვების სახით, შემდეგ ერთიანდებიან საღინარებში და ბოლოს უერთდებიან მსხვილ ვენებს კისრის ქვედა ნაწილთან. ამ გზით მოძრავი ლიმფა იფილტრება ლიმფურ ჯვანძებში, რომლებიც ამ გზაზეა განლაგებული.

ლიმფური ჯვანძები მრგვალი, ოვალური ან ლობიოს ფორმის სტრუქტურებია, რომელთა ზომები განსხვავდება მდებარეობის მიხედვით. ზოგიერთი ლიმფური ჯვანძი, როგორიცაა ყურის უკანა (თუ მათი პალპაცია შესაძლებელია), ძალიან მცირე ზომისაა. საზარდულის ლიმფური ჯვანძები, პირიქით, შედარებით დიდია – ხშირად 1 სმ დიამეტრის, მოზრდილებში იშვიათად 2 სმ-მდეა.

ისევე როგორც სისხლძარღვოვანი, ლიმფური სისტემაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხეულის იმუნურ სისტემაში. ლიმფური ჯვანძების უჯრედები იჭერენ დაშლილი უჯრედების ნაწილებს და ბაქტერიებს და გამოიმუშავებენ ანტისხეულებს.

ობიექტური გასინჯვით მხოლოდ ზედაპირული ლიმფური ჯვანძების ნახვაა შესაძლებელი. ესენია კისრის (გვ. 170), იღლიის (გვ. 339) და ბარძაყების ლიმფური ჯვანძები.

გაიხსენეთ, რომ იღლიის ლიმფურ ჯვანძებში ლიმფა ჩაედინება ზედა კიდურების უმეტესი ნაწილიდან. წინა მხრის და მტევნის იდაყვის ზედაპირიდან, მეოთხე და მეხუთე თითებიდან და შუა თითის ზედაპირიდან ლიმფა ჩაედინება *იდაყვის* (ეპიტროქლეარული) *ჯვანძებში*. ეს ჯვანძები მდებარეობს მხრის მედიალური ზედაპირზე იდაყვიდან დაახლოებით 3 სმ-ით ზევით. მაღვების ლიმფა ძირითადად იღლიის ლიმფურ ჯვანძებში ჩაედინება, მცირე ნაწილი კი ღავინჭვეშა ჯვანძებში.



ქვედა ჯიღუსებიდან ღიმფა ვენუს სისტემას უერთდება და მოიცავს ღრმა და ზედაპირულ სისტემას. შესაძლებელია მხოლოდ ზედაპირული ღიმფური ჯვანძების პალპაცია. *საზარდულის ზედაპირული ჯვანძები* ორი ჯგუფისაა. ჰორიზონტალური ჯვანძების ჯაჭვი მდებარეობს ბარძაყის წინ საზარდულის იოგის ქვეშ. მათში ჩაედინება ღიმფა მუცლის ქვედა ნაწილიდან, დუნდულოებიდან, გარეთა სასქესო ორგანოებიდან (მაგრამ არა სათესლეებიდან), ანალური არხიდან, პერიანალური მიდამოდან და სამოს ქვედა ნაწილიდან.



ვერტიკალური ჯგუფი მდებარეობს საჩინო ვენის ზედა ნაწილთან და ღიმფის დრენირებას ახდენს ფეხების მიმდებარე ჰეგიონიდან. ამის საპირისპიროდ ქვემო ჯიღუსების ნაწილიდან ღიმფა მიედინება მცირე საჩინო ვენით (ქუსლი და ტერფის გარეთა ნაწილი) და უერთდება ღრმა სისტემას მუხლქვეშა არეში. ამიტომ ამ მიდამოს დაზიანებას, ჩვეულებრივ, არ ახლავს საზარდულის ღიმფური ჯვანძების გადიდება.

სითხეების მიმოცვლა და ჯაჭვისებური ჯალაპოტი

არტერიებიდან ვენებში სისხლი ჯაჭვისების საშუალებით გადადის. ამ არეში სითხე დიფუნდირებს ჯაჭვისებურ მემბრანაში, რაც ინარჩუნებს დინამიკურ წონასწორობას სისხლძარღვოვან და ინტერსტიციულ სივრცეებს შორის. ჯაჭვისებებში სისხლის ნაკადი (*ჰიდროსტატიკური ნაკადი*), განსაკუთრებით არტერიოლების დაბოლოებებთან განაპირობებს სითხის გადენას გარეთ, ქსოვილოვან სივრცეში. ფაქტიურად, ამ პროცესს ახორციელებს ქსოვილებში ცილების შეწოვებით დაბალი ოსმოსური მიზიდულობა (*ინტერსტიციული კოლოიდურ-ოსმოსური ნაკადი*) და ნინააღმდეგობას უწევს ქსოვილთა ჰიდროსტატიკური ნაკადი.



ხოლესაც სისხლი მოძრაობს ჯაჭვისებებში ვენებისკენ, მისი ჰიდროსტატიკური ნაკადი მცირდება და აჭარბებს მეორე ძალის ზრდა. ეს ძალა არის *პრაზმის ცილების კოლოიდურ-ოსმოსური ნაკადი*, რაც სითხეს უკან სისხლძარღვებში აბრუნებს.

ჯაჭიანი სისტემაში სითხის სუფთა ნაჯაღი, რომელიც მიემართება ანტეიოლების გარეთ, გადადის ვენურ მხარეს. ღიმფური ჯაჭიანები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნონასნორობის შენარჩუნებაში, ინტესტიციული არეებიდან იღებს ზედმეტ სითხეს ცილებთან ერთად.

ღიმფური სისტემის ფუნქციის დარღვევა ან ჰიდროსტატიული და ონკოზური წნევათა შორის თანაფარდობის მოშლა არღვევს ამ წონასწორობას. ამის ყველაზე ხშირი კლინიკური გამოვლინებაა ინტერსტიციული სითხის მომატება, რასაც შეშუპება ეწოდება. (იხ. ცხრილი 14-4, შეშუპების ზოგიერთი პერიფერიული მიზეზი, გვ. 496)

ანამნეზი

ხშირი ან განსაკუთრებული სიმპტომები

- ტკივილი მკერდსა და ფეხებში
- ხანგამოშვებითი ყოჩრობა
- ფეხების გაცივება, გაშეშება, სიფერმკრთალე; თმის ცვენა
- ყოჩების, ფეხების ან ტერფების შეშუპება
- შეშუპება სინოთლით ან ტკივილით

პერიფერიული სისხლძარღვთა დაავადებების შეფასებისთვის გამოკითხვა დაიწყეთ *მკერდსა და ფეხებში ტკივილის* შესახებ. გაარკვიეთ, კიდურების ტკივილის მიზეზია კანი, პერიფერიული სისხლძარღვები, ძვალ-კუნთოვანი სისტემა თუ ნერვული სისტემა. მაგალითად, ვისცერული ტკივილი შეიძლება კიდურებში გადაეცემოდეს, მაგალითად, მიოკარდიუმის ინფარქტის დროს ტკივილი გადაეცემა მარცხენა მკერდში ან კისრის არეში ტკივილი გადაეცემა მხრებში.

იხ. ცხრილი 14-1, ტკივილით მიმდინარე სისხლძარღვოვანი დარღვევები და მათი იმიტაციები, გვ. 492-493.

ფეხების პერიფერიული არტერიების დაავადებების დადგენისთვის გამოიკითხეთ *ხანგამოშვებითი ყოჩრობის* შესახებ. ეს არის დატვირთვაზე განვითარებული ტკივილი, რომელიც მოსვენებისას ქრება, ამიტომ ავადმყოფი იძულებულია შეწყვიტოს დატვირთვა და 10 წუთის განმავლობაში ტკივილი ქრება. შეეკითხეთ, "როდისმე ხომ არ გქონიათ ფეხების ტკივილი სიარულის ან ვარჯიშის დროს?" და "და მანძილზე შეგიძლიათ გაიაროთ ტკივილის და გაჩერების გარეშე?" ასევე, "გაჩერებისას ტკივილი ქრება?" ამ შეკითხვებით შეგიძლია დადგინოთ, და იძულებს ავადმყოფს გაჩერდეს და რამდენ ხანში ქრება ტკივილი. ასევე შეკითხეთ *ფეხების და ტერფების გაცივების, გაშეშების* ან *სიფერმკრთალის* და წვივის ნინა ზედაპირებზე *თმის ცვენის* შესახებ.

ათეროსკლეროზი იწვევს კიდურების იშემიას დატვირთვის დროს, ეს პროცესი გარკვეულ *სპინალური სტენოზისგან*, რომელიც იწვევს დატვირთვის დროს ფეხების ტკივილს, რაც ნიშნავს გადმოხრით ქრება (ხერხემლის გაქიმვა მაღალშეა სივრცეების შევიწროვების დროს), მოსვენებით კი ნაკლებად მკრთალება.

წვივის ნინა ზედაპირებზე თმის ცვენა ვითარდება არტერიული სისხლის მიმოქცევის შემცირების შედეგად. შეიძლება განვითარდეს "მშრალი" მოშავო-ყავისფერი განგრენული წყლულები.

პერიფერიული არტერიების დაავადებით ავადმყოფთა უმრავლესობას მკრთალ სიმპტომები აღენიშნებათ, ამიტომ მნიშვნელოვანია დაავადების რისკ-ფაქტორების დადგენა. დადგინეთ თამბაქოს მოწევის ინტენსიობა.

დაავადებულთა მხოლოდ 10%-ს აღენიშნება კლასიკურად ტკივილის

ჰკითხეთ, ხომ არ აქვს ავადმყოფს არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი ან ჰიპერლიპიდემია. გარდა ამისა, ხომ არ გადაუტანია მიოკარდიუმის ინფარქტი ან ინსულტი? ასეთ პაციენტებს შემდგომი გამოკვლევები ესაჭიროება, თუნდაც ტიდულების მხრივ სიმპტომები არ გააჩნდეთ (იხ. გვ. 480)

ფეხის ან ხელის თითების არტერიების სპაზმის სიმპტომების დასადგენად ჰკითხეთ, "ხომდესმე ხომ არ შეგიმჩნევიათ სიცივეში ან ცივი საგნის შეხებისას თითების ნვეების ფერის შეცვლა?". . . "როგორ შეიცვალა თითების ფერი?. . . " ხას იტყვით ფეხის თითების შესახებ?"

შეიძლება იყოს *პერიფერიული ვენების დაავადების სიმპტომები*, როგორიცაა *ტერფების და ფეხების შეშუპება*. ჰკითხეთ ფეხის ქვედა ნაწილებში, უფრო ხშირად ნვივებზე წყლულების არსებობის შესახებ.

სისხლძარღვთა ზოგიერთი დაავადების დროს აღინიშნება სინოთლე, შესიება და მტკივნეულობა ადგილობრივი ანთებით. იგივე სიმპტომები სხვა დაავადებების დროსაც შეიძლება იყოს. ამის საპირისპიროდ, ფეხების შედარებით მსუბუქი სპაზმი (ჯუნჩხვა) რომელიც ჩვეულებრივ ღამე ვითარდება ჯანმრთელ პირებში, სისხლის მიმოქცევის დარღვევაზე არ მიუთითებს. ასევე ხელის მტევნების და ტერფების გაცივება ხშირია ჯანმრთელებში, რის გამოც ამ სიმპტომს შედარებით ნაკლები ღირებულება აქვს.

განვითარება დატვირთვაზე და გაჩერება მოსვენებისას.

თითების იშემიური გართეთრება, რასაც მოჰყვება ციანოზი, შემდეგ თითების განითლება და გათბობა ვლინდება *Raynaud-is (ჩეინოს) სინდრომის* და *დაავადების* დროს.

ჰიპერჰიდროზი, შეშუპება და შეიძლება ციანოზიც, განსაკუთრებით როდესაც ფეხები ჩამოშვებულია ვითარდება *ვენური სტაზით გამოწვეულ წყლულთან* ერთად.

ანთების მიზეზი შეიძლება იყოს *ცელულიტი, ზედაპირული თრომბოფლებიტი* და *ჯვანძოვანი ერითემა.*

ფეხების ჩვეული სპაზმის და "მოუსვენარი ფეხების" მიზეზი არ არის დადგენილი. ზოგჯერ ფეხების სპაზმის მიზეზია მარდმენების შედეგად განვითარებული ჰიპოკალციემია.

ჯანმრთელობის ხელშეწყობა და განხილვა

ჯანმრთელობის ხელშეწყობის და განხილვის მნიშვნელოვანი საკითხები

- პერიფერიული არტერიების დაავადების (პად) დადგენა
- პად რისკ-ფაქტორები
- პად გამოკვლევები: მუხლ-მხრის ინდექსი (მმი)

პერიფერიული არტერიების დაავადები (პად) ძირითადად აღნიშნავს ქვედა ტიდულების არტერიების ათეროსკლეროზულ შევიწროვებას. ყველაზე ხშირად ზიანდება ბარძაყის და მუხლქვეშა არტერიები, შემდეგ დიდი და მცირე ნვივის არტერიები. პად აღენიშნება მოსახლეობის 12%-25%-ს; თუმცა ბოლო შრომებმა აჩვენა, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი კავშირისა გულ-სისხლძარღვთა და თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებებთან, პად დიაგნოზი ამბულატორიულად იშვიათად ისმება.[1,2] პად ავადმყოფთა უმრავლესობას სიმპტომები არ აღენიშნება ან არასპეციფიკური სიმპტომები აქვს, როგორიცაა ქავილი, სპაზმი, სიფერმკრთალე, სისუსტე. ხანგამოშვებითი კოჭლობის კლასიკური ტიპად: დატვირთვით გამოწვეული ტკივილი, რაც აიძულებს ავადმყოფს გაჩერდეს და 10 წუთის

განმავლობაში ტკივილის გაქრობა ავადმყოფთა მხოლოდ 10%-ს შეიძლება აღენიშნებოდეს.[1]

სიმპტომების სიმკვრივე შეიძლება ასახავდეს სიახლის დროს ფუნქციის ცვლილებებს, თუნდაც ჰად არსებობდეს ან ჰოგიესიონებდეს.[3]

ავადმყოფებს, რომლებიც ადრე ან ამჟამად მოიხმარენ თამბაქოს, აქვთ მაქსიმალი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა ან თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებები, ათეროსკლეროზული ჰად განვითარების ისტორი აქვთ. ეს ავადმყოფები უნდა გამოიკვლიოთ ჰად სუბკლინიკურ მიმდინარეობაზე და აქტიურად იმოქმედოთ ისტ-ფაქტორებზე. გამოკვლევისთვის, ექიმმა უნდა განიხილოს მუხლ-მხრის ინდექსის (მმი) გამოყენება, რომელიც ფეხების მსხვილი სისხლძარღვების 50%-ის და მეტის 50%-ით და მეტად შევიწროვების დადგენის საუმაოდ ზუსტ ტესტს წარმოადგენს. მმი-ს ფარგლებში იყენებენ ექიმები. იგი გულისხმობს დოპლერული ულტრასონოგრაფიით სისტოლური წნევის გაზომვას ოთხივე მკლავზე და ტერფის ზურგზე და წვივის უკან ჰულსის გასინჯვას. მმი ითვლება ოთხივე მხარეს; მარჯვნივ და მარცხნივ. მარჯვნივ მუხლის მაღალი წნევა იყოფა მარჯვნივ მკლავის მაღალ წნევაზე და მარცხნივ მუხლის მაღალი წნევა იყოფა მარცხნივ მკლავის მაღალ წნევაზე. მმი სიდიდეები შემდეგია: ნორმად ითვლება 0.90-1.30; 0.41-0.90 მმი აღნიშნავს მკვრივ ან საშუალო სიმძიმის ჰად, ჩვეულებრივ ხანგამოშვებითი კოჭლობის სიმპტომებით; და 0.00-0.40 – აღნიშნავს მძიმე დაავადებას ფეხების ძლიერი იშემიით.

ჰერიფერიული სისხლძარღვთა დაავადების სიმძიმე მჭიდროდ უკავშირდება მიოკარდიუმის ინფარქტის, იშემიური ინსულტის და სისხლძარღვოვანი მიზეზით განვითარებულ სიკვდილთან. პაციენტებს, რომელთაც დაბალი მმი აქვთ, ყოველწლიურად მათი სიკვდილის რისკი 20%-25%-ია. სუბკლინიკური ჰად არსებობისას აუცილებელია ფარმაკო ინტერვენცია დაავადების განვითარების და ჰოგიესის შემცირებისთვის, რაც მოიცავს ფეხის ყურადღებით მოვლას, კარგად მოგებული ფეხსაცმლის ტარებას, თამბაქოს შეწყვეტას, ჰიპერლიპიდემიის მკურნალობას, დიაბეტის და ჰიპერტენზიის ოპტიმალურ კონტროლს და მკურნალობას, ანტიაგრეგანტული ჰეპარინატების გამოყენებას და თუ საჭიროა, ქირურგიულ რევასკულარიზაციას.
(სტუდენტი უნდა გაეცნოს უფრო სპეციალიზებულ მასალას სისხლძარღვთა დაავადებების შედარებით იშვიათი ფორმების შესახებ, როგორიცაა სისხლძარღვთა ოკლუზია არტერიული ან ვენური თრომბოზის გამო ან ინფექციური, ანთებითი ან აუტოიმუნური დაავადებები).

გამოკვლევის მეთოდები

გამოკვლევის მნიშვნელოვანი უბნები

მკლავები

- ზომა, სიმეტრიულობა, კანის ფერი
- პულსი სხივის არტერიაზე, მხრის არტერიაზე
- ენტეროპათიული იმუნური კვანძები

ფეხები

- ზომა, სიმეტრიულობა, კანის ფერი
- პულსი ბარძაყის არტერიაზე და საზარდულის იმუნური კვანძები
- პულსი მუხლქვეშა, ტერფის ზურგის, დიდი წვივის უკანა არტერიებზე
- პერიფერიული შეშუპება

პერიფერიული სისხლძარღვოვანი სისტემის შეფასება ემყარება მკლავების და ფეხების ინსპექციას, პულსის პალპაციას და შეშუპების დადგენას. იხ. თავი 4, მეთოდების გაერთიანება კიდურების ფიზიკურ გამოკვლევასთან. ჩოდესაც დაავადებებს ვარაუდობთ, შესაბამისი მეთოდები უნდა გამოიყენოთ.

მკლავები

მკლავების და მტევნების იმუნური შეშუპება შეიძლება განვითარდეს იღლიის იმუნური კვანძების ამოკვეთის და სხივური თერაპიის შედეგად.

შეშუპებული კიდურზე გაფართოვებული ვენები ვენურ ობსტრუქციაზე მიუთითებს.

Raynaud-ის (ჩონოს) დაავადების დროს მაკრაზე პულსი ნორმალურია, მაგრამ უფრო დისტალური არტერიის სპაზმი იწვევს

ორივე მკლავი დაათვალიერეთ თითებიდან მხრებამდე. დააკვირდით:

- მათ ზომებს, სიმეტრიულობას და შესიებას.
- ვენური ნიშნები
- კანის და ფრჩხილის ფერი და კანის ტემპერატურა





გასინჯეთ პულსი სხივის არტერიაზე თითების ბალიშების დადებით მაკრის მომხრე ზედაპირზე ღრმად. ავადმყოფის მაკრის ოდნავ მოხრა დაგეხმარებათ პულსის შეგრძნებაში. შეადარეთ პულსი ორივე ხელზე.

თითის მკვეთრად შემოსაზღვრული სინითლეს (იხ. ცხრილი 14-1, ტკივილით მიმდინარე სისხლძარღვოვანი დაზღვევები და მათი იმიტაციები (გვ. 492-493).

ახტეჩიული პულსის შეფასების ჩამოღენიმე სისტემა არსებობს. ეთ-ეთი სისტემა იყენებს შეფასებას 0-დან 4 ქულამდე, ჩოგორც ქვემოთაა ნაჩვენები. თუმცა თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ის სისტემა, ჩომელიც თქვენს ინსტიტუტში იხმარება.

4+ მხტუნავი
3+ გაზრდილი
2+ ცოცხალი, მოსაღოდნელი
1+ შესუსტებული, უფრო სუსტი, ვიდრე მოსაღოდნელი
0 არ არის, პალპაცია ვერ ხერხდება

დაიმახსოვრეთ, ჩომ თუ ახტეჩია ძალიან გაფართოებულია, ეს *ანევრიზმას* ნიშნავს.

თუ ახტეჩიული უკმარისობას ვარაუდობთ, გასინჯეთ *მხრის ახტეჩიის პულსაცია*. ოდნავ მოხარეთ ავადმყოფის ხელი იდაყვის სახსარში და თქვენი საპირისპირო ხელის ცერით ახტეჩია გასინჯეთ ოთხავა ჯუნთის მყესის მედიალურად იდაყვის ნაკეცთან. მხრის ახტეჩიის პულსის ნახვა ასევე შესაძლებელია უფრო ზევით მკლავზე ოთხავა და სამთავა ჯუნთებს შორის ჩაღრმავებაში.



მარცხენა მკლავის მედიალური მხარე

გასინჯეთ ერთი ან მეტი *იდაყვის ღიმფური ჯვანძი*. ჩოდესაც ხელი 90°-ით მოხრილია იდაყვის სახსარში და წინამხარი თქვენი ხელით გიჭირავთ, ხელი შემოხვიეთ მკლავს გარშემო და შეიგრძენით ოთხავა და სამთავა ჯუნთებს შორის ჩაღრმავებაში მედიალური ჩოჯიდან 3 სმ-ით ზევით. თუ ჯვანძები ისინჯება, დააღგინეთ მათი ზომა, კონსისტენცია და მტკივნეულობა.

იდაყვის ღიმფური ჯვანძების გადიდება შეიძლება მეორადი იყოს მათი სადრენაჟო მიდამის დაზიანების შედეგად ან შეიძლება დაკავშირებული იყოს გენერალიზებულ ღიმფადენოპათიასთან.

უმეტესობა ნორმალურ პირებში იდაყვის ღიმფური ჯვანძების გასინჯვა ვერ ხერხდება.



გამომკვლევის მარჯვენა ხელი

მხრის ძვლის მედიალური ჩოჯი

ფეხები

ავადმყოფი უნდა დაწვეს და პირანგი ისე ეფარჩოს, ჩომ არ უჩანდეს გარეთა სასქესო ორგანოები. თუ ავადმყოფს წინდები აცვია, სრულყოფილ გამოკვლევას ვერ ჩაატარებთ!

დაათვალიერეთ ფეხები საზარდულიდან ტერფის თითებამდე. დააკვირდით:

- ზომას, სიმეტრიულობას და შეშუპების არსებობას
- ვენებს და მათ გაფართოებას
- პიგმენტაციას, გამონაყარის, ნაწიბურებს ან წყლულებს
- კანის ფერს და ხასიათს, ფრჩხილების ფერს, ნივთებზე, ტერფებზე და თითებზე თმიანობის განვითარებას



იხ. ცხრილი 14-2. არტერიების და ვენების უკმარისობა (გვ. 494).

იხ. ცხრილი 14-3, ტერფების და ნივთების ხშირი წყლულები (გვ. 495).

ლიმფადენოპათია ეწოდება ლიმფური ჯირკვლების გადიდებას ტკივილით ან ტკივილის გარეშე. ეცადეთ გაარჩიოთ ადგილობრივი და განზოგადებული ლიმფადენოპათია, შესაბამისად, იმის დადგენით, თუ (1) გამომწვევი მიზეზი სადღაც უბანშია ან (2) ლიმფური ჯირკვლების გადიდება სხეულის ორ ან მეტ სხვა დაშორებულ უბანშიც აღინიშნება.

პალპაციით გასინჯეთ *ბარძაყის ზედაპირული ლიმფური ჯირკვლები*, რომელიც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური. დააკვირდით ზომებს, კონსისტენციას, განლაგებულია თუ გაერთიანებული, მტკივნეულობას. ნორმაში ადამიანებში ისინჯება უმტკივნეულო, განლაგებული, 1 სმ-მდე დიამეტრის ლიმფური ჯირკვლები.

შეამოწმეთ შემდეგი არტერიების პულსაცია არტერიული სისხლის მიმოქცევის შეფასების მიზნით.

- *ბარძაყის არტერიის პულსი.* ღრმად დააწექით ბარძაყის ირგის ქვეშ და თეძოს ძვლის ზედა ნაწილსა და ბოქვენის სიმფიზს შორის. მუცლის ღრმა პალპაციისთვის გამოიყენეთ ორი ხელი, ერთი დაადეთ მეორეს და ისე ჩაატარეთ პალპაცია, ეს მეთოდი განსაკუთრებით დაგეხმარებათ მსუქანი პაციენტების გასინჯვისას.



პულსის შესუსტება ან არარსებობა მიუთითებს სხეულის ნაწილობრივ ჰიპოქსიმაციის შევიწროვებაზე; მაგალითად, ორტის ან თეძოს არტერიის დონეზე, ოკლუზიის დისტალურად პულსი შესუსტებულია. არტერიის ქრონიკული ოკლუზია, ჩვეულებრივ, ათეროსკლეროზული, იწვევს *ხანგამძლეობით ყოჩაღობას* (გვ. 492), ფერის ჰოსტარული (მდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებული) ცვლილებები (გვ. 492) და კანის ტროფიკული ცვლილებები (გვ. 489).

ბარძაყის არტერიაზე ძლიერი, ფართო პულსი ბარძაყის არტერიის ანევრიზმაზე – ორტის პათოლოგიის გაფართოებაზე მიუთითებს.

- *მუხლქვეშა არტერიის პულსი.* ავადმყოფის ფეხი უნდა იყოს მოდუნებული და ოდნავ მოხრილი მუხლის სახსარში. თქვენი ორივე ხელის თითები დაანყვეთ მუქლქვეშა ფოსოში შუა ხაზზე და ძლიერად დააწექით. მუხლქვეშა პულსაციის მოძებნა უფრო ძნელია, ვიდრე სხვა არტერიების პულსის. არტერია უფრო ღრმად მდებარეობს და მისი შეგრძნება ძნელია.



ძლიერი, ფარითო მუხლქვეშა პულსაცია მუხლქვეშა ფოსოში მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმაზე მიუთითებს. როგორც ვარაუდობენ, ისე მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმა იშვიათია. მისი მიზეზი, ჩვეულებრივ, ათეროსკლეროზია და უპირატესად ვლინდება 50 წლის ზევით ასაკის მამაკაცებში.

თუ ამ მეთოდით მუხლქვეშა პულსაციას ვერ სინჯავთ, სცადეთ, ხოდესაც ავადმყოფის პირქვე წევს. ფეხი მუხლის სახსარში მოუხარეთ 90°-ით, დაიდეთ მჯდავზე ისე, რომ ფეხი მოდუნებული იყოს და თითები დააჭირეთ მუხლქვეშა ფოსოში.





თეძოს არტერიაში სისხლის მიმოქცევას ყველაზე ხშირად არღვევს *ათეროსკლეროზი (arteriosclerosis obliterans - ობლიტერაციული არტერიოსკლეროზი).* ბარძაყის პულსაცია ამ დროს ნორმალურია, ხოლო მუხლქვეშა – შესუსტებულია ან არ ისინჯება.

- *ტეხფის დოხსაღუხი ახტეხიის პუღსაცია.* ტეხფის (ახა ჯოქის) ახტეხია შეიგხძენით ტეხფის გამშღეღი მყესის ღატეხაღუხად დიდ თითთან. თუ აქ ვეხ პოუღობთ, მოძებნეთ უფხო ღატეხაღუხად.



ტეხფის დოხსაღუხი ახტეხია შეიძღება დაბადებიდან ახ ახსებობდეს ან იტოტებოდეს ზევით ჯოქთან. პუღსი მოძებნეთ უფხო ღატეხაღუხად.

ტეხფის პუღსის შემციხება ან ახახსებობა (хოდესაც ჯიდუხი თბიდია) და ნოხმაღუხი ბახძაყის და მუხდქვემა პუღსაციის ახსებობა მიუთითებს მუხდქვემა ახტეხიის ან მისი ტოტების ოკ̇ღუზიაზე – ხშიხი მიზეზია შაქიანი დიაბეტი.

- *დიდი ნვივის უკანა ახტეხიის პუღსი.* მოხახეთ თითები და დაადეთ მეღიაღუხი გოკ̇ის ოდნავ ნიხ და ზემოთ (ამ პუღსაციის ნახვა ძნეღია მსუქან ან შეშუპებუღ ჯოქებზე)



ახტეხიის მწვავე ოკ̇ღუზია, მაგ. ემბოღიის ან თხომბოზის გამო, იწვევს კ̇ივიღის და გაშეშებას ან ჩხვეკ̇ას. ოკ̇ღუზიის დისტაღუხად ჯიდუხი ცივდება, ფეხმკ̇ხთაღდება და პუღსაცია აღარ ისინჯება. თუ ჯოღატეხაღები ჯახგადაა განვითახებუღი, მხოდოდ გაცივება და გაშეშება აღინიშნება.

პუღსაციის შეგხძნების ხეჯომენდაციები, хომეღიც თავიდან აგვაციღებს სიхთუღეებს: (1) ექიმიც და პაციენტიც მოხეხებუღად უნდა მოთავსდენენ; უხეხუღი პოზა ამციხებს ტაქტიღის მგხძნობეღობას. (2) თქვენი ხეღი უნდა დადოთ სწოხედ და დიდხანს და ცვაღოთ ზენოღა, სანამ ახ შეიგხძნობთ პუღსაციას. თუ ვეხ ახეხებთ, აუჩქახებუღად მოძებნეთ პუღსაციის უბანი. (3) ახ აგეიოთ ავადმყოფის პუღსი თქვენი თითების პუღსაციაში. თუ ახ ხახთ დახწმუნებუღი, დათვაღეთ თქვენი გუღისცემა და შეადახეთ ავადმყოფის პუღსის სიხშიხეს. სიხშიხეები განსხვავებუღი უნდა იყოს. თქვენი ჯახოტიდუღი პუღსის დათვდა მოხეხებუღია შედახებისთვის.

ტეხფების და ფეხების ტემპეხატუხა შეაფასეთ თქვენი თითების ზუხგით. შეადახეთ ოხივე მხახე. ოხმხხივი გაცივების ხშიხი მიზეზია ცივი გახემო ან ნევხოზი.

ჯიდუხების გაცივება, განსაკუთხებით ცაღმხხივი ან სხვა ნიშნების თანხდებით, მიუთითებს ახტეხიული სისხდის მიმოქცევის დახღვევის გამო განვითახებუღ ახტეხიულ უკმახისობაზე.

შეშუპების დადგენა. შეადარეთ ფეხები ერთმანეთს, მათი ზომები და ვენების, მყესების და ძვლების მდგომარეობა.

შეშუპება იწვევს შესიებას, რის გამოც აღარ ჩანს ვენების და ძვლების ჩაღრმავებული ფორმა.





შეამოწმეთ შეშუპების ჩაღრმავება. მაგრად და ფრთხილად დააწექით ცერა თითით სულ ცოტა 5 წმ-ის განმავლობაში (1) ორივე ტერფის ზურგს, (2) ორივე მეღიაღური გოჭის უკან და (3) ორივე წვივს. დააკვირდით *ჩაღრმავებებს,* რომელიც თითის დაჭერით ჩნდება. ნორმალურად ჩაღრმავება არ უნდა გაჩნდეს. შეშუპების სიმძიმე იზომება ოთხნიშნა სკალით, მსუბუქიდან ძალიან მძიმემდე.

იხ. ცხრილი 14-4, შეშუპების ზოგიერთი პერიფერიული მიზეზი (გვ. 496).

ქვემოთ ნაჩვენები შეშუპების ხარისხი არის 3+ ჩაღრმავება.





თუ შეშუპებას ვახაულობთ, მის დაღგენაში და მიმდინარეობის შეფასებაში დაგეხმარებათ *ფეხების გაზომვა*. სანტიმეტრით გაზომეთ (1) ტერფი, (2) ჯოჭის უმცირესი გარშემოწერილობა, (3) წვივის გარშემოწერილობა და (4) ბარძაყის შუა ნაწილის, იზომება მუხლს ზევით, ხოლოსაც ფეხი გაშლილია. შეადარეთ მხარეები ერთმანეთს. მუხლის ზემოთ 1 სმ განსხვავება ან წვივზე 2 სმ ნორმალურად არ უნდა იყოს და შეშუპებაზე მიუთითებს.

ჯუნთების ატროფიამ ასევე შეიძლება ფეხების გარშემოწერილობის განსხვავება გამოიწვიოს.

თუ აღინიშნება შეშუპება, დაადგინეთ შესაძლო მიზეზი ჰეპიფერიულ სისხლძარღვებში. ესენია: (1) ღრმა ვენების ახალი თრომბოზი, (2) ქრონიკული ვენური უკმარისობა ღრმა ვენების ქრონიკული თრომბოზის ან ვენების სარქველების უკმარისობის გამო და (3) ღიმფური შეშუპება. დაადგინეთ შეშუპების გავრცელება. ფეხის რა სიმაღლეზე ვრცელდება?

ღრმა ვენების თრომბოზის დროს შეშუპების გავრცელება მიუთითებს ოკლუზიის ლოკალიზაციას: როდესაც შეშუპებულია ფეხის ქვედა ნაწილი ან ჯოჭი, ოკლუზია წვივის არეშია, როდესაც მთელი ფეხია შეშუპებული, ოკლუზია თეძო-ბარძაყის ვენებშია.

შეშუპება ცალმხრივია თუ ორმხრივი? ვენები ზედმეტად დაბერილია?

ვენების გაფართოება ვენურ შეშუპებაზე მიუთითებს.

ეცადეთ დაადგინოთ ვენების ტიპი, რომელიც შეიძლება ახლდეს ღრმა ვენების თრომბოზს. ჩაატარეთ საზარდულის პალპაცია ბარძაყის პულსის მოსაძებნად ბარძაყის ვენის მტკივნეულობის დასადგენად. შემდეგ, როდესაც ავადმყოფის ფეხი მოხრილია მუხლის სახსარში და მოდუნებულია, ჩაატარეთ წვივის პალპაცია. თითებით დააწექით წვივის ჯუნთებს დიდი წვივის ძვალზე და დაადგინეთ მტკივნეულობა ან ზონარის არსებობა. თუმცა, ღრმა ვენების თრომბოზი შეიძლება უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს და დიაგნოსტიკა ხშირად ემყარება დიდ ფლებითის გამოკვლევებს და სხვა გამოკვლევებს.

მტკივნეული, ფერმკრთალი და შეშუპებული ფეხი საზარდულის არეში ტკივილთან ერთად მიუთითებს *თეძო-ბარძაყის ვენების ღრმა თრომბოზს*. *ღრმა ვენების თრომბოზის* მქონე ავადმყოფთა დაახლოებით ნახევარს წვივის არეში აღენიშნება ტკივილი და ზონარი წვივის სიღრმეში. თუმცა წვივის ტკივილი არასპეციფიკური ნიშანია და თრომბოზის გარეშეც შეიძლება არსებობდეს.

დააკვირდით *ჯანის ფერს*.

- ხომ არ არის შემოფარგლული სიწითლე? თუ არის, ნახეთ ამ არის ტემპერატურა და ფრთხილად შეეცადეთ შეიგრძნოთ მკვრივი ზონარი ვენის თრომბოზის გამო. ყველაზე ხშირად ზიანდება წვივის არე.

- წვივთან ახლოს ხომ არ არის მოყავისფრო უბნები?

- დაათვალიერეთ ჯანზე ნაღვრები. სად აღინიშნება?

- გასინჯეთ ჯანის გასქელება.

აგრილობრივი მესიება, სიწითლე, გაცხელება და ჯანქვეშა ზონარი მიუთითებს *ზედაპირულ თრომბოფლებიტზე*.

წვივებზე მოყავისფრო პიგმენტაცია ან ნაღვრები *ვენების ქრონიკულ უკმარისობაზე* მიუთითებს.

გასქელებული მოყავისფრო ჯანი აღინიშნება ღიმფური შეშუპების და ხანგრძლივი ვენური უკმარისობის დროს.

სთხოვეთ ავადმყოფს ფეხზე დადგეს და *დაათვალიერეთ საჩინო ვენების ვარიკოზი*. ფეხზე დგომისას ჯარაგად ვრინდება ვენების ვარიკოზული გაფართოება. ხელგზე წოლისას შეიძლება ვარიკოზი ვერ შეამჩნიოთ. ნახეთ ვარიკოზის არეში ანთება, თრომბოფლებიტის ნიშნები.

ვარიკოზული ვენები გაფართოებული და დაკლაკნილია. მათი ჯედები ხანდაზმულ გასქელებულია. უმეტესობა ვარიკოზული ვენებისა ფეხებზე აღინიშნება. იხ. გვ. 490.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ

ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲢᲔᲮᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ. თუ მტევების ახტიული სისხლის მიმოქცევის უკმარისობას ვახაულობთ, ეცადეთ შეიგრძნოთ *იდაყვის არტერიის პულსაცია*, ასევე სხივის და მხრის არტერიების. პულსი გასინჯეთ მაჯის მომხრე ზედაპირზე მედიალურად. გასინჯვას გაგიადვილებთ მაჯის ოდნავ მოხრა. თუმცა, ნორმალური იდაყვის არტერიის პულსი შეიძლება არ ისინჯებოდეს.



არტერიების ოკლუზიური დაავადება უფრო იშვიათია მტევნებზე, ვიდრე ფეხებზე. მაჯაზე პულსის შესუსტება ან გაქრობა მწვავე ემბოლიის ოკლუზიაზე ან *Buerger-ის (ბიურგერის)* დაავადებაზე (ობლიტერაციული თრომბანგიიტი) მიუთითებს.

Alen-ის (ალენის) ტესტი უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა. ეს ტესტი ასევე გამოგადგებათ დარწმუნდეთ, რომ იდაყვის არტერია გამავალია, სანამ სხივის არტერიის პუნქციას ჩაატარებთ სისხლის ანალიზისთვის. პაციენტმა უნდა დადოს ხელები მუხლებზე ხელისგულებით ზევით.

სთხოვეთ ავადმყოფს, ერთი ხელით მუშტი გააკეთოს. შემდეგ თითებით დააწექით სხივის და იდაყვის არტერიებს.



მუშტის სრული გაშლამ შეიძლება გამოიწვიოს ხელისგულების სინითლე და ცრუ დადებითი შედეგი.

შემდეგ, სთხოვეთ ავადმყოფს, მუშტები გაშალოს და ხელები ოდნავ მოხრილი ჰქონდეს. ამ დროს ხელისგულები ფერმკრთალია.



შეამცირეთ სხივის არტერიაზე ზეწოლა. თუ არტერია გამავალია, ხელისგული გავარდისფრდება 3-5 წმ-ში.



მუდმივი ფერმკრთალი მიუთითებს იდაყვის არტერიის ან მისი დისტალური ტოტების ოკლუზიაზე.

სხივის ატეხიის გამავლობა შეიძლება დადგინდეს, როდესაც ზუნოლა ხდება მხოლოდ იდაყვის ატეხიაზე.



გამოხატული სიფეიმჭითაღე ფეხის ანევისას *ატეხიულ უკმახისობაზე* მიუთითებს.

ქრონიკული ატეხიული უკმახისობის დროს მდებარეობით გამოწვეული ფეხის ცვლილება.

თუ ტკივილი ან პულსის შესუსტება მიუთითებს ატეხიულ უკმახისობაზე, დააკვირდით მდებარეობით გამოწვეულ ფეხის ცვლილებას. აუნიეთ ფეხები, როგორც ნაჩვენებია მარჯვნივ დაახლოებით 60°-ით, სანამ მაქსიმალუხად ახ გაფეხმჭითადება – დაახლოებით 1 წთ-ის განმავლობაში. თეთრკანიან პირებში ნორმალური ფეხის შენარჩუნება, როგორც მარჯვენა ფეხზეა ნაჩვენები ან მცირე გაფეხმჭითადება, ნორმალურია.



ქვემოთ ნაჩვენები ფეხი ფეხმჭითადია და ვენები იწყევს ავსებას – ატეხიული უკმახისობის ნიშანი.

შემდეგ სთხოვეთ ავადმყოფს, დაჯდეს და ფეხები ჩამოუშვას. შეადარეთ ფეხები და დაინიშნეთ დრო, რაც ესაჭიროება:

- ჯანის გავარდისფერებას, რასაც ნორმალურად 10 წამი ესაჭიროება
- ტერფის და წვივის ვენების ავსება ხდება დაახლოებით 15 წმ-ის განმავლობაში

მარჯვენა ფეხს ნორმალური ფერი აქვს და ვენები შევსებულია. ასეთი ნორმალური პასუხი ადეკვატურ ცირკულაციაზე მეტყველებს.



ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ

ნახეთ, ჰაიმე *უჩვეულო შეფეთილობა* (მუქი სინითლე) ხომ არ ცვლის სიფეთმჟითაღეს ფეხზე. მუქი სინითლე ჩნდება 1 წთ-ში ან ცოტა მეტ დროში.

ნორმალური პასუხი, რომელსაც ახლავს არტერიული პულსის შესუსტება მიუთითებს, რომ შევინიშნებული არტერიის გაჩშემო განვითარებულია ჯაჭვ ტოლატერალური სისხლის მიმოქცევა.

ფეხის შეცვლა ძნელი დასადგენია შავჯანიან პირებში. ამის დასადგენად დაათვალიერეთ ფეხის გული და ვენების დასათვალიერებლად გამოიყენეთ ირიბი განათება.

მეღმივი მუქი ნითელი ფერი მიუთითებს არტერიულ უკმარისობაზე (იხ. გვ. 495). როდესაც ვენების უკმარისობაა, მუქი სინითლე, ფერის აღდგენის და ვენების ავსების დრო არ არის ზუსტი ტესტი არტერიული უკმარისობის დასადგენად.

ვარიკოზული ვენების მონიშვნა. ვარიკოზული ვენების მიმართულება და დაჯავშირება შეგიძლიათ მონიშნოთ სისხლსავსე ვენებზე ზეწოლითი ტაღლების გავრცელებით. როდესაც ავადმყოფი ფეხზე დგას, თითი ფრთხილად დაადეთ ვენას და მის ქვემოთ მეორე ხელით სწრაფად დააწექით ვენას. შეიგრძენით ტაღლა, რომელიც ვრცელდება ზემოთ მდებარე თითებისკენ. ტაღლის გავრცელება მიუთითებს, რომ ვენები ერთმანეთთან დაჯავშირებულია.





ტაღლა ასევე შეიძლება ქვემოთაც გავრცელდეს, მაგრამ უფრო ძნელად.

ვენური სარქველების ფუნქციების შეფასება. *ჰეტეროგენული ავსების (Trendelenburg - ტრენდელენბურგის) ტესტის* საშუალებით შეგიძლიათ შეაფასოთ სარქველების მდგომარეობა დამაჯავშირებელ და საჩინო ვენურ სისტემაში. ერთი ფეხი აუწიეთ 90°-ით, რათა ვენები დაიცალოს.

ზედაპირული ვენის სწრაფი ავსება, როდესაც საჩინო ვენა დახშულია, მიუთითებს დამაჯავშირებელი ვენების სარქველების უკმარისობაზე. ღრმა ვენებიდან საჩინო ვენებისკენ სისხლი სწრაფად ჰეტეროგენულად მიედინება.

შემდეგ, ხელით დააწექით დიდ საჩინო ვენას ბარძაყის ზედა ნაწილში ისე, რომ გადაიტეხოს ვენა და არა ღრმა სისხლძარღვები. სთხოვეთ ავადმყოფს, ფეხზე დადგეს. ვენაზე ზეწოლის პარალელურად დააჯვირითე ვენების ავსებას. ნორმალურად საჩინო ვენა ივსება ქვემოდან დაახლოებით 35 წმ-ში, ვინაიდან სისხლი ჯარიალებიდან ვენებისკენ მიედინება.

ზეწოლის შენყვეტის შემდეგ ზედაპირული ვენების სწრაფი ავსება საჩინო ვენის სარქველების უკმარისობაზე მიუთითებს.

20 წმ-ის განმავლობაში ფეხზე დგომის შემდეგ, შენყვიტეთ ზეწოლა და დააჯვირითე ვენების სწრაფ ავსებას. ნორმალურად, ასე არ უნდა იყოს. საჩინო ვენის სარქველები ხელს უშლიან სისხლის ჰეტეროგენულ მოძრაობას. ვენების ავსება ნელა ხდება.

როდესაც ორივე საფეხური დარღვეულია, პასუხია დადებითი-დადებითი.

როდესაც ამ ტესტის ორივე საფეხური ნორმალურია, პასუხს ეწოდება უარყოფითი-უარყოფითი. ასევე შეიძლება აღინიშნებოდეს უარყოფითი-დადებითი და დადებითი-უარყოფითი პასუხი.

მიღებული მონაცემების ჩანერა

ყურადღება მიაქციეთ, რომ მონაცემების აღნერისთვის თავდაპირველად შეგიძლიათ გამოიყენოთ წინადადებები; მოგვიანებით – ფრაზები. ქვემოთ მოყვანილი ნიმუში შეიცავს ფრაზებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება ჩანაწერებში. გაიხსენეთ, რომ ღიმფური ჯვანძების აღნერილობის ჩანერა ხდება თავის და კისრის განაკვეთის შემდეგ (იხ. გვ. 203). ანალოგიურად, ჯარტიდული პულსის შეფასება აღნერილია გულ-სისხლძარღვთა სისტემაში (იხ. გვ. 305-306)

ალტერნატიული გამოკვლევის შედეგების ჩანერა – პერიფერიული სისხლძარღვოვანი სისტემა

"კიდურები თბილია და შეშუპება არ აღინიშნება. არ არის ვარიკოზის და შეგუბების ნიშნები. ნვივები ელასტიურია და უმტკივნეულო. ბარძაყზე და მუცლის არეში შეიღი არ არის. მხრის, სხივის, ბარძაყის, მუხლქვეშა, ტერფის ღრძილის და ნვივის უკანა არტერიებზე პულსი არის 2+ და სიმეტრიული"

ან

"კიდურები ფერმკრთალია ნვივის შუა ნაწილიდან, სადაც აღინიშნება თმის გაცვენა. ხოლესაც ფეხები ჩამოშვებულია, აღინიშნება მუქი სინითლე, მაგრამ არ არის შეშუპება და ნყლულები. ორივე მხარეს ბარძაყის არტერიაზე შეიღია. მუცელზე შეიღი არ მოისმინება. მხრის და სხივის პულსი 2+; ბარძაყის, მუხლქვეშა, ტერფის ღრძილის და ღიდი ნვივის პულსი 1+." (ამას გარდა, პულსი შეიძლება ჩაინეროს ისე, როგორც ქვემოთაა მოცემული)

მიეთითებს პერიფერიული არტერიების პალპაციაზე დაკვირვებაზე.

	სხივის	მხრის	ბარძაყის	მუხლქვეშა	ტერფის ღრძილის	ღიდი ნვივის უკანა
მარჯვენა	2+	2+	1+	1+	1+	1+
მარცხენა	2+	2+	1+	1+	1+	1+

CITATIONS

1. Hirsh AT, Criqui MH, Treat-Jacobson D, et al: Peripheral arte-rial disease: detection, awareness, and treatment in primary care. JAMA 286(11):1317-1324, 2001.
2. Hiatt WR: Medical treatment of peripheral arterial disease and claudication. N Engl J Med 344(21):1608-1620, 2001.
3. McDermott MM, Liu K, Greenland, et al: Functional decline in peripheral arterial disease associations with the ankle brachial index and leg symptoms. JAMA 292(4):453-461, 2004.

ADDITIONAL REFERENCES

Anand SS, Wells PS, Hunt D, et al. Does this patient have a deep vein thrombosis? JAMA 279(14):1094-1099, 1998.
Bates SM, Gionsberg JS. Treatment of deep-vein thrombosis. N Engl J Med 351(3):268-276, 2004.
Colman RW, Marder VJ, Clowes AW, et al (eds). Hemostasis and Thrombosis: Basic Principles and Clinical Practice, 4th ed. Philadelphia, Lippincott Williams & Wilkins, 2005.
Creager MA, Loscalzo J, Dzau VJ (eds). Vascular Medicine: A Companion to Braunwald's Heart Disease. Philadelphia, WB Saunders, 2006.
De Araujo T, Valencia I, Federman DG, et al. Managing the patient with venous ulcers. Ann Intern Med 138(4):326-334, 2003.
Falagas ME, Vergidis PL Narrative review: diseases that masquer-ade as infectious cellulitis. Ann Intern Med 142(1):47-55, 2005.
Olson KWP, Treat-Jacobson D. Symptoms of peripheral arterial disease: a critical review. J Vase Nurs 22(3):72-77, 2004.
Rauch U, Osende JI, Fuster V, et al. Thrombus formation on atherosclerotic plaques: pathogenesis and clinical consequences. Ann Intern Med 134(10):224-238, 2001.
Sumpio BE. Foot ulcers. N Engl J Med 343(11):787-793, 2000.
Wigley FM. Raynaud's phenomenon. N Engl J Med 347(13): 1001-1008,2002.

ცხრილი 14-1 მტკივნეული პერიფერიული სისხლძარღვოვანი პათოლოგიები და მათი იმიტაციები

პრობლემა	პროცესი	ტკივილის ლოკალიზაცია
არტერიული პათოლოგიები *(ათეროსკლეროზი; ობლიტერაციული არტერიოსკლეროზი)* ▪ ხანგამოშვებითი ყოჩღობა	დატვირთვით გამოწვეული კუნთოვანი იშემია, რომლის მიზეზია მსხვილი და საშუალო კალიბრის არტერიების ათეროსკლეროზული შევიწროვება	ჩვეულებრივ, წვივებია, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს დენდულებში, თეძოში, ბარძაყის არეში, ტერფში, რაც დამოკიდებულია ობსტრუქციის დონეზე.
▪ მოსვენებითი ტკივილი	იშემია მოსვენების მდგომარეობაში	დისტალური ტკივილი, ტერფის და თითების არეში
არტერიის მწვავე ოკლუზია	არტერიის ემბოლია ან თრომბოზი, რომელიც ზედ ერთვება ათეროსკლეროზულ ობლიტერაციას	დისტალური ტკივილი, ჩვეულებრივ, ვითარდება ტერფის არეში.
Raynaud-is (ხეონოს) დაავადება და სინდრომი	*Raynaud-is (ხეონოს) დაავადება:* მცირე კალიბრის არტერიების და არტერიოლების ეპიზოდური სპაზმი; სისხლძარღვოვანი ოკლუზია არ აღინიშნება *Raynaud-is (ხეონოს) სინდრომი:* სინდრომი მეორადია სხვა დაავადების დროს, როგორიცაა სისხლძარღვთა კოლაგენური დაავადებები, არტერიების ოკლუზია, ტრავმა, მედიკამენტები	ერთი ან რამდენიმე თითის დისტალური ნაწილები. ტკივილი ჩვეულებრივ ხანგრძლივი არ არის, სანამ თითის წვერებზე ნეკროზები არ განვითარდება. ხშირია გაშეშება და ჩხვლეტა.
ვენური პათოლოგიები		
ზედაპირული თრომბოფლებიტი	ზედაპირული ვენაში წარმოიქმნება თრომბი და ვითარდება მწვავე ანთება	ტკივილი შემოფარგლულია ზედაპირული ვენის გასწვრივ, ყველაზე ხშირია საჩინო ვენურ სისტემაში
ღრმა ვენების თრომბოზი	თრომბის წარმოქმნა ღრმა ვენებში	თუ ტკივილი გამოხატულია, ხშირად წვივის არეშია, თუმცა პროცესი ჩვეულებრივ უმტკივნეულოა
ქრონიკული ვენური (ღრმა) უკმარისობა	ქრონიკული ვენური უკმარისობა მეორადია და ვითარდება ვენური ოკლუზიის ან სარქველების უკმარისობის შედეგად	ფეხის(ების) დიფუზური ტკივილი
ობლიტერაციული თრომბანგიიტი *(Buerger-ის – ბიურგერის დაავადება)*	მცირე ზომის არტერიების და ასევე ვენების ანთება და თრომბოზული ოკლუზია, რაც მწვეველებში ვითარდება	▪ ხანგრძლივი ყოჩღობა, განსაკუთრებით ტერფის თაღში ▪ მოსვენებითი ტკივილი ტერფის თითებში
მწვავე ლიმფანგიტი	მწვავე ბაქტერიული ინფექცია დაზიანებული უბნიდან ან ნაწილიდან (ჩვეულებრივ სტრეპტოკოკი) ვრცელდება ლიმფის სისტემაში	ფეხები ან მკლავები
იმიტაციები* *მწვავე ცელულიტი*	კანის და კანქვეშა ქსოვილის მწვავე ბაქტერიული ინფექცია	მკლავებში, ფეხებში ან სხვა უბანში
კვანძოვანი ერითემა	კანქვეშა ანთებითი დაზიანება, რაც ხშირად ახლავს სხვადასხვა სისტემის მდგომარეობებს, როგორიცაა ორსულობა, სარკოიდოზი, ტუბერკულოზი და სტრეპტოკოკური ინფექცია	ფეხების ქვედა ნაწილების წინა ზედაპირები

* შეცდომით პირველად შეიძლება მწვავე ზედაპირული თრომბოფლებიტად ჩაითვალოს

მიმდინარეობა	ხელმემწყობი ფაქტორები	შემამსუბუქებელი ფაქტორები	თანმხლები გამოვლინებები
საკმაოდ ხანმოკლე; ტკივილი აიძულებს ავადმყოფს, რომ გაჩერდეს	დატვირთვა, ჰიპოთერმია	მოსვენება ტკივილს აჩერებს 1-3 წთ-ის განმავლობაში	აღგილობრივი სისუსტე, გაშეშება, პულსის შესუსტება, ხშირად ახლებული უკმარისობის ნიშნები (იხ. გვ. 495)
მუდმივი, ხშირად ღამით აღვიძებს ავადმყოფს	ფეხის ზემოთ აწევა	ჩამოშვებული ფეხებით დიდხანს ჯდომა	გაშეშება, ჩხვლეტა, ახლებული უკმარისობის ტიპიური ნიშნები და ფეხის შეცვლა (იხ. გვ. 495)
უეცარი დაწყება; თანმხლები სიმპტომები შეიძლება განვითარდეს ტკივილის გარეშე			გაცივება, გაშეშება, სისუსტე, დისტალური პულსის არარსებობა
შედარებით ხანმოკლე (წუთები), მაგრამ მოჰყვიდეთ	სიცივეზე ყოფნა, ემოციური მდგომარეობა	თბილი გარემო	დისტალური თითების ფერის შეცვლა: მძიმე სინდრომს (დიაგნოზისთვის მნიშვნელოვანია) მოჰყვება ციანოზი და შემდეგ ისევ სინითლე
მწვავე ეპიზოდი გრძელდება რამოდენიმე დღე ან კვირა მეტი სიმპტომების სიმკვრივის გამო ხშირად დადგენა ძნელია			ღრმა სინითლე, შესივება, მტკივნეულობა, ზონარი ჰიპერემია, შესაძლოა ცხელება
ქრონიკული, დროთა განმავლობაში მატულობს	ხანგრძლივი დგომა	ფეხების აწევა	ტერფის და წვივის შესაძლო შესივება და ღრმა მტკივნეულობა წვივის არეში, ხშირად ღამით ქრონიკული შეშუპება, პიგმენტაცია, შესაძლოა დაწყლულება (იხ. გვ. 495)
საკმაოდ ხანმოკლე, მაგრამ მოჰყვიდეთ ქრონიკული, ხანგრძლივი, უარესდება ღამით	დატვირთვა	მოსვენება თრომბოზის მოხმარება ხელს უწყობს ტკივილის განვითარებას (მაგრამ ავადმყოფი იშვიათად წყვეტს მოწევას)	დისტალური გაცივება, შესივება, გაშეშება და ციანოზი; თითებზე ნაწყლულების ან განგრენის განვითარება; მიგრაციული თრომბოფლებიტი
მწვავე ეპიზოდი გრძელდება დღეები ან უფრო მეტი			კანზე წითელი ზოლები, ღრმა ვენების ტკივილით, გადიდებით და ცხელებით
მწვავე ეპიზოდი გრძელდება დღეები ან უფრო მეტი			დიფუზური შესივების, სინითლის და მტკივნეულობის ღარიბული კანი ღრმა ვენების გადიდებით და მტკივნეულობით; ზონარი არ ისინჯება
ტკივილს ახლავს სხვადასხვა დაზიანებები რამოდენიმე კვირის განმავლობაში			კანზე ნამონეული, წითელი, მტკივნეული მოქცევადი ვენები; ხშირია სისუსტე, სახსრების ტკივილი და ცხელება

არტერიების და ვენების ქრონიკული უკმარისობა

ქრონიკული არტერიული უკმარისობა (განვითარებული)	ქრონიკული ვენური უკმარისობა (განვითარებული)



სინითლე

იშემიური ნყლული



ტკივილი	ხანგამოშვებითი ჯოჭლობა, ტკივილი მოსვენებისას არ არის ან ყრუ ტკივილია ჩამოშვების დროს	არ არის ან ყრუ ტკივილია ჩამოშვების დროს
პულსი	შესუსტებულია ან არ ისინჯება	ნორმალური, თუმცა შეშუპების გამო შეიძლება ძნელად ისინჯებოდეს
ფერი	ფერმკრთალი, განსაკუთრებით აწევისას, მუქი წითელი ჩამოშვებისას	ნორმალური ან ციანოზი ჩამოშვების დროს. გაჭირვების შემთხვევაში ვითარდება პეტექიები და შემდეგ მოყავისფრო ლაქები
ტემპერატურა	გრილი	ნორმალური
შეშუპება	არ არის ან მცირეა; შეიძლება განვითარდეს, როდესაც ავადმყოფი დღეობს ტკივილი შეამციროს ფეხების ქვემოთ ჩამოწევით	აღინიშნება, ხშირად მნიშვნელოვანი
ჯანის ცვლილებები	ტროფიკული ცვლილებები: გათხელებული, ბრილა, ატროფიული. წვივებზე და ტერფებზე თმა გაცვენილია; ფრჩხილები გასქელებულია და ჯილეები მახვილი.	ხშირია მოყავისფრო პიგმენტაცია წვივებზე, შეგუბებითი დერმატიტი და ჯანის შესაძლო გასქელება, ნაწიბურების განვითარების გამო ფეხების დაწვრილება
დაწყლულება	თუ აღინიშნება, ვითარდება ფეხის თითებზე ან ფეხის ტრავმირებულ უბნებში	თუ აღინიშნება, ვითარდება წვივის გვერდებზე, განსაკუთრებით მედიალურად
განგრენა	შეიძლება განვითარდეს	არ ვითარდება



ართერიული უკმარისობა

ეს მდგომარეობა ვითარდება ფეხის თითებში, ტერფებში ან ტარსის ძვლებში (მაგ. წვივებზე). გარშემომყოფ ქსოვილებში არ აღინიშნება გამკვრივება ან ჭარბი პიგმენტაცია, თუმცა შეიძლება ატროფიული იყოს. ტკივილი ხშირად ძლიერია, ხადგან მისი მიზეზი ნეიროპათიაა. შეიძლება ახლდეს განგრენა პულსის შემცირებით, ტროფიკული ცვლილებებით, ფეხის განითლებით ანვევის დროს, ხოლო მუქი ნითელი შეფერვით ჩამოშვების დროს.



ქრონიკული ვენური უკმარისობა

ეს მდგომარეობა ვითარდება წვივებზე უფრო ღრმად ან ზოგჯერ ზედაპირულად. გარშემომყოფი ქსელი პიგმენტურია და ხამდენადმე ფიბროზული. ტკივილი ძლიერი არ არის, განგრენა არ ვითარდება. თანმხლები ნიშნებია შეშუპება, პიგმენტაცია, შეგუბებითი დერმატიტი, ფეხის ჩამოშვებისას შესაძლოა ცელიოზის განვითარება.



ნეიროპათიული წყლული

ეს მდგომარეობა ვითარდება ზენოტის შედეგად იმ უბანში, სადაც დაქვეითებულია მგრძნობელობა (მაგ. დიაბეტური ნეირო-პათიის დროს). გარშემომყოფი ქსელი გამკვრივებულია. ტკივილი არ აღინიშნება, თუმცა შეიძლება განვითარდეს შეუმჩნეველი წყლულების დროს. გაუთეთებელ შემთხვევაში განგრენა არ აღინიშნება. თანმხლები სიმპტომებია მგრძნობელობის დაქვეითება და წვივის რეფლექსის არ არსებობა.

შეშუპების ზოგიერთი პერიფერიული მიზეზი

სხეულის სითხის დაახლოებით მესამედი უჯრედშორის სივრცეშია. ამ სითხის დაახლოებით 25%-ს პლაზმა წარმოადგენს, დანარჩენი ინტერსტიციული სითხეა. ჯანმრთელების არტერიულ დაბოლოებებში სისხლძარღვებში *ჰიდროსტატიკური წნევა* და ინტერსტიციუმში *ონკოზური წნევა* განაპირობებს სითხის გადასვლას ქსოვილებში. ჯანმრთელების ვენურ დაბოლოებებში და ლიმფურ ძარღვებში ინტერსტიციუმის ჰიდროსტატიკური წნევა და შარცის ცილების ონკოზური წნევა იწვევს სითხის დაბრუნებას სისხლძარღვოვან ქსელში. როგორც ცნობილია ამ წონასწორობას, რის შედეგადაც ვითარდება *შეშუპება*, ანუ ინტერსტიციული სითხის დაგროვების კლინიკური გამოვლინება. ქვემოთ სურათზე არ არის ნაჩვენები ჯანმრთელების გარეთვის სინდრომი, როდესაც ცილა გადის ინტერსტიციულ სივრცეში. ეს პროცესი ახასიათებს დამწვრობას, ანგიონევროზულ ანთებას, გველის ნაკბენს და ალერგიულ რეაქციას.



შეშუპება ჩაღრმავების განვითარებით

შეშუპება ხშირია, ორმხრივი, თითის დაჭერით ჩნდება ჩაღრმავება და ვითარდება ტერფებზე. არ აღინიშნება ჯანის გასქელება, ნყლულები და პიგმენტაცია. ასეთი შეშუპება ვითარდება მაშინ, როდესაც ფეხები ხანგრძლივად ჩამოშვებულია ჯდომის ან ფეხზე დგომის გამო. შეშუპების მიზეზია ვენებში და ჯანმრთელებში ჰიდროსტატიკური წნევის მომატება; ცილის შეცვლებითი უკმარისობა, როდესაც შემცირებული წვთმოცულობა; ვენებსა და ჯანმრთელებში ჰიდროსტატიკური წნევის მომატება, ნეფროზული სინდრომი, ღვიძლის ციროზი, ჯვების ნაკლებობა, რაც საფუძვლად უდევს შარცში ცილის შემცირებას და სისხლძარღვში ონკოზური წნევის დაქვეითებას; ჰეპარინატების მიღება.



ქრონიკული ვენური უკმარისობა

შეშუპება ხშირია, ზენოლით ჩნდება ჩაღრმავება; მოგვიანებით ხდება მოყავისფრო (მკვრივი). ჯანი შეიძლება გასქელდეს, განსაკუთრებით წვივებზე. ტერფებზე ხშირია ნყლულების, პიგმენტაციის და შეშუპების განვითარება, იშვიათად ორმხრივია. მაგალითებია ღრმა ვენების ქრონიკული ობსტრუქცია და სარქველების უკმარისობა.



ლიმფური შეშუპება

არცული სტადიაზე შეშუპება ხშირია, თავდაც მკვრივი ხდება და ზენოლით ჩაღრმავება არ ჩნდება. ჯანი შესამჩნევად გასქელებულია, ნყლულები იშვიათად ვითარდება. პიგმენტაცია არ აღინიშნება. შეშუპება ვითარდება ტერფებსა და თითებზე, ხშირად ორმხრივია. ლიმფური შეშუპება ვითარდება ლიმფური ძარღვების ობსტრუქციის შედეგად სიმსივნით, ფიბროზით ან ანთებით, ისევე როგორც იღლიის ლიმფური ჯვანძების ამოკვეთის და სხივური თერაპიის შედეგად.

ძვალ-ჯუნთოვანი სისტემა

15

ძვალ-ჯუნთოვანი სისტემის შეფასება

თავის ახალი სტრუქტურის ელემენტები

ძვალ-ჯუნთოვანი სისტემის მხრივ ჩივილები და დარღვევები ექიმთან ვიზიტის ერთ-ერთი ნამყვანი მიზეზია ჯერიატრიაში. ნელის ამბავი ტიპიურს მეხუთე აბზაცი უჭირავს ექიმთან ვიზიტის მიზეზებს შორის და სიხშირით მეორე სიმპტომია, რის გამოც ავადმყოფს ექიმის დახმარება ესაჭიროება.[1] ამ თავის სტრუქტურა ჩამდენადმე შეიცვალა, რათა დაგეხმაროთ, გაიფართოვოთ თქვენი მიდგომა და გამოკვლევის ტექნიკა სახსრების ხშირი დაავადებების შესწავლის მიზნით.

ამ თავში განხილულია ძირითადი სახსრების და მათთან დაკავშირებული ძვლოვანი სტრუქტურების, ჯუნთების და ხბილი ქსოვილების აგებულება და ფუნქციები. სახსრების შეფასების სპეციფიკური ბუნების გამო, ამ თავის სტრუქტურა განსხვავდება სხვა სისტემებისადმი მიძღვნილი თავებისგან. სახსრების მხრივ ჩივილების შეფასება მოითხოვს ორგანოს ვიზუალიზაციის, ასევე ზედაპირული ნიშნების და ქვეშმდებარე სტრუქტურების ანატომიის ღრმა ცოდნას. იმისთვის, რომ სტუდენტს გაუადვილდეს სახსრების აგებულების და ფუნქციების ცოდნა გააერთიანოს გამოკვლევის მეთოდებთან, ამ თავში თითოეული სახსრის ანატომია, ფიზიოლოგია და გამოკვლევის მეთოდები *ერთადაა განხილული*. თავის ფორმატი შემდეგია:

თავის ფორმატი

- სახსრების აგებულება და ფუნქციები
- ანამნეზი
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა და განხილვა
- სპეციფიკური სახსრების გამოკვლევა: ანატომია, ფიზიოლოგია და შესაბამისი გამოკვლევის მეთოდები. ძვალ-ჯუნთოვანი სისტემის გამოკვლევისადმი მიდგომის განვითარებისთვის, განაკვეთს 498 გვერდზე მიყევით "თავიდან ფეხის თითებამდე" მიმდევრობას, რაც იწყება ქვედა ყბიდან და ზედა ტიტუების სახსრებიდან, შემდეგ მოჰყვება ხერხემალი, თეძოები და ქვედა ტიტუების სახსრები.

(გაგრძელება)

- ქვედაყბის სახსარი
- მხარი
- იდაყვი
- მაჯა და მტევანი
- ხერხემალი
- ბარძაყი
- მუხლი და ფეხის ქვედა ნაწილი
- წვივი და ტერფი

თითოეული სახსრისთვის არის შესაბამისი *სახსრების მიმოხილვა, ძვლების და სახსრების აგებულება, ხუნთების ჯგუფები, ახლომდებარე სახსრები და გამოკვლევის მეთოდები*

- *სახსრების მიმოხილვა* აგებულია ისე, რომ გაარჩიოთ თითოეული სახსრის ანატომიური და ფუნქციური მახასიათებლები. როდესაც ისწავლით შესაბამის განაკვეთებს, ივარჯიშეთ თქვენს თავზე ან სტუდენტზე, ჯანზე გაარჩიოთ სახსრების საპროექციო არეები.
- შემდეგ მოდის *გამოკვლევის მეთოდები*, სადაც ისწავლით სახსრის გამოკვლევის ფუნდამენტური საფეხურები – ინსპექცია, ძვლების უბნების და ჰბილი ქსოვილების პალპაცია, მოძრაობის ამპლიტუდის შეფასება (ან სახსრის მოძრაობის მიმართულება) და სახსრების ფუნქციების და სტაბილურობის დასადგენი მანევრები. ამ მანევრებში დახელოვნება ძვალ-ხუნთოვანი სისტემის სრული გამოკვლევის ერთ-ერთი საფუძველია და მოითხოვს დაკვირვებას და პრაქტიკას. ეს მანევრები მნიშვნელოვანია დიაგნოსტიკასა და საექიმო პრაქტიკაში.

სახსრების სტრუქტურა და ფუნქციები

მოსახერხებელია, დაიწყოთ ზოგიერთი ანატომიური ტერმინოლოგიის განხილვით.

- *სახსრის სტრუქტურები* მოიცავს სასახსრე ჩანთას, ხრტილს, სინოვიურ გარსს და სითხეს, სახსრის შიდა იოგებს და იუქსტა-არტიკულარულ ძვლებს.
- *არასახსროვანი სტრუქტურებია* პერიარტიკულური იოგები, მყესები, აპკა, ხუნთი, ფასცია, ძვალი, ნერვი და მიმდებარე ქსოვილი.
- *იოგი* არის თოკისებური კოლაგენური ბოჭკოების ჯონა, რომელიც ძვლებს ერთმანეთთან აერთებს
- *მყესი* არის კოლაგენური ბოჭკო, რომელიც აერთებს ხუნთს ძვალთან. კოლაგენის სხვა ტიპის მატრიცა ნარმოქმნის ხრტილს, რომელიც ფარავს ძვლის ზედაპირს.
- აპკა არის სინოვიური სითხის ჩანთა, რომელიც არბილებს მყესების და ხუნთების მოძრაობას ძვლებზე ან სახსრის სხვა სტრუქტურებზე.

სახსრის ფუნქციის გარჯვევისთვის შეისწავლეთ სხვადასხვა ტიპის სახსრები, როგორ ხდება შესახსრება და როგორია აპკის როლი სახსრის მოძრაობის გაადვილებაში.

სახსრების ტიპები

არსებობს სახსრის შეერთების სამი ძირითადი ტიპი – სინოვიური, ხრტილოვანი და ფიბრიზული – რაც განაპირობებს სახსრების სხვადასხვა ხარისხით მოძრაობას.

სახსრები

სახსრის ტიპი	მოძრაობის ამპლიტუდა	მაგალითი
სინოვიური	ადვილად მოძრავი	მუხლი, მხარი
ხრტილოვანი	ნაკლებად მოძრავი	ხერხემლის მალის სხეული
ფიბრიზული	უმოძრაო	თავის ქალას ნაკერები

სინოვიური სახსრები. ძვლები ერთმანეთს არ ეხება და სახსარი *თავისუფლად მოძრავია*. ძვლები დაფარულია ხრტილით და ერთმანეთისგან გამოყოფილია სინოვიური ღრუთი, რაც არბილებს სახსრის მოძრაობას, როგორც სუპათზეა ნაჩვენები. *სინოვიური გარსი* ქმნის *სინოვიურ ღრუს* და გამოყოფს მცირე რაოდენობით წებოვან სითხეს – *სინოვიურ სითხეს*. გარსი მიმაგრებულია სახსრის ხრტილის კიდეებზე და ნარმოქმნის ჩანთას, რათა უზრუნველყოს სახსრის მოძრაობა. სინოვიურ გარსს აკრავს ფიბრიზული *სახსრის ჩანთა*, რომელიც გამაგრებულია ძვლიდან ძვლამდე გადაჭიმული იოგებით.



სინოვიური

ხრტილოვანი სახსრები. მაღთაშუა და ბოქვენის სახსრები *ნაკლებად მოძრავია*. სახსრის ზედაპირები გამოყოფილია ფიბრიზულ-ხრტილოვანი დისკებით. თითოეული დისკის ცენტრში *ბირთვია*, ეს არის ფიბრიზულ-ხრტილოვანი ნივთიერება, რომლის დანიშნულებაა ძვლების ზედაპირების შეხების შემცირება.



ხრტილოვანი

ფიბრიზული სახსრები. ისეთ სახსრებში, როგორიცაა თავის ქალას ნაკერები, შუამდებარე ფიბრიზული ქსოვილი ან ხრტილი მჭიდროდ აერთებს ძვლებს. ძვლები უშუალოდ ეხება ერთმანეთს და მათ შორის *მოძრაობა არ ხდება*.



ფიბრიზული

სინოვიური სახსრების აგებულება

ჩოდესაც ისწავლით ძვალ-ხუნთოვანი სისტემის გამოკვლევას, დაფიქრდით იმაზე, თუ ჩოგორ ჯავშირიშია სახსრის აგებულება მის მოძრაობასთან.

▪ სინოვიური სახსრები

სახსრის ტიპი	შესახსრების ფორმა	მოძრაობა	მაგალითი
სფეროული (ბეთი და ბუდე)	ამობურცული ზედაპირი ჩაღრმავებულ ღრუში	დიდი ამპლიტუდით მოხრა, გაშლა, მოზიდვა, განზიდვა, ტრიალი, წრიული მოძრაობა	მხრები, თეძოები
ანჯამისებური	ბრტყელი	ერთ სიბრტყეში მოძრაობა, მოხრა, გაშლა	ფალანგთაშორისი სახსრები, იდაყვი
ჩოკისებური	ამოზნექილი ან ჩაზნექილი	სასახსრე ზედაპირების მოძრაობა არ არის განსაზღვრული	მუხლი, ქვედა ყბა

ჩვენს მიერ გამოკვლეული სახსრებიდან უმეტესობა არის სინოვიური, მოძრავი. სასახსრე ზედაპირების ფორმა განსაზღვრავს მოძრაობის მიმართულებას და ამპლიტუდას.

- *სფეროული სახსრები* აქვს ბეთის და ბუდის ჯონფიგურაცია – მომრგვალო, ამოზნექილი ზედაპირი ესახსრება ფიალისებურ ჩაღრმავებას, რაც დიდი ამპლიტუდით მოძრაობის საშუალებას იძლევა მხრებსა და მენჯის სახსრებში.
- *ანჯამისებური სახსარი* ბრტყელია ან ოდნავ ამოზნექილი, რაც მხოლოდ ერთ სიბრტყეში სრიალის საშუალებას იძლევა, ჩოგორიცაა თითების მოხრა და გაშლა.
- *ჩოკისებურ სახსარში*, ჩოგორიცაა მუხლი, სახსრის ზედაპირი ამობურცულია ან ჩაბურცული, რასაც ეწოდება ჯონდილა



სფეროული სახსარი (ბეთი და ბუდე)



ანჯამისებური სახსარი



ჩოკისებური სახსარი

აბგა. სახსრის მოძრაობას აადვილებს აბგა, უხეში ღისჯის ფორმის სინოვიური ჩანთა, რაც საშუალებას აძლევს ჯუნთებს და მყესებს ისრიალოს ერთმანეთის მიმართ სახსრის მოძრაობისას. ისინი მდებარეობენ ჯანსა და ძვლების ან სახსრის ამობურცულ ზედაპირზე (ილუსტრაცია მუხლის ჯვრისებური ზედა აბგა, გვ. 546) ან იმ უბნებში, სადაც მყესები ან ჯუნთები ეხება ძვლებს, მყესებს ან სხვა მყესებს და ჯუნთებს (ილუსტრაცია მხრების აკრომიონის ქვედა აბგა, გვ. 514).

სისუფთავის და პირადი ჰიგიენის დარღვევები დეპრესიის, შიზოფრენიის და *დემენციის* დროს. გარკვეობაზე გადაჭარბებული ზრუნვა აღინიშნება *აკვიატებული ნევროზის* დროს. სხეულის ცალ მხარეს მოუვლელობა შეიძლება შედეგი იყოს საპირისპირო ნახევარსფეროს ქერქის დაზიანების, ჩვენებრივ, არადომინანტურ მხარეს.

სახის გამომეტყველება. დააკვირდით ავადმყოფის სახეს მოსვენებულ მდგომარეობაში და როდესაც სხვებს ეკონტაქტება. საუბრის მსვლელობისას დააკვირდით სახის გამომეტყველების ცვლილებებს. შესაბამისია ეს ცვლილებები? თუ სახე შედარებით უძრავია?

შფოთვის, დეპრესიის, პარანოის, გაბრაზების, სიხარულის გამომეტყველება. სახის უძრაობა აღინიშნება პარკინსონიზმის დროს.

ქცევის მანერა, ადეკვატური შეფასების უნარი, პიროვნებასა და მოვლენებს შორის პირველობა. სახის გამომეტყველების, ხმის და სხეულის მოძრაობის შესწავლით შეაფასეთ ავადმყოფის აფექტი. საუბრის დროს შესაბამისად იცვლება, თუ აფექტი არის ღარიბული, სუსტი თუ უემოციოა? რომ არ არის ადგილისთვის შეუსაბამო?

გაბრაზება, მტრული განწყობა, ეჭვიანობა ან პარაგნოეროება პარანოიას. ზედმეტი სიხარული და ეიფორია აღინიშნება *მანიის* დროს. თანაბარი აფექტი და განდგომა

თუ არის, როგორ? დააკვირდით ავადმყოფის გახსნილობას, კონტაქტურობას, მის ჩაქცევას სხვა ადამიანებზე და გარემოზე. რომ არ გეჩვენებათ, რომ ავადმყოფი ხედავს ან ესმის ის, რასაც თქვენ ვერ ხედავთ ან ესაუბრება ვიღაცას, ვინც ოთახში არ არის?

მეტყველება და საუბარი

გამოკითხვის მსვლელობისას დააკვირდით ავადმყოფის მეტყველებას შემდეგი ნიშნების მიხედვით:

ჩაოდენობა. ავადმყოფი ბევრს ლაპარაკობს თუ შედარებით ჩუმია? მისი კომენტარები სპონტანურია თუ ზუსტად პასუხობს კითხვებზე?

სიხშირე. სწრაფად საუბრობს თუ ნელა?

სიმაღლე. ხმამაღლა ლაპარაკობს თუ ჩუმად?

სიტყვების ნარმოთქმა. სიტყვებს გასაგებად და სწორედ ნარმოთქვამს? ცხვირში ლაპარაკობს?

თავისუფლად საუბარი. მოიცავს საუბრის სიხშირეს, თავისუფლად და მეტ-ნაკლებად საუბარს და გამოყენებული სიტყვების ჩაოდენობას. ყურადღება მიაქციეთ სპონტანური საუბრის დაკვირვებს, როგორიცაა:

- ყოყმანი საუბრისას და სიტყვებს შორის პაუზები
- ინტონაციის ცვლილებები, როგორიცაა მონოტონური მეტყველება
- მიმავალსიტყვიანობა, როდესაც ფრაზები ან წინადადებებით შეცვლილია ის სიტყვები, რომელსაც ავადმყოფი ვერ ამბობს, მაგალითად "ფანქრით" - სიტყვის მაგივრად ამბობს: "რითაც თქვენ წერთ"
- პარაფრაზირება, როდესაც სიტყვები დამახინჯებული, არასწორია ან მოგონილია.

თუ ავადმყოფის საუბარი ზრს მოყლებულია ან თავისუფლად ვერ მეტყველებს, ჩაუტარეთ შემდგომი გამოკვლევები, როგორც ეს მომდევნო ცხრილშია მოცემული

▪ აფაზიის გამოკვლევა	
სიტყვების აღქმა	სთხოვეთ ავადმყოფს შეასრულოს თქვენი ერთ საფეხურიანი ბრძანება, როგორიცაა "დაწვენეთ ცხვირი", შემდეგ ორ საფეხურიანი ბრძანება: "დაწვენეთ პირი, შემდეგ მუხლი".
გამეორება	სთხოვეთ, გაიმეოროს ერთ-დასრულებიანი სიტყვებით შემდგარი ფრაზა
დასახელება	სთხოვეთ ავადმყოფს დაასახელოს საათის ნაწილები
ნაკითხულის აღქმა	სთხოვეთ ერთი აბზაცი ხმამაღლა ნაიკითხოს
წერა	სთხოვეთ, ერთი წინადადება დანეროს

მიზოფრენიისთვისაა დამახასიათებელი. აპათია (ყრუ აფექტი გაორებით და ინდიფერენტულობით) აღინიშნება *დემენციის* დროს. შფოთვა, დეპრესია.

შენელებული საუბარი *დეპრესიის* დროს; არჩევანებული და ხმამაღალი მეტყველება *მანიის* დროს

დისართრია ნიშნავს მეტყველების აპარატის დეფექტს. *აფაზია* არის ნარმოთქმის დარღვევა. იხ. ცხრილი 16-2, მეტყველების დარღვევები, გვ. 591.

ეს დარღვევები აფაზიაზე მიუთითებს. ავადმყოფს შეიძლება იმდენად უჭირდეს საუბარი ან აზრის გაგება, რომ ვერ შეძლოთ ანამნეზის შეგროვება. ასევე შეიძლება შეცდომით ფსიქოზურ დარღვევაზეც იფიქროთ.

ეს ტესტი დაბეჭდილებით დაადგინოთ, რა ტიპის აფაზია აქვს პაციენტს. დარწმუნდით, რომ მხედველობის, სმენის, ინტელექტის და განათლების დეფიციტი გავლენას ახდენს მეტყველებაზე. 16-2 ცხრილში: მეტყველების დარღვევები, გვ. 591, შედარებულია ორი ტიპის აფაზია □ ვერნიკეს-ს (ვერნიკეს) და ბროკა-ს (ბროკას). თუ ავადმყოფს წინადადების სწორად დანერა შეუძლია, მას აფაზია არ ალენიშნება

ᲒᲠᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ

გამოკითხვის განმავლობაში შეაფასეთ გრნება-განწყობა ავადმყოფის შეგრძნების გახსენებით. დაადგინეთ როგორია ავადმყოფის ჩვეული გრნება-განწყობა და როგორ იცვლება სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციაში. მაგალითად, "რას გრძნობთ ამის შესახებ?" ან უფრო ზოგადად "როგორი ხასიათი გაქვთ?" ასევე დაგეხმარებათ ნათესავების და მეგობრების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

გრნება-განწყობა მოიცავს დარდს და ღრმა მელანქოლიას; მხიარულებას, ეიფორიას და ჭარბ სიხარულს. სიბრაზეს და ირისხვას; შფოთვას და წუხილს; გაუცხოებას და ინდიფერენტულობას.

როგორია ავადმყოფის გრნება-განწყობა? როგორი ინტენსიობითაა გამოხატული? ცვალებადია თუ არა? რამდენ ხანს გრძელდება? შეესაბამება თუ არა ავადმყოფის გარემო პირობებს? დეპრესიის შემთხვევაში ხომ არ აღინიშნება ანეული გრნება-განწყობის ეპიზოდები, რაც მიუთითებს ბიპოლარულ დარღვევაზე?

დეპრესიული და ბიპოლარული დარღვევების დროს იხ. ცხრილი 16-1, გრნება-განწყობის დარღვევები, გვ. 590.

თუ დეპრესიის არსებობას ვარაუდობთ, შეაფასეთ მისი სიღრმე და სუიციდის რისკი. გამოგადგებათ შემდეგი კითხვები, რასაც მიჰყვებით ავადმყოფის დადებითი პასუხების მიღების მიხედვით:

- მნიშვნელოვნად ხომ არ ითრგუნებით (ან ხართ დეპრესიული ან მონყენილი)?
- რამდენად დაქვეითებული გაქვთ გრნება-განწყობა?
- როგორ ხედავთ თქვენთვის მომავალს?
- ხომ არ გრძნობთ, რომ სიცოცხლე არ არის სასიამოვნო? ან ფიქრობთ, რომ მაღე უნდა მოკვდეთ?
- როდისმე ხომ არ გიფიქრიათ თავის მოკვლაზე?
- როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?
- ხა მოხდება თქვენი სიკვდილის შემდეგ?

სუიციდური აზრების შესახებ გამოკითხვა ავადმყოფს არ უნერგავს იდეებს, ეს არის მხოლოდ ინფორმაციის მიღების საშუალება. მართალია, თქვენ შეიძლება გაგიძნელდეთ ამ საკითხის გარკვევა, ბევრი პაციენტი თავისუფლად ლაპარაკობს თავის ფიქრებზე ექიმთან, ზოგჯერ მნიშვნელოვან შვებასაც გრძნობს. ამ საუბრის დროს, უნდა არჩენოთ თქვენი ინტერესი და მოსაზრებები ამ საკითხზე და სიცოცხლისთვის საშიშ პირობებზე. ამ საკითხების გარკვევის გარეშე შეიძლება გამოგრჩეთ პაციენტის დაავადების მნიშვნელოვანი დეტალები.

ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ

ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. შეაფასეთ ავადმყოფის აზროვნების პროცესის ლოგიკა, შესაბამისობა, ორგანიზებულობა და თანმიმდევრულობა გამოკითხვის პროცესში. ვითარდება თუ არა ლაპარაკი მიზნის მიმართულებით? ამ დროს ლაპარაკს იყენებთ, როგორც ავადმყოფის ტვინის ფანჯარას.

დაკვირვებათა მომდევნო ცხრილში მოცემულ მეტყველების თავისებურებებს, რაც აზროვნების დახასიათებაზე მიუთითებს.

▪ *აზროვნების პროცესის ვარიაციები და დარღვევები*

დეტალურობა	მეტყველება ხასიათდება ზედმეტად დაწვრილებითობით, ზედმეტად ბევრად სცილდება თემას და მოიცავს უამრავ არაუცილებელ დეტალს, ამავე დროს აღნიშნულობითი ნაწილები აზრობრივად დაკავშირებულია. ბევრი ადამიანი, რომელსაც შენტალური დარღვევები არ აღენიშნება, დეტალურად საუბრობს. აღინიშნება ასევე ობსესიური აზრების მქონე ადამიანებში
აზროვნების გაწყვეტა (ბლოკირების დაკარგვა)	ლაპარაკის დროს ავადმყოფი უცებ საკითხიდან მეორეზე ხტება. რომელიც არ არის დაკავშირებული წინასთან ან ძალიან დაკავშირებული, და პაციენტი ვერ აცნობიერებს, რომ ეს საკითხები ერთმანეთთან აზრობრივ კავშირში არ არის. აზრები გზიდან უხვევს წინადადებებში და არა წინადადებებს შორის. აღინიშნება *შიზოფრენიის, მანიაკალური ეპიზოდების* და სხვა *ფსიქოზური დარღვევების* დროს
აზრების ხტომა (აზრების ტორიანტელი)	ხანგრძლივი და არჩევებული საუბარი, როდესაც ავადმყოფი მკვეთრად ცვლის საუბარს და ერთი საკითხიდან მეორეზე გადადის. ცვლილებები ჩვეულებრივ ემყარება გაუგებარ ასოციაციებს, სიტყვების თამაშს ან გამაღიზიანებლისგან თავის არიდებას (დათრგუნვას), მაგრამ აზრები არ ჰქონიათ დიალოგში. ყველაზე ხშირად აღინიშნება *მანიაკალური ეპიზოდების* დროს
ნეოლოგიზმი	დამახინჯებული ან ამოყირავებული სიტყვების ან ახალი და ძალიან განსხვავებული სიტყვების გამოყენება. აღინიშნება *შიზოფრენიის*, სხვა *ფსიქოზური დარღვევების* და *აფაზიის* დროს
აზროვნების დაუკავშირებლობა (აღოგიკურობა)	ლაპარაკი, რომელიც ძალიან შეუთანხმებელია აღოგიკურობის გამო, დაკარგულია აზრობრივი კავშირები, მკვეთრად იცვლება თემები, გრამატიკული წესები და სიტყვების გამოყენება. წინადადებებში ვინდება თემების გადანაცვლება. მძიმედ გამოხატული აზრების ხტომა იწვევს აღოგიკურობას. ვინდება მძიმე ფსიქოზური დარღვევების დროს (ჩვეულებრივ *შიზოფრენიის* დროს)
ბლოკირება	აზრის უცაბედი გაწყვეტა წინადადების მიგნით ან აზრის დამთავრებამდე. დაკავშირებულია ხოლმე აზრის დაკარგვასთან. ბლოკირება ვინდება ჯანმრთელებშიც. ბლოკირება შეიძლება განვითარდეს *შიზოფრენიის* დროს
კონფაბულაცია	შეკითხვების მიხედვით ფაქტების და მოვლენების შეთხზვა, რათა შეავსოს დაქვეითებული მეხსიერება. ხშირია *ამნეზიის* დროს
პერსევერაცია	სიტყვების და აზრების ხანგრძლივი და ხშირი გამეორება. ვინდება *შიზოფრენიის* და სხვა *ფსიქოზური დარღვევების* დროს
ეჭოლალია	სხვისი სიტყვების და ფრაზების გამეორება. ვინდება მანიაკალური ეპიზოდებისა და *შიზოფრენიის* დროს
აკატაფაზია (ენეხადობა)	ავადმყოფი ლაპარაკის დროს სიტყვებს არჩევს ენეხადობის, და არა მნიშვნელობის მიხედვით, როგორც ჰიტმული საუბრისა და სიტყვების თამაშის დროს. ვინდება *შიზოფრენიის* და *მანიაკალური ეპიზოდების* დროს

აზრების შინაარსი. საუბრის დროს უნდა შეაფასოთ, მონოდებული ინფორმაცია რამდენად შეესაბამება ავადმყოფის აზროვნების შინაარსს. უპირველია მიჰყვეთ ჩვეულებრივ საუბარს, ვიდრე გამოიყენოთ სპეციფიკური კითხვების სტანდარტული ჩამონათვალი. მაგალითად, "ხანმოკლე ხნით ადრე თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენი ავადმყოფობა მეზობლის ბრალია. შეგიძლიათ უფრო მეტი მითხრათ ამის შესახებ?" ან სხვა სიტუაცია, "ასეთ დროს რას ფიქრობთ ხოლმე?"

შეიძლება დაგჭირდეთ უფრო მეტი კითხვის დასმა. ასეთ შემთხვევაში, ეს კითხვები გამოიყენეთ ტაქტიანად და შესაბამისი ტემპით. "როდესაც ადამიანები თქვენსავით შეწუხებულები არიან, ზოგჯერ არ შეუძლიათ გარკვეულ აზრებს ყურადღება არ მიაქციონ," ან ". . . მოვლენები ეჩვენებათ არა ჩვეულებრივ. თქვენ ხომ არ გქონიათ ასეთი განცდა?"

ამისათვის გაარჩევიეთ ცხრილში ნაჩვენები მახასიათებლები.

■ *აზროვნების მინაარსის დარღვევები*

ძალდატანება	განმეორებადი ქცევები ან გონებრივი აქტები, რითაც თითქოს ადამიანი იმართება, რათა შეასრულოს ან ხელი შეუშალოს რაიმე მოვლენას, თუმცა ამ მოქმედების შედეგი არარეალურია.
აჯვიატებული აზრები	განმეორებადი, არაკონტროლირებადი აზრები, წარმოდგენები ან იმპულსები, რასაც ავადმყოფი განიხილავს როგორც მისეულებს და უცხოს.
ფობიები	ხანგრძლივი, არარაციონალური შიშები, რასაც ახლავს დაუძლეველი სურვილი გაექცეს ამ გამაღიზიანებელს.
შფოთვები	ცუდი წინათგრძნობა, შიშები, დაძაბულობა, ღელვა, რომელიც შეიძლება ფოკუსირებული იყოს (ფობია) ან განუსაზღვრელი (განუსაზღვრელი შიშის ან მოსალოდნელი ხიფათის ზოგადი შეგრძნება)
არარეალობის შეგრძნება	შეგრძნება იმისა, რომ გარემო საგნები არარეალურია, უცნაური ან ძალიან დამოუკიდებელი.
დეპერსონალიზაციის შეგრძნება	საკუთარი თავის შეგრძნების შეცვლა ან არარეალურად შეგრძნება, ანუ იდენტურობის დაკარგვა ან გონებისა და სხეულის განცალკევების შეგრძნება.
ბოდვები (მანიები)	ცრუ, ფიქსირებული, პირადული ხასიათის ავადმყოფის პირადული ყურადღების ამ მისი ნაწილის ნარმოდგენები. მაგალითები: ■ *დევნის მანია* ■ *განდიდების მანია* ■ *ეჭვიანობის მანია* ■ *დამოკიდებულების მანია*, როდესაც ავადმყოფს სჯერა, რომ გარეშე მოვლენებს, საგნებს ან ადამიანებს აქვთ განსაკუთრებული და ურყევი მნიშვნელობა (მაგალითად, სჯერა, რომ რადიო ან ტელევიზორი მის შესახებ აკეთებს კომენტარს ან აძლევს ინსტრუქციებს) ■ *გაკონტროლების მანია* გარეშე ძალის მიერ ■ *სომატური მანია* ავადმყოფობის, დარღვევების ან ფიზიკური დეფექტის არსებობაზე ■ *სისტემატიზებული ბოდვები*, ერთი ბოდვა, რომელსაც მარტივი განვითარება აქვს ან ბოდვათა ჯგუფი ერთი თემის გარშემო, რომლებიც სისტემატიზირებულია ერთ კომპლექსში.

ძალდატანება, აჯვიატებული აზრები, ფობიები და *შფოთვები* ხშირად დაკავშირებულია ნევროლოგიურ დარღვევებთან. იხ. ცხრილი 16-3, შფოთვითი დარღვევები, გვ. 592

ბოდვები, არარეალობის და დეპერსონალიზაციის შეგრძნებები უფრო ხშირად ახლავს *ფსიქოზურ დარღვევებს*. იხ. ცხრილი 16-4, ფსიქოზური დარღვევები (გვ. 593). ბოდვები ასევე ვლინდება დეპრესიის, ღრმა ემოციური აშლილობის და დემენციის დროს

აღქმა. გამოკითხეთ ცარიელ აღქმის შესახებ ისევე, როგორც იკვლევთ აზროვნების მინაარსს. მაგალითად, "როდესაც ხმა გესაუბრებოდათ, არა გითხრათ? როგორ შეიგრძნეთ?" ან როდესაც ბევრს სვამთ, ხომ არ ხედავთ ისეთ საგნებს, რაც ნამდვილად არ არის?" ან "ზოგჯერ ასეთი დიდი ოპერაციის შემდეგ ადამიანებს ესმით განსაკუთრებული ან საშიში ამბები.

ამის მსგავსი ხომ თქვენც ხომ არ მოგსვლიათ?" აღქმის შესწავლისთვის განიხილეთ აღქმის შემდეგი დარღვევები.

აღქმის დარღვევები

ილუზიები	ჩვეული გარეშე სტიმულების არასწორი ინტერპრეტაცია. ილუზიები შეიძლება გამოვლინდეს ძლიერი დარღვის, *დელირიუმის*, მწვავე და *პოსტტრავმული სტრესის* და *შიზოფრენიის* დროს
ჰალუცინაციები	შესაბამისი გარეშე არ არსებული გამაღიზიანებლის სუბიექტური სენსორული აღქმა. პიროვნებას შეუძლია არ გაარჩიოს ჩვეული არარსებულისგან. ჰალუცინაცია შეიძლება იყოს სმენითი, მხედველობითი, გემოვნებითი, ტაქტილური (შეხებითი) ან სომატური. (მორჩენებითი აღქმა, რომელიც დაკავშირებულია სიზმართან, დაძინების და გაღვიძების მომენტთან, არ მიეკუთვნება ჰალუცინაციებს)

ჰალუცინაციები შეიძლება გამოვლინდეს *დელირიუმის, დემენციის* (უფრო იშვიათად), *პოსტტრავმული სტრესის, შიზოფრენიის* და აღკოჰოლიზმის დროს

აღქვამტური შეფასების უნარი და მსჯელობა. ამ ნიშნების შეფასება ყველაზე ხარგად ხდება გამოკითხვის დროს.

აღქვამტური შეფასების უნარი. თქვენს მიერ დასმული ზოგიერთი სანყისი შეკითხვა ხშირად მნიშვნელოვან ინფორმაციას განვდით ავადმყოფის გამჭრიახობაზე: "რა მიზეზით მოხვედით საავადმყოფოში?" "რა განუხებთ?" "თქვენი აზრით რაში მდგომარეობს თქვენი პრობლემა?" უფრო დანვრილებით შესწავლისთვის, დაკვირდით, იცის თუ არა ავადმყოფმა, მისი სპეციფიკური განწყობა აზროვნება ან აღქმა დარღვეულია თუ დაავადების ნაწილია.

ფსიქოზური დარღვევების მქონე ავადმყოფს ხშირად დაქვეითებული აქვს გამჭრიახობა. ავადმყოფობის უარყოფა შეიძლება გამოვლინდეს ზოგიერთი ნევროლოგიური დარღვევის დროს

მსჯელობა. ავადმყოფის მსჯელობის უნარი შეგიძლიათ შეაფასოთ გარკვევით, თუ როგორ ჩვეულებს იგი ოჯახურ სიტუაციებზე, სამსახურში, როგორ ხარჯავს ფულს, როგორ იქცევა ადამიანებს შორის ურთიერთობის სიტუაციებში. "როგორ გეგმავთ იმ დახმარების მიღებას, რომელიც დაგჭირდებათ საავადმყოფოდან განწერის შემდეგ?" "როგორ დაგეგმავთ ცხოვრებას სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში?" "როგორ მოიქცევით, თუ თქვენი მეუღლე ხვალ უხეშად მოგექცევათ? " "ვინ მეთვალყურეობს თქვენს ფინანსურ საკითხებს, სანამ თქვენ მოხერებულთა თავშესაფარში იქნებით?"

მსჯელობის უნარი შეიძლება დაქვეითებული იყოს დელირიუმის, დემენციის, ფსიქიკური დარღვევების და ფსიქოზური მდგომარეობის დროს. შფოთვა, გუნება-განწყობის დარღვევა, ინტელექტი, განათლება, შემოსავალი და კულტურა ასევე გავლენას ახდენს მსჯელობის უნარზე.

დაადგინეთ, გადანყვეტილების მიღება და მოქმედება ემყარება ჩვეულებას, მაგალითად, გამაღიზიანებელს, სიამოვნების მიღების სურვილს თუ აზროვნების დარღვევას. რა უდევს საფუძვლად ავადმყოფის გადანყვეტილებებს და ქცევებს? კულტურის სხვადასხვაობა როგორ შეესაბამება ზრდასრულთა სტანდარტებს? ვინაიდან მსჯელობა ასახავს ზრდასრულობას, ის შეიძლება ცვალებადობდეს და არაპროგნოზირებადი იყოს მოზარდებში.

დეზორიენტაცია განსაკუთრებით ხშირად ვლინდება, როდესაც მეხსიერება ან ყურადღება დაქვეითებულია, როგორც დელირიუმის დროს.

კოგნიტური ფუნქციები

ორიენტაცია. კარგად შეკრებილი კითხვებით ხშირად შეგიძლიათ გაარკვიოთ ავადმყოფის ორიენტაციის უნარი. მაგალითად, შეგიძლიათ ჰკითხოთ ძალიან ბუნებრივად განსაკუთრებულ თარიღსა და დროზე, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ოჯახის წევრების სახელები ან რა

გზით მოვიდა საავადმყოფოში. ზოგჯერ, მაგალითად, ხოლესაც ხელმეორედ იკვლევთ დელირიუმის მქონე ავადმყოფის მდგომარეობას, შეიძლება მარტივი, პირდაპირი კითხვები გამოიყენოთ.

"შეგიძლიათ მითხრათ, რომელი საათია . . . და რა დღეა?" ასევე ავადმყოფის ორიენტაციის უნარი შეიძლება შემდეგნაირად შეამოწმოთ:

- *დრო* – საათი, კვირის დღე, თვე, სეზონი, თარიღი და წელი, ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა
- *ადგილი* – ავადმყოფის მისამართი, საავადმყოფოს, ქალაქის და შტატის დასახელება
- *პიროვნება* – ავადმყოფის სახელი, ნათესავების და პროფესიული პერსონალის სახელები

ყურადღება. ყურადღების შესასწავლად შემდეგი ტესტები გამოიყენება:

ჩისხვების ანბანში. აუხსენით, რომ თქვენ გსურთ შეამოწმოთ ავადმყოფის კონცენტრაციის უნარი, ასევე აუხსენით, რომ ამ ტესტის ჩატარება უჭირთ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ტკივილი, ცხელება ან ავად არიან. დაიწყეთ ციფრების ჩამოთვლა გარკვევით და ნელა, ორი ციფრი ნამში. სთხოვეთ ავადმყოფს, თქვენს შემდეგ გაიმეოროს ციფრები. თუ სწორად იმეორებს, ტესტი გაიმეორეთ სამ-სამი ციფრის თქმით, შემდეგ ოთხი და ასე შემდეგ, მანამდე, სანამ ავადმყოფი სწორად იმეორებს. ჩაინერეთ ხოლმე ის ციფრები, რომელსაც ამბობთ, რათა ტესტი ზუსტად ჩაატაროთ. თუ ავადმყოფი შეცდომას დაუშვებს, ხელახლა სცადეთ სხვა ციფრებით იგივე მეთოდით. ტესტი შეწყვიტეთ, როდესაც ავადმყოფი მეორე შეცდომას დაუშვებს.

ტესტის ცუდი შესრულების მიზეზებია *დელირიუმი, დემენცია, ფსიქიკური დარღვევები* და მწოთვა.

ციფრების არჩევისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ქუჩის ნომრები, საფოსტო ინდექსი, ტელეფონის ნომერი და სხვა ციფრული თანმიმდევრობა, რაც თქვენთვის ნაცნობია, მაგრამ არ გამოიყენოთ ერთმანეთის მომდევნო ციფრები, აგრეთვე გასაგები თარიღები და ავადმყოფისთვის კარგად ნაცნობი თანმიმდევრობა.

ამის შემდეგ, სთხოვეთ ავადმყოფს, ციფრები გაიმეოროს შებრუნებით.

ნორმაში, ადამიანს უნდა შეეძლოს გაიმეოროს 5 ციფრი მიყოლებით და 4 ციფრი შებრუნებით.

7ბ სერია. აუხსენით ავადმყოფს, დაიწყოს ასიდან და გამოაკლოს 7, შემდეგ სხვაობას გამოაკლოს 7 და ა.შ. დააკვირდით, რა ძალისხმევა სჭირდება ამ დავალების შესრულებისთვის, რა სისწრაფით და სისწორით ანგარიშობს. ნორმალურად, ადამიანი ანგარიშს ამთავრებს 1.5 წთ-ში და აკეთებს 4-ზე ნაკლებ შეცდომას. თუ ავადმყოფი ამ ტესტს ვერ ასრულებს, სცადეთ 3ბ ტესტი იგივე მეთოდით.

ტესტის ცუდი შესრულება შეიძლება იყოს დელირიუმის, დემენციის ბოლო სტადიის, გონებრივი ჩამორჩენის, ანგარიშის უნარის დაკარგვის, მწოთვის ან დეპრესიის შედეგი. ასევე შესაძლებელია გაუნათლებლობის ბრალიც იყოს.

სიტყვის უკუღმა ჩამოთვლა. ეს ტესტი შეიძლება გამოიყენოთ 7ბ-ს მაგივრად. წარმოთქვით ხუთასოიანი სიტყვა სიტყვად და სთხოვეთ ავადმყოფს, უკუღმა გაიმეოროს.

ხანგრძლივი მეხსიერება. ჰკითხეთ დაბადების დღე, საიუბილეო თარიღები, სოციალური დაზღვევის ნომერი, სკოლის მასწავლებლების სახელები, სამსახურების დასახელებები, წარსულის ამბები, როგორიცაა ომები, რომლებიც ავადმყოფის წარსულს ეხებოდა.

ხანგრძლივი მეხსიერება ქვეითდება *დემენციის* ბოლო სტადიაზე.

ხანმოკლე მეხსიერება. წინა დღეების მოვლენები. დაუსვით კითხვები, რომლის პასუხებითაც შეგიძლიათ შეამოწმოთ სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, აღენიშნება თუ არა ავადმყოფს კონფაბულაცია (მეხსიერების დეფექტის გამო ფაქტების შეთხზვა). შეგიძლიათ ჰკითხოთ, როგორი ამინდი იყო ამ დღეებში, დღევანდელი შეხვედრის დრო, რა წამლები მიიღო და რა ლაბორატორიული

ხანმოკლე მეხსიერება ქვეითდება *დემენციის* და *დელირიუმის* დროს. *ამნეზიური დარღვევები* აკარგვინებს მეხსიერებას ან ახალი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და აქვეითებს

გამოკვლევები ჩაიტარა დღეს. (შეკითხვით, თუ ხა მიიხთვა საუზმეზე, დაგიზოგავთ დროს, სანამ გაარკვევთ ავადმყოფის პასუხების სიზუსტეს).

ახლის მეხსიერების ტესტი. მიეცით პაციენტს სამი ან ოთხი ახალი სიტყვა, მაგალითად, "83, ნყაღი, ქუჩა და ღუჭი" ან "მაგიდა, ყვავილი, მწვანე, და ჰამბურგერი". სთხოვეთ, გაიმეოროს ისე, რომ დარწმუნებული იყოთ, რომ ინფორმაცია გაგონილი და აღქმულია. ეს მაგალითი, ისევე როგორც ციფრების დათვლის ტესტი, ამოწმებს ყურადღებასა და სწრაფი პასუხის შესაძლებლობას. შემდეგ გადაიტან გამოკითხვის შემდეგ ნაწილზე. დაახლოებით 3 ან 5 წუთის შემდეგ სთხოვეთ, გაიმეოროს დასახელებული სიტყვები. ყურადღებით დააკვირდით პასუხს, სწორია თუ არა, ხომ არ აქვს ადგილი კონფაბულაციას (ფაქტების შეთხზვას). ნორმაში ადამიანმა უნდა შეძლოს სიტყვების გამეორება.

ადამიანის სოციალურ და საქმიანობით ფუნქციებს, მაგრამ არ გააჩნია დემენციის და დელირიუმის ძირითადი ნიშნები. შფოთვა, დეპრესია და გონებრივი ჩამორჩენა ასევე მოქმედებს ხანმოკლე მეხსიერებაზე.

კოგნიტური ფუნქციები

ინფორმაცია და ლექსიკონი. როდესაც ავადმყოფს ყურადღებით ვუკვირდებით, ინფორმაცია და ლექსიკონი დაგეხმარებათ ავადმყოფის ინტელექტის გარკვევაში. შეაფასეთ ეს საკითხები გამოკითხვის დროს. მაგალითად, სტუდენტს ჰკითხეთ, რომელია მისი საყვარელი ჯუნი, ჰკითხეთ სამუშაოს, ხობის შესახებ, რას კითხულობს, რომელი სატელევიზიო გადაცემა მოსწონს ან მიმდინარე მოვლენების შესახებ. ეს საკითხები გარკვიეთ ჯერ მარტივი კითხვებით, შემდეგ უფრო რთულით. გაარკვიეთ ბრიტანების ინფორმაციის მიღების უნარი, აზრების გამოხატვის კომპლექსურობა და ლექსიკა.
უფრო მეტიც, შეგიძლიათ ჰკითხოთ უფრო სპეციფიკური ფაქტების შესახებ:

ადამიანის ცნებების და განათლების გათვალისწინებით, ინფორმაცია და ლექსიკონი ყარგად ასახავს ინტელექტს. ეს თვისებები შეიძლება შეეხებით შეუსაბამო იყოს უმეტესობა ფსიქიატრიული დარღვევების დროს და შეიძლება დაგეხმაროთ გარკვიოთ გონებრივად შეზღუდული მოზრდილები (რომელთა ინფორმაცია და ლექსიკონი შეზღუდულია) მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დემენციის მქონე ავადმყოფებისგან (რომელთაც ინფორმაცია და ლექსიკონი დამაკმაყოფილებელია).

ჰეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან მთავრობის წევრების სახელები

ბოლო ოთხი ან ხუთი პრეზიდენტის სახელი

ქვეყნის ხუთი დიდი ქალაქის სახელი

ანგარიშის უნარი. ანგარიშის უნარი შეამოწმეთ არითმეტიკული ანგარიშით, დაიწყეთ მარტივი მიმატების მაგალითებით ("რამდენია 4+3?. . .8+7?") და გამრავლებით ("რამდენია 5×6? . . . 9×7?"). ტესტი შეიძლება გართულოთ რთნიშნა რიცხვების გამოყენებით ("15+12" ან "25×6") ან უფრო გრძელი მაგალითების დანერით.

ტესტის ცუდი შესრულება დემენციის ნიშანია ან შეიძლება ნერვიულობის. თუმცა შეიძლება შეფასდეს პაციენტის ინტელექტის და განათლების დონის განსაზღვრის თვალსაზრისით.

ასევე შეგიძლიათ დაუსვათ ფაქტიურად და ფუნქციურად მნიშვნელოვანი კითხვები, როგორიცაა "თუ რაიმე ღირს 78 ცენტი და გამყიდველს 1 დოლარი მიეცით, ხურდას რამდენს დაგიბრუნებთ?"

აბსტრაქტული აზროვნება. აბსტრაქტული აზროვნება ორი ხერხით შეგიძლიათ შეამოწმოთ.

ანდაზები. ჰკითხეთ ავადმყოფს, რა იგულისხმება შემდეგ ანდაზებში:

ეთი დროული დარტყმა ცხრას უდრის

ნუ დაითვლით ნინილებს გამოჩეკამდე

იმისთვის, რომ ბუდინგი შეაფასოთ, უნდა შეჭამოთ

კონკრეტულ პასუხებს იძლევიან გონებრივი შეზღუდვის, დელირიუმის და დემენციის მქონე პირები, მაგრამ შეიძლება მცირე განათლების შედეგი იყოს. *შიზოფრენიით* ავადმყოფები შეიძლება კონკრეტულ პასუხებს იძლეოდნენ ან პერსონალური, არასწორი ინტერპრეტაციით პასუხობდნენ.

მოესვენახი ადამიანი სიკეთეს ვეჰ მოიპოვებს

ჭიანჭველა ბოხბაღი დაზეთვას საჭიროებს

დაკავშირებით პასუხების შესაბამისობას, კონკრეტულობასა და აბსტრაქტულობას. მაგალითად, "გახეული ადგილი უნდა შეკეთოთ, სანამ გადიდდება" კონკრეტულია, მაშინ, როდესაც პასუხი: "პრობლემაზე ყურადღების გამახვილება სიტუაციას აგვცილებთ" აბსტრაქტულია. საშუალოდ, პაციენტები იძლევიან აბსტრაქტულ ან ნახევრად აბსტრაქტულ პასუხებს.

მსგავსება. სთხოვეთ ავადმყოფს, შეადაროს:

ფორთოხალი და ვაშლი

კატა და თაგვი

ბავშვი და კუკა

ეკლესია და თეატრი

პიანინო და ვიოლინო

ხე და ნახშირი

დაკავშირებით პასუხების სიზუსტეს და შესაბამისობას. მაგალითად, "კატასც და თაგვსც ცხოველებია" აბსტრაქტულია, "ორივეს კუდი აქვს" კონკრეტულია და "კატა ნადირობს თაგვზე" ის არის შესაბამისი.

კონსტრუქციის უნარი. ამ ტესტის ამოცანაა მზარდი სირთულის საგნების კოპირება შავი ფეხის ქალაღდით. ჩიგ-ჩიგობით აჩვენეთ ეს ფიგურები და სთხოვეთ მათი ასლები გააკეთოს ჩამდენადაც შეუძლია.

ქვემოთ მოცემული სამი ჩომბი არის კუდი, სამკუთხა და კარგი) მაგრამ არა საკუთხოსო)[20]



ეს სამი სავარჯიშო კუდი, სამკუთხა და კარგი).[20]

სხვა მაგალითში სთხოვეთ ავადმყოფს დახატოს საათის ციფერბლატი ისრებითა და ისრებით. ქვემოთ ნაჩვენებია ნიმუში საკუთხოსო.[20]





თუ მხედველობა და მოტორიკა ინტაქტურია, კუდი კონსტრუირების უნარი მიუთითებს დემენციაზე და ნათხემის დაზიანებაზე. გონებრივი ჩამორჩენა ასევე შეიძლება ამ ტესტის კუდად ჩატარების მიზეზი იყოს.

სპეციალური მეთოდები

მინი-მენტალური მდგომარეობის გამოკვლევა (Mini-Mental State Examination - MMSE). ეს მოკლე ტესტი შემეცნების ფუნქციის დაქვეითების ან დემენციის გამოსაკვლევად და მათ მიმდინარეობაზე დაკვირვებისთვის გამოიყენება. ამ ტესტის დანვრილებით განხილვისთვის გაეცანით Publisher, Psychological Assesment Resources, Inc., 16204 North Florida Avenue, Lutz, Florida 33549. ქვემოთ მოყვანილია ჰამოღენიმე ნიმუში შეკითხვების

MMSE კითხვების ნიმუშები

ღრმა ორიენტაცია
"ჰა ჩიცხვია ღღეს?"
რეგისტრაცია
"ყურადღებით მომისმინეთ. ეხლა მე ვიტყვი სიტყვებს. ამის შემდეგ თქვენ უნდა გაიმეორთ ეს სიტყვები, ჩოღესაც მე გავჩერდები. მზად ხართ? ეს სიტყვებია . . . სახლი (ჰაუზა), მანქანა (ჰაუზა), ტბა (ჰაუზა). ახლა გაიმეორეთ ეს სიტყვები." [გაიმეორეთ ხუთჯერ, მაგრამ შეაფასეთ მხოლოდ პირველი]

დასახელება
"ჰა არის ეს?" [აჩვენეთ ფანქარი ან კალამი]
კითხვა
"წაიკითხეთ ეს ტექსტი და გააკეთეთ ის, რაც ნერია" [აჩვენეთ სიტყვები სტიმულის ფორმით]
დახატეთ ფიგურები

მიღებული მონაცემების ჩანერა

იხ. თავი 17. ნერვული სისტემა: თავის ტვინის ნერვები, მოტორული სისტემა, სენსორული სისტემა და რეფლექსები, გვ. 595-667.

CITATIONS

1. Belmaker RH. Bipolar disorder. N Engl J Med 351(5): 476-486,2004.
2. Fricchione G. Generalized anxiety disorder. N Engl J Med 351(7):675-682, 2004.
3. U.S. Preventive Services Task Force. Screening for depression. In Guide to Clinical Preventive Services, 2nd ed. pp. 541-546. Baltimore, Williams & Wilkins, 1996. Also available at: Guide to Clinical Preventive Services, 3rd ed.
4. Kessler RC, Berglund P, Demler O, et al. The epidemiology of major depressive disorder: results from the National Comorbid-ity Survey Replication (NCS-R). JAMA 289(23):3095-3105, 2003.
5. Katon W, Schulberg H. Epidemiology of depression in primary care. Gen Hosp Psychiatry 14(4):237-247, 1992.
6. U.S. Preventive Services Task Force. Screening for depression: recommendations and rationale. Ann Intern Med 136(10): 760-764,2002.
7. Whooley MA, Avins AL, Miranda J, et al. Case-finding instruments for depression. Two questions are as good as many. J Gen Intern Med 12:439-445, 1997.
8. Williams JW, Noel PH, Cordes JA, et al. Is this patient clini-cally depressed? JAMA 287(9):1160-1170, 2002.
9. Beck Depression Inventory (BDI).
10. Zung Self-Rating Depression Scale (SDS).
11. Goldsmith SK et al (Eds). Re-ciuring Suicide: A National Imperative. Washington, DC: In-stitute of Medicine National Academics Press, 2002.
12. National Institutes of Mental Health. Suicide facts and statistics. Accessed December 4, 2004.
13. Schreiber J, Culpepper L, Fife A. Suicidal Ideation and behav-ior in adults. Available at: www.utdol.com
14. American Psychiatric Association. Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 4th ed. Washington, DC, APA Press, 1994.
15. Boustani M, Peterson B, Hanson L, et al. Screening for de-mentia in primary care: a Summary of the evidence for the U.S. Preventive Services Task Force. Ann Intern Med 138;927-937,2003.
16. Hebert LE, et al. Agr-specific inci-dence of Alzheimer's disease in a community Population. JAMA 273(17):1354-1359, 1995.
17. Kawas CH. Early Alzheimer's disease. N Engl J Med 349(11):1056-1063, 2003.
18. U.S. Preventive Services Task Force. Screening for dementia. Recommendations and rationale. Accessed December 4, 2004.
19. U.S. Preventive Services Task Force. Screening for dementia. In Guide to clinical Preventive Services, pp. 531-541. Balti-more, Williams & Wilkins, 1996.
20. Strub RL, Black FW. The Mental Status Examination in Neu-rology, 2nd ed. Philadelphia, FA Davis, 1985.

ADDITIONAL REFERENCES

American Psychiatric Association. Diagnostic and Statistical Man-ual of Mental Disorders, 4th ed., text revision. Washington, DC, American Psychiatric Association, 2000.

Antai-Otong D. Managing geriatric psychiatric emergencies: delir-ium and dementia. Nurs Clin North Am 38(1):123-135, 2003.

Cotfey CE, Cummings JL. American Psychiatric Press Textbook of Geriatric Neuropsychiatry, 2nd ed. Washington, American Psychiatric Press, 2000.

Folstein M, Folstein SE, Mchugh PR. "Mini-mental state." A prac-tical method for grading the cognitive state of patients for the clinician. J Psych Res 12(3):189-198, 1975.

Hales RI;, Yudotsky SC (eds). Essentials of Clinical Psychiatry, 2nd ed. Washington, DC, American Psychiatric Press, 2004.

Iwoma JB, Martin CE, Pearson JL. Contact with mental health and primary care providers before suicide: a review of the evidence. Am J Psychiatry 159(6):909-916, 2002.

Sadock BJ, Sadock VA, Kaplan HI (eds). Kaplan & Sadock's Com-prhensive Textbook of Psychiatry, 8th ed. Philadelphia, Lippin-cott Williams & Wilkins, 2005.

Schiffer RB, Rao SM, Fogel BS (eds.). Neuropsychiatry. Philadel-phia, Lippincott Williams & Williams, 2002.

Weisner C, Mertens J, Parthasarathy S, et al. Integrating primary medical care with addition treatment: a randomized controlled trial. JAMA 286(14):1715-1723, 2001.

გუნება-განწყობის დარღვევები

გუნება-განწყობის დარღვევები შეიძლება იყოს დეპრესიული და ბიპოლარული. ბიპოლარული დარღვევები მოიცავს მანიაჯალის, ჰიპომანიაჯალის ან დეპრესიის ნიშნებს. ქვემოთ აღწერილი *ოთხი ეპიზოდი* სხვადასხვანაირადაა გაერთიანებული გუნება-განწყობის დარღვევების მიხედვით. ღრმა დეპრესიული სინდრომი მოიცავს მხოლოდ ერთ ან მეტ ღრმა დეპრესიის ეპიზოდს. *ბიპოლარული I დარღვევა* მოიცავს ერთ ან მეტ მანიის ან შერეულ ეპიზოდს, ხასაც ჩვეულებრივ ახლავს ღრმა დეპრესიის ეპიზოდი. *ბიპოლარული II დარღვევა* მოიცავს ერთ ან მეტ ღრმა დეპრესიის ეპიზოდს, ხასაც ახლავს სულ ცოტა ერთი ჰიპომანიის ეპიზოდი. *ციკლოთიმია* და *ციკლოთიმია* ქრონიკული და ნაკლებად მძიმე მდგომარეობაა, ხასაც არ ახლება სხვა დარღვევების ჩრიტერიუმები. თერაპიული დაკვირვებებით და ნეირობიოლოგიური გამოკვლევებით გამონაკლისი გუნება-განწყობის დარღვევები ცალკე კლასიფიცირდება.

ღრმა დეპრესიის ეპიზოდი

ღრმა დეპრესიის 2-კვირიანი ეპიზოდების დროს უნდა აღინიშნებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან სულ ცოტა ხუთი (ჩრიტერიუმი ორი სიმპტომიდან ერთის ჩათვლით). ეს ნიშნები შეიძლება ასევე ნათლად გამოხატავდნენ პიროვნების ადრინდელი მდგომარეობის ცვლილებებს.

- გუნება-განწყობის ხშირი დაქვეითება (შეიძლება იყოს გაღიზიანებადობა ბავშვებში და მოზარდებში), თითქმის ყოველდღე.
- უმეტესად, თითქმის ყოველდღე აღინიშნება ყველანაირი მოქმედების მიმართ ინტერესის ან სიამოვნების მნიშვნელოვანი დაქვეითება.
- წონის მნიშვნელოვანი მომატება ან დაკლება (დიეტის გარეშე) ან მადის მომატება ან დაქვეითება თითქმის ყოველდღე.
- უძილობა (ინსომნია) ან გადაჭარბებული ძილიანობა (ჰიპერსომნია) თითქმის ყოველდღე
- ფსიქომოტორული აქტივობა ან შეკავება თითქმის ყოველდღე
- სათო სისუსტე ან ძალის დაქვეითება თითქმის ყოველდღე
- წუხილის ან უსარგებლობის შეგრძნება თითქმის ყოველდღე
- ფიქრის, კონცენტრაციის დაქვეითება ან ყოყმანი თითქმის ყოველდღე
- ხშირი ფიქრები სიკვდილზე ან თვითმკვლელობაზე ან თვითმკვლელობის გეგმის შემუშავება

სიმპტომების განვითარებას იწვევს მნიშვნელოვანი სტრესი ან ცუდი სოციალური, დასაქმების ან სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები. მძიმე შემთხვევებში შეიძლება გამოვლინდეს ჰალუცინაციები და ბოდვები.

მანიაკალური (ბოდვითი) ეპიზოდი

გუნება-განწყობის არანორმალური და მუდმივი აწევის, შეკავებლობის ან გაღიზიანებადობის განსაკუთრებული პერიოდი, სულ ცოტა ერთი კვირის ხანგრძლივობის (თუ მდგომარეობის გამო აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია, ხანგრძლივობას მნიშვნელობა არა აქვს). ამ დროის განმავლობაში შეიძლება გრძელდებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან სამი მაინც (თუ მხოლოდ გაღიზიანებადობა აღინიშნება, დადასტურებისთვის ოთხი სიმპტომია აუცილებელი)

- საკუთარი ღირსების დაქვეითება ან განდიდება
- ძილის საჭიროების შემცირება (დასვენებისთვის ჰგონის 3 საათის ძილი)
- ჩვეულებრივზე უფრო მეტს ლაპარაკობს ან თავს ძალას ატანს, რომ იღაპარაკოს
- აზრების არევა და ფიქრების სწრაფი ცვალებადობა
- განდგომა
- მიზანმიმართული აქტიობის ზრდა (სოციალური სამსახურში ან სკოლაში, ან სექსუალური) ან ფსიქომოტორული აგზნება
- სასიამოვნო მოქმედებების დარღვევები (მაღაზიაში სიარული, ხისკი საქმიანობაში, გაუფრთხილებელი სექსი)

ეს დარღვევები იმდენად მძიმეა, რომ იწვევს სოციალური ან პროფესიული ფუნქციების და ურთიერთობების გაუარესებას. ავადმყოფის ან გარშემომყოფი პირების უსაფრთხოებისთვის ეს მდგომარეობები საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას. მძიმე შემთხვევებში შეიძლება გამოვლინდეს ჰალუცინაციები და ბოდვები.

შერეული ეპიზოდები

შერეულ ეპიზოდებს, რომლებიც გრძელდება სულ ცოტა ერთი კვირა, გააჩნია იგივე კრიტერიუმები, რაც აქვს ღრმა და მანიაკალური დეპრესიის ეპიზოდებს.

ჰიპომანიაკალური ეპიზოდები

სიმპტომები ისეთივეა, რაც მანიაკალურის დროს, მაგრამ უფრო ნაკლებადაა გამოხატული, არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, არ ახასიათებს ჰალუცინაციები და ბოდვები და ხანმოკლეა – გრძელდება 4 დღე.

დისთიმიური დარღვევები

დეპრესიული გუნება-განწყობა და სიმპტომები ხანგრძლივია და თითქმის ყოველდღე, გრძელდება 2 წელიწადზე მეტ ხანს (ბავშვებში და მოზარდებში გრძელდება 1 წლამდე). უსიმპტომო პერიოდების ხანგრძლივობა 2 თვეზე მეტი არ არის

ციკლოთიმიური ეპიზოდი

ჰიპომანიაკალური და დეპრესიული სიმპტომების პერიოდები, რაც გრძელდება სულ ცოტა 2 წელი (ბავშვებში და მოზარდებში 1 წელი). უსიმპტომო პერიოდების ხანგრძლივობა 2 თვეზე მეტი არ არის.

16-1, 16-3 და 16-4 ცხრილები ემყარება მენტალური დარღვევების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ ცნობარს, მე-4 გამოცემა (DSM IV-TR). Washington, DC, American Psychiatric Association, 2000. უფრო დაწვრილებითი ცნობებისა და კრიტერიუმებისთვის, უნდა იხელმძღვანელოთ ან ცნობარით, მისი შემდეგი გამოცემით ან ფსიქიატრის სხვილი სახელმძღვანელოთი.

მეტყველების დარღვევები

მეტყველების დარღვევები სამ ჯგუფად იყოფა: (1) ხმის, (2) სიტყვების გამოთქმის (არტიკულაციის) და (3) ნაკმოთქმის ან ნათქვამის გაგების დარღვევა.

აფონია არის ხმის დაკარგვა, რომლის მიზეზებია ხანის და მისი ნეკვების დაავადებები. *დისფონია* არის ხმის მოცულობის, ხარისხის ან ტემბრის უფრო მსუბუქი დაქვეითება. მაგალითად, ადამიანს შეიძლება ხმა ჩაეხლიჩოს და უბრალოდ ჩურჩულებდეს. მიზეზებია ლარინგიტი, ხანის სიმსივნე, ცუდ მდგომარეობაში იოგის დამბლა (თავის ტვინის X ნეკვი).

დიზართრია არის მეტყველების აპარატის (ტუჩები, ენა, სასა და ხანა) კუნთოვანი კონტროლის დეფექტი. სიტყვები შეიძლება იყოს ცხვირისმიერი, შეწნეული ან გაუკუღეული, მაგრამ ენის ცენტრალური სიმბოლოა ინტაქტური. მიზეზებია ცენტრალური ან პერიფერიული ნერვული სისტემის მოტორული დაზიანება, პარკინსონიზმი და ნათლების დაავადება.

აფაზია არის ნაკმოთქმის ან ნათქვამის გაგების დარღვევა. მისი ხშირი მიზეზია დომინანტური ჰემისფეროს დაზიანება, ჩვეულებრივ მარცხნივ.

ქვემოთ შეხებულია ორი ხშირი ტიპის აფაზია: (1) ვერნიკეს, თავისუფალი (მგრძნობიარე) აფაზია და ბროკას არათავისუფალი (ან გამომხატველობითი) აფაზია. არსებობს აფაზიის სხვა უფრო იშვიათი ფორმები, რომლებიც განსხვავდებიან სპეციფიკურ ტესტებზე განსხვავებული პასუხებით. ნევროლოგიური კონსულტაცია ხშირად ნაჩვენებია.

სპონტანური მეტყველების მახასიათებლები:	Wernicke-ს (ვერნიკეს) აფაზია	Broca-ს (ბროკას) აფაზია
	თავისუფალი, ხშირად სწრაფი, მრავალსიტყვიანი, მსუბუქი, ინტონაცია და არტიკულაცია კარგი, მაგრამ ნინადადებების მნიშვნელობა არასრულია და სიტყვები არასწორია (პარაფაზია) ან მოგონილი (ნეოლოგიზმი). მეტყველება შეიძლება მთლიანად გაუგებარი იყოს.	გაძნელებული, ნელი, მცირე ხოლონობით სიტყვებით და მძიმედ ნაკმოთქმით. ინტონაცია და არტიკულაცია ცუდია, მაგრამ სიტყვები არხიანია, ხმარობენ არსებით სახელებს, ზმნებს და განსაზღვრებებს. ხშირად იყენებენ მცირე გრამატიკულ სიტყვებს.
სიტყვების გაგება	დარღვეულია	დამაკმაყოფილებელი ან კარგი
გამეორება	დარღვეულია	დარღვეულია
დასახელება	დარღვეულია	დარღვეულია, თუმცა ავადმყოფი საგნებს ცნობს
ნაკითხულის გაგება	დარღვეულია	დამაკმაყოფილებელი ან კარგი
ნერის უნარი	დარღვეულია	დარღვეულია
დაზიანების ლოკალიზაცია	ზემო საფეთქლის უკანა ნილი	შუბლის უკანა ქვემო ნილი

პანიკა

პანიკა არის მოულოდნელი შეტევები, რომელთა მორის ერთი მაინც ნორმა შეტევიდან ერთი თვით ან მეტით არის დამოუკიდებელი, ავადმყოფი ნუხს შეღებებზე, მნიშვნელოვნად იცვლება ქცევები შეტევების მიხედვით. *პანიკის შეტევა* არის ხანმოკლე პერიოდი ძლიერი დისკომფორტის შეგრძნების, რაც ვითარდება მკვეთრად და პიკს აღწევს 10 წუთის განმავლობაში. პანიკა მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილიდან სულ ცოტა ოთხ სიმპტომს: (1) გულისფრიალი, ტაქიკარდია, (2) ოფლიანობა, (3) კანკალი, (4) ქოშინი, (5) მოხრჩობის შეგრძნება, (6) გულ-მკერდის არეში ტკივილი ან დისკომფორტი, (7) გულისრევა ან ტკივილი მუცლის არეში, (8) თავბრუ, წონასწორობის დაკარგვა, გონების დაბინდვა, მოღუნება, (9) არარეალობის ან დეპერსონალიზაციის შეგრძნება, (10) კონტროლის დაკარგვის ან გაგიჟების შიში, (11) სიკვდილის შიში, (12) პარესთეზიები (დაბუჟება ან ჩხვლეტა), (13) შემცივნება ან ალები. პანიკა შეიძლება განვითარდეს *აგორაფობიით* ან მის გარეშე.

აგორაფობია

აგორაფობია (სივრცის შიში) არის შფოთვა იმ ადგილზე ან იმ სიტუაციაში ყოფნის, საიდანაც გამოსვლა ძნელი ან უხერხული იქნება. ავადმყოფი ასეთ ადგილებს ერიდება ან საჭიროებს კომპანიონს, წინააღმდეგ შემთხვევაში უვითარდება შფოთვა.

სპეციფიკური ფობია

სპეციფიკური ფობია არის მნიშვნელოვანი, მუდმივი და ძლიერი ან ემოციური შიში, რასაც ბიძგს აძლევს რაიმე სპეციფიკური საგანი ან მოვლენა, როგორიცაა ძაღლი, ინექცია, თვითმფრინავით ფრენა. ავადმყოფი შიშს შეიგრძნობს, როგორც ძლიერ ძლიერს ან გაუცნობიერებელს. ბიძგის გავლენით ვითარდება უცსარი შფოთვა. შიშები არღვევენ ავადმყოფის ნორმალურ ყოველდღიურობას, პროფესიულ და სამეცნიერო ფუნქციონირებას ან სოციალურ აქტიურობას ან უთანიერთობებს.

სოციალური ფობია

სოციალური ფობია მნიშვნელოვანი, მუდმივი შიში ერთი ან მეტი სოციალური ან შემოქმედებით სიტუაციაში, რაც მოიცავს უცნობი ადამიანების გავლენას ან ზედმეტ ყურადღებას უცნობების მხრიდან. ზოგს ანუხებს იმის შიში, რომ ისინი თავს იგრძნობენ უხერხულად ან დამცირებულად, თუ გამოავლენენ შფოთვას. ავადმყოფები ერიდებიან სიტუაციებს, რომლებმაც შეიძლება გამოინვიოს შფოთვები და პანიკა. ავადმყოფი შიშს შეიგრძნობს, როგორც ძლიერ ძლიერს ან გაუცნობიერებელს. ირღვევა ნორმალური ყოველდღიურობა, პროფესიული და სამეცნიერო ფუნქციონირება და სოციალური აქტიურობა ან უთანიერთობები.

აგვიატებული ნევროზი

ეს დარღვევა მოიცავს აგვიატებულ აზრებს და იძულებას, რაც იწვევს შფოთვას ან მდგომარეობის გაუარესებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევა შეიგრძნობა იგივენაირად, როგორც ძლიერ ძლიერი ან გაუცნობიერებელი, ისინი თითქმის მუდმივია და გავლენას ახდენს ავადმყოფის ნორმალურ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სოციალურ აქტივობაზე და უთანიერთობებზე.

მწვავე სტრესული დარღვევა

ავადმყოფზე მოქმედებს ძალმა, რომელიც გამოიწვია ავადმყოფის ან მისი ახლობლის სიკვდილმა ან სერიოზულმა დაზიანებამ და ვლინდება შიშით, უსუსურობით ან დათრგუნვით. ამ მოვლენებისთანავე ან ძლიერ მალე ავადმყოფს უვითარდება ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან სამი მაინც: (1) სუბიექტური შეგრძნება დაბუჟების, გაუცხოების ან ემოციების გამოხატვის დაქვეითების; (2) ვერ ხედავს გარემოს, ისევე, როგორც მოყის დროს, (3) არარეალობის შეგრძნება; (4) დეპერსონალიზაცია და (5) მნიშვნელოვანი მოვლენების ამნეზია. მოვლენები მუდმივად გაუცნობიერებელია, როგორიცაა ფიქრები, ნარმოდგენები, სიზმრები, იღუმიები და ნარსული ამბები ან ნარსული მოვლენებით გამოწვეული ნერვიულობა. პიროვნება ძლიერ აღელვებულია ან აფორიაქებული და ცდილობს თავიდან აიცილოს ისეთი გამაღიზიანებლები, რაც ნარსულ მოვლენებს გაახსენებს. ეს დარღვევა იწვევს მდგომარეობის შესამჩნევ გაუარესებას ან აქვეითებს სოციალურ, საქმიანობით და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს. სიმპტომები ვითარდება მოვლენიდან 4 კვირის შემდეგ და გრძელდება 2-4 დღე.

პოსტტრავმული სტრესი

დანყება, შიში და ტრავმული შემთხვევების ხანგრძლივი გაუცნობიერებლობა ჰგავს მწვავე სტრესულ დარღვევას. შეიძლება განვითარდეს ჰალუცინაციები. პიროვნებას აღენიშნება მომატებული აგზნებადობა, ცდილობს მოერიდოს ტრავმასთან დაკავშირებულ სტიმულებს, ზოგადი ნეკნიერობის დაქვეითება. დარღვევა იწვევს მდგომარეობის შესამჩნევ გაუარესებას, აქვეითებს სოციალურ, საქმიანობით და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს და გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს.

გენერალიზებული შფოთვა

ეს დარღვევა აქვეითებს სპეციფიკურ ტრავმულ მოვლენებს ან ფოკუსირებას ახდენს ღელვაზე. აღინიშნება ძლიერი შფოთვა და ნუხილი, რასაც ავადმყოფი ვერ აკონტროლებს. ახლავს ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან სამი მაინც: (1) მოუსვენრობა, აფორიაქება ან ნეკნიერობა; (2) ადვილად დაღლა; (3) კონცენტრაციის უნარის დაქვეითება ან გონების დაბნელება; (4) გაღიზიანებადობა; (5) კუნთების დაჭიმულობა; (6) უძილობა, მოუსვენარი ძილი. ეს დარღვევა იწვევს მდგომარეობის შესამჩნევ გაუარესებას და აქვეითებს სოციალურ, საქმიანობით და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს.

მენტალური დარღვევები

მენტალური დარღვევები მოიცავს ჩვეულობის შეგრძნების ძლიერ მოშლას. ყონჯიტეული დიაგნოზი დამოკიდებულია სიმპტომების ბუნებასა და ხანგრძლივობაზე და მიზეზზე, რის გამოც ხდება მათი იდენტიფიკაცია. ქვემოთ მოცანილია შვიდი ტიპის დარღვევა:

მიზოფრენია. მიზოფრენია აქვეითებს ძირითად ფუნქციებს, ჩვეულებრივ მეშვიდობა, სწავლა, ადამიანებთან ურთიერთობა ან საკუთარ თავზე ზრუნვა. ამ დროს ნარმოდგენილია ერთი ან მეტი ფუნქციის ჩვეული დონიდან დაქვეითება მნიშვნელოვანი დროით. ამასთან ერთად, პირველობას უნდა აღენიშნებოდეს 1 თვის განმავლობაში ჩამოთვლილი ნიშნებიდან 2 მაინც: (1) ბოდვები, (2) ჰალუცინაციები, (3) მეტყველების დარღვევა, (4) ძლიერი დეზორგანიზაცია ან კატატონია* და (5) ნეგატივიზმის სიმპტომები, ჩვეულებრივ აფექტი, აღგზნება (უმნიშვნელო საბაბით) ან ავოლიცია (ინტერესის დაკარგვა, ვერ ატარებენ მანქანას, ვერ ისახავენ მიზნებს და ვერ ახორციელებენ). დარღვევების სიმპტომები გრძელდება სულ ცოტა 6 თვის განმავლობაში. ამ დაავადების ქვეტიპებია პარანოია, დეზორგანიზაცია და კატატონიური მიზოფრენია.

მიზოფრენიის მსგავსი დარღვევა ამ დარღვევას მიზოფრენიის მსგავსი სიმპტომები აქვს, მაგრამ ხანგრძლივობა 6 თვეზე ნაკლებია და არ აღინიშნება მიზოფრენიისთვის დამახასიათებელი ფუნქციათა დაქვეითება.

მიზოაფექტური დარღვევა მიზოაფექტურ დარღვევას ახასიათებს ორივე დაავადების ნიშნები: გუნება-განწყობის ღრმა დარღვევების და მიზოფრენიის. გუნება-განწყობის დარღვევები (დეპრესია, მანია ან შერეული ფორმა) დაავადების დროს ხშირად აღინიშნება და ზოგჯერ მიზოფრენიის სიმპტომებსაც აჭარბებს (ზემოთ ჩამოთვლილი). იგივე დროის განმავლობაში შეიძლება გამოვლინდეს ბოდვები ან ჰალუცინაციები სულ ცოტა 2 კვირის განმავლობაში გუნება-განწყობის ცვლილებების გარეშე.

ბოდვითი დარღვევები. ბოდვითი დარღვევები ხასიათდება ჩვეულებრივი ბოდვებით, რაც ეხება ჩვენს ცხოვრებას, მაგ. აქვს რაიმე დაავადება ან მიატოვა მეუღლემა. ბოდვები შეიძლება გრძელდებოდეს ერთი თვე მაინც, მაგრამ ფუნქციები არ არის ძლიერ დაქვეითებული და ქცევები არ არის შესამჩნევად შეცვლილი ან არაბუნებრივი. მიზოფრენიის ნიშნები, გარდა ბოდვებთან დაკავშირებული ტაქტილური და ყნოსვითი ჰალუცინაციებისა, არ ვლინდება.

ხანმოკლე ფსიქოზური დარღვევა ამ დროს ფსიქოზის ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთი მაინც უნდა აღინიშნებოდეს: ბოდვები, ჰალუცინაციები, მეტყველების დარღვევა, მაგ. ხშირი გზიდან გადახვევა ან აღგზნებულობა ან ძლიერი დეზორგანიზაცია ან კატატონია. დარღვევა გრძელდება სულ მცირე 1 თვე, რის შემდეგაც ავადმყოფი უბრუნდება თავის ჩვეულ მდგომარეობას.

თანმხლები დაავადებებით გამოწვეული ფსიქოზები სხვადასხვა დაავადების დროს შეიძლება გამოვლინდეს ხანგრძლივი ჰალუცინაციები ან ბოდვები. ეს დაავადებები შეიძლება არ ვლინდებოდეს გონებრივი დარღვევების დროს, ამიტომ მათი დიაგნოსტიკა უნდა მოხდეს დამახასიათებელი სიმპტომების მიხედვით.

მედიკამენტებით გამოწვეული ფსიქოზები. შესამჩნევი ჰალუცინაციები და ბოდვები შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ნივთიერებებით ინტოქსიკაციამ, ჩვეულებრივ აღრეული, ეიფორიული, ოპიატები. ამ დიაგნოზის დასმისთვის ეს სიმპტომები არ უნდა ვლინდებოდეს მხოლოდ დელირიუმის დროს. უნდა დაადგინოთ დარღვევა თუ არა ნივთიერებების მოხმარება სიმპტომებთან.

* კატატონია არის ფსიქომოტორული დარღვევა, რაც მოიცავს სტუპორს, მუტიზმს, მიმართებაზე ნეგატივისტურ წინააღმდეგობას და უცნაურ ან გამეშებულ პოზაში ყოფნას, აგზნებადობას, მაგრამ ამ ეტაპზე უაზრო აქტივობას.

17

ნეირული სისტემა: თავის ტვინის ნეირები, მოტორული სისტემა, სენსორული სისტემა, ჰეფლექსები

ანატომია და ფიზიოლოგია

ამ თავში განხილულია აგებულება, ფუნქციები და ცნებები, რაც პირდაპირ ეხება ნეირული სისტემის გამოკვლევას. თავის ტვინის, ზურგის ტვინის, თავის ტვინისა და პერიფერიული ნეირების და ჰეფლექსების მოკლე აღწერის შემდეგ შეჯამებულია მოტორული და სენსორული გამტარი გზები. შემდეგ მოჰყვება ხშირი და განსახილველი სიმპტომები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და განხილვა და შესაბამისი ჩანაწერის ნიმუში. შემდეგი ნაწილია ნეირული სისტემის, თავის ტვინის და პერიფერიული ნეირების და ჰეფლექსების *გამოკვლევის მეთოდები.*



თავის ტვინის მარჯვენა ნახევარი, მედიალური ხედი



თავის ტვინის მაჩვენებელი ლატერალური ხედი

ამ მასალის გაცნობის შემდეგ უნდა შეძლოთ მიაქციოთ, რომ *ცენტრალური ნერვული სისტემა* შედგება თავისა და ზურგის ტვინისგან. *პერიფერიული ნერვული სისტემა* შედგება თავის ტვინის 12 წყვილი ნერვისგან და ზურგის ტვინისა და პერიფერიული ნერვებისგან. პერიფერიული ნერვების უმეტესობა ერთდროულად შეიცავს მოტორულ და სენსორულ ბოჭკოებს.

ცენტრალური ნერვული სისტემა

თავის ტვინი (ENCEPHALON)

თავის ტვინს ოთხი ნაგიონი გააჩნია: დიდი ტვინი, შუამდებარე ტვინი, ტვინის ღერო და ნათხემი. თავის ტვინის ჰემისფეროები ტვინოვანი ნივთიერების უმეტეს ნაწილს შეიცავს. თითოეული ჰემისფერო იყოფა შუბლის, თხემის, საფეთქლის და ჯეფის წილებად.

თავის ტვინი არის ერთმანეთთან დაკავშირებული *ნეირონების* (ნერვული უჯრედების) ფართო სისტემა. იგი შედგება უჯრედების სხეულებისგან და მათი *აქსონებისგან* – გრძელი ბოჭკოებისგან, რომლებიც ატარებენ იმპულსებს ნერვული სისტემის სხვა ნაწილებისკენ.

ტვინის ქსოვილი არის თეთრი და რუხი. *რუხი ნივთიერება* შედგება ნერვული უჯრედების სხეულებისგან. იგი გარს ეკვრის ჰემისფეროებს და ნარმოქმნის თავის ტვინის ქერქს. *თეთრი ნივთიერება* შედგება ნეირონების აქსონებისგან, რომლებიც მიელინითაა დაფარული. მიელინის გარსი, რომელიც ნარმოქმნის თეთრ შეფერილობას, აჩქარებს იმპულსის გავრცელებას.

თავის ტვინის სიღრმეში მდებარეობს რუხი ნივთიერების გროვები. ის შედგება *ბაზალური განგლიებისგან*, რაც მოქმედებს მოძრაობაზე, თალამუსისაგან და ჰიპოთალამუსისაგან. *თალამუსი* ნარმოქმნის სენსორულ იმპულსებს და გადასცემს თავის ტვინის ქერქს. *ჰიპოთალამუსი* უზრუნველყოფს ჰომეოსტაზის შედარებობას და არეგულირებს ტემპერატურას, გულის რიტმს, სისხლის წნევას. ჰიპოთალამუსი ზემოქმედებს ენდოკრინულ სისტემაზე და განაგებს ემოციებს, როგორიცაა გაბრაზება, სქესობრივი ლტოლვა. ჰიპოთალამუსში გამოყოფილი ჰორმონები პირდაპირ მოქმედებს ჰიპოფიზზე.



თავის ტვინის ფრონტალური განაკვეთი

დაახვრიტეთ *შიგნითა ჯაფსულას*, თეთრი ნივთიერების ნახმონაქმნს, სადაც მიელინური ბოჭკოები გროვდებიან თავის ტვინის ქერქის ყველა ნაწილიდან და ეშვებიან ტვინის ღეროში. *ტვინის ღერო* თავის ტვინს აერთებს ზურგის ტვინთან და სამი ნაწილისგან შედგება: შუა ტვინი, ხიდი და მედულა.

გონებრივი ფუნქცია დამოკიდებულია უფრთხილესებაზე ჰემისფეროებსა და შუამდებარე ტვინის მნიშვნელოვან ნაწილებსა და ტვინის ღეროს ზედა ნაწილს შორის, *რეტიკულური აქტივობის (აგზნები) სისტემა*.

ნათხემი, რომელიც თავის ტვინის ფუძეზე მდებარეობს, ახორციელებს ყველა სახის მოძრაობის კოორდინაციას, უზრუნველყოფს სხეულის ვერტიკალურ მდებარეობას სივრცეში.

ზურგის ტვინი (MEDULLA SPINALIS)

ზურგის ტვინი ნერვული ქსოვილის ცილინდრული ნარმონაქმნია, რომელიც გადის ხერხემლის მალების სხეულთა ხვრელებში და გრძელდება მედულადან წელის პირველ ან მეორე მალამდე. ზურგის ტვინი შეიცავს მნიშვნელოვან მოტორულ და სენსორულ გამტარ გზებს, რომლებიც შედიან და გამოდიან ზურგის ტვინში ნერვების წინა და უკანა ფესვებით და სპინალური და პერიფერიული ნერვებით. ზურგის ტვინის საშუალებით ასევე ხორციელდება ღრმა მყესების (ან ზურგის ტვინის) რეფლექსები. მოტორული და სენსორული გზები და ღრმა მყესების რეფლექსები განხილულია გვ. 541-546.

ზურგის ტვინი იყოფა ხუთ ნაწილად: კისრის (C1-8), გულმკერდის (T1-12), წელის (L1-5), გავის (S1-5) და კუდუსუნის ნაწილებად.



ზურგის ტვინი, ლატერალური ხედი

ყურადღება მიაქციეთ, რომ ზურგის ტვინის სიგრძე ხერხემლის სიგრძეზე ნაკლებია. ზურგის ტვინიდან გამოსული ნერვების ფესვების დონეები განსხვავებულია მიმდებარე მაღების დონეებისგან. ეს ფესვები L1-დან L2-ის დონემდე იშლება როგორც ცხენის კუდი, რის გამოც მას *ხაშის კუდს* უწოდებენ. ზურგის ტვინის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ნელის უმეტესობა ხვრელებისა L2-4 მაღართშუა სივრცეების დონეზეა.

პერიფერიული ნერვული სისტემა

თავის ტვინის (ჭარბიული) ნერვები (NERVI CRANIALES)

12 წყვილ ნერვს, რომელთაც *თავის ტვინის ნერვები* ეწოდება, გამოდიან *თავის ქალადან.* თავის ტვინის II-დან XII ნერვები, რომლებიც გამოდიან შუამდებარე ტვინიდან და ტვინის ღეროდან, სუსათზეა ნაჩვენები. (თავის ტვინის I და II ნერვები ბოჭკოვანი ტრაქტებია, რომლებიც თავის ტვინიდან გამოდიან). თავის ტვინის ზოგიერთი ნერვი ასრულებს მხოლოდ მოტორულ ან სენსორულ ფუნქციას, მაშინ როცა სხვები სპეციალიზირებულნი არიან და ახორციელებენ ყნოსვას, მხედველობას ან სმენას (I, II, VII).

თავის ტვინის ნერვების ფუნქციები, რომლებიც ყველაზე ხშირად ფასდება ობიექტური გამოკვლევით, შეჯამებულია შემდეგ გვერდზე.



თავის ტვინის ფუძე

პერიფერიული ნერვები

როგორც თავის ტვინის ნერვები, პერიფერიული ნერვული სისტემაც შედგება ზურგის ტვინისა და პერიფერიული ნერვებისგან, რომლებიც ატარებენ იმპულსებს ზურგის ტვინისკენ და პირიქით, ტვინიდან. ზურგის ტვინს უკავშირდება 31 წყვილი ნერვი: 8 კისრის, 12 გულმკერდის, 5 წელის,

▪ თავის ტვინის ნეირები

№	სახელწოდება	ფუნქცია
I	ყნოსვის	ყნოსვის ფუნქცია
II	მხედველობის	მხედველობა
III	თვალის მამოძრავებელი	გუგის შევიწროვება, თვალის გახელა და თვალის ჯაჭვის უმეტესი მოძრაობები
IV	ჭალისებური	თვალის ქვემოთ და შიგნით მოძრაობა
VI	განმზიდველი	თვალის ლატერალური გადახრა
V	სამწვერა	*მამოძრავებელი ბოჭკოები* - საფეთქლის და საღეჭი კუნთების მოძრაობა (ანფიქსირებს ქვედა ყბას), ასევე ქვედაყბის ლატერალური მოძრაობა *მგრძნობიარე ბოჭკოები* - ახორციელებს სახის ინერვაციას. ნერვს სამი ტოტი აქვს: (1) თვალბუდის, (2) ზედაყბის და (3) ქვედაყბის



სამწვერა ნეირის მოტორული ბირთვი



მაჩვენა თვალი (NC III, IV, VI)



NC V – მგრძნობელობა

VII	სახის	*მამოძრავებელი ბოჭკოები* – სახის მოძრაობა, სახის გამომეტყველების, თვალების დახუჭვის და პირის დახუჭვის ჩათვლით *მგრძნობიარე ბოჭკოები* – გემოვნება: მახილის, სიტკბოს, სიმწარის და სიმჟავის შეგრძნება. ენის წინა ორი მესამედი
VIII	ჯაჭვ-ღოჯოინას	სმენა (ღოჯოინას ნაწილი) და წონასწორობა (ჯაჭვის ნაწილი)
IX	ენა-ხახის ნეირი,	*მამოძრავებელი ბოჭკოები* – ხახის კუნთების შეკუმშვა *მგრძნობიარე ბოჭკოები* – დაფის ჯაჭვის და სასმენი მილის უკანა ნაწილი, ხახა და ენის უკანა ნაწილი, გემოვნების ჩათვლით (მახილიანი, მჟავე, ტკბილი, მწარე)
X	ცთომილი	*მამოძრავებელი ბოჭკოები* – სასა, ხახა და ხორხი *მგრძნობიარე ბოჭკოები* – ხახა და ხორხი
XI	დამატებითი ნეირი	*მამოძრავებელი ბოჭკოები* – მკერდ-ღავინ-დვრილისებრი კუნთი და ტრაპეციული კუნთის უკანა ზემო ნაწილი
XII	ენისქვეშა ნეირი	*მამოძრავებელი ბოჭკოები* – ენის კუნთები.



NC XI – მამოძრავებელი

5 გავის და 1 კუდუსუნის. თითოეული ნეირს აქვს წინა (ვენტრალური) ფესვი, რომელიც მამოძრავებელ ბოჭკოებს შეიცავს და უკანა (დორსალური) ფესვი, რომელიც მგრძნობიარე ბოჭკოებს შეიცავს. წინა და უკანა ფესვები ერთდებიან და ქმნიან ზურგის ტვინის (სპინალურ) ნერვებს, რომელთა სიგრძე 5 მმ-ზე ნაკლებია. ზურგის ტვინის ნერვების ბოჭკოები უერთდებიან სხვა დონიდან ნამოსულ ანალოგიურ ბოჭკოებს და ნარმოქმნიან პერიფერიულ ნერვებს. უმეტესობა *პერიფერიული ნერვებისა* შეიცავენ ორივე სახის, *მგრძნობიარე* (აფერენტულ) და *მამოძრავებელ* (ეფერენტულ) ბოჭკოებს.

თავის ტვინის მსგავსად, ზურგის ტვინიც შეიცავს ჩუნ და თეთრ ნივთიერებას. ჩუნი ნივთიერების ბირთვები, რომლებიც ნერვული უჯრედების სხეულების გროვებს ნარმოადგენენ, გარშემორტყმულია ნერვული ბოჭკოების თეთრი ტრაქტებით, რომლებიც აკავშირებენ თავის ტვინს პერიფერიულ ნერვულ სისტემასთან. დაკვირდით ჩუნი ნივთიერების პეპრის ფორმის ნარმონაქმნს წინა და უკანა ქერებით.



ზურგის ტვინი, განივი განკვეთი

სპინალური რეფლექსები: მყეს-ძვალთა ღრმა რეფლექსები

ღრმა მყესების ან კუნთების გაჭიმვის რეფლექსების გატარება ხდება როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული ნერვული სისტემით. გაიხსენეთ, რომ *რეფლექსი* არის უნებლიე სტერეოტიპული რეაქცია, რაც შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ორ ნეირონს, დაკავშირებულია ერთი სინაფსით. ხელების და ფეხების ღრმა მყესების რეფლექსები ასეთი მონოსინაფსური რეფლექსებია. ისინი გამოხატავენ მგრძნობიარე და მოტორული ფუნქციის უმარტივეს ერთეულს. (სხვა რეფლექსები პოლისინაფსურია და სენსორული და მოტორული ნეირონების შორის შეიცავენ შუა ნეირონებს).

დაბადებისთანავე ბავშვის გამოკვლევა მნიშვნელოვანია ზოგადი მდგომარეობის, განვითარების დონის, ორსულობის პერიოდში განვითარების დარღვევების და ჰაიმე თანდაყოლილი პათოლოგიის დადგენის მიზნით. გამოკვლევამ შეიძლება გამოავლინოს გულის, სუნთქვის, ან ნევროლოგიური დარღვევები. სტეტოსკოპით მოისმინეთ გულ-მკერდის ნინა ზედაპირი, ჩაატარეთ მუცლის პალპაცია, დაათვალიერეთ თავი, სახე, პირის ღრუ, ყიდულები, სასქესო ორგანოები და მოხილი.

Apgar-ის ქულათა სისტემა. *Apgar-ის* (აბგარის) ქულები არის ბავშვის დაბადებისთანავე შეფასების ყველაზე სწორი გზა. იგი შედგება 5 კომპონენტისგან, რომელთა მეშვეობით ხდება ახალშობილის ნევროლოგიური სტატუსის ნორმაში დაბრუნება დაბადების პროცესის ზეგავლენის შემდგომ და ექსტრაუტეხინელი (საშვილოსნოს გარე) ცხოვრების ადაპტაცია ყოველგვარი შეალედური სტადიის გარეშე. შეაფასეთ თითოეული ახალშობილი პირველი 5 წუთის განმავლობაში შემდეგი ცხრილის მიხედვით. შეფასება ეფუძნება 3-დანაყოფიან (0, 1, ან 2) სკალას თითოეული კომპონენტისთვის. საერთო შეფასება მერყეობს 0-დან 10-მდე.

Apgar-ის ქულათა სისტემა

კლინიკური სიმპტომი	0	1	2
გულისცემის სიხშირე	არ აღინიშნება	წუთის განმავლობაში < 100 ღარტყმაზე	წუთის განმავლობაში > 100 ღარტყმაზე
სუნთქვითი ძალისხმევა	არ აღინიშნება	ნელი (არარეგულარული)	კარგად გამოსახული ტირილი
კუნთოვანი ტონუსი	სუსტი	კიდურების უმნიშვნელო ფლექსია	აქტიური მოძრაობები
რეფლექსური აგზნებადობა	რეაგირება არ აღინიშნება	გრიმასა	ღაცემინება ან ღახველება
ფერი	ლურჯი, მკრთალი	ვარდისფერი სხეული, ლურჯი კიდურები	სხეული მთლიანად ვარდისფერია

1-წუთიანი Apgar-ის ქულებით შეფასება

8-10
ნორმალური
5-7
ნეირული სისტემის მცირე დაქვეითება
0-4
მძიმე დაქვეითება, რაც დაუყოვნებლივ ყურადღებას მოითხოვს

5-წუთიანი Apgar-ის ქულებით შეფასება

8-10
ნორმალური
0-7
ცენტრალური ნეირული სისტემის და სხვა ორგანოების დისფუნქციის მაღალი რისკი

გესტაციური (ორსულობის) ასაკი და წონა დაბადებისას. ორგორც კი ახალშობილი დაბადება ახალ გარემოში, მნიშვნელოვანია მისი წონის და გესტაციური ასაკის (ზრდასრულობის) მიხედვით კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია მოგვეხმარებათ ინფორმაციის მიღებაში (წინასწარ განსაზღვრონ) ჯანმრთელობის პრობლემები და სიკვდილობა. ზოგიერთი კლინიკური პრაქტიკის ეპიდემიოლოგიური ფაქტორები დაკავშირებულია გარკვეული წონისა და გესტაციური ასაკის ქვემოთ დაბადებულ ჩვილებზე.

გესტაციური ასაკი ემყარება სპეციფიკურ ნეირო-კუნთოვან ნიშნებსა და ფიზიკურ მახასიათებლებს, რომლებიც იცვლება საშვილოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდში. გესტაციური ასაკის დასადგენად ამ მახასიათებლების მიხედვით ჩამოყალიბებულ შეფასების სისტემა არის შემუშავებული.

Ballard-ის (ბალარდის) ქულებით შეფასების სისტემა აღგენს გესტაციურ ასაკს 2 კვირის სიზუსტით, დღევანდელ ბავშვებშიც კი. ცხრილში 18-1 (გვ. 794) მოცემულია Ballard-ის (ბალარდის) ქულებით შეფასების სისტემა, ნეირო-კუნთოვანი და ფიზიკური განვითარების შეფასების ინსტრუქციით.[10]

დაბადების წონის და გესტაციური ასაკის კლასიფიკაცია
დაბადების წონა

კლასიფიკაცია	*წონა*
▪ დაბადებისას ექსტრემალურად მცირე	<1.000 გრამი
▪ დაბადებისას ძალზე მცირე	< 1.500 გრამი
▪ მცირე მასის	< 2.500 გრამი
▪ ნორმალური	≥ 2.500 გრამი

გესტაციური ასაკი *კლასიფიკაცია*	*გესტაციური ასაკი*
დღენაკლული	<37 კვირა (<259 დღე)
დროული	37-42 კვირა
ვადაგადაცილებული	> 42 კვირა (>294 დღე)

შემდეგ გვერდზე მოცემული კლასიფიკაცია, რომელიც გამოიყენება, მოიცავს ორივეს: დაბადების წონის და გესტაციური ასაკის კომპონენტებს და ემყარება ახალშობილთა დაბადების წონას საშვილოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდში ზრდის მიხედვით.

688 ბ ე ი ტ ს ი ს ნ ი ნ ი ს ნ ი ს ნ ი ს კ ი ნ ი კ ი ს ნ ი ს ნ ი ს ნ

კატეგორია	აბრევიატურა	პერცენტილი
გესტაციის ასაკთან შედარებით მცირე მასის	SGA - small for gestational age	<10
გესტაციის ასაკთან შესაბამისი	AGA – appropriate for gestational age	10-90
გესტაციის ასაკთან შედარებით დიდი მასის	LGA – Large for gestational age	>90



შემდეგ გვერდზე მოტანილ დიაგრამაზე მოცემულია სამშობლოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდში ზრდის მრუდი 10 და 90 პერცენტილისთვის და გამოხატავს ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა კატეგორიას, დამყარებულს დაბადების ნორმასა და გესტაციის ასაკზე. ზემოთ ნაჩვენები სამივე ბავშვის გესტაციური ასაკია 32 კვირა, ხოლო ნორმებია 600გ (SGA), 1400გ (AGA) და 2750გ (LGA).

თითოეული კატეგორიას გააჩნია განსხვავებული სიკვდილობის სიხშირე, ყველაზე მაღალი SGA და AGA ახალშობილებისთვის და ყველაზე დაბალი დროული AGA ჩვილისთვის.

სამშობლოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდის ზრდა ემყარება ცოცხალშობილი, ერთი, თეთრკანიანი ჩვილის დაბადების ნორმას და გესტაციის ასაკს. A ნერტილი აღნიშნავს დღენაკლულ ახალშობილს, B ნერტილი აღნიშნავს ჩვილს, რომლის ნორმა განვითარებულის ტოლია და ასაკი

დღენაკლული AGA ჩვილებს უფრო ხშირად აღენიშნებათ ჩასპირაციული დისტრეს სინდრომი, აპნოე, ღია არტერიული სადინარი მარცხნიდან მარჯვნივ შუნტით და ინფექციები. *დღენაკლულ SGA ჩვილებში* უფრო ხშირია ასფიქსია, ჰიპოგლიკემია და ჰიპოკალცემია.

LGA ჩვილებს შეიძლება ჰქონდეთ გახანგრძლივებული სიძნელეები დაბადების დროს. დიაბეტით დაავადებული დედების ჩვილები ხშირად ახალ LGA და დაბადებიდან ხანმოკლე პერიოდში შეიძლება ჰქონდეთ მეტაბოლური დარღვევები, ასევე თანდაყოლილი პათოლოგიები.

სამშვილოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდის ზრდის მრუდი



გესტაციაზე ნაკლები. ზრდის მრუდი ტიპიურია 10 და 90 პერცენტილის ყველა შეჩრეული ახალშობილისთვის.

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ

დაბადების პირველი დღის განმავლობაში, განსაკუთრებით ოპტიმალურია დაბადებიდან 8 საათის განმავლობაში. დარწმუნდით, რომ ყველიდან 1-2 საათი გავა, როდესაც ბავშვი ყველაზე უფრო ადვილად კონტაქტურია და სთხოვეთ მშობლებს, დარჩნენ ოთახში.

ბავშვი დაათვალიერეთ, როდესაც მშვიდად წევს და შემდეგ, როდესაც შიშველია, ასევე მშვიდად ყოფნისას. გამოიკვლიეთ ბავშვის ფერი, ზომა, სხეულის პროპორციები, ნაკვთები, პოზა, ისევე, როგორც სუნთქვა და თავისა და კიდურების მოძრაობა.

უმრავლესობა ნორმალური, დროული ახალშობილებისა წვრილ სიმეტრიულ პოზაში, ხელები ნახევრად მოხრილი აქვთ და ფეხები ნაწილობრივ მოხრილი მენჯის სახსრებში.

ნოხმაღუჩად აღინიშნება სპონტანური მოტორული აქტივობა, მონაცვლეობით ხრის და შლის ხელებს და ფეხებს. თითები, ჩვეულებრივ, მოხრილი აქვს მუშტად, მაგრამ შეუძლია გაშალოს ნელი ათეტოდური მოძრაობით. დაბადების შემდეგ ხანმოკლე დროით შეიძლება აღინიშნებოდეს ჯიღუჭების და ტანის სუსტი ტონუსის დროს და ზოგჯერ მოსვენებისას.

გამოკვლევის პროცესში, განსაკუთრებით აუსკულტაციის და პალპაციის ჩატარების დროს, მნიშვნელოვანია ბავშვი მშვიდად იყოს. შეგიძლიათ ხელთათმანიანი თითი დაადოთ ატრიებული ბავშვის პირს, რათა გააჩუმოთ და ჯერჯერობით ეს გამოკვლევები. გამოკვლევების თანმიმდევრობა სავალდებულო არ არის.

T. Beri Brazelton-ის (ბეჩი ბრაზელტონის) და სხვათა შრომებში ნაჩვენებია ახალშობილთა ფართო შესაძლებლობები.[11] ზოგიერთი უნარის ჩვენება თქვენც დახმარებას გაგიწევთ და მშობლებსაც ესიამოვნებათ. მომდევნო გვერდზე ნაჩვენებია ახალშობილთა ზოგიერთი შესაძლებლობა.



ნებისმიერი ბავშვის პოტენციური შესაძლებლობები ყველაზე დამაინტრიგებელია და ყველანაირი შემოქმედებით აქტიურდება.
– ჰერი ვონდერლიხი

ჩოდესაც ბავშვი *ჯდომით იბადება*, თავი და ფეხები გაშლილი აქვს. *გახსნილი ჯდომით* ბავშვი განზიდულია და გარეთ შებრუნებული.

დაბადებიდან 4 დღის შემდეგ მოსვენებულ მდგომარეობაში ტონუსის არსებობა სხვადასხვა მიზეზით გამონაკლისი ცენტარული ნერვული სისტემის დაავადებაზე მიუთითებს, დანყებული *ასფიქსიით* და დამთავრებული *ნაღვლის შენყვეტით*. ნებისმიერ დროს ხელების და ფეხების ასიმეტრიული მოძრაობები მიუთითებს *ცენტარულ* და *პერიფერიულ ნევროლოგიურ დეფიციტზე*, სამშობიარო ტრავმაზე (როგორიცაა ღრძილის მოტეხილობა, ან მხრის ნერვის დაზიანება), ან *თანდაყოლილ ანომალიაზე*.

რა შეუძლია ახალშობილს: ფომპეიქსური ქცევების შესაძლებლობები

ახალშობილებს, რომელთაც არ გააჩნიათ ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი ჩვევა, გააჩნიათ ნევროლოგიური დაზიანება, ნამლების მიღების შეწყვეტა, ან სეპიოზული დაავადება.

ძირითადი ელემენტები

- ახალშობილს შეუძლია ხუთივე გრძნობის გამოყენება. მაგალითად, მათ უჭირავთ ადამიანს სახეში უყურონ და შეტრიალდნენ მშობლის ხმაზე.
- ახალშობილი უნიკალური ინდივიდია, მრავალფეროვანი შესაძლებლობებით უთანასწორობა დაამყაროს გარემოსთან. შესამჩნევი განსხვავებები ვლინდება ტემპერამენტში, პიროვნულ თვისებებში, ქცევებსა და სწავლის უნარში.
- ახალშობილები აღვილად, დინამიურად ეწონტაქტებიან მომვლელებს. ეს არის გზა ორმხრივი მოძრაობით! ახალშობილი და მომვლელი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

ახალშობილთა ფომპეიქსური ქცევების მაგალითები

მიჩვევა

ახალშობილის უნარი, არჩევითად და ზოგჯერ არ მიიღოს ერთგვაროვანი სტიმულები (ზოგორიცაა განმეორებადი ხმები)

მოხმობა

ჰეციზროული, დინამიური პროცესი მომვლელთან ურთიერთობის და კავშირის

მდგომარეობის ჰეტეროგენულობა

ახალშობილის უნარი, ცვალოს აგზნების დონე სხვადასხვა ხარისხის სტიმულაციის მიხედვით (მაგ. თავის დამშვიდების უნარი)

ალერგია

ახალშობილის უნარი, უყუროს სახეს, შებრუნდეს ხმაზე, გაჩერდეს სიმღერის დროს, გაყვეს ფერად საგნებს, უპასუხოს შეხებას და ამოიცნოს ნაცნობი სუნი.

ჩვილი ბავშვის შეფასება

ჩვილი ბავშვის ერთგვარი გამოკვლევის საფუძველია განვითარების შესაფერისი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა *ყურადღების გადატანა* და *თამაში*. იმის გამო, რომ ჩვილი დროის ერთ მომენტში ყურადღებას ერთ რამეს აქცევს, შედარებით აღვილია, გასინჯვის დროს მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოთ. შეგიძლიათ ბავშვის ყურადღება გადაიტანოთ მოძრავ საგანზე, ნათებაზე, დახეჭობანაზე, ღიტინზე, ან რაიმე ხმაურზე.

თუ არ შეგიძლიათ ბავშვის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოთ ან გაღვიძებული ბავშვის ყურადღება შეარჩიოთ რაიმე საგანზე, თქვენს სახეზე ან ხმაზე, განიხილეთ *მხედველობის* ან *სმენის პრობლემების შესაძლებლობა.*

შედარებით მოზრდილი ჩვილის ბამოკვლევის ძირითადი საკითხები

- მოზრდილ ჩვილთან ურთიერთობა თანდათანობით დაამყარეთ, ყურადღების გადასატანად გამოიყენეთ სათამაშო, ან რაიმე საგანი.
- რაც შეიძლება მეტი გამოკვლევები ჩაატარეთ ბავშვის დედის მუხლებზე ყოფნის დროს
- ბავშვს ნაზად ელაპარაკეთ, მიამსგავსეთ მის ხმებს, რათა მისი ყურადღება მიიქციოთ.
- მშობელს ჰკითხეთ ბავშვის ძალზე, რათა მიიღოთ გამოსადეგი ინფორმაცია განვითარებაზე და აღზრდაზე.
- თუ ბავშვი გაღიზიანებულია, დარწმუნდით, რომ საკმარისადაა ნაჭამი, სანამ დაიწყებთ გამოკვლევებს.

ზოგადი ჩეჯომენდაციები

გასინჯვა დაიწყეთ, ხოლესაც ბავშვი დედის მუხლებზე ზის, ან წევს. თუ ბავშვი დაღლილია, მშიერია, ან ავად არის, სთხოვეთ დედას, ხომ თავის მკერდთან დაიჭიროს. ახლოს გქონდეთ სათამაშოები, ჰედი, ან სხვა ყოველდღიური საგნები. თუ ბავშვი მშიერია, გამოჯვილევის დასრულებამდე უნდა აჭამოთ.



დააჯვირდით ჩვილისა და დედის უთიერთობებს, დედის ემოციებს, ხოლესაც მას შვილზე ესაუბრებით. ყურადღება მიაქციეთ, ხოგორ ატარებს და უჭირავს, ან აცმევს ბავშვს და მშობლის ჩვაქციას იმ სიტუაციებში, ხაც ბავშვს დისკომფორტს უქმნის. შეაფასეთ და აღნიშნეთ დადებითი უთიერთქმედებები, ხოგორიცაა სუხათზე ნაჩვენები აშკარა სიამაყე დედის სახეზე.

ბავშვები, ჩვეულებრივ, ენინააღმდეგებიან გახდას, თუმცა ზოგიერთს მოსწონს სიშიშვლე, აღბათ გაზრდილი ტაქტიური მგრძნობელობის გამო. იმისთვის, ხომ ბავშვმა თქვენც და გარშემო საგნები არ დასვეღოს, ჯარგი იქნება, თუ გამოჯვილევის დროს ბავშვს საფენს დაატოვებთ. მოხსენით მხოლოდ სასქესო ორგანოების, სწორი ნაწლავის, ნეღის და თეძოების გასინჯვისას.

ბავშვის მშობლებთან უთიერთურთიერთობაზე დაკვირვებამ შეიძლება გამოავღინოს ხიგი დარღვევები, ხოგორიცაა *განვითარების შენელება, მეტყველების დაგვიანება, სმენის დეფიციტი,* ან *მშობლებთან არადეკვატური სიახლოვე*. ასევე, მშობლისა და ბავშვის უთიერთქმედებებზე დაკვირვება გამოავღენს მშობლებს, ხომლებიც ცედად არიან ადაპტირებულნი აღზრდის პროცესთან, რისი მიზეზი შეიძლება იყოს *დედის დეპრესია ან არადეკვატური სოციალური ხელშენყობა*.

ბასინგჯვა განვითარების ძირითადი ეტაპების მიხედვით

ვინაიდან დაგჭირებათ ბავშვის მონაცემების განსაზღვრა, განვითარების საზომი გამოიყენეთ გამოკითხვის შემდეგ, უშუალოდ გამოკვლევის დაწყების წინ. "გახარობის და თამაშის" ჩართვები გაზრდის უთითით თანამშრომლობას გამოკვლევის დროს. გამოცდილ ექიმს შეუძლია ჩართოს განვითარების შეფასება სხვა გამოკვლევებში. 675-ე სურათზე ნაჩვენებია ფიზიკური და მოტორული, კოგნიტური და სამეტყველო და სოციალურ-ემოციური საზომის ზოგიერთი ძირითადი საკითხი ცხოვრების პირველი წლის განმავლობაში.

ჩვილობის პერიოდში განვითარების საზომის ერთ-ერთი სტანდარტია დენვერის განვითარების სკრინინგული ტესტი (DDST – Denver Developmental Screening Test). იგი შექმნილია განვითარების შენელების დასადგენად პირობნულ-სოციალური, მცირე მოტორულ-ადაპტაციური, სამეტყველო და დიდი მოტორული ცვლილებების მიხედვით პირველი 6 თვის განმავლობაში.



DDST ფორმა მოცემულია 18-2 ცხრილში, გვ. 795-796 და შეიცავს ინსტრუქციებს სპეციფიკური მონაცემების ჩანერისთვის. ტესტის თითოეული პუნქტი ნარმოდგენილია ასაკის მიხედვით უკრედით, რომელიც გამოხატავს, როდის აღწევს ბავშვი საზომზე ასახული პარამეტრების 25%, 50%, 75% და 90%-ს. *DDST არის განვითარების საზომი, რომელიც განკუთვნილია გარკვეული კატეგორიების შეფასებისთვის და არა კოგნიტური შესაძლებლობების დასადგენად (ინტელექტის).*

DDST მაღალსპეციფიკური ტესტია, მაგრამ არა მაღალმგრძნობიარე. ბევრ ბავშვს, რომელთაც ოდნავ შენელებული განვითარება აქვს, ნორმალური შეფასება გამოსდის. განსაკუთრებით, მეტყველების განკვეთში გაბნეულია და გამოტოვებულია ის ბავშვები, რომელთაც მეტყველების მცირე შენელება აქვთ. მიუხედავად ამისა, DDST მაინც გამოიყენება. სხვა უფრო მეტად ღრმა ტესტები გამოსადეგია მოტორული, მეტყველების და სოციალური განვითარების შეფასებისთვის.

DDST გამოიყენეთ როგორც განვითარების შედარებითი გამოკვლევის დამატება. როდესაც ზოგადი გამოკვლევითა და DDST ტესტით ვარაუდობთ განვითარების შენელებას, აუცილებელია შემდგომი გამოკვლევების ჩატარება. ღრმანაღლულ ბავშვებში განვითარების საზომი გამოიყენეთ, როდესაც მათი გესტაციური ასაკი დაახლოებით 12 თვემდეა.

ბევრი დარღვევის მიზეზები გაურკვეველია ერთ საზომზე მეტად. ბავშვთა უმრავლესობაში, რომელთაც შენელებული განვითარება აქვთ, მიზეზი უცნობია. ზოგიერთი ცნობილი მიზეზია *ემბრიონული განვითარების დარღვევები* (მაგ. პერინატალური ინსულტი, ქრომოსომული პათოლოგიები); *მემკვიდრული* და *გენეტიკური დარღვევები* (მაგ. განვითარების თანდაყოლილი მანკები, გენეტიკური პათოლოგიები); *გარემო და სოციალური ზრუნვები* (მაგ. პლაცენტის უკმარისობა, ნაადრევი მშობიარობა); და *ბავშვთა დაავადებები* (მაგ. ინფექცია, ტრავმა, ქრონიკული დაავადებები.

თუ დამყოლ ბავშვს DDST პუნქტების ნაკლებობა აქვს, შესაძლებელია განვითარების შენელების არსებობა და ასეთი ბავშვი საჭიროებს უფრო ზუსტ გამოკვლევებს და შესწავლას.

ახალშობილისა და ჩვილის გამოკვლევის მეთოდები

ზოგადი დათვალიერება და სასიცოცხლო ნიშნები

ზოგადად, მონაცემების გადახრა ასაკის ოთ სტანდარტულ წესრიგის მოხრის 95 პერცენტილის ზევით და 5 პერცენტილის ქვევით ნახმოადგენს უფრო დეტალური გამოკვლევის ჩვენებას.

ბავშვებში გამოკვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტებია სხეულის ზომის დადგენა (სიმაღლე, წონა და თავის გარშემოწერილობა) და სასიცოცხლო ნიშნების შეფასება (სისხლის წნევა, პულსი, სუნთქვის სიხშირე და სხეულის ტემპერატურა). თანმხლებ დისკზე მოცემულია სისხლის წნევის, სიმაღლის, წონის, სხეულის მასის ინდექსის (BMI) და თავის გარშემოწერილობის ნორმები. ნორმიდან გადახრა შეიძლება იყოს დაავადების პირველი და ერთადერთი მაჩვენებელი (იხ. ცხრილები დისკზე). გარდა სხეულის ტემპერატურისა, მნიშვნელოვანია ბავშვის სასიცოცხლო ნიშნების და სხეულის პარამეტრების შედარება ასაკობრივ ნორმებთან, ვინაიდან ეს მონაცემები მკვეთრად იცვლება ბავშვის ზრდასთან ერთად. პედიატრთა სულ უფრო დიდი უმრავლესობა პრაქტიკაში იყენებს კომპიუტერის შეფასებას ჩაგეღრმავებულ საფეძველზე კომპიუტერის სტანდარტული სკალების გამოყენებით.

სომატური ზრდა

ჩვილის ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ზრდის შეფასება, და ნორმიდან გადახრა გამომწვევი პროცესის აღრეული მაჩვენებელია. ზრდის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვის ზრდის პარამეტრების შედარება

- ასაკის და სქესის მიხედვით ნორმის მაჩვენებლებთან
- იგივე ბავშვის წინა მონაცემებთან

ზრდის ნაკლებობა ახის ასაკის შესაბამისად წონის ახასაკმახისი მატება. ხშირი სცენარი ასეთია:

- ზრდა <5 პერცენტილზე ასაკისთვის
- ზრდის კლება > 2 კვარტილზე 6 თვეში
- წონა სიმაღლესთან <5 პერცენტილზე

მიზეზებია *გარემო და ფსიქოლოგიური ფაქტორები*, ასევე *კუჭ-ნაწლავის, ნევროლოგიურ, გულის, ენდოკრინული, თირკმლების* და სხვა დაავადებები.

იმისთვის, რომ მონაცემები კლინიკურად მნიშვნელოვანი იყოს, პარამეტრები ყურადღებით უნდა გაიზომოს შესაბამისი საშუალებების გამოყენებით და ოპტიმალურად შეფასდეს წონისა და სიმაღლის კლებით.

სომატური ზრდის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ზრდის დიაგრამები, რომლებიც მოდიფიცირებულია და გამოქვეყნებული ჯანმრთელობის სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მიერ. ეს დიაგრამები შეიცავს სიმაღლეს, წონას და თავის გარშემოწერილობას ასაკის მიხედვით, პირველი ნაწილი ეხება 36 თვემდე ასაკის ბავშვებს და მეორე 2-დან 18 წლამდე. ასევე მნიშვნელოვანია დიაგრამები, რომელიც შედგენილია წონის და სიგრძის მიხედვით. ამ დიაგრამებზე არის პერცენტილის გამომხატველი ნიშნები, რაც გამოხატავს ქრონოლოგიური ასაკის მიხედვით ბავშვის მონაცემების ზევით და ქვევით ნორმალური ბავშვების პროცენტებს. თანმხლებ დისკზე მოცემულია ზრდის ასეთი დიაგრამები.

სიგრძე. 2 წლამდე ასაკის ბავშვების სხეულის სიგრძის გასაზომად ბავშვი ზურგზე დააწვინეთ გასაზომ სახახავზე ან ფიცარზე, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები. ბავშვის სიგრძის პირდაპირი გაზომვისთვის დანაყოფებიანი ზონარის გამოყენება ზუსტი მეთოდი არ არის



შენელებული ზრდა, რომელიც გამოისახება ზრდის მიხედზე სიმღრის პერცენტილების დაკლებით, შეიძლება მიუთითებდეს ქრონიკულ მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანია ნორმის სტანდარტებთან შედარება, რადგან ზრდის სიჩქარე მეორე წლის განმავლობაში, ჩვეულებრივ, უფრო დაბალია, ვიდრე პირველი წლის განმავლობაში

თუ ასისტენტი არ უშლის ბავშვს ფეხებს მუხლის და მენჯის სახსრებში. უფრო მოზრდილ ბავშვებში დაგეხმარებათ ზრდის სისწრაფის მრუდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვარაუდობთ ენდოკრინულ დარღვევას.

წონა. ჩვილის წონა პირდაპირ გაზომეთ ჩვილის საკით. ეს უფრო ზუსტია, ვიდრე არაპირდაპირი მეთოდი, რომელიც ემყარება ბავშვისა და მშობლის ეითდროულად ანონვას და შემდეგ მშობლის წონის გამოკლებას. ბავშვს უნდა ეკეთოს მხოლოდ საფენი, ან შიშველი იყოს.

პატარა თავი შეიძლება შედეგი იყოს *ნაკეთების ნაადრევი დახურვის*, ან *მიკროცეფალიის* დროს. მიკროცეფალია შეიძლება იყოს ოჯახური, ან სხვადასხვა *ქრომოსომული ცვლილებების, თანდაყოლილი ინფექციების, მუცლადყოფნის პერიოდში მეტაბოლური დარღვევების* და *ნევროლოგიური ინსულტის* შედეგი.



ზომაზე დიდი თავი (>97 პერცენტილი, ან სამუალოდან 2 სტანდარტული გადახრა) არის მაკროცეფალია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს *ჰიდროცეფალია, სუბდურული სისხლჩაქცევა*, ან უფრო იშვიათად, *თავის ტვინის სიმსივნე*, ან *მემკვიდრული სინდრომები. ოჯახური მეგალოენცეფალია* (დიდი თავი) არის ეთიოთვისებიანი ოჯახური მდგომარეობა ტვინის ნორმალური ზრდით.

თავის გაშემონეხილობა. ჩვილის თავის გაშემონეხილობა უნდა გაიზომოს პირველი 2 წლის განმავლობაში, თუმცა ნებისმიერ ასაკში შეიძლება გამოიყენოთ. ჩვილებში თავის გაშემონეხილობა ასახავს თავის ქალას და თავის ტვინის ზრდის ხარისხს.

სასიცოცხლო ნიშნები

სისხლის წნევა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვილის სისხლის წნევის ზუსტი გაზომვა გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს, ის მაინც მნიშვნელოვანია და უნდა ჩატარდეს ეროთხელ მაინც ახალშობილობის პერიოდში.



ყველაზე მარტივად ჩვილის სისტოლური წნევა შეიძლება გაიზომოს *Doppler-ის (დოპლერის) მეთოდით,* რაც ადგენს არტერიული სისხლის დინების ვიბრაციას, გარდაქმნის მას სისტოლური წნევის დონედ და გადასცემს ციფრულ მონაცემებს. თუმცა დოპლერის აპარატი ძვირია და მარჩენებლები უფრო მაღალია, ვიდრე აუსკულტაციით მიღებული მონაცემები.

ახალშობილებში *მუდმივი ჰიპერტენზიის* მიზეზები შეიძლება იყოს თირკმლის არტერიის დაავადებები (სტენოზი, თრომბოზი), თირკმლის თანდაყოლილი განვითარებული და პოლიკისტოზი.

სისტოლური წნევა თანდათანობით მატულობს ბავშვობის პერიოდში. მაგალითად, ბიჭების ნორმალური სისტოლური წნევა დაბადების მომენტში არის 70 მმ ვწყ სვ, 1 თვის ასაკში – 85 მმ ვწყ სვ, 6 თვის ასაკში კი – 90 მმ ვწყ სვ. გოგონების და ბიჭების სისხლის ნორმალური წნევის დონეები ნლების მიხედვით განსხვავდება დისკზე მოცემულ ცხრილებში, რომლებიც შეიცავს აგრეთვე პერცენტილებს ასაკის და სიგრძის მიხედვით.

ძალიან სწრაფი პულსი (ჩვეულებრივ, >180-200/წთ-ში მიუთითებს *პაროქსიზმულ სუპრავენტრიკულურ ტაქიკარდიაზე.*

პულსი. ჩვილების გულისცემის სიხშირე ფართოდ ცვალებადობს. ამ მაჩვენებელზე უფრო მეტად მოქმედებს დაავადებები, ვარჯიში და ემოცია. ქვემოთ ნაჩვენებია პულსის სამუალო მაჩვენებლები:

ასაკი	გულისცემის სამუალო სიხშირე	საზღვრები
დაბადებიდან 0-2	140	90-190
0-6 თვე	130	80-180
6-12 თვე	115	75-155

მოუსვენარ ბავშვებში შეიძლება გაგიჭირდეთ პულსის დათვლა. საუკეთესო სამუალებაა ბარძაყის არტერიის პალპაცია საზარდულის არეში, მხრის არტერიის პალპაცია იდაყვის ფოსოში ან გულის აუსკულტაცია.

ბრადიკარდიის მიზეზი შეიძლება იყოს *ნამღების მიღება, ჰიპოქსია, თავის ქალას შიდა* ან *ნევროლოგიური მდგომარეობები* ან, იშვიათად, *არითმია*, ოგორც ეს არის ბლოკადები.

ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲡ ᲡᲘᲮᲨᲘᲠᲘᲡ. ისევე, როგორც გულისცემის სიხშირე მოზარდებთან შედარებით, სუნთქვის სიხშირესაც დიდი საზღვრები აქვს და მასზე გავლენას ახდენს დაავადებები, ვარჯიში და ემოცია. სუნთქვის სიხშირე წუთში ცვალებადობს 30-დან 60-მდე ახალშობილებში.

ძალიან ხშირი და ზედაპირული სუნთქვა აღინიშნება ახალშობილებში, რომელთაც აქვთ *გულის ციანოზური დაავადება*, ნორმალური ფილტვები, მაგრამ შუნტი მარჯვნიდან მარცხნივ და მეტაბოლური აციდოზი.

ახალშობილებში სუნთქვის სიხშირე ცვალებადობს მომენტიდან მომანტამდე გახშირების და შემცირების ეპიზოდებით. ყველაზე მისაღებია სუნთქვის სიხშირე ძილის დროს. აქტიური ძილის დროს სუნთქვის სიხშირე შეიძლება დაახლოებით 10-ით მეტი იყოს მშვიდი ძილის დროს სუნთქვის სიხშირეზე. სუნთქვა უნდა დათვალოთ 60 წამის განმავლობაში. ჩვილებში და ადრეული ბავშვობის ასაკში ჭარბობს მუცლის ტიპის სუნთქვა; გულ-მკერდის ექსკურსია მინიმალურია.

ჩვილებში *ცხელება* ზრდის სუნთქვის სიხშირეს. პნევმონიის არარსებობისას სუნთქვის სიხშირე შეიძლება წუთში 10-ით გაიზარდოს ტემპერატურის თითოეულ გრადუსზე.

ჩვილებში ტაქიპნოე და სუნთქვის სიძნელის ზრდა შესაძლო პნევმონიის მაჩვენებელია.

ზოგადად მიღებული ზღვარი ტაქიპნოეს დეფინიციისთვის:

დაბადებიდან 2 თვემდე >60/წუთში
2-12 თვე >50/წთ-ში

ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ვინაიდან ცხელება ძალიან ხშირია ბავშვებში, ტემპერატურის ზუსტი გაზომვა დაგჭირდებათ, როდესაც ვარაუდობთ ინფექციის დაავადებას, ყოლაგენოზებს, ან ავთვისებიან სიმსივნეს. მოზარდებში ექსტრა, ორალური და სასმენ მილში ტემპერატურის გაზომვის მეთოდია აღნერილია 112 და 113-ე გვერდებზე. იღლიის ფოსოში და შუბლზე ჯანის ტემპერატურის გაზომვა ჩვილებში და ბავშვებში ზუსტი არ არის.

ცხელება (>38.0°C ან >100.0°F) 2-3 თვემდე ასაკის ჩვილებში შეიძლება იყოს *სერიოზული ინფექციური დაავადების* ნიშანი. ასეთი ბავშვები ყურადღებით უნდა გამოიკვლიოთ.

ექსტრა ტემპერატურის გაზომვა შეგარებით მარტივი პროცედურაა. შემდეგ გვერდზე ნაჩვენებია ეტაპ-ეტაპი მეთოდი. გამოსაკვლევ მაგიდაზე, ან დედის, ან თქვენს მუხლებზე ბავშვი პირქვე დააწვინეთ. ერთი ხელით გადაუწიეთ დუნდულოები, მეორე ხელით ჯი ფერთხილად შეიყვანეთ ჯარად გაპოხილი ექსტრა თერმომეტრი დაახლოებით 20°-ით დარხილად მაგიდის, ან მუხლების მიმართ სწორი ნაწილის სფინქტერის გავლით უფრო ღრმად, დაახლოებით 2-3 სმ-ზე. თერმომეტრი გააჩერეთ სულ ცოტა 2 წთ-ით.

ჩვილების და ბავშვების სხეულის ტემპერატურა ნაკლებად მედმივია, ვიდრე მოზარდების. სამუალო ექსტრა ტემპერატურა უფრო მაღალია ჩვილებში და ადრეულ ბავშვთა ასაკში, ჩვეულებრივ არ ჩამოდის 90.0°F-ზე (37.2°C) ქვემოთ 3 დღის ასაკამდე. დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა შეიძლება იცვლებოდეს 3°F-ით და აღნევდეს 101°F (38.3°C) ჯანმრთელ ბავშვებში, განსაკუთრებით გვიან საღამოს და ზედმეტი აქტიურობის შემდეგ.

ბავშვებში აგზნება ინვევს სხეულის ტემპერატურის ანვას. ჩვილების *ზედმეტად გახვევამ* შეიძლება გაზარდოს ჯანის და არა შინაგანი ტემპერატურა.



ახალშობილებში ტემპერატურის ცვალებადობის მიზეზი შეიძლება იყოს სეფსისი, მეტაბოლური დარღვევები, ან სხვა სერიოზული მდგომარეობები. უფრო დიდი ასაკის ჩვილებში იშვიათია ტემპერატურის ცვალებადობა.

კანი

ახალშობილის კანს აქვს *სტრუქტურის და შესახედაობის* უნიკალური მახასიათებლები. სტრუქტურა ხშირია და გლევი, ხოლო ფიზიკურად, ვიდრე მოზრდილი ბავშვის. დაბადებიდან 10 წუთის განმავლობაში ნორმალური ახალშობილის კანი ჯერ ციანოზურია, შემდეგ ვარდისფერი ხდება. თეთრკანიან ახალშობილებს პირველი 8-24 საათის განმავლობაში შეიძლება განუვითარდეთ ერითემული სინდრომი, რის გამოც კანს ეძლევა "მოხარშული ქინძისთავის" შესახედაობა, შემდეგ კი ნორმალური ვარდისფერი შეფერილობა ვითარდება.

მარმარილოს კანი აღინიშნება *დღენაკლულ ჩვილებში* და *თანდაყოლილი ჰიპოთირეოზისა* და *დაუნის სინდრომის* მქონე ბავშვებში.

კანისა და კანქვეშა ქსოვილის ვარდმოცოცხლე ცვლილებები – პასუხი სიცივეზე, ან ინფარქტით გამოსხივებაზე – ინვევს ბადისებურ, მოცისფრო შესახედაობას *(მარმარილოს კანი – cutis marmorata)*, განსაკუთრებით ტანზე, მკლავებზე და ფეხებზე. ასეთი ჰექცია სიცივეზე შეიძლება გაგრძელდეს თვეების განმავლობაში ნორმალურ ჩვილებში. აკროციანოზი, სიცივეზე მტევნების და ტერფების ღრმა შეფერილობა (იხ. სურათი შემდეგ გვერდზე), ხშირია ახალშობილებში პირველი ხარისხის ერთ დღის განმავლობაში და შეიძლება განმეორდეს ხოლმე ადრეული ბავშვობის ასაკში. ახალშობილებში, განსაკუთრებით, დარტყმით ფერის ცვლილებები (*ერითემის დისფორმია*) ვლინდება სხეულის ერთი ნახევრის, ან ერთი კიდურის ციანოზით, რისი სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს სისხლძარღვთა ხანმოკლე ანასტომოზირება

თუ აკროციანოზი არ ქრება 8 საათის განმავლობაში, ან გათბობით, ციანოზის მიზეზი შეიძლება იყოს *ბუნების თანდაყოლილი ცირკულაციური დარღვევა.*

ახალშობილთა ჯანში მეღანინის შემცველობა ცვალებადობს და გავლენას ახდენს პიგმენტაციაზე. შავჯანიან ახალშობილებს დასანყისში შეიძლება უფრო ღია ფერის ჯანი ჰქონდეთ, ვიდრე მოგვიანებით, გარდა ფრჩხილების საჭესელისა და სასქესო ორგანოებისა, რომლებიც დაბადებისთანავე მუქია. ფერხის ძირების და ნელის არეში მუქი ან მოლურჯო შეფერილობა ხშირია აფრიკელ, აზიელ და ხმელთაშუა ზღვის აუზის ბავშვებში. ამ უბნებს უწოდებენ მონგოლოიდურ ლაქებს, მისი მიზეზია პიგმენტური უჯრედების სიღრმეში; ეს უფრო შესამჩნევი ხდება ასაკის მატებასთან ერთად და ჩვეულებრივ ქრება ბავშვობაში. აუცილებელია ამ პიგმენტური უბნების აღნიშვნა, რათა მომავალში არ ჩაითვალოს სისხლჩაქცევებად.



აკრომეგალიის მქონე ბავშვი 30 წლის განმავლობაში 32 კგ-ის ახალშობილში, რომელსაც გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია არ აღენიშნება.

ჩვილის, ან ნებისმიერი ასაკის ბავშვის ცენტრალური ცირკულაციური ზრდის *გულის თანდაყოლილი დაავადების* შესაძლებლობას. ცენტრალური ციანოზისთვის უნდა დაათვალიერთ ენა და პირის ღრუს ლორწოვანი და არა ფრჩხილები და ტიტები.

დაბადების დროს აღინიშნება ნაზი, ფუმფულა თმიანობა, რასაც *ლანუგო* ეწოდება და გამოხატულია მთელ სხეულზე, განსაკუთრებით მხრებზე და ზურგზე. ეს თმიანობა ქრება რამოდენიმე კვირის განმავლობაში. დღენაკლულ ბავშვებში ლანუგო უფრო ხანგრძლივია. თავზე თმის სისქე ცვალებადობს ახალშობილებში და საბედნიეროდ არ გასაზღვრავს მომავალში თმის ზრდის ხარისხს. თავდაპირველი თმიანობა მთლიანად ქრება რამოდენიმე თვეში და ამოდის არაღი თმა, ზოგჯერ განსხვავებული ფერის.

ღია ყავისფერი პიგმენტური დაზიანება (<1-ჯერ დაბადებისას) წარმოადგენს *caf[]-au-spots (ძლიერი ყავის) ლაქებს*. იზოლირებული დაზიანება მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ მრავლობითი ლაქები სწორი ტიტებით *ნეიროფიბრომატოზზე* მიუთითებს. იხ. ცხრილი 18-5, გვ. 799.

ინსპექცია

ახალშობილის ჯანი ახლიდან დაათვალიერეთ ჯანის მდგომარეობის შესამოწმებლად. დაბადებისას ჯანი დაფარულია ხაჭოსებური თეთრი ნივთიერებით, რასაც ეწოდება *vernix caseosa*, შედგება ცხიმისა და ჩამოფცქვნილი ეპითელური უჯრედებისგან. ზოგიერთ ახალშობილს აღენიშნება ხელების, ტერფების, წვივების, გავა-ნელის *შეშუპება*, რომელიც რამოდენიმე დღეში ქრება. დაბადებიდან 24-36 საათის შემდეგ ახალშობილს აღენიშნება ჯანის ზედაპირული ჩამოფცქვნა.

დაბადების დროს ჯანის ჩამოფცქვნა ზოგიერთ ნორმალურ ბავშვში ვითარდება, უფრო ხშირად *გადავადებულ ბავშვებში* (გესტაციური ასაკი >40 კვირა). იშვიათად, იგი წარმოადგენს პლაცენტის სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, ან *თანდაყოლილი იქთიოზის* ნიშანს.

ახალშობილებში უნდა გაარჩიოთ ოთხი ხშირი დერმატოლოგიური მდგომარეობა.

- ნასიცხი – *Miliaria rubra*, წარმოადგენს გაფანტულ ვეზიკულებს, რომელთაც წითელი ფუძე აქვთ, ჩვეულებრივ, ჩნდება სახეზე და ჯანზე. მისი მიზეზია საოფლე ჯირკვლების საღინარების დახშობა; რამოდენიმე კვირის განმავლობაში სპონტანურად ქრება.

- ტოქსიური ერითემა – *Erithema toxicum*, ჩვეულებრივად, ვლინდება დაბადებიდან მეორე-მესამე დღეს, წარმოადგენს ერითემულ მაკულებს ცენტრში ნეტილოვანი ვეზიკულებით, რომლებიც გარშემორტყმულია მთელ სხეულზე და ჰგავს ნაკბენებს. მისი ეტიოლოგია უცნობია, ქრება დაბადებიდან რამოდენიმე დღეში.



Erithema toxicum

- *Pustular melanosis* – ჩვეულებრივ, ვლინდება მავკანიან ბავშვებში დაბადებისთანავე მცირე ზომის ვეზიკულო-პუსტულის სახით ყავისფერ მაკულაზე ფონზე; შეიძლება გაგრძელდეს ხანმოკლე თვის განმავლობაში.

- თეთრი ფერის მჭამელი – *Milia* ქინძისთავის ზომის გლუვი თეთრი ამობურცული უბნები, გახშემოხტყმელი არ არის ეოზინოფილით, აღინიშნება ცხვირზე, ნიკაპზე და შუბლზე. მიზეზია ქონის ჯირკვლების ხვრელებში ცხიმის დაგროვება. იშვიათია დაბადებისთანავე, ჩვეულებრივ ჩნდება პირველი კვირის განმავლობაში და ხანმოკლე კვირაში ქრება.

დაკვირვით ხანმე სამშობიარო ტრავმის და ქირურგიული მანიპულაციების ნიშნების არსებობას; ეს ნიშნები ქრება, მაგრამ საჭიროებს ყურადღებით ნევროლოგიურ გამოკვლევას.

სიყვითლე. ნორმალური "ფიზიოლოგიური" სიყვითლე, რომელიც ვლინდება ახალშობილთა დაახლოებით ნახევარში, ჩნდება დაბადებიდან მე-2-3 დღეს, პიკს აღწევს მე-5 დღეს და ერთი კვირის განმავლობაში ქრება. სიყვითლე უკეთესად ჩანს დღის სინათლეზე, ვიდრე ხელოვნურ განათებაზე. ახალშობილთა სიყვითლე ვრცელდება თავიდან ფეხის თითებისკენ, უფრო ინტენსიურად გამოხატულია სხეულის ზემო ნაწილში, ყველაზე ნაკლებია ქვემო კიდურებზე. სიყვითლის დასადგენად, დააწექით კანს, როგორც სურათზეა ნაჩვენები, ხოლო გადაჭიმოთ ნორმალური ვარდისფერი, ან ყავისფერი შეფერილობა. დააკვირდით კანის მოყვითალო გაფერმკრთალებას, რაც სიყვითლის ნიშანია. სხვანაირად, შეიძლება სასაგნე მინა დააჭიროთ კანს, ხოლო დაიცალოს კაპილარები და დააკვირდით კანის კონტრასტებს.



კანზე ხელის დაჭერით ჩნდება მოყვითალო გაფერმკრთალება. ჩვილი ძნელად შესამჩნევი სიყვითლით გელმკერდის დონეზე.



ახალშობილი, რომელსაც ბილირუბინის დონე აქვს 13 მგ/დლ (220 μmol/L).

სიყვითლე, რომელიც დაბადებიდან პირველი 24 საათის განმავლობაში ჩნდება, პათოლოგიური უნდა იყოს, რომლის მიზეზია *ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადება.*

სიყვითლე, რომელიც 2-3 კვირის განმავლობაში გრძელდება, *ღვიძლის დაავადებაზე* ან *სანაღვლე გზების ობსტრუქციაზე* ვარაუდს ზრდის.

სისხლძარღვოვანი ნიშნები. ხშირ სისხლძარღვოვან ნიშნებს, რომლებიც ვლინდება ახალშობილთა 40%-ში, ნახმოადგენს *"ოხაგელის ღაქები"* (ასევე უწოდებენ *nevus simplex*, ტელეანგიექტაზიურ ხალს, ან კაპილარულ ჰემანგიომას). ეს არის ბრტყელი, არასწორი კიდეების ღია ფერის ვარდისფერი ღაქები, ხშირია კეფაზე ("ნეკრის ნაკბენი"), ზედა ქუთუთოებზე, შუბლზე, ზედა ტუჩზე ("ანგელოზის ნაკბენი"). ესენი ქრომატიტი ხალები არ არის, მათი მიზეზია კანის კაპილარების გაფართოება; 1 წლის ასაკისთვის ეს ღაქები ქრება. სახეზე ან კიდურებზე მუქი ფერის აღრმავების ნახიანებას უწოდებენ "ფორტვეინის ღაქებს" და ისინი არ ფერმკრთალდება.



"ოხაგელის ღაქები" კეფაზე, თმის ხაზთან.

ტოქსიური ერითემა და Pustular melanosis შეიძლება პათოლოგიის დროსაც განვითარდეს, როგორიცაა ვეზიკულური გამონაყარი *herpes simplex-ის (მარტივი ჰერპესი),* ან კანის *Staphylococcus aureus (ოქროსფერი სტაფილოკოკი)* ინფექციის დროს, რომლებიც სერიოზულ ინფექციებს ნარმოადგენს და სასწრაფო მკურნალობას საჭიროებს.

გავა-ნეკრის არეში შეა ხაზზე თმის ქონის არსებობა *ზურგის ტვინის დეფექტზე* მიუთითებს.

ახალშობილთა ნახევარზე მეტს ბილირუბინის დონე აქვს 13 მგ/დლ (220 μmol/L).

პალპაცია



ჯანის გამოკვლევა მოიცავს პალპაციას ჯანის ჰიდრატაციის, ან *ტურგორის* შეფასებისთვის. მუცლის ჯედეზე ჯანი შეანაოჭეთ და დააკვირდით მის კონსისტენციას. ჯანი ჰიდრატაციის ახალშობილებში და ბავშვებში ჯანი ხელის გამშვებისთანავე ძვეც აღგილს უბრუნდება. თუ ჯანი აღგილს ნელა უბრუნდება, ჩოგორც მარჯვნივ სურათზეა ნაჩვენები, ეწოდება "ჯაჭვის" ფენომენი და, ჩვეულებრივ, ვლინდება ძლიერი *დეჰიდრატაციის* დროს.

თავი

დაბადებისას ბავშვის თავი შედარებით დიდია. ახალშობილის თავის ზომა სხეულის სიგრძის მეოთხედია ან სხეულის წონის მესამედი; ეს პროპორცია იცვლება, ისე, რომ მოზარდის ასაკში თავის ზომა სხეულის სიგრძის მეშვიდია და წონის მეათედი.

ყურადღებით დაათვალიერეთ *ნაკერები* და *ყიფლიბანდები* (იხ. ქვემოთ სურათი). თავის ქალას ძვლები ერთმანეთისგან გამოყოფილია მემბრანული ქსოვილების სივრცეებით, რასაც *სუტურა* ეწოდება. იმ უბნებს, სადაც მთავარი ნაკერები იკვეთება თავის ქალას წინა და უკანა ნაწილებში, ეწოდება *ყიფლიბანდები.*

პალპაციით ნაკერები შეიგრძნება როგორც ძვლის კიდე, ხოლო ყიფლიბანდები – როგორც ხრიალი ჩაღრმავება. *წინა ყიფლიბანდის* დიამეტრი *დაბადებისას 4-დან 6 სმ-მდეა და, ჩვეულებრივ, იხურება 4-დან 26 თვემდე ასაკში (90%-ში 7-19 თვე). უკანა* ყიფლიბანდის ზომა დაბადებისას 1-2 სმ-ია და, ჩვეულებრივ, იხურება 2 თვის ასაკში.



დიდი ზომის უკანა ყიფლიბანდი შეიძლება აღინიშნებოდეს *თანდაყოლილი ჰიპოთირეოზის* დროს.

ამობურცული და დაჭიმული ყიფლიბანდი აღინიშნება ბავშვებში, ვისაც *მომატებული აქვთ თავის ქალას შიდა წნევა.* ამის მიზეზი შეიძლება იყოს *ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექცია, სიმსივნური დაავადება* ან *ჰიდროცეფალია* (თავის ტვინის პარენქიმაში თავზურგ-ტვინის სითხის მიმოქცევის ობსტრუქცია.

ყიფლიბანდების ყურადღებით გამოკვლევა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი ამოვსება *თავის ქალას შიდა ნნევის* მომატების ნიშანია. ყიფლიბანდების პალპაციის ჩატარება უკეთესია, როდესაც ბავშვი მშვიდად ზის, ან ვეჭიჯაეუხად გიჭირავთ. გამოკვლიეთ ყიფლიბანდს გამოკვლევის დასაწყისში სინჯავს. ნორმალურ ჩვილებში ნინა ყიფლიბანდი ხშირია და ბრტყელი. თავის ქალას შიდა ნნევის მომატება იწვევს ყიფლიბანდის ამოზნექვას და ვლინდება ბავშვის ტირილის, ყვირილის ან ხველე თანმხლები პათოლოგიის დროს. ყიფლიბანდის პულსაცია ასახავს პერიფერიულ პულსს.

ნინა ყიფლიბანდის ჩანევა *დეჰიდრატაციის* ნიშანია.

დაბადებისას თავის ქალას ძვლების ნაკეცებში გადაფარვას ეწოდება *ფორმირება* და ვითარდება სამშობიარო ასხში თავის გავლის დროს; 2 დღეში ქრება.

თავის ჯანის ვენების დილატაცია *თავის ქალას შიდა ნნევის ხანგრძლივი მომატების* დროს აღინიშნება.

დაათვალიერეთ თავის ჯანის ვენები დილატაციის არსებობაზე.

შეაფასეთ *თავის ქალას სიმეტრიულობა*. ახალშობილებსა და ბავშვებში სხვადასხვა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს თავის ქალას ასიმეტრია; ზოგიერთი ასიმეტრია ნორმალურია ან ეთნიკურ-ვარიანტი, მაშინ როდესაც სხვა დროს ასახავს პათოლოგიას.



ხშირად ახალშობილის თავზე აღინიშნება შესიება ჯანქვეშა შეშუპების გამო თხემ-ეფის არეში და ეწოდება *caput succedaneum* (ჩვილის ქსოვილების შეშუპება), გამოწვეულია ჯაჭვრარების გაფართოვებით და სისხლის და სითხის გასვლით სისხლძარღვებს გარეთ. ამის მიზეზია ამნიონური გარსის გასკდომის ვაკუუმის ეფექტი. ეს შესიება ხშირად გაღის ნაკეცებში და გაინოვება 1-2 დღეში.

თავის ქალის ადგილობრივი შესიების სხვა ტიპია *ცეფალჰემატომა*, რომლის მიზეზია სუბპერიოსტული სისხლჩაქცევა სამშობიარო ტრავმის გამო. ეს შესიება არ გაღის ნაკეცებში და, ამიტომ, გაინოვება 3 კვირის განმავლობაში. სისხლჩაქცევა განოვისა და კალცინირების დროს, შეიძლება პალპაციით ისინჯებოდეს ძვლოვანი კიდეებით და ჩვილი ცენტრით.

დაბადებისას ღონაკლული ჩვილის თავის კეფა-შუბლის დიამეტრი შედარებით გრძელია და საფეთქლებს შუა დიამეტრი – ვინრო (*დოლიხოცეფალია*). ჩვეულებრივ, თავის ფორმა ნორმალური ხდება 1-2 წლის ასაკში.

თავის ქალას თაღის ასიმეტრია (*პლაგიოცეფალია*) ვითარდება, როდესაც ბავშვი უფრო ხშირად ცალ მხარეს წევს. ამის შედეგად ამ მხარეს ვითარდება თხემ-ჯეფის მიდამოს გაბრტყელება და საპირისპირო მხარეს შუბლის ჩაგრონის გამოდრეკა. როდესაც ბავშვი უფრო აქტიური ხდება და ნაკლებ დროს ატარებს ერთ რომელიმე მხარეს, ეს ცვლილებები ქრება და თავის ქალა სიმეტრიული ხდება. საინტერესოა, რომ უმეტესობა შემთხვევაში პლაგიოცეფალიის მიზეზია ჩვილთა უცხო სიკვდილის სინდრომის რისკის შემცირების მიზნით ბავშვების გვერდზე დაწვენა.

პლაგიოცეფალია შეიძლება გამოწვეული იყოს მდებარეობის მონაცვლეობით, აგრეთვე, მშობიარობის დროს მკერდ-ღრძილის-ბრი კუნთის დაზიანების გამო განვითარებული *კისრისმკლობით (torticollis).*

თავის გარშემოწერილობა გაზომეთ (გვ. 696), რათა დაადგინოთ დიდი ზომის თავი *(მაკროცეფალია)* და პატარა ზომის თავი *(მიკროცეფალია),* რაც შეიძლება თავის ტვინის დამაზიანებელი დარღვევების გამომხატველი იყოს.

მუცლადყოფნის პერიოდში ერთი ან მეტი ნაკეცის დახურვა იწვევს *კრანიოსინოსტოზს* არანორმალური ფორმის თავის ქალით. *საგიტალური ნაკეცის* სინოსტოზი იწვევს თავის ქალას დავიწროებას თხემის ძვლების განვითარების შეფერხების გამო. ასეთ ქალაზე პალპაციით შეიძლება დადგინოთ ნაკეცების ზოლებზე ძვლის ნამოწეული კიდეები.

ჩვილის თავის ქალას პალპაცია ფრთხილად ჩატარეთ. თავის ქალას ძვლები ჩვეულებრივ "ბრიალა" ან ელასტიური; გესტაციური ასაკის მატებასთან ერთად ძვლებიც მკვრივი ხდება.

კრანიოტაბესის დროს თავის ქალას ძვლები შეიგრძნობა ელასტიურად და ბრიალად, ჰგავს მაგიდის ტენისის ბურთს, რომელიც ზეწოლაზე უკან ხტება. კრანიოტაბესი ვითარდება თავის ქალას მიდა ნაკვის მომატებისას *(ჰიდროცეფალია),* მეტაბოლური დარღვევების დროს *(ჰიპოქსია)* და ინფექციის დროს *(გენიტალური ინფექცია).*

პატარა ბავშვებში თავის ქალას აუსკულტაცია არ გამოიყენება, ვინაიდან სისტოლური ან უწყვეტი შეიძლება მოისმინოთ საფეთქლის არეზე ბევრ ნორმალურ ბავშვში. დიდი ასაკის ბავშვებში, რომელთაც მძიმე ანემია აქვთ, თავის ქალაზე შეიძლება შეიძლება მოისმინოთ.

არტერიულ-ვენური ფისტულა შეიძლება ნარმოქმნილეს ხმამაღალ შეიძლ.

დააკვირდით ჩვილის *სახის* სიმეტრიულობას. სამკერდოსნოში მდებარეობამ შეიძლება სახის ხანმოკლე ასიმეტრია გამოინვიოს. თუ თავი მკერდის ძვლისკენაა მოხრილი, შეიძლება განვითარდეს ნიკაპის დამოკლება *(მიკროგნათია).* ქვედა ყბაზე მხრების ზეწოლამ შეიძლება გამოინვიოს ქვედა ყბის ლატერალური გადანაცვლება.

მიკროგნათია შეიძლება იყოს რომელიმე სინდრომის ნაწილი, როგორიცაა *Pierre Robin-ის (პიერ რობინის) სინდრომი.*

დააკვირდით ბავშვის *სახის გამომეტყველებას* და შეადარეთ მშობლების გამომეტყველებას. ბავშვის სისტემატური განსხვავება, რომელსაც სახის არანორმალური გამომეტყველება აქვს, დაგეხმარებათ სპეციფიკური სინდრომების დადგენას. შემდეგ გვერდზე მოცემულია სახის გამოკვლევის საფეხურების აღწერა.

მესაძლო ანომალიური სახის გამომეტყველების მქონე ახალშობილის ან ჩვილის შეფასება

უმეტესობა განვითარებისა და გენეტიკის სინდრომებს ანომალიური სახის გამომეტყველებასთან ერთად სხვა დაჩლევებიც ახასიათებს.

ყურადღებით გაეცანით ანამნეზს, განსაკუთრებით:
- ოჯახის ანამნეზს
- ორსულობას
- პერინატალურ ანამნეზს

ობიექტური გამოკვლევის დროს ყურადღება მიაქციეთ სხვადასხვა დაჩლევებს, განსაკუთრებით
- ზრდას
- განვითარებას
- სხვა დისმორფული სომატური ნიშნები

გამოიყენეთ გაზომვები (და პერცენტილური დიაგრამები), განსაკუთრებით:
- თავის გარშემოწერილობის
- სიმაღლის
- წონის

ბავშვი, რომელსაც აქვს თავის ქალის ანომალიური ფორმა ან სიგრძე: ზემოთკენ ირიბი (Down-ის (დაუნის) სინდრომის დროს) ქვემოთ ირიბი (Noonan-ის (ნუნანის) სინდრომის დროს) მოკლე (აღკეთილის გავლენა ნაყოფზე)

განიხილეთ სახის დისმორფოგენეზის სამი მექანიზმი:
- სამკვირისნოში დეფორმაცია
- ამნიონური სარტყელის ან ჩანასახოვანი ქსოვილის განყვეტით გამოწვეული
- შინაგანი დაჩლევებით გამოწვეული სახის/თავის ან ტვინის განვითარების მანკი

გამოიკვლიეთ მშობლები და და-ძმა:
- მშობლებთან მსგავსება დაგეხმარებათ (მაგ. დიდი თავი), ან შეიძლება გამოხატავდეს ოჯახურ პათოლოგიას

ეცადეთ დაადგინოთ, სახის გამომეტყველება ხომ არ სინდრომს ხომ არ შეესაბამება და შეადარეთ:
- სინდრომის ინფორმაციას (გაზომვების ჩათვლით) და ლიტერატურას
- ნიშნების და მათი კომბინაციების ცხრილებს/მონაცემებს

Chvostek-is (შვოსტეკის) დადებითი ნიშანი ნიშნავს სახის მიმიკის დაჩლევას სახის ჯუნთების განმეორებადი შეკუმშვით. შვოსტეკის ნიშანი ჩნდება *ჰიპოკალციემიური ტეტანიის, ჰიპერვენტილაციური ტეტანიის და ტეტანუსის დროს.*

ღიპების პერკუსია გამოგადგებათ *Chvostek-is (ხვოსტეკის) ნიშნის* შესამოწმებლად, რომელიც ალინიშნება ზოგიერთი მეტაბოლური დარღვევის დროს და იშვიათად ჯანმრთელებში. თქვენი საჩვენებელი ან შუა თითის ნვერით ჩაატარეთ პერკუსია ყურის წინ ღოყაზე ყვრიმალის ძვლის ქვემ.

ბრონქოგენური კისტები წარმოადგენს მცირე ზომის ხვრელებს ან ჩაღრმავებებს მყარ-ღრძნ-დვრილებრივი ჯუნთის შუა ნაწილის წინ. ისინი შეიძლება დაკავშირებული იყვნენ სინუსის ტრაქტთან.

ყურის წინა კისტები და სინუსები ხშირია, ქინძისთავის ზომის ორმოები, ჩვეულებრივ, მდებარეობს ყურის წინა სახურავის წინ.

III ყისერი

პალპაციით გასინჯეთ *კისრის ლიმფური ჯვანძები* და მასები, როგორიცაა *თანდაყოლილი კისტები.* ვინაიდან ჩვილის კისერი მოკლეა, უკეთესი იქნება პალპაცია ჩაატაროთ ბავშვის ზურგზე წოლის დროს, მაშინ, როდესაც მოზრდილი ბავშვის კისრის გასინჯვა უმჯობესია ჯდომის დროს. დააკვირდით ფერისებრი ხრტილის და ტრაქეას მდებარეობას.



ისინი ხშირად ოჰმსხივადაა და იშვიათად შეიძლება ახლდეს სმენის დაქვეითება.

ფარისებრ-ენის სადინარის ცისტები მდებარეობს ყისრის შუა ხაზზე ფარისებრი ხრტილის ზევით. ესენია მცირე ზომის, მკვრივი, მოძრავი მასები, ინვევიან ზევით ენის გამოყოფის და ყლაპვის ღრის. ჩვეულებრივ, ჩნდებიან 2 წლის ასაკის შემდეგ.

თანდაყოლილი ცისტოზური ჰიგრომა ან "გამრუდებული ცისტი" ვითარდება სისხლჩაქცევის შედეგად მკერდ-ღავინ-დვრილებრი კუნთის არეში მშობიარობის პროცესში. 2-3 კვირის შემდეგ ვითარდება მკვრივი ფიბროზული ქსოვილი და უმეტესად თვეების შემდეგ ქრება.

ახალშობილებში გასინჯეთ *ღავინის ძვლები* და დააკვირდით მოტეხილობის არსებობას. თუ მოტეხილობა აღინიშნება, იგი უნდა შეიგრძნოთ ძვლის ჯონტკრზე, აღინიშნება მტკივნეულობა, მოტეხილობის მხარეს კრეპიტაცია და დაზიანების მხარეს მკლავის მოძრაობის შეზღუდვა.

ღავინის მოტეხილობა შეიძლება მშობიარობის დროს განვითარდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაძნელებულია მკლავების ან მხრების გამოტანა.

თვალები

ჩვენს ბავშვებს უნდა ვასწავლოთ – გახელილი თვალებით იოცნებონ – ჰარი ედვარდსი.

ახალშობილებს თვალები დახუჭული აქვთ გარდა სიფხიზლის ხანმოკლე პერიოდებისა. თუ თქვენ ეცდებით ქუთუთოების დაცილებას, ბავშვი უფრო მჭიდროდ დახუჭავს. კამკამა სინათლე აიძულებს ჩვილს თვალები ახამხამოს, ამიტომ გამოიყენეთ მცირე განათება. თუ ბავშვს ფრთხილად გააღვიძებთ, სინათლეს დაუწიეთ და ბავშვი მკრთომარე მდგომარეობაში გააჩერეთ. ამ დროს ნახავთ, რომ მას თვალები გაღებული ექნება. უმეტესობა ახალშობილთა თვალები ორივე შემთხვევაში მშობიარობის პროცესის გამო.

გონიერება გამართებთ ჩვილისა და პატარა ბავშვის თვალების დათვალიერებისას და უნდა მიმართოთ გამჭრიახობას, რომ დაამყაროთ მათთან ურთიერთქმედება. პატარა ფეხადი სათამაშოები დაგეხმარებათ ბავშვის მზერის დაფიქსირებაში და გაგიადვილებთ თვალების შემოწმებას.

ახალშობილს შეუძლია სახეში გიყუროთ და თვალი გაყოლოს კამკამა სინათლეს სიფხიზლის პერიოდში. შეგიძლიათ ზოგიერთ ახალშობილს საშუალება მისცეთ თვალი გაყოლოს თქვენს სახეს ან თავი შეაბრუნოს 90°-ით ორივე მხარეს, ხათა ასიამოვნოთ მშობლებს.

ახალშობილს, როდესაც ნამდვილად არ შეუძლია თვალების გახელა (მაშინაც კი, როდესაც ღვიძავს და აქტიურია), შეიძლება ჰქონდეს თანდაყოლილი ფტოზი. მიზეზებია სამშობიარო ტრავმა, თავის ტვინის ნერვის დამბლა და მექანიკური პრობლემები.

თუ ახალშობილს უჭირს მზერის გაყოლება სიფხიზლის პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თვალების გამოკვლევას. ეს შეიძლება ნორმალურ ბავშვებში იყოს ან მიუთითებდეს *მხედველობის დაქვეითებაზე.*

ქვემოთ სუსათზე ნაჩვენებია ჩვილი ბავშვების *თვალების მოძრაობის გამოკვლევის* ეთაეთი საშუალება. ბავშვი ვერტიკალურად დაიჭირეთ და თავი გაუმაგრეთ. ბავშვთან ეთაად ნელა შებრუნდით ეთა მხარეს. ამ დროს, ჩვეულებრივ, ბავშვის თვალები გახელილია და შეგიძლიათ დაათვალიეროთ სახლი, გუგები, ფერადი გარსი და თვალის მოძრაობები. ბავშვის მზერა თქვენი მოძრაობის მიმართულებას მიყვება. როდესაც გაჩერებით, თვალები სანინააღმდეგო მხარეს იყურებიან ჩამოდენიმე ნისტაგმური მოძრაობის შემდეგ.

ნისტაგმი (თვალის ხტუნვითი მოძრაობა), რომელიც გრძელდება ჩამოდენიმე დღე ან ზემოთ აღნერილი მოძრაობის შემდეგ, შეიძლება გამოხატავდეს ცუდ მხედველობას, ან *ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებას.*



დაბადებიდან პირველი 10 დღის განმავლობაში თვალები შეიძლება ფიქსირებული იყოს, იყურებოდეს ეთარ მიმართულებით, თუ მხოლოდ თავია შებრუნებული და სხეული უძრავია (თოჯინის თვალის ეფექტი). ჩამოდენიმე თვის განმავლობაში ზოგიერთ ჩვილს აღენიშნება ხანგამოშვებით თვალების მოახლოვება *(ხანგამოშვებითი აღტენანსიული ჯონვეგენსიული სიელმე ანუ ეზოტროპია),* ან ხანგამოშვებითი თვალების ღატეარული გადახრა *(ხანგამოშვებითი აღტენანსიული დივეგენსიული სიელმე, ანუ ეგზოტროპია).*

აღტენანსიული ჯონვეგენსიული ან დივეგენსიული *სიელმე,* რომელიც გრძელდება 3 თვის განმავლობაში, ან ნებისმიერი ტიპის სიელმის გახანგრძლივება შეიძლება აღნიშნავდეს *თვალის მამოძრავებელი ჯუნთის სისუსტეს,* ან მხედველობის სისტემის სხვა დარღვევებს.

დაადვირდით სახლსა და გუგების ცვლილებებს ან თანდაყოლილ პრობლემებს. ახალშობილებში ხშირია სისხლჩაქცევები ჯონიუნქტივის ქვეშ.

ჯოლობომა შეიძლება ნახოთ გაღებულ თვალზე და აღნიშნავს ფერადი გარსის დეფექტს.

გუგების რეაქცია შეგიძლიათ გამოიკვლიოთ სინათლით ან თითოეული თვალზე თქვენი ხელის დაფარებით და შემდეგ აშვებით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება აღინიშნებოდეს გუგების ზომების მცირეოდენი ასიმეტრია, დროთა განმავლობაში გათანაბრდება მათი ზომები და სინათლეზე რეაქცია.

ყურადღებით დაათვალიერეთ ფერადი გარსები.

Brushfield-ის (ბრუშფილდის) ლაქები არის თეთრი ნერტილებისგან შემდგარი ჩაგლები ფერადი გარსში (იხ. ცხრილი 18-11, გვ. 805). მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ჯანმრთელ ბავშვებში გვხვდება, ეს ნიშანი ზუსტად მიუთითებს *Down-ის (დაუნის) სინდრომზე.*

დაათვალიერეთ *ჯონიუნქტივა* შეშუპებასა და სისხლის არსებობაზე. ქიმიური ჯონიუნქტივიტი ხშირია, რაც ვითარდება ვერცხლის ნიტრატის ხმარება მშობიარობის დროს გონორეული ჯონიუნქტივიტის პროფილაქტიკის მიზნით (ophthalmia neonatorum). ამ შემთხვევაში უმჯობესია ეთიდრომიცინის მალამოს ხმარება, ვინაიდან ნაკლებად აღიზიანებს თვალს.

ახალშობილებში და ჩვილ ბავშვებში *მხედველობის სიმახვილის* გასინჯვა საჭიროა ასაკის შეგიძლიათ გამოიყენოთ მხედველობის ჰეფლექსები, ასევე მხედველობა ასაკისადაკი მეთოდით შეაფასოთ: სინათლეზე გუგის პირდაპირი და შეთანხმებული შევნიშნოვება, ჯამჯამა სინათლეზე ხამხამი *(ოპტიკური ხამხამის ჰეფლექსი)* და თვალების წინ ხაიმე საგნის სწრაფ მოძრაობაზე ხამხამი. პირველი წლის განმავლობაში მხედველობის სიმახვილე მატულობს ფოკუსის გაუმჯობესების გამო. ჩვილის მხედველობა შემდეგ ეტაპებს გადის:

დაბადებისას	**ხამხამი, შეუძლია ყურადღება გაამახვილოს სახეზე**
1 თვე	**მხედველობის ფიქსაცია საგნებზე**
1.5-2 თვე	**თვალების კოორდინირებული მოძრაობა**
3 თვე	**თვალების კონვერგენცია, თვალის გაყოლება**
12 თვე	**მხედველობის სიმახვილე დაახლოებით 20/50**

დაბადებიდან თვალებიდან მუდმივად გამონადენის და ცრემლენის მიზეზი შეიძლება იყოს *დაკრიოცისტიტი*, ან *ცხვირ-ცრემლის სისტემის ობსტრუქცია.*

ამ ეტაპების მიხედვით მხედველობის განვითარების უკმარისობა შეიძლება მიუთითებდეს *ვიზუალური მომწიფების შენელებაზე.*

ოფთალმოსკოპიის მეთოდით გამოიკვლიეთ გაღვიძებული და გახელილი თვალებით ბავშვის ბადურას (ფსკერის) ნითელი ჰეფლექსი. ამისთვის ოფთალმოსკოპი მოათავსეთ 0 დიოპტრიაზე და გუგა დაათვალიერეთ დაახლოებით 20 სმ-იდან. ნორმალურად, გუგიდან ფსკერზე ვრცელდება ნითელი, ან ნარინჯისფერი შეფერილობა.

ჭკოვანას შემღვევა შეიძლება გამოწვეული იყოს თანდაყოლილი გლაუკომით. სინათლის ბნელი ჰეფლექსის მიზეზებია *კატარაქტა, ნაადრევი მშობიარობის რეტინოპათია* და სხვა დახლვევები. სინათლის თეთრი ჰეფლექსი *(ლეიკოკორია)* პათოლოგიურია და უნდა ივარაუდოთ *კატარაქტა, ქორიორეტინიტი* ან *რეტინობლასტომა.*

ძალიან პატარებში სრულად ოფთალმოსკოპიის ჩატარება ძნელია, მაგრამ შეიძლება დაგჭირდეთ, თუ ნახავთ თვალის მხრივ, ან ნევროლოგიურ დახლვევებს. იშვიათად, შეიძლება გამოიყენოთ გუგის გამაფართოვებელი სამუალებები, რათა ფსკერი ჯარაგად დაათვალიეროთ (მაგ. 2.5% ფენილეფრინის ერთი წვეთი 0.5% ციკლოპენტოლატთან ერთად თითოეული თვალში); გუგის გაფართოვება ყოველთვის უნდა ჩაატაროთ ნევროლოგთან და ოფთალმოლოგთან ერთად. ჩვეულებრივად ჩანს +20 დიოპტრიაზე, ბორი - +15 დიოპტრიაზე, ხოლო ფსკერი – 0 დიოპტრიაზე.

მკრთალ ზომის სისხლჩაქცევები ბადურაზე გვხვდება ნორმალურ ახალშობილებში. დიდი ზომის სისხლჩაქცევები მიუთითებს მძიმე *ანოქსიაზე, სუბდურულ სისხლჩაქცევაზე ან მძიმე ცრავმაზე.*

მხედველობის ნერვის დვრილის შემოწმება ისევე ხდება, როგორც მოზრდილებში. ჩვილებში მხედველობის ნერვის დვრილის უფრო ღია ფერისაა. მაკულას პიგმენტაცია ნაკლებია და ფოვეას ჰეფლექსი სინათლეზე შეიძლება არ ჩანდეს. ყურადღებით დაათვალიერეთ ბადურა სისხლჩაქცევების არსებობაზე. ჩვილებში დვრილის შეშუპება იშვიათია, ვინაიდან ყოფლიბანდები და ნაკეცები არეგულირებენ თავის ქალას შიდა ნნევას და იცავენ ოპტიკუს დისკს.

ბადურის პიგმენტური ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს ახალშობილებში, რომელთაც აღენიშნებათ *თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზი, Cytomegalovirus (ციტომეგალოვირუსი), ან ნითელა.*

ყურები

ჩვილებში ყურების გამოკვლევა მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება ბევრი დახლვევა გამოვლინდეს, როგორიცაა ყურის თანდაყოლილი პათოლოგიები, შუა ყურის ანთება და სმენის დაქვეითება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ უნდა დახვენოთ ოტოსკოპის ხმარების ჩვევები.

მთავარი ამოცანებია, დაადგინოთ ნორმალურია თუ არა ყურების *მდებარეობა, ფორმა და ფუნქციები*. დათვალიერეთ ყურების მდებარეობა თვალების მიმართ. ნახმოსახვითი ხაზი, რომელიც გავლებულია თვალების შიგნითა და გარეთა კუთხეებზე, უნდა ყვეთდეს ყურის ნიჟარას. თუ ნიჟარა ამ ხაზის ქვემოთაა, ბავშვს აქვს დაწეული ყურები!

პატარა ზომის, დეფორმული, ქვემოთ დაწეული ყურები შეიძლება ნიშანი იყოს თანმხლები *თანდაყოლილი დეფექტების*. განსაკუთრებით თირკმელების დაავადებების.

ახალშობილის ყურის გამოკვლევა ოტოსკოპით მხოლოდ *სასმენი მილის* დათვალიერების საშუალებას მოგცემთ, ვინაიდან პირველ დღეებში დაფის აპკი დაფარულია ხაჭოსებრი ნივთიერებით. ჩვილებში სასმენი მილი გარედან ქვევით მიემართება; ამიტომ, დაფის აპკის დასანახად ყური ფრთხილად ქვემოთ უნდა დავწიოთ და არა ზევით. როგორც კი დაფის აპკს დაინახავთ, ნახავთ, რომ სინათლეს ხეფექსი დიფუზურია და ყონსის ფორმას ჰამოდენიმე თვის განმავლობაში არ იღებს.

მცირე ზომის ყანის დანამატი, ნაპრალი, ან ჩაღრმავება ზუსტად ყურის წინა სახურავის პირდაპირ წარმოადგენს *ნაყოფის ღარყურის ნაპრალის ნარჩენს* და, ჩვეულებრივ, პათოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს.

აკუსტიკური ბამბამის ხეფექსი არის უცვლად ძლიერ ხმაზე ჩვილის თვალების ბამბამი; ეს ხეფექსი შეგიძლიათ გამოიწვიოთ თითების ტკაცუნით, ზარის, ან პეიჯერის, ან სხვა ხმის გამომცემი საგნის გამოყენებით ბავშვის ყურიდან 30 სმ-ის მანძილზე. დაკვირვით, არ გამოიწვიოთ ჰაერის ხეული, რაც თვალების ბამბამის მიზეზი შეიძლება გახდეს. დაბადებიდან 2-3 დღის განმავლობაში ამ ხეფექსის გამოწვევა ძნელია. მას შემდეგ, რაც ხანმოკლე შესვენებებით ამ ხეფექსს ჰამოდენიმეჯერ გამოიწვევთ, ხეფექსი ქრება, ჰასაც *მიჩვევის ფენომენი* ეწოდება. ეს არის სმენის შემოწმების უხეში ტესტი და, რა თქმა უნდა, არ აღნიშნავს ნორმალურ სმენას. დღეისათვის, გაზრდილია მუშაობა ყველა ახალშობილის სმენის გამოკვლევის უნივერსალურ მეთოდებზე, ისევე როგორც სმენის დაქვეითების მაღალი რისკის მქონე ბავშვებისთვის.

პერინატალური პრობლემები ზრდის *სმენის დეფექტების* რისკს, ესენია ახალშობილის წონა <1500გ, ანოქსია, პოტენციურად ოტოტოქსიური მედიკამენტებით მკურნალობა, თანდაყოლილი ინფექციები, მძიმე ჰიპერბილირუბინემია და მენინგიტი.

ჩვილის სმენის უნარის დამადასტურებელი ნიშნები	
ასაკი	**პათოლოგიური ნიშანი**
0-2 თვე	ეცვლად ხმაურზე შეკრთომა და თვალების ხამხამი დამშვიდება მოფერებით ხმაზე და მუსიკაზე
2-3 თვე	ხმაზე სხეულის მოძრაობის ცვლილება ნაცნობ ხმაზე სახის გამომეტყველების ცვლილება
3-4 თვე	ხმისკენ თვალების და თავის შეტრიალება
6-7 თვე	შეტრიალება ხმის ან სუბრის მოსასმენად

სმენის დეფექტის მქონე ბავშვთა უმრავლესობაში დიაგნოზის დასმა ვერ ხერხდება 2 წლამდე. სმენის დეფიციტის მიმანიშნებელია მშობლების ვარაუდი სმენის შესახებ, მეტყველების დაგვიანება, სმენის განვითარების მარჩენებლების ნაკლებობა.

III სხვისი და სინუსები

ახალშობილის ცხვირის გამოკვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ცხვირის გამავლობის დადგენა. ამის შესამოწმებლად ბავშვს დაუხშეთ თითოეული ნესტო მონაცვლეობით ისე, რომ ამ დროს პირი დახურული ჰქონდეს. პირის დახურვა არ შეაწუხებს ნორმალურ ბავშვს, ვინაიდან ახალშობილთა უმრავლესობა ცხვირით სუნთქავს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ბავშვი *მხოლოდ ცხვირით სუნთქავს* და უჭირს პირით სუნთქვა. ორივე ნესტო ერთდროულად არ დაუხუროთ – ამან შეიძლება სერიოზულად შეაწუხოს ბავშვი!

ახალშობილებში ცხვირის გამავლობა შეიძლება დაახშოს *ქოანას* (შიგნითა ნესტოს) *ატრეზიამ*. მძიმე შემთხვევებში ცხვირის ობსტრუქცია შეიძლება შეფასდეს №8 საყვები მილის გატარებით თითოეული ნესტოში უკანა ხახამდე.

ცხვირი დაათვალიერეთ, ხათა დარწმუნდეთ, რომ ცხვირის ძგიდე შუაშია. შეგიძლიათ ცხვირში ფრთხილად შეიტანოთ ოტოსკოპის ფარითო ნაზალური სარჯე.

დაბადებისას, განვითარებულია მხოლოდ ეთმოიდური სინუსი. ახალშობილის სინუსების პნევმატიზაციას არ მოგანვდით.

პირის ღრუ და ხახა

ჩვილის სახეს ყველაფრის თქმა შეუძლია, განსაკუთრებით კი მის პირს - ჯერ ჰენდელი.

ახალშობილის პირის ღრუსა და ხახის გამოსაკვლევად გამოიყენეთ ინსპექცია (ენის შპატელითა და განათებით) და პალპაცია. ახალშობილს კბილები არა აქვს და ალვეოლური ღორწოვანი გლუვია ოდნავ დაკბილული ჯიღეებით. იშვიათად, მარგალიტისებრი ჰეტეროგენული ჯისტები ჩანს ალვეოლურ ჯიღეებზე და შეიძლება ადვილად შეგეშალოთ კბილებში. ეს ჯისტები ქრება 1-2 თვის განმავლობაში. დაბადების შემდეგ ჰბილ სასაზე ხშირად ჩანს პეტექიები. ჩაატარეთ მაგარი სასის პალპაცია, ხათა დარწმუნდეთ, რომ ნორმალურია. *ეპშტეინის მარგალიტები* არის ძალიან მცირე ზომის თეთრი, ან მოყვითალო მრგვალი ჰეტენციული ჯისტები და მდებარეობენ მაგარი სასის უკანა შუახაზის გასწვრივ. თვეების განმავლობაში ეს ჯისტები ქრება.

იშვიათად აღინიშნება *დამატებითი კბილები.* ჩვეულებრივ, ეს არის დისმორფია და მოვარდება ღეჭების განმავლობაში. ასეთი კბილები უნდა ამოიღონ ასპირაციის პროფილაქტიკისთვის.



ჯისტები შეიძლება აღინიშნებოდეს ენაზე ან პირის ღრუში. ფარისებრ-ენის სადინარის ჯისტა შეიძლება გაიხსნას ენის ქვეშ.

პირველი სამი თვის განმავლობაში ჩვილი ბავშვი მცირე ალოდენობით ნერწყვს გამოყოფს, მაგრამ დაიმახსოვრეთ, რომ უფრო მოზრდილი ბავშვები მეტ ნერწყვს გამოიმუშავებენ და ნერწყვის დენა გახშირებული აქვთ.

დაათვალიერეთ ენა. ენის ღაგამი სხვადასხვა ზომისაა, ზოგჯერ გრძელდება მწვერვალამდე და ზოგჯერ სქელია და მოკლე, ზღუდავს ენის გამოყოფას (*ანკილოგლოსია*, ან *შებოჭილი ენა*); ეს ცვლილება იშვიათად ახდენს გავლენას მეტყველებაზე და ფუნქციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ იშვიათია, ენის ზედმეტად გამონაზარდი შეიძლება იყოს *თანდაყოლილი ჰიპოთირეოზის* ან *დაუნის სინდრომის* ნიშანი.

ენაზე ხშირია თეთრი ნაღების არსებობა. თუ ამის მიზეზი ჩქეფა, მისი მოცილება აღვილია გაფხეკით ან გამონმენდით.

ჩვილ ბავშვთა ხახა უკეთესად ჩანს ბავშვის ტირილის დროს. ენის შპაღელის გამოყენება გაგიძნელებათ, ვინაიდან იწვევს ღებინების ძლიერ ჩეფლეკსს. ნუ ეცდებით ტონზილების დათვალიერებას.

მოუსმინეთ *ჩვილის ტირილს*. ნორმალურად ჩვილი ტირის ძლიერად და ხმამაღლა.

ჩვილ ბავშვთა პათოლოგიური ტირილის სახეები

ტიპი	მასთან დაკავშირებული მდგომარეობა
ძალიან მკვეთრი ან მაღალი ტონალობის	თავის ქალას შიდა ნნევის მომატება. ასეთი სახის ტირილი ასევე ვლინდება იმ ჩვილებში, რომლებიც ნარკოზით მშობიარობით დაიბადნენ
ჩახლეჩილი ხმა	ჰიპოკალცემიური ტეტანუსი, ან თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი
გახანგრძლივებული ჩასუნთქვითა და ამოსუნთქვითი სტიდორით	მიზეზია ზემო სასუნთქი გზების ობსტრუქცია სხვადასხვა დაზიანებით (მაგ. პოლიპი, ან ჰემანგიომა), შედარებით პატარა ხორხი (*ინფანტილური ხორხის სტრიდორი*), ან ტრაქეის ხრტილოვანი ჩარჩოების განვითარების შენელება (*ტრაქეომალაცია*)
ჩვილი არ ტირის	მიუთითებს მძიმე დაავადებაზე, ხშირად ტვინის დაბალ ან თავის ტვინის მძიმე დაზიანებაზე

პირის ღრუს კანდიდოზი (ჭრილა) ჩვილებში ხშირია. მისი გამონმენდა ძნელია და აქვს ეროზირებული არა მკვეთრი ფონი. (იხ. ცხრილი 18-12, პირის ღრუს და კბილების დაავადებები, გვ. 806).

მარჩენილია დაკავშირებულია სხვადასხვა სისტემურ მდგომარეობებთან. თუ ახლავს ჰიპოგლიკემია და ქვირის თრაში, სავარაუდო დიაგნოზია Beckwith-Wiedemann-ის (ბეკვიტ-ვიდემანის) სინდრომი.

არსებობს კბილების ამოჭრის ბევრი სავარაუდო ნიშანი და ფარული ცვალებადობა. ცხრილი კანონი წარმოადგენს იმას, რომ 6-დან 26 თვემდე ბავშვს ყოველ თვეში თითო კბილი ემატება, სანამ არ შეივსება 20 პირველადი (სარძევე) კბილი.

ბეღმკერდი და ფილტვები

ჩვილის *გულ-მკერდი* უფრო მომრგვალებულია, ვიდრე მოზრდილი ბავშვის და ზრდასრული ადამიანის. ასევე, გულ-მკერდის კედელი უფრო თხელია, ნეკნთები სუსტად განვითარებული და ამის გამო სუნთქვითი ხმაურობა და გულის ტონები ძალიან კარგად ისმენება. გულ-მკერდის ყარყუმის ძვლები და ხრტილები ჰიბრიდა და ელასტიური. მახვილისებური მორჩის მწვერვალი ხშირად წინ წამოწეულია კანქვეშ ნეკნთა კუთხის მწვერვალთან.

ყურადღებით *შეაფასეთ სუნთქვა* და მისი მახასიათებლები. ახალშობილებს, განსაკუთრებით ღრენაკლულებს, არარეგულარული სუნთქვის რიტმი აღენიშნებათ, რაც ხასიათდება ნორმალური სიხშირის სუნთქვის პერიოდებით (30-40 წუთში) და "პერიოდული სუნთქვით", როდესაც სიხშირე მნიშვნელოვნად მცირდება და ზოგჯერ შეიძლება გაჩერდეს 5-10 წამის განმავლობაში.

ჩვილ ბავშვებში გვხვდება გულ-მკერდის კედლის ორი სახის დარღვევა: *pectus excavatum* ანუ "ძაბრისებური გულ-მკერდი" და *pectus carinatum*, ანუ "ქარხისებური გულ-მკერდი".

ანომალია ეწოდება სუნთქვის შეჩერებას 20 წამზე მეტი ხანით. მას ხშირად ახლავს ბradიკარდია და შეიძლება მიუთითებდეს *სასუნთქი სისტემის დაავადებების, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების* და იშვიათად, *კარდიო-ვასკულური მდგომარეობების*

ჩვილის და პატარა ბავშვების სუნთქვს სისტემის გამოკვლევის მნიშვნელოვანი მომენტია აუსკულტაცია. *თავიდანვე არ იხმარით* სტეტოსკოპი, არამედ პაციენტი გამოიკვლიეთ ყურადღებით, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ ტექსტში და შემდეგ გვერდზე მოტანილ სურათზე. ინსპექცია უკეთესად შეგიძლიათ ჩაატაროთ, როდესაც ბავშვი არ ტირის, ამიტომ სთხოვეთ მშობლებს, რომ ბავშვი დაამშვიდონ. გარკვეული დრო (დაახლოებით 1 წუთი) დაუთმეთ ბავშვის დათვალიერებას, დაკვირდით ზოგად მდგომარეობას, სუნთქვის სიხშირეს, ფერს, ცხვირით სუნთქვას, სუნთქვით ხმიანობას და სუნთქვით მოძრაობებს, როგორც ქვემოთაა აღნერილი.

არსებობაზე. აშნოე ჩვილ ბავშვთა უეცარი სიკვდილის სინდრომის სურათოზული ანალიზი *(sudden infant death syndrome - SIDS).*

იმის გამო, რომ ჩვილები უპირატესად ცხვირით სუნთქავენ, დაკვირდით ცხვირს სუნთქვის დროს, განსაკუთრებით, *ნესტოების მოძრაობას.* დაკვირდით სუნთქვას დახურული პირით ან ბოთლიდან წოვის დროს.

ახალშობილებში და ჩვილებში ცხვირის გაფართოვება შეიძლება *ზემო სასუნთქი გზების ინფექციის* შედეგი მცირე ზომის ნესტოების ობსტრუქციით.

მოუსმინეთ ჩვილის სუნთქვის ხმიანობას და დაკვირდით ხრუტუნით *სუნთქვას, სტვენით სუნთქვას, ან სუნთქვითი ხმიანობების სიმცირეს (ობსტრუქცია).*

მნიშვნელოვანია გამოკვლევის დროს დაადგინოთ ორი მნიშვნელოვანი ასპექტი: *სუნთქვითი ხმიანობები და სუნთქვითი მოძრაობა.* მათი შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზემო და ქვემო სასუნთქი გზების დაავადებების შეფასებაში. შორებში, რომლებიც მოწოდებულია ქვეყნებიდან, სადაც ნაკლებად გამოიყენება გულ-მკერდის რენტგენოგრაფია, ჩანს, რომ ზემო და ქვემო სასუნთქი გზების შეფასებაში ეს მონაცემები ისევე გამოყენებადია, როგორც აუსკულტაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი დაზიანება ზრდის ვარაუდს სუნთქვის სისტემის პათოლოგიაზე.

ქვედა სასუნთქი გზების ინფექცია, ანუ ინფექცია ხშირად იწყება ქვემოთ, ხშირია ახალშობილებში და მოიცავს *ბრონქიოლიტს* და *პნევმონიას.*

მწვავედ განვითარებული სტრიდორი პოტენციურად სერიოზული მდგომარეობაა. მიზეზებია *ეპიგლოსიტი, ბაქტერიული ტრაქეიტი, უცხო სხეული* ან *სისხლძარღვოვანი ჰგლი.*

ჩვილებში არასწორი სუნთქვითი მოძრაობა პათოლოგიის აუსკულტაციის მონაცემებთან ერთად *პნევმონიის* ნიშანს წარმოადგენს.[12] პნევმონიის გამოკვლევის საუკეთესო ნიშანია ტაქიპნოეს არ არსებობა

სუნთქვაზე დაკვირვება ბავშვის შეხებამდე!

შეფასების ტიპი	სპეციფიკური პათოლოგიები
ზოგადი მდგომარეობა	ღიმილის ან ჯვების უნარის დაქვეითება, დამშვიდების უნარის დაქვეითება
სუნთქვის სიხშირე	ტაქიპნოე (იხ. გვ. 698)
ფერი	სიფერმკრთალე ან ციანოზი
სუნთქვის ნაზალური კომპონენტი	ცხვირის გაფართოვება (ჩასუნთქვის დროს ორივე ნესტოს გაფართოვება)
სუნთქვითი ხმიანობები	ხრუტუნი (განმეორებადი მოკლე ამოსუნთქვითი ხმიანობები); სტვენითი სუნთქვა (ამოსუნთქვის დროს მუსიკალური ხმიანობა); სტრიდორი (მაღალი ტონალობის ჩასუნთქვითი ხმიანობა); ობსტრუქცია (სუნთქვითი ხმიანობების სიმცირე)
სუნთქვითი მუშაობა	ცხვირის გაფართოვება (იხ. ზევით) ხრუტუნი - (იხ. ზევით) ჩაქაჩვა (გულ-მკერდის ჩანევა): ღრმაზემოთ (ღრმანებს ზემოთ ხშირი ქსოვილების); ნეკნთაშუა (ნეკნებს შორის კანის ჩანევა); ნეკნზედა (ზუსტად ნეკნთა კიდის ქვეშ)

ჯანმრთელ ჩვილებში მშვიდი სუნთქვის დროს ნეკნები არ მოძრაობს. თუ ნეკნები მოძრაობს, მათ გარეთ გამოდრეკას ინვევს დიაფრაგმის დანევა. დიაფრაგმის დანევა ინვევს მუცლის ღრუს შიგთავსზე ზენოლას, რაც ქვედა ნეკნებს ნინ ნამოსნევს.



-713-

გულ-მკერდის ასიმეტრიული მოძრაობა შეიძლება მიეთითებდეს ჯეროვან დაზიანებაზე. ფილტვის დაავადებების დროს მატულობს მუცლით სუნთქვა და შეიძლება განვითარდეს *ჰეტრაქსია (გულ-მკერდის ჯედლის შენევა)*, ჯ ნლამდე ასაკში ფილტვის დაავადებების მარჩენებელია. გულ-მკერდის შენევა არის ნეკნთაშეა არეების შეზნექვა ჩასუნთქვის დროს. დიაფრაგმის მოძრაობა პირდაპირ მოქმედებს სუნთქვაზე, გულ-მკერდის ჯუნთების მცირე დახმარებით. როგორც ნინა ცხრილშია აღნიშნული, ჩვილებში აღინიშნება სამი ტიპის ჰეტრაქსია: ღავიწზედა, ნეკნთაშეა და ნეკნქვეშა.

ფილტვების ობსტრუქციული დაავადება ჩვილებში ინვევს *Hoover-ის (ჰუვერის) ნიშანს* ან პარადოქსულ (საქანელასებურ) სუნთქვას, როდესაც ჩასუნთქვის დროს მუცელი გარეთ იწევა, ხოლო გულ-მკერდი – შიგნით.

თორაკო-აბდომინური პარადოქსი, ჩასუნთქვის დროს გულ-მკერდის შენევა და მუცლის გამონევა ნორმალურია ნაადრევ ახალშობილებსა და ჩვილებში. იგი გრძელდება აქტიურობის დროს ან REM, ხანმოკლე ძილის დროს სიფხიზლის ან მშვიდი ძილის დროს, ჯუნთების ტონუსის დაქვეითების გამო აქტიური ძილის დროს. ვინაიდან ზიდასთან ერთად მატულობს ჯუნთების ძაღა და გულ-მკერდის ჯედლის ელასტიურობა მცირდება, პარადოქსული სუნთქვა უკვე ნორმალურ მონაცემად აღარ განიხილება.

ბავშვებს, ვისაც *ჯუნთების სისუსტე* აქვთ, ჰამოდენიმე წლის განმავლობაში აღენიშნებათ პარადოქსული სუნთქვა.

პალპაციით შეიძლება შეაფასოთ ტაქტილური ფრემიტუსი. ხელი დაადეთ გულ-მკერდზე, როდესაც ჩვილი ტირის ან ხმაურობს გულ-მკერდის ორივე მხარეს და შეადარეთ ხმევის გატარების სიმეტრიულობა. განსაჯეთრებული მემთხვევების გარდა, ჩვილებში პერკუსიის ჩატარება არ გვსაჭიროებათ. ჩვილის გულ-მკერდი მთელ ზედაპირზე ჰიპერრეზონანსულია, ამიტომ პერკუსით დარღვევას ვერ დააღგენთ.

იმის გამო, რომ გულ-მკერდის ჯედელი ხმას ჯარგად ატარებს, ტაქტილური ფრემიტუსის ცვლილება ან პერკუსით დარღვევის დადგენა მძიმე პათოლოგიაზე მიეთითებს, როგორიცაა დიდი ზომის *პნევმონიური გამჟღერება*.

ამ მეთოდების გამოყენების შემდეგ, შეგიძლიათ ჩაატაროთ *აუსკულტაცია*. სუნთქვითი ხმიანობები უფრო ხმამაღალია და მკვეთრი, ვიდრე მორხლილებში, ხადგან სტეტოსკოპი ახლოს მდებარეობს ხმიანობის წარმოქმნის ადგილებთან. ასევე, ხშირად ძნელია ზემო სასუნთქი გზებიდან წამოსული ხმიანობის გარჩევა გულ-მკერდში წარმოშობილი ხმიანობებისგან.

ორფაზიანი ხმიანობები გელისხმობს *მძიმე ობსტრუქციას გულ-მკერდის შიდა სასუნთქი გზების შევიწროვების გამო* ან *მძიმე ობსტრუქციას გულ-მკერდის გარეთა სასუნთქი გზების შევიწროვების გამო.*

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ზოგიერთი გამოსაყენებელი მინიშნება. ზემო სასუნთქი გზების ხმიანობები უფრო ხმამაღალია, სიმეტრიულად ისმენა გულ-მკერდში და ყველაზე ხმამაღალია, როდესაც სტეტოსკოპს ზემოთ პირისპირ ვსვამთ. ისინი ჩვეულებრივ ინსპირაციული, ხმა ხმიანობებია. ქვედა სასუნთქი გზების ხმიანობები უფრო ხმამაღალია პათოლოგიის მხარეს, ხშირად ასიმეტრიულია და ამოსუნთქვის დროს ვლინდება.

ზემო და ქვემო სასუნთქი გზების ხმიანობების გარჩევა ჩვილ ბავშვებში

მეთოდი	ზემო სასუნთქი გზა	ქვემო სასუნთქი გზა
შეადარეთ ხმიანობები ცხვირიდან/სტეტოსკოპიდან	ერთნაირი ხმიანობები	ხშირად განსხვავებულია
მოისმინეთ ხმიანობების სიმკვეთრე	ხშირად მკვეთრია და ხმამაღალი	სუსტებული
დააკვირდით სიმეტრიას (მარცხნივ/მარჯვნივ)	სიმეტრიულია	ხშირად ასიმეტრიულია
შეადარეთ სხვადასხვა ლოკალიზაციის ხმიანობები (ზედა და ქვედა)	ხმიანობები უფრო ხმამაღალი ხდება გულ-მკერდზე სტეტოსკოპის ზევით გადადებისას	ხმიანობები უფრო ხმამაღალია გულ-მკერდის ქვედა ნაწილებში მუცლის გასწვრივ
ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა	ყოველთვის ჩასუნთქვითია	ხშირად აქვს ამოსუნთქვის ფაზა

ახალშობილებში გულ-მკერდის ერთ მხარეს სუნთქვითი ხმიანობების შემცირება ცალმხრივ დაზიანებაზე მიუთითებს (მაგ. თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი).

ამოსუნთქვითი ხმიანობები, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება გულ-მკერდის შიგნით. მეორე მხრივ, ჩასუნთქვითი ხმიანობები ტიპიურად წარმოიქმნება გულ-მკერდის გარეთა სასუნთქ გზებში, როგორიცაა ტრაქეა. ამოსუნთქვის დროს გულ-მკერდის შიდა სასუნთქი გზების დიამეტრი მცირდება, რადგან გარშემომყოფი ფილტვის ქსოვილის ელასტიური ბუდე "ხელს უშლის" სასუნთქი გზების გაღებას, როგორც ეს ხდება ჩასუნთქვის დროს. ჩასუნთქვის დროს ჰაერის ძლიერი ნაკადი წარმოქმნის ტურბულენტურ მოძრაობას და შესაბამის ხმიანობებს.

სუნთქვითი ხმიანობების მახასიათებლები, როგორიცაა ვეზიკულური და ბრონქოვეზიკულური სუნთქვა, და ფილტვის დამატებითი ხმიანობები, როგორიცაა მშრალი და სველი ხრინები, იგივეა, რაც მოზრდილებში. ახალშობილებში მათი გარჩევა ძნელია და ხშირად ერთდროულად ვითარდება. მსტვინავი და მოგუგუნე ხრინი ჩვილ ბავშვებში ხშირია. მსტვინავი ხრინი, რომელიც სტეტოსკოპის გარეშეც მოისმინება, უფრო ხშირად ვლინდება, რადგან ტრაქეობრონქული ხე მცირე ზომისაა. მოგუგუნე ხრინი გამოხატავს მსხვილი ბრონქების ობსტრუქციას. ჭეპიტაცია არის ხანმოკლე ხმიანობა (იხ. გვ. 260), რომელიც მოისმინება ჩასუნთქვის ბოლოს; მათი მიზეზია ფილტვის დაავადებები და გულის უკმარისობის დროს უფრო იშვიათად ვითარდება ჩვილებში, ვიდრე მოზრდილებში.

ჩვილებში მსტვინავი ხრინი *ასთმისა და ბრონქიოლიტის* დროს ვლინდება.

ჭეპიტაცია შეიძლება მოისმინოთ *პნევმონიის* და *ბრონქიოლიტის* დროს.

გული

გული არის ორგანების მუშაობის მთავარი ნიშანი
– ფრენკ ლლოიდ რაითი

გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა ჩვილებში ისევე ხდება, როგორც მოზრდილებში, მაგრამ მათი შიშის გაგება,

დაჩვევათა მაგალითები

და ბევრ შემთხვევაში თამაშის სუხვილი გამოკვლევას უფრო ადვილს და შედეგიანს ხდის. თითოეული ბავშვის გასინჯვისას გაითვალისწინეთ მათი განვითარების დონე. 2 წლის ბავშვის გამოკვლევა უფრო ადვილია, როდესაც დედის მუხლებზე ზის ან დგას სახით მხრისკენ, როგორც მარჯვენა სუსათზეა ნაჩვენები. თითოეულ ხელში ბავშვს ჩამე დააჭერინეთ. ბავშვი ვერ ხვდება, როგორ დააგდოს საგანი, ამიტომ მას ხელები დაკავებული ექნება და გასინჯვაში ხელს ვერ შეგიშლით. თუ ბავშვს გამუდმებით ელპარაკებით, ამით მის ყურადღებას მიიქცევთ და ბავშვს დავიწყდება, რომ მას სინჯავთ. მიეცით უფლება, ამოძრაოს სტეტოსკოპი და შემდეგ ხელავ მოესმინეთ. გამოკვლევის ჩატარების დროს ფანტაზია მოიშველიეთ!



ზოგადი დაზღვევები შეიძლება მიუთითებდეს თანდაყოლილი დაავადებების არებათობის ზრდაზე, როგორიცაა Down-ის (დაუნის) სინდრომი ან Turner-ის (ტერნერის) სინდრომი.

ინსპექცია

ბელის გამოკვლევამდე, ყურადღებით დაათვალიერეთ ჩვილი, რომ არ აღენიშნება ციანოზი. ახალშობილებში აკროციანოზი განხილულია 699-ე გვერდზე. მნიშვნელოვანია *ცენტრალური ციანოზის* დადგენა (ცხრილი 18-14, ციანოზი ბავშვებში, გვ. 808), ვინაიდან იგი ყოველთვის პათოლოგიურია და ახლავს ბელის თანდაყოლილ დაავადებებს, ისევე როგორც ფილტვის დაავადებებს (იხ. ცხრილი 18-15, ბელის თანდაყოლილი შეკლები, გვ. 809-810).

მწვავე სუნთქვითი სიმპტომების გარეშე ცენტრალური ციანოზის არსებობა ბელის დაავადებებზე მიუთითებს.

- *ბავშვებში ცენტრალური ციანოზის კარდინალური მიზეზები*

წარმოშობის ტიპი	პოტენციური კარდიული მიზეზი
დაბადებისთანავე	მსხვილი არტერიების ტრანსპოზიცია, ფილტვის არტერიის სარქველების ატრეზია, ფილტვის არტერიის მძიმე სტენოზი, შესაძლო Ebstein-ის (ებშტეინის) განვითარების მანკი
დაბადებიდან ხუთიოდე დღეში	ყველა ზემოთ ჩამოთვლილს დამატებული: ფილტვის ვენების სრული ანომალია ბელის მარცხენა ნაწილის ჰიპოპლაზიის სინდრომი, truncus arteriosus (ზოგჯერ), ერთი პარკუჭის ვარიანტი
კვირები, თვეები ან წლები	ყველა ზემოთ ჩამოთვლილს დამატებული: ფილტვის არტერიის დაავადებები წინაგულოვანი, პარკუჭოვანი ან მსხვილ სისხლძარღვთა შენტით

მინიმალური ხარისხის ციანოზიც კი მოვლას საჭიროებს. კანის გარდა, დაათვალიერეთ სხეულის შიდა ნაწილები (მაგ. პირის ღრუ, ენა, კონიუნქტივა და ფრჩხილის საფუძველი უფრო ნაკლები ხარისხის დროს). მარწყვის მსგავსი ვარდისფერი შეფერილობა ნორმალურია, მაშინ როდესაც ჟოლოსფერი ნითელი მიუთითებს გაჯერების ნაკლებობაზე.

უნდა დაადგინოთ ციანოზის გავრცელება. გაჯერების ნაკლებობის დადგენა შეიძლება ოქსიმეტრის საშუალებით.

გამოიკვლიეთ ჩვილი ბავშვის *ჯანმრთელობის ზოგადი ნიშნები*. გულის დაავადებების დადგენაში დაგეხმარებათ ბავშვის ზოგადი ნაკვებობა, ჰაქტიულობა, ბედნიერება, გაღიზიანებადობა. დაიმახსოვრეთ, რომ გულის დაავადების მქონე ბავშვებში შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი ნიშნები.

ჩვილებში ტაქიპნოე, ტაქიკარდია და ღვიძლის გადიდება გულის შეგუებით უკმარისობაზე მიუთითებს.

გულის დაავადების მქონე ბავშვებში არაერთგვაროვანი ნიშნები

ცუდი კვება	ტაქიკარდია	ცუდი ზოგადი მდგომარეობა
ზრდის შენელება	ჰეპატომეგალია	სისუსტე
გაღიზიანებადობა	დოლის ჩხრიალებრი ხმები	

სუნთქვის სიხშირის და მახასიათებლების შესწავლა დაგეხმარებათ დაავადების ხარისხის დადგენაში და გულისა და ფილტვის დაავადებების გარჩევაში. სუნთქვის გაძნელება ფილტვის დაავადებების დროს აღინიშნება, მაშინ, როდესაც გულის დაავადებების დროს სახეზეა ტაქიპნოე, მაგრამ არა სუნთქვის გაძნელება, სანამ გულის შეგუებითი უკმარისობა არ გაძლიერდება.

გულ-მკერდის მარცხენა ნახევრის დიფუზური გამოდრეკა ხანგრძლივ *კარდიომეგალიაზე* მიუთითებს.

ჰიპოქსია

ორგანოს მთავარი ტკივილი შეიძლება შეაფასოთ ჰერიფერიული ხელის გამოკვლევით. ახალშობილებში ყველანაირი ხელსაცმია უნდა გამოიკვლიოთ. ახალშობილებში და ჩვილ ბავშვებში უფრო ადვილია მხრის არტერიის ხელსაცმის გასინჯვა იდაყვის ფოსოში, ვიდრე სხივის არტერიის ხელსაცმის შეგრძნება მაჯაზე. ორივე საფეთქლის არტერია მდებარეობს ყურების წინ. მნიშვნელოვანია ბარძაყის არტერიის ხელსაცმის გასინჯვა. ბარძაყის არტერია გადის სახარჯლის ნაკეცის ქვეშ შუაში, თეძოს ქედსა და ბოქვენის სიმფიზს შორის. გასინჯეთ ბარძაყის ხელსაცმა. მსუქან და მოსვენარ ბავშვებში მისი გასინჯვა ძნელია. თუ პირველად ფეხებს მუცლისკენ მოუხრით, ეს შეამცირებს მოხრის ჰეფექტს, რომელიც ჩნდება ფეხების გაშლისას. ტერფის დორსალური და დიდი ნვრის უკანა ხელსაცმა ახალშობილებში და ჩვილებში (იხ. სურათი შემდეგ გვერდზე) ძნელად ისინჯება, სანამ ორგანოში სისხლის დინება ნორმალური არ იქნება. ნორმალური ხელსი მკვეთრად იზრდება, მკვეთრია და ყარგად ლოკალიზებული.

ბარძაყის ხელსაცმის შემცირება ან არარსებობა *ორგანოს ლოკალიზაციის ნიშანია*. თუ ბარძაყის ხელსაცმას ვერ სინჯავთ, გასინჯეთ წნევა ხელებსა და ფეხებზე. თუ კიდურებზე წნევა ერთნაირია, ან ფეხებზე ნაკლებია, შესაძლოა ლოკალიზაციის არსებობა.



სუსტი, ძაფისებური, ძნელად შესაგრძნობი პულსი შეიძლება ასახავდეს *მიოკარდიუმის დისფუნქციას* და *გულის შეგუებით უკმარისობას*, განსაკუთრებით თუ ახლავს ტაქიკარდია.

მიუხედავად იმისა, რომ პულსი ახალშობილის და ჩვილის ტერფებზე არ ისინჯება, ზოგიერთმა სიტუაციმ შეიძლება პულსი გააძლიეროს, როგორიცაა ღია არტერიული სადინარი.

როგორც 697-ე გვერდზეა აღნერილი, გულის გამოკვლევის დროს ყურადღებით გაზომეთ ახალშობილთა და ბავშვთა სისხლის წნევა.

გულის საძგერის, ანუ *გულის მაქსიმალური იმპულსის წერტილის* პალპაცია ყოველთვის ვერ ხერხდება ჩვილებში და მასზე გავლენას ახდენს სუნთქვითი ხმაურობები, ტუჩის გავსება, ბავშვის მდებარეობა. მოზრდილებთან შედარებით გულის საძგერი უფრო მაღლაა, ვინაიდან გული უფრო ჰორიზონტალურად მდებარეობს.

გულ-მკერდის ჯედის *პალპაცია* საშუალებას მოგცემთ, შეაფასოთ გულის მოცულობითი ცვლილებები. მაგალითად, გულის არის გაძლიერებული მოძრაობა ასახავს დიდ მოცულობით ცვლილებებს.

პალპაციით *თრთოლვა* შეიგრძნობა, როდესაც გულში ან მსხვილ სისხლძარღვებში საკმარისი ტურბულენტობაა, რომელიც გადაეცემა ზედაპირს. გულის არის ქვეშ არსებული სტრუქტურების ცოდნა დაგეხმარებათ, დაადგინოთ თრთოლვის წარმოშობა. თრთოლვის შეგრძნება ყველაზე ადვილია ხელისგულით ან თითებით და არა თითის ნვერებით. თრთოლვა წარმოადგენს ხმაურობრივ უხეშ ხასიათს. შემდეგ გვერდზე მოცემულ სურათზე ნაჩვენებია თრთოლვის დოკუმენტაცია გულის სხვადასხვა პათოლოგიის დროს ჩვილებში და ბავშვებში.

მკერდის ძვლის მარცხენა ქიდესთან "გორვადი" ამოდრეკა მიუთითებს *მარჯვენა პარკუჭის მუშაობის გაძლიერებაზე*, მაშინ, როდესაც იგივე სახის მოძრაობა მნვერვალთან მიუთითებს მარცხენა პარკუჭის გაძლიერებულ მუშაობაზე.



თირთოლვის ლოკალიზაცია

აუსკულტაცია

გულის ხითმის დადგენა ჩვილებში უფრო აღვილია გულის ტონების მოსმენით, ვიდრე პულსის გასინჯვით, მაგრამ მოზრდილ ბავშვებში შეგიძლიათ ორივე მეთოდი გამოიყენოთ. ბავშვებს, ჩვეულებრივ,ნორმალური სინუსური არითმია აქვთ, როდესაც ჩასუნთქვისას გულის ხიტმი იზრდება და ამოსუნთქვისას – მცირდება, ზოგჯერ საკმაოდ მკვეთრად. ეს ნორმალური მოვლენაა და დადგენა შეიძლება მისი განმეორებადი ხასიათით, სუნთქვასთან კავშირით და იმით, რომ მოიცავს ჩამდენიმე დარტყმას და არა ერთს.

ბევრ ბავშვს, განსაკუთრებით ახალშობილს, აღენიშნება ნინაგულოვანი ან პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია, რასაც ხშირად აფასებენ, როგორც "გამოტოვებულ" დარტყმას. მათი გარჩობა შესაძლებელია სინუსური ხითმის გაზრდით დატვირთვის გზით, როგორიცაა ჩვილებში ცრემლი ან მოზრდილ ბავშვებში ტკომა, ასევე ეს არითმია შეიძლება ხშირი იყოს დატვირთვის შემდგომ პერიოდში. აბსოლუტურად ჯანმრთელ ბავშვებში ექსტრასისტოლია ათეულობითვისებიანია და იშვიათად ხანგრძლივდება.

გულის S_1 და S_2 *ტონები* ყურადღებით უნდა მოისმინოთ. ნორმალურად ეს ტონები მკვეთრია. ფუძეზე მეორე ტონი (S_2), ჩვეულებრივ, გამოყოფილად მოისმინება, მაგრამ ღრმა ამოსუნთქვის დროს შეიძლება ერთ ტონში გაერთიანდეს. ახალშობილებში შეიძლება მოისმინოთ მეორე ტონის გაყოფა, თუ ბავშვს გასინჯვისას სძინავს ან ჩუმად არის.

ორგანოსაც გულმკერდის პულსაცია ჩანს და ხელით შეიგრძნობა, ეს მიუთითებს ჰიპერდინამიაზე, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს გულის ხითმის მეტაბოლური გაზრდა ან გულის კუმშვადობის დაქვეითება გულის ხარმე დაავადების გამო.

ბავშვებში ხითმის ყველაზე ხშირი დარღვევებია პაროქსიზმული *სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია ან პაროქსიზმული წინაგულოვანი არითმია*, რომელიც ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს მეცნიერული პერიოდის ჩათვლით. ამ არითმიას ზოგიერთი ბავშვი ძალიან კარგად იტანს და შეიძლება მხოლოდ გამოკვლევით დადგინდეს, როდესაც ბავშვი სრულიად ჯანმრთელად გამოიყურება; შეიძლება ჰქონდეს ოდნავი სიფერმკრთალე ან ტაკიპნოე, მაგრამ სწრაფი, მედმივი, აბსოლუტურად ხითმული გულისცემა სიხშირით 240 ან მეტი დარტყმა წუთში. სხვა ბავშვები, განსაკუთრებით ახალშობილები ამ მდგომარეობის გამო ავადმყოფურად გამოიყურებიან. მოზრდილ ბავშვებში ეს არითმია უფრო მეტად ნარმოადგენს ქვემარიტ პაროქსიზმს სხვადასხვა ხანგრძლივობისა და სიხშირის ეპიზოდებით.

ბავშვებში *პათოლოგიური არითმიის* მიზეზი შეიძლება იყოს გულის ორგანული დაავადებები, მაგრამ ასევე სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა *წამლების მიღება, მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები, ცერებროზული ინფექციები და ინფექციის შემდგომი პერიოდი* ან შეიძლება დაკავშირებული იყოს გულის ორგანული დაავადების დროს გამტარებლობის დარღვევასთან.

გულის ტონების მოყრუება მიუთითებს *პერიკარდიუმის ღრუში გამონაჟონის არსებობაზე*; ჩუმი, ნაკლებად მკვეთრი ტონები *მიოკარდიუმის დისფუნქციაზე* მიუთითებს.

ტონის გაორება გამოავლენს ბევრ, მაგრამ არა ყველა, უფრო სერიოზულ გულის თანდაყოლილ პათოლოგიას.

ბავშვებში გულის ხიტმის ნორმალური ვარიანტების მახასიათებლები

მახასიათებლები	ნორმალური სინუსური ხიტმი	ნინაგულების ნაადრევი შეკუმშვები (APC_s) ან პარკუჭების ნაადრევი შეკუმშვები (VPC_s)
ყველაზე ხშირი ასაკი	ჩვილობის შემდეგ (შედარებით ნაკლებად ვითარდება მოზარდიებში)	ახალშობილებში (მაგრამ შეიძლება ნებისმიერ დროს გამოვლინდეს)
სუნთქვასთან კავშირი	დიახ: ჩასუნთქვისას იზრდება და ამოსუნთქვისას მცირდება	არა
ტაქიკარდიაზე დატვირთვის გავლენა	ქრება	ქრება დატვირთვით
ხიტმის დახასიათება	ჩასუნთქვასთან ერთად თანდათან მატულობს ამოსუნთქვისას ხშირად უეცრად ნელდება	უფრო ხშირად შეიძლება დატვირთვის შემდეგ გაჩნდეს გამოტოვებული დარტყმა ჩნდება არარეგულარულად
დარტყმების ხარისხობა	ხარისხიანი დარტყმა, ჩვეულებრივ, განმეორებად ციკლებში	ჩვეულებრივ, ერთეული შესვლილი დარტყმა
სიმძიმე	ერთიერთვისებიანი (განმარტებიდან გამომდინარე)	ჩვეულებრივ, ერთიერთვისებიანი

მიუხედავად იმისა, რომ პარკუჭის ნაადრევი შეკუმშვები შეიძლება ჯანმრთელ ჩვილებშიც განვითარდეს, ისინი ვითარდება ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ჯარდიომიოპათიები, და გულის თანდაყოლილი დაავადებები. ელექტროლიტური და მეტაბოლური დისბალანსი აგრეთვე გამომწვევი მიზეზებია.

გულის მეორე ტონის გაყოფის დადგენისას მოისმინეთ A_2 და P_2 ინტენსიობა. ფუძეზე მეორე ტონის პირველი ან პირველი კომპონენტი ნორმალურად უფრო ხმამაღალია, ვიდრე პულმონური, ანუ მეორე კომპონენტი.



გულის *მესამე ტონი*, რომელიც დაბალი ტონალობისაა, ადრეული დიასტოლური ხმიანობა უეთესად მოისმინება მკერდის ძვლის მარცხენა ქვედა კიდესთან ან მწვერვალზე, ხშირია ბავშვებში და პათოლოგიას არ ნარმოადგენს. ეს ტონები ასახავენ პარკუჭების სწრაფ ავსებას.

უფრო ხმამაღალი პულმონური კომპონენტი, განსაკუთრებით როდესაც აორტულზე ხმამაღალია, მიუთითებს *ფილტვის არტერიის ჰიპერტენზიაზე.*

S_2 ხანგრძლივი გაყოფა შეიძლება აღნიშნავდეს მარჯვენა პარკუჭის მოცულობით დატვირთვას, როგორიცაა ნინაგულთაშუა *ძგიდის დეფექტის, ფილტვის ვენების დარღვევის* ან *ქრონიკული ანემიის* დროს.

გულის მესამე ტონი S_3 უნდა გაარჩიოთ მაღალი ინტენსიობის გალოპის მესამე ტონისგან, რომელიც პათოლოგიის ნიშანია.



გულის *მეოთხე ტონი* (S_4), რომელიც ხშირად ისმის ბავშვებში, დაბალი სიხშირის, გვიანი დიასტოლური ტონია და ჩნდება ზუსტად პირველი ტონის წინ.

გულის მეოთხე ტონი აღნიშნავს მიოკარდიუმის ჭიმვადობის დაქვეითებას და დაკავშირებულია *გულის შეგუბებით უკმარისობასთან.*

ამკარა გალოპი გულის ნორმალური ხიტმის და სიხშირის დროს ხშირია ჯანმრთელ ბავშვებში და პათოლოგიას არ ნიშნავს.

გალოპის ხიტმი – ტაქიკარდიას დამატებული ხმამაღალი S_3, S_4 ან ორივე ერთად, პათოლოგიურია და გამოხატავს *გულის შეგუბებით უკმარისობას* და *პირველ-ხარისხოვანი ფუნქციის დაქვეითებას.*

ბავშვებში გულის გამოკვლევის ერთ-ერთი ყველაზე მთული პრობლემაა *გულის შეიღების* დადგენა. გარდა იმისა, რომ შეიძლება უსმენდეთ მოუსვენარი, შესაძლოა დაემოკრიტებელი ბავშვს, მეორე პრობლემაა ფუნქციური შეიღების გარჩევა ორგანულისგან. ბავშვებში გულის შეიღები უნდა დახასიათდეს სპეციფიკური ტერმინოლოგიით (მაგ. მკერდის ძვლის მარცხენა ზედა კიდე, არა ზუსტად მკერდის ძვლის მარცხენა ზედა კიდესთან), განვითარების დროით, ინტენსივობით და ხარისხით. თუ თითოეულ შეიღს სრულად აღწერთ, ჩვეულებრივ, დასვამთ დიაგნოზს და ყოველივე ეს უნდა დადასტურდეს და გამტკიცდეს ინსტრუმენტული გამოკვლევებით, როგორიცაა ეკგ, გულ-მკერდის ტენტგენოგრაფია და ექოკარდიოგრაფია.

მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვებში *ფუნქციური შეიღები პათოლოგიურ ცვლილებებთან არ არის დაკავშირებული.* ბევრ (მაგრამ არა ყველა) ბავშვს გულის სერიოზული მანკებით გულის შეიღების გარდა სხვა ნიშნები და სიმპტომები აქვს, რაც დგინდება ანამნეზითა და გასინჯვით. ბევრს აღენიშნება სხვა, არაკარდიული ნიშნები და სიმპტომები, როგორიცაა გენეტიკური დეფექტები, რაც დაგეხმარებათ დიაგნოზის დადასტურებაში.

ნებისმიერი *არაკარდიული ნიშანი* ხშირად ახლავს გულის დაავადებებს ბავშვებში და მნიშვნელოვნად ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ შეიღი, რომელიც ჯერჯერობით ჰგავდა, ჭეშმარიტად პათოლოგიურია.

ბევრი *პათოლოგიური შეიღი* გულის თანდაყოლილი დაავადებების დროს დაბადებიდან ვლინდება.

ბავშვების უმრავლესობას (ზოგი თვლის, რომ თითქმის ყველას), სანამ მოზრდილ ასაკს მიაღწევს, აღენიშნება ერთი ან მეტი *ფუნქციური* შეიღი.[13]

მნიშვნელოვანია, რომ ფუნქციური შეილები დაადგინოთ მათი სპეციფიკური ხასიათის, ვიდრე ინტენსივობის მიხედვით. ჩვილთა და ბავშვთა ხშირი ფუნქციური შეილები ადვილად შეიძლება გამოიცნოთ პრაქტიკით და მხოლოდ გამოკვლევით, რასაც არ სჭირდება გამოკვლევა.

ზოგი მოგვიანებით ჩნდება, დამოკიდებულია სიმძიმეზე, დაბადების შემდეგ ფილტვის სისხლძარღვთა ჩვეულებრივ განვითარებაზე ან ბავშვის ზრდასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე. ცხრილში 18-15, გვ. 809-810 ნაჩვენებია ბავშვებში პათოლოგიური შეილების ნიმუშები.



ცვლილებიანი შეილები ჩვილებში

ტიპიური ასაკი	დასახელება	მახასიათებლები	აღწერა და ლოკალიზაცია
ახალშობილი	*სადინრის დახურვა*		ხანმოკლე, ნაზი, განლევნის, მკერდის ძვლის მარცხენა ზედა კიდე
ახალშობილი 1 ღამდე	*პერიფერიული პულმონური დინების შეილი*		ნაზი, სუსტად განლევნის, სისტოლური, მკერდის ძვლის ზედა კიდის მარცხნივ, ფილტვებზე და იღლიის ფოსოში

სქემაზე მოყვანილია ბავშვებში ოთხი ტიპის *ცვლილებიანი* შეილის დახასიათება მათი ლოკალიზაციის და ძირითადი ნიშნების მიხედვით.

ზოგიერთ ახალშობილს და ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ნაზი, განლევნის შეილი არა გულის არეში, არამედ ფილტვის ველებზე, განსაკუთრებით იღლიის მიდამოში. ეს გამოხატავს ფილტვის არტერიის პერიფერიულ დინებას და, ნაწილობრივ, შედეგია ნაყოფის ფილტვის არტერიის არასრული ფორმირებისა (როდესაც ფილტვის არტერიაში დინება შემცირებულია) და მახვილი კუთხის, რომლითაც ფილტვის არტერია უკან უხვევს. გამომწვევი დაავადების ობიექტური მონაცემების არარსებობისას სავარაუდოა, ეს *ფილტვის პერიფერიული ნაკადის შეილი* ცვლილებიანი იყოს და, ჩვეულებრივ, ქრება 1 ღლის ასაკისთვის.

ფილტვის არტერიაში დინების შეილი ახალშობილებში, რომლებსაც სხვა დაავადების ნიშნები აქვთ, პათოლოგიური უნდა იყოს. დაავადებებია *Williams-ის (უილიამსის) სინდრომი, თანდაყოლილი წითურას სინდრომი* და *Alagille-ის (ალაგილის) სინდრომი.*

ზოგიერთი პათოლოგიური შეილის ფიზიოლოგიური ბაზისი

ფილტვის სისხლძარღვთა ჰეზისტენტობის ცვლილებები
შეილი, რომელიც დამოკიდებულია დაბადების შემდეგ ფილტვის სისხლძარღვთა ჰეზისტენტობის შემცირებაზე, რაც იწვევს ტუჩბუღენციას სისტემური ციკულაციის მაღალი წნევის მხრიდან ფილტვის ციკულაციის დაბალი წნევისკენ, არ მოისმინება, სანამ ასეთი შემცირება არ განვითარდება. ამის გამო, გარდა დღენაკლული ჩვილებისა, *პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტის* და *ღია არტერიული სადინარის* შეილები არ მოისმინება დაბადებიდან პირველ დღეებში, არამედ 1 კვირის ან 10 დღის შემდეგ.

ობსტრუქციული დაზიანება
ობსტრუქციული დაზიანება, როგორიცაა *ფილტვის არტერიის* ან *აორტის სტენოზი*, გამოწვეულია სისხლის დინებით მცირე ზომის სარქველებში და ამის გამო შეილი დამოკიდებული არ არის ფილტვის სისხლძარღვთა ჰეზისტენტობის შემცირებაზე და დაბადებისთანავე მოისმინება.

წნევის გრადიენტის განსხვავება
ატრიოვენტრიკულური ჰეგურგიტაციით გამოწვეული შეილი დაბადებისთანავე მოისმინება, ვინაიდან პარკუჭს და წინაგულსა შორის არსებობს მაღალი წნევის გრადიენტი.

ბავშვის ზრდასთან დაკავშირებული ცვლილებები
ზოგიერთი შეილი არ ვლინდება ზევით აღნერილ შემთხვევებში, მაგრამ მოისმინება სისხლის ნორმალური დინების შეცვლის გამო და ვლინდება ან იცვლება ზრდასთან ერთად. მაგალითად, თუ ობსტრუქციული დაზიანებაა, *აორტის სტენოზის* შეილი შეიძლება არ მოისმინებოდეს გარკვეულ ასაკამდე, ჯერჯერობით ბავშვობაში, მიუხედავად იმისა, რომ სარქველის თანდაყოლილი პათოლოგია აღინიშნება. ამის მსგავსად, ფილტვის არტერიის დინების შეილი *წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის* დროს არ მოისმინება 1 წლამდე ან მეტი ხნით, ვინაიდან მარჯვენა პარკუჭის ჭიმვადობა თანდათანობით იზრდება და მუნტი ფართოვდება, რაც ნარმოქმნის შეილს ფილტვის არტერიის ნორმალურ სარქველში დიდი რაოდენობით სისხლის მოძრაობის გამო.

ახალშობილებს, რომელთაც აღენიშნებათ შეილი და ცენტრალური ციანოზი, აქვთ გულის თანდაყოლილი მანკი და საჭიროებენ დაუყოვნებელ ქირურგიულ ჩარევას.

თუ ბავშვში შეილს აღმოაჩენთ, დაადგინეთ მისი ყველა ნიშანი, როგორც ეს აღნერილია მე-8 თავში, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, რაც დაგეხმარებათ *ორგანული შეილის* გარჩევაში ფუნქციურისგან. შეილები, რომლებიც ასახავენ გულის ორგანულ დაავადებებს, უფრო ადვილი გამოსაკვლევია, თუ ჯარგად იცით გულ-მკერდის შიდა ანატომია და დაბადების შემდგომი გულის ფუნქციური ცვლილებები, ასევე გულის შეილების ფიზიოლოგიური საფუძვლები. ამ ფიზიოლოგიური ცვლილებების გარკვევა დაგეხმარებათ ბავშვებში პათოლოგიური და ჯეთილთვისებიანი შეილების გარჩევაში.

ბავშვებში გულის სპეციფიკური პათოლოგიური შეილების დახასიათება აღნერილია ცხრილში 18-15, გვ. 809-810.

III სარძევე ჯირკვლები

ახალშობილთა, როგორც გოგონების, ასევე ბიჭების სარძევე ჯირკვლები გადიდებულია დედის ესტროგენების ზეგავლენით. ეს ცვლილება შეიძლება ჰარმონიზმე თვის განმავლობაში გაგრძელდეს. სარძევე ჯირკვლებში შეიძლება დაგროვდეს თეთრი ფერის სითხე, რასაც ზოგჯერ "ჯადოქრის ძძეს" უწოდებენ და შეიძლება 1-2 კვირის განმავლობაში გრძელდებოდეს.

ნაადრევი თელარქეს დროს სარძევე ჯირკვლების განვითარება ყველაზე ხშირად ვლინდება 6 თვიდან 2 წლამდე. მომწიფების ან ჰორმონული დარღვევების სხვა ნიშნები არ აღინიშნება.

III მუცელი

მუცელი *დაათვალიერეთ*, როდესაც ბავშვი ზურგზე წევს, უმჯობესია ძილის დროს. ჩვილის მუცელი ამობურცულია, ვინაიდან მუცლის კუნთები ცუდადაა განვითარებული. თქვენ ადვილად შეგიძლიათ შეამჩნიოთ მუცლის კედლის სისხლძარღვები და ნაწლავის პერისტალტიკა.

დაათვალიერეთ ახალშობილის *ჭიპლარი* ჩამიე პათოლოგიაზე. ნორმალურად, აღინიშნება ორი სქელ-კედლიანი ჭიპის არტერია და ერთი ფართო, მაგრამ თხელ-კედლიანი ჭიპის ვენა, რომლებიც მდებარეობენ 12 საათის პოზიციაში.

ახალშობილს ჭიპს შეიძლება ჰქონდეს გრძელი კანის ნაწილი *(კანის ჭიპი)* ან ამნიონური ნაწილი *(ამნიონური ჭიპი)*, რომელიც დაფარულია მკვრივი ქსოვილმაგვარი ნივთიერებით. ამნიონური ნაწილი ხმება და ვარდება 2 კვირის განმავლობაში, ხოლო კანის ნაწილი ჩაიწევს და გაერთიანდება მუცლის კანთან.

დაათვალიერეთ ჭიპის გარშემო კანი სინათლეზე და შეშუპებაზე. *ჭიპის თრაქტი* ვლინდება დაბადებიდან რამოდენიმე კვირის განმავლობაში.

სწორი კუნთების დაშორება ხშირია ჯანმრთელ ჩვილებში. ეს არის მუცლის სწორი კუნთების დაშორება, რაც ნარმოქმნის შუა ხაზზე შემაღლებას. იგი უკეთესად ჩანს მუცლის კუნთების შეკუმშვის დროს. უმეტეს შემთხვევაში ეს უვნებელი მდგომარეობაა და ქრება ადრეული ბავშვობის პერიოდში.

გაჩუმებული ბავშვის მუცლის *აუსკულტაცია* აღვილია. ნუ გაგიკვირდებათ, თუ მოისმენთ ნაწლავთა ხმიანობის ორკესტრულ მუსიკას ყოველ 10-30 წამში.

მხოლოდ ერთი *ჭიპის არტერია* შეიძლება დაკავშირებული იყოს თანდაყოლილ ანომალიასთან, მაგრამ ასევე შეიძლება გამოვლინდეს ნორმალურ ბავშვებში, როგორც იზოლირებული ანომალია.

ჭიპის გრანულომა ჭიპის ძირთან არის ვარდისფერი გრანულაციური ქსოვილი, რაც ვითარდება მეხორცების პროცესში.

ჩვილებში *ჭიპის თრაქტის* მიზეზია მუცლის კედლის დეფექტი, რომლის ზომა 6 სმ-მდე შეიძლება იყოს და გამოირჩეოდეს მუცლის შიგნითა ნაწლავის მომატების დროს. თრაქტების უმეტესობა ქრება 1 წლის ასაკისთვის, ხოლო მთლიანად ქრება 5 წლის ასაკამდე.

ნაწლავის ხმიანობის ტონალობის ან სიხშირის მომატება აღინიშნება *გასტროენტერიტის* ან, უფრო იშვიათად, *ნაწლავის ობსტრუქციის* დროს.

ჩვილებში ღვიძლის სავარაუდო მოცულობა (სმ)

	ღვიძლის საშუალო სავარაუდო მოცულობა (სმ)	
ასაკი	მამრობითი	ქალი
6 თვე	2.4	2.8
12 თვე	2.8	3.1

ჯანმრთელ ჩვილებში ღვიძლის პალპაცია შესაძლებელია ჰეპატომეგალიის გარშემოც ან გვხვდება ფიბროზების პათოლოგიის დროს დიაფრაგმის მარჯვენა გუმბათის დაწევისას.

ჩვილის მუცლის *პერკუსია* ისევე შეგიძლიათ ჩაატაროთ, როგორც მოზრდილისა, მაგრამ იცოდეთ, რომ ნახავთ ძლიერ ტიმპანიტს, ვინაიდან ბავშვს ჰაერის ჩაყლაპვის მიდრეკილება აქვს.

ჩვეული, ტიმპანური ხმიანობა და მუცლის შებერვა პერიტონიტზე მიუთითებს.

ჩვილი ბავშვის მუცლის *პალპაცია* ადვილია, ვინაიდან შეხება სიამოვნებს. როგორც სუსათზეა ნაჩვენები, გამოიყენეთ ბავშვის მოდუნების მეთოდი, რისთვისაც ერთი ხელით ფეხები მოუხარეთ მუხლის და მენჯბარძაყის სახსრებში, ხოლო მეორეთი პალპაცია ჩაატარეთ. ასევე, ბავშვის დასამშვიდებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ მანთვარა ან ბოთლი საკვებით.



ფრთხილად დაიწყეთ ღვიძლის პალპაცია მუცლის ქვედა ნაწილში თითების ზევით მოძრაობით. ეს მეთოდი დაგეხმარებათ, არ გამოგრჩეთ ძლიერ გადიდებული ღვიძლი, რომელიც მენჯის ღრუშია ჩასული. ყურადღებით გამოკვლევით შეგიძლიათ შეიგრძნოთ ღვიძლის ქვედა კიდე მარჯვნივ ნეკნთა რკალიდან 1-2 სმ-ით ქვემოთ.

გადიდებული, მგრძნობიარე ღვიძლი შეიძლება გამოწვეული იყოს *გული შეგუბებითი უკმარისობით, დაგროვების დაავადებით.* ახალშობილებში ჰეპატომეგალიის მიზეზებია ჰეპატიტი, დაგროვების დაავადებები, სისხლძარღვოვანი შეგუბება და ბილიარული ობსტრუქცია.

ისევე როგორც ღვიძლის, *ელენთის* გასინჯვას ადვილია უმარტივესობა ბავშვებში. ელენთა ძალიან ხშირია, აქვს მკვეთრი კიდეები და მარცხენა ნეკნთა რკალიდან ქვემოთაენაა მიმართული ენასავით. ელენთა მოძრავია და იშვიათად სცილდება ნეკნთა რკალს 1-2 სმ-ზე მეტად.

სპლენომეგალიის მიზეზი შეიძლება რამდენიმე დაავადება იყოს, როგორიცაა *ინფექცია, ჰემატოლოგიური დარღვევები,* მაგ. *ჰემოლიზური ანემია, ინფექციური, ანთებითი და აუტოიმუნური დაავადებები,* ისევე როგორც *პორტული ჰიპერტენზიის* გამო.

ჩაატარეთ *მუცლის სხვა ორგანოების პალპაცია.* ხშირად შეიგრძნობთ შეახებით თირკმლის პელვისა ეპიგასტრიუმის არეში. ამას უფრო ადვილად შეიგრძნობთ შეახებით მარცხენა ღრმა პალპაციით.

ასევე, ჩვეულებრივ პალპაციით შეგიძლიათ ელენთის ნვეთოს გასინჯვა. ფაქტიურად, შეგიძლიათ თირკმლებიც გასინჯოთ ერთი ხელის თითების ზურგის მხარეს და მეორე ხელის თირკმელზე ზემოდან დადებით. დასნეხილი ჯოჯინჯი ისინჯება, როგორც სოსისის მსგავსი მასა მარცხენა ქვედა ჯვარედინში.

ჩვილებში მუცლის ღრუში პათოლოგიური მასები შეიძლება დაკავშირებული იყოს თირკმლებთან (მაგ. *ჰიდრონეფროზი*); მარცხის ბუშტთან (მაგ. მარცხსადენის ობსტრუქცია), მსხვილ ნაწლავთან (მაგ. *Hirschsprung-ის დაავადება ან ნაწლავის ინვაგინაცია*) და სიმსივნესთან.

ხოლესაც ჩვილის მუცლის ღრუში ნორმალურ ორგანოებს გასინჯავთ, პალპაციით დააღგინეთ პათოლოგიური მასების არსებობა.

პილორუსის სტენოზის დროს მარჯვენა ზედა ჯვარედინის ღრმა პალპაცია შუა ხაზთან გამოავლენს "ზეთისხილს" - 2 სმ-ის ზომის პილორუსის მასას. ქრონის დროს ზოგიერთ ჩვილს ამ დარღვევის დროს აღენიშნება პერისტალტიკური ტალღები მუცლის კედელზე, ხანაც მოჰყვება სწორედ ღებინება.

მამაკაცის სასქესო ორგანოები

დაათვალიერეთ მამაკაცის სასქესო ორგანოები, ხოლესაც ჩვილი ზურგზე წევს, დააკვირდით ასოს, სათესლე ჯირკვლებს და სათესლე პარკს. *ჩუჩა* მთლიანად ფარავს ასოს თავს. დაბადებისას ჩუჩის გადანვევა ვეი ხერხდება, ამიტომ თქვენ უნდა გადაუნიოთ საგმარისად, რომ გამოჩნდეს შარდსადენის გარეთა ხვრელი. ჩუჩის თავისუფლად გადანვევა ბავშვებში, ვისაც არ ჩატარებიათ ცირკუმციზიო, ვითარდება ხამოდენიმე თვის ან წლის შემდეგ. ცირკუმციზიოს ჩატარების სიხშირე ბოლო პერიოდში შემცირდა ჩარდილოეთ ამერიკაში და სხვადასხვა სიხშირით ჯერდება მსოფლიოში, რაც დამოკიდებულია ქვეყნის კულტურაზე.

ჰიპოსპადია აღინიშნება, ხოლესაც შარდსადენის ხვრელი ასოს თავის ან ასოს სხეულის ვენტრალურ ზედაპირზეა (იხ. ცხრილი 18-18, მამაკაცის შარდსასქესო სისტემა. გვ. 813). ჩუჩა ვენტრალურად ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული.

დაათვალიერეთ ასოს სხეული, დააკვირდით მის ვენტრალურ ზედაპირზე ხარმე დარღვევას. დარწმუნდით, რომ ასო მოღუნული არ არის.

ფიქსირებული, ქვევით მოხრილი ასო წარმოადგენს *chordee* (ასოს გამრუდებას), მას შეიძლება ახლდეს ჰიპოსპადია.

სათესლე პარკის შეშუპება დაბადებიდან ხამოდენიმე დღის განმავლობაში შეიძლება აღინიშნებოდეს დედის ესტროგენების ზემოქმედების შედეგად.

დაათვალიერეთ სათესლე პარკი, დააკვირდით ნაოჭებს, რომლებიც უნდა აღინიშნებოდეს 40 კვირის გესტაციური ასაკისთვის. პალპაციით გასინჯეთ სათესლე ჯირკვლები ზემოდან ქვევით საზარდულის გარეთა ხვრელიდან სათესლე პარკებამდე. თუ სათესლე ჯირკვალი სინჯავთ ზევით, საზარდულის არხში, ფრთხილად ჩამოწიეთ ქვევით სათესლე პარკისკენ. ახალშობილის სათესლე ჯირკვლების სიგანე 10 მმ-ია, სიგრძე – 15 მმ და უმეტესად სათესლე პარკში მდებარეობენ.

თუ ახალშობილთა სათესლე ჯირკვალი არ არის ჩამოსული სათესლე პარკში (*კრიპტორქიზმი*), სათესლე პარკი განვითარებულია და შეკუმშული, პალპაციით შიგთავს ვერ მოძებნით (იხ. ცხრილი 18-18, მამაკაცის შარდსასქესო სისტემა. გვ. 813).

ახალშობილთა 3%-ში ერთი ან ორივე სათესლე ჯირკვალი არ ისინჯება სათესლე პარკში ან საზარდულის არხში. ამ შემთხვევაში სავარაუდოა *კრიპტორქიზმის* არსებობა. ამ შემთხვევათა 2/3-ში ორივე სათესლე ჯირკვალი ჩამოდის 1 წლის ასაკისთვის.

სათესლე პარკებში და საზარდულის არხში გასინჯეთ სათესლე ჯირკვლების შეშუპება. თუ სათესლე პარკში შეშუპებას ნახავთ, ეცადეთ გამოარჩიოთ სათესლე ჯირკვლებისგან. დააკვირდით, იცვლება თუ არა ზომა ბავშვის ტირილის დროს, ხოლესაც იზარდება წნევა მუცლის ღრუში. ნახეთ, მოძრაობს თუ არა თქვენი თითები შესიების ზემოთ, შეგიძლიათ თუ არა თითებით მისი დაჭერა სათესლე პარკში. ფრთხილად დააწექით და სცადეთ შესიების ზომის შემცირება, დააკვირდით ხარმე მტკივნეულობას. დააკვირდით სინათლის გატარებას.



ახალშობილებში ხშირად ორი ტიპის მასა აღინიშნება: *ჰიდროცელე* და *სპერმატოცელის თავაკარი*. ხშირად ორივე ერთდროულად ვითარდება და უმეტესად მარჯვენა მხარესაა. ჰიდროცელე სათესლე ჯირკვლების და სათესლე ბაგირაკის ზემოდანაა, არ პატარავდება და სინათლეს ატარებს (იხ. სურათი მარცხნივ). უმეტესობა გაინოვება 18 თვის განმავლობაში. თავაკარი გამოყოფილია სათესლე ჯირკვლებისგან, რვეულებრივ პატარავდება და ხშირად სინათლეს არ ატარებს. არ გაინოვება. ზოგჯერ შეინიშნება გასქელებული სათესლე ბაგირაკი (ეწოდება *ბერმუდის ნიშანი*).

ქალის სასქესო ორგანოები

ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკი ერგად უნდა იცნობდეს ქალის სასქესო ორგანოების ანატომიას. თუ არ იცით ნორმალური აგებულება, პათოლოგიას ვერ დაადგენთ. პრობლემას წარმოადგენს ახალშობილი გოგონას სასქესო ორგანოების ანატომიის გარჩევა. ამისთვის, შემდეგ გვერდზე სურათზეც და ფოტოზეც მოცემულია ანატომიური აგებულება.





ახალშობილ გოგონებში სასქესო ორგანოები გამოკვეთილია დედის ესტროგენების ზეგავლენით. დიდი და მცირე ბაგეები ვახდისფერია თეთრკანიან ბავშვებში და შეიძლება ჰიპერპიგმენტაციური იყოს შავკანიანებში. დაბადებიდან ხამოდენიმე კვირის განმავლობაში აღინიშნება ძძსავით თეთრი გამონადენი, შეიძლება სისხლნარევიც იყოს. ესეც ესტროგენების მოქმედების შედეგია და პირველი ნის განმავლობაში მცირდება.

ახალშობილ გოგონას სასქესო ორგანოები გასინჯეთ ზურგზე წოლის დროს.

სისტემურად გამოიკვლიეთ სხვადასხვა სტრუქტურები, ჯლიტორის ზომის, დიდი ბაგეების ფერის და ზომის ჩათვლით. დაათვალიერეთ ხარე გამონაყარი, სისხლჩაქცევა და გარეგანი დაზიანება. შემდეგ ორივე ხელის ცერებით გადანიეთ დიდი ბაგეები ჩვილებში, ან როგორც ნაჩვენებია 767-ე გვერდზე დიაგრამაზე, აღმოსავლური და გვიანი ბავშვობის ასაკის ბავშვებისთვის. ახალშობილები არ გენინააღმდეგებიან გასინჯვაზე, ვინაიდან მათ ხშირად უცვლიან საცვლებს და ბანენ.

ორმაგი სასქესო ორგანოები, რაც მოიცავს გოგონას გარეთა სასქესო ორგანოების მასკულინიზაციას, იშვიათია და მისი მიზეზია ენდოკრინული დარღვევები, როგორიცაა *თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზია*.

დაბადებისას საქაღნეცე აჰჯი არაპერფორირებულია. უფრო ხშირია ბაგეების შეხორცება, ქალაღდის ფურცლივით თხელია და ხშირად ჭრება მუშნარობის გარეშე.

დაათვალიერეთ მარდსადენის ხვრელი და მცირე ბაგეები. შეაფასეთ საქაღნეცე აჰჯი, რაც ახალშობილებში და ჩვილებში სქელია, არ შეიცავს სისხლძარღვებს, ცენტრში ხვრელი აქვს და ფარავს სამოს შესავალს. დააკვირდით სამოს შესავალს, მიუხედავად იმისა, რომ საქაღნეცე აჰჯი შეიძლება გასქელებული და დიდი იყოს. დააკვირდით რამე გამონადენის არსებობას.

რექტული გამოკვლევა

რექტული გამოკვლევის ჩატარება არ არის აუცილებელი, თუ არ აღინიშნება ღია ყითაა ან ნარმონაქმნი მუცლის ღრუში. ასეთ შემთხვევაში ბავშვს ფეხები მოუხარეთ და თავისკენ დაიჭირეთ. გასინჯეთ ხელთათმანიანი და საცხიანი ნეკით.

ახალშობილთა უმრავლესობას *ფეხები გაღუნული აქვთ*, საშვილოსნოში მოხსნილი მდგომარეობის გამო.

3 თვის ზევით ასაკის ბავშვებში შეიძლება აღინიშნებოდეს ბარძაყის თვალით შესამჩნევი დამოკლება *(Galeazzi-ის (გალიაზის) ან Alice-ის (ელისის) დადებითი ნიშანი)*. ქვემოთ სურათზე ნაჩვენებია ამ გამოკვლევის მეთოდი. ბავშვის ტერფები ერთად დაანვეთ და დააკვირდით მუხლების სიმაღლეებს შორის განსხვავებას.



ზოგიერთ ჯანმრთელ ახალშობილს გამოხატული აქვს *ნივთის გრძივი ღერძის მიმართ შიგნით ან გარეთ შებრუნება*. მშობლები შეიძლება ინტერესდებოდნენ ტერფის შიგნით ან გარეთ შებრუნებით და სიარულის გაძნელებით, რაც ჩვეულებრივ ნორმალურია. ნივთის შეტრიალება თავისით სწორდება 2 წლის ასაკისთვის ნორმის მატებასთან ერთად.

ნივთის პათოლოგიური შეტრიალება ვლინდება მხოლოდ *ტერფის ან ბარძაყის დეფორმაციასთან* ერთად.

ამის შემდეგ გამოიკვლიეთ ახალშობილის და ჩვილის ტერფები. დაბადებისას ტერფი შეიძლება დეფორმული იყოს საშვილოსნოში მოხსნილი მდებარეობის გამო, ხშირად შიგნით შეტრიალებული, როგორც მომდევნო გვერდზეა ნაჩვენები. ჩაატარეთ მანიპულაცია დაზიანებულ ტერფზე – ნორმალური ტერფი აღვილად სწორდება ნეიტრალურ და ზოგჯერ ზედმეტად სწორ პოზიციაში. ასევე, შეგიძლიათ გაუხახუნოთ ან დაარტყათ ტერფის გარეთა კიდეს, ხათა ნახოთ, იღებს თუ არა ტერფი ნორმალურ მდებარეობას.

ტერფის ქვეშმარიტი დეფორმაციის დროს ნუ ეცდებით ნორმალური მდებარეობის მიღწევას მხოლოდ მანიპულაციით.

ახალშობილის ტერფს გააჩნია სხვადასხვა ვეთილთვისებიანი ნიშანი, რამაც შეიძლება თავიდანვე თქვენი ინტერესი გამოიწვიოს. ახალშობილის ტერფი ბრტყელია ძირის ცხიმოვანი ქსოვილის გამო. ხშირია ტერფის ინვერსია, მეტიარული კიდის ამოვა. ზოგიერთ ბავშვს აღენიშნება ნინა ტერფის მოზიდვა ინვერსიის გარეშე, რასაც ეწოდება *metatarsus adductus*. სხვებს შეიძლება ჰქონდეს მთელი ტერფის მოზიდვა. ბოლოს, უმეტესობა მოსიარულე ბავშვს აღენიშნება მცირეოდენი ჰორნაცია ტერფის ევერსიით (ამობრუნებით). ყველა ამ ნორმალური ვარიანტის დროს არასწორი პოზიცია აღვილად შეიძლება გასწორდეს. ამ ცვლილებების გასწორება შესაძლებელია 1-2 წლინადში.

ყველაზე ხშირი ტერფის მძიმე თანდაყოლილი დეფორმაცია არის ტერფის ექვინოვარუსული დეფორმაცია (talipes calcaneovalgus) ან *ტერფმრუდობა*.





III ნეიკული სისტემა

ჩვილების ნეიკული სისტემის გამოკვლევა მოიცავს ამ ასაკისთვის განსაკუთრებით სპეციფიკურ მეთოდებს. ბავშვებში მნიშვნელოვანია უპირობო ჰეფლექსების გამოკვლევა, ვინაიდან ისინი ვლინდება გარკვეულ ასაკამდე და შემდეგ ქრება. ამ ჰეფლექსების არ არსებობა ან შესუსტება პათოლოგიის ნიშანი შეიძლება იყოს.

მძიმე ნევროლოგიური დაავადებების ნიშნებია *ძლიერი გალიზიანებადობა; პოზის მუდმივი ასიმეტრია; კიდურების მუდმივი გაშლა; თავის მუდმივად ცალ მხარეს შებრუნება; თავის, კისრის და კიდურების გაჭიმვა (ოპისტოტონუსი); ტკივილზე ძლიან სუსტი და შეზღუდული პასუხი.*

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ნევროლოგიური დარღვევა მოზრდილებში იწვევს ასიმეტრიული ლოკალიზაციის მონაცემებს, ჩვილებში ნევროლოგიური დარღვევები ხშირად ნარმოდგენილია, როგორც განვითარების დარღვევები, როგორიცაა ასაკის შესაბამისი ამოცანების შესრულების გაძნელება. ამიტომ, ნევროლოგიური და განვითარების შესაფასებელი გამოკვლევები საჭიროებს ეთიკურ ჩატარებას. განვითარების დარღვევის ნიშნების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ნევროლოგიურ გამოკვლევას.

ყველა ახალშობილის ნევროლოგიური გამოკვლევა მოიცავს გონებრივი მდგომარეობის, დიდი და მცირე მოტორული ფუნქციების, ტონუსის, ტირილის, ღრმა მყესების ჰეფლექსების და უპირობო ჰეფლექსების შეფასებას. თუ ანამნეზით და გასინჯვით ვარაუდობთ რაიმე დარღვევებს, საჭიროა უფრო დეტალური გამოკვლევა თავის ტვინის ნეკვების ფუნქციების, სენსორული ფუნქციების და უფრო იშვიათი ჰიპერტონული ჰეფლექსების.[15] ნევროლოგიური გამოკვლევით შეიძლება გამოვლინდეს გავრცელებული დაავადება, მაგრამ არა ერთეული სპეციფიკური ფუნქციური დეფიციტი და ნეირული დაზიანება.

ახალშობილის *გონებრივი მდგომარეობა* შეაფასეთ ბავშვის აქტივობებით, როგორც განხილულია 690-692-ე გვერდებზე ("რა შეუძლია ახალშობილს"). დარწმუნდით, რომ გამოკვლევის დროს ბავშვი გამოფხიზლებულია, თუ ბავშვს ეძინება, დაუბრუნდით მოგვიანებით.

ახალშობილებში *მუდმივი გალიზიანებადობა* შეიძლება *ნევროლოგიური ინსულტის* ნიშანი იყოს, ან ასახავდეს სხვადასხვა მეტაბოლურ, ინფექციურ ან სხვა *კონსტიტუციურ დარღვევებს*, ასევე გარემო მდგომარეობებს, როგორიცაა *წამლების ჭარბი მოხმარების* შენყვეტა.

ახალშობილთა და ჩვილთა *მოტორული ტონუსის* შეფასებისას, პირველად ყურადღებით დააკვირდით მის პოზას მოსვენებულ მდგომარეობაში და შეამოწმეთ მისი ჩვისტენტობა პასიურ მოძრაობაზე.

შემდეგ შეაფასეთ *ტონუსი*, ხოლესაც თითოეულ სახსარს ამოძრავებთ მოძრაობის ამპლიტუდით და დააკვირდით სპასტიკურობას ან მოდუნებას. ბავშვი ხელებით დაიჭირეთ, ხოგორც ქვემოთაა ნაჩვენები, ხათა დაადგინოთ ტონუსი ნორმალურია თუ დაქვეითებული. ტონუსის მომატება ან დაქვეითება შეიძლება მიუთითებდეს თავის ქალას შიდა დაავადებაზე, თუმცა ამ დაავადებას ჩვეულებრივ სხვა ნიშნებიც ახლავს.

ჰიპოტონიის მქონე ახალშობილი ხშირად წევს ბაყაყის პოზაში, მკლავები მოხრილია და მტევნები ყურებთან ახლოს აქვს. ჰიპოტონიის მიზეზი შეიძლება იყოს *ცენტრალური ნერვული სისტემის* და *მოტორული ნაწილის* სხვადასხვა დაზიანება.

ახალშობილის *სენსორული ფუნქციები* შეზღუდული საშუალებებით შეგიძლიათ შეაფასოთ. ტკივილის შეგრძნება შეამოწმეთ თქვენი თითით ახალშობილის ხელის გულზე ან ფეხის ძირზე სწრაფი დარტყმით. დააკვირდით უკან განევას, გამოფხიზლებას და სახის გამომეტყველების ცვლილებას. ტკივილის შესამოწმებლად ნუ გამოიყენებთ ნვეტიან საგანს.



ხოლესაც ტკივილით გაღიზიანებას მოჰყვება სახის გამომეტყველების შეცვლა ან ტირილი, მაგრამ ბავშვი ხელს უკან არ სწევს, შესაძლოა, მას *დამბლა* ჰქონდეს.

შეგიძლიათ შეამოწმოთ ახალშობილის ან ჩვილის *თავის ტვინის ნერვები*, ამისთვის უნდა მოიშველიოთ გარკვეული ეშმაკობები და სპეციალური მეთოდები, ხომლებიც განსხვავდება დიდი ასაკის ბავშვებისა და მოზრდილების გამოკვლევისგან. შემდეგ გვერდზე მოტანილ ცხრილში მოცემულია ხამოდენიმე გამოსადეგი სტრატეგია.

ახალშობილებში და ჩვილებში *ღრმა მყესების რეფლექსები* სვაღებადია, ვინაიდან ჯორჯიანსპინალური გამტარი გზები ბოლომდე განვითარებული არ არის. მაგალითად, ამ რეფლექსების გაძლიერებას ან არარსებობას მკრივ დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს, თუ ეს რეაქციები განსხვავებულია ნინა გასინჯვის შედეგებისგან ან აღინიშნება განსაკუთრებულად მომატებული პასუხები.

ღრმა მყესების რეფლექსების ჩოგორც ზედა სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში შეიძლება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშანი იყოს, ხოგორც ცრუდადება, განსაკუთრებით ხოლესაც ის შეხვედრილია ტონუსის მომატებასთან.

ახალშობილებში და ჩვილებში თავის ტვინის ნეხვების შეფასების სტანდარტები

თავის ტვინის ნეხვები	სტატეგია
I ყნოსვის	შემონმება ძნელია
II მხედველობის სიმახვილე	ყურადღებას აქცევს თქვენს სახეს და დაკვირდით სახის ჰეაქციას და მზერის გაყოლებას
II, III სინათლეზე ჰეაქცია	თვალი ჩაბნელეთ, ბავშვი ნამოსნიეთ მკდომარე მდებარეობაში, სანამ თვალები გაახილოს. სინათლის გამოყენებით შეამონმეთ ოპტიკური სამხრამის ჰეფლექსი (თვალების სამხრამი სინათლეზე). დვრილის ჰეაქციის შეფასებისთვის გამოიყენეთ ოტოსკოპი (სარკის გარეშე)
III, IV, VI თვალის გარეთა მოძრაობები	დაკვირდით აყოლებს თუ არა მზერას, როდესაც გალიმებულ სახეს აქეთ-იქით აცრიალებთ. თუ საჭიროა, განათება გამოიყენეთ.
V მოტორული	შეამონმეთ ფესვული ჰეფლექსები; შეამონმეთ ნოვის ჰეფლექსი (დაკვირდით ძუძუს ნოვას, ბოთლის ან მანოვარას ნოვას)
VII სახის	დაკვირდით ბავშვის ტირილს და ღიმილს, სახის და შუბლის სიმეტრიას
VIII სმენის	შეამონმეთ აუსტიკური სამხრამის ჰეფლექსი (ორივე თვალის სამხრამი ხმაურზე). დაკვირდით შეტრიალებას ხმაურზე
IX, X ყლაპვა	დაკვირდით ჟოლრინირებას ყლაპვის დროს
ღებინება	შეამონმეთ ღებინების ჰეფლექსი
XI სპინალური დამატებითი	დაკვირდით მხრების სიმეტრიას
XII ენისქვეშა	დაკვირდით ყლაპვის, ნოვის და ენის ბიძგის შეთანხმებულობას. ნესტოებზე ბნელა, დაკვირდით პირის გაღების ჰეფლექსს და ენის წვერის შუახაზზე მდებარეობას

თავის ტვინის ნეხვების დახლვევები მიუთითებს თავის ქალას შიდა დაზიანებაზე, როგორიცაა სისხლჩაქცევა ან თანდაყოლილი განვითარებულობა.

ღიმა მყესების ჰეფლექსების შესასწავლად იგივე მეთოდები გამოიყენეთ, ჰასაკ მოზჰდილებისთვის იყენებთ. თქვენი საჩვენებელი ან შუა თითი შეგიძლიათ ჩაქუჩის მაგივრად გამოიყენოთ, ჰოგორც ქვემოთ სუჰათზეა ნაჩვენები.

მოზჰდილებში, ჰეფლექსების ასიმეტრიულობა მიუთითებს პეჰიფეჰიული ნეკვების ან ზურგის ტვინის სეგმენტის დაზიანებაზე.



სამთავა, მხარ-სხივის და მუცლის ჯუნთების ჰეფლექსების გამონვევა ძნელია 6 თვემდე ასაკის ბავშვებში. *ყითას ჰეფლექსი* დაბადებიდანვე აღინიშნება და მისი გამონვევა მნიშვნელოვანია, თუ ვარაუდობთ ზურგის ტვინის დაზიანებას.

ანაღური ჰეფლექსის არარსებობა მიუთითებს გარეთა სფინქტერის ჯუნთების ინერვაციის დაჯარბებაზე ზურგის ტვინის დაზიანების გამო, ჰოგორიცაა თანდაყოლილი ანომალიები (მაგ., *spina bifida*), *სიმსივნე* ან *ტრავმა*.

ჩვილთა 90%-ს აქვთ ტერფის გაშლის ნორმული ჰეფლექსი. ტერფის სტიმულაციაზე განვითარებული *დადებითი Babinski-ს (ბაბინსკის) ჰეფლექსი* (ცერის განზიდვა და თითების გაშლა) აგრეთვე შეიძლება გამოვლინდეს 2 წლამდე ასაკის ჯანმრთელ ბავშვთა გარკვეულ ნაწილს.

ჯოჭის ჰეფლექსი ისევე შეგიძლიათ გამოინვიოთ, ჰოგორც მოზჰდილებში აქილევსის მყესზე დარტყმით, მაგრამ ხშირად შეიძლება ვერ გამოინვიოთ. მეორე გვერდზე ნაჩვენებია სხვა მეთოდი ერთი ხელით ბავშვის ჯოჭების დაჭერა და უცბად ჯოჭის აწევა. ნუ გაგიკვირდებათ, თუ ნახავთ ტერფის სწრაფ, რიტმულ მოხრას ძირისკენ *(ჯოჭის კლონუსი)*. 10-მდე ხნევა ნორმალურია ახალშობილებში და ჩვილებში, ეს არის *ჯოჭის ხანმოკლე კლონუსი*.

ჰოდესაც შეკუმშვა ხანგრძლივია *(ჯოჭის ხანგრძლივი კლონუსი)*, უნდა ვიფარაუდოთ *ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება*.



ახალშობილის და ჩვილის განვითარების ნებისმიერი სისტემის შეფასება უნდა მოხდეს *ინფანტილური ავტომატიზმის*, ანუ უპირობო ჰეფლექსების შესწავლით. ეს ჰეფლექსები ვითარდება ორსულობის პერიოდში, ძირითადად გამოხატულია დაბადებისას და ქრება გარკვეულ ასაკში. ამ პრიმიტიული ჰეფლექსების ცვლილებები მიუთითებს ნევროლოგიურ დაქვეითებაზე და საჭიროებს ღრმა გამოკვლევებს. ყველაზე მნიშვნელოვანი პრიმიტიული ჰეფლექსები აღწერილია შემდეგ ბეჭდზე.

736-ე ბეჭდზე ნაჩვენები დამატებითი უპირობო ჰეფლექსები არ გამოიყენება ზოგადი გასინჯვის დროს, მაგრამ მოგეხმარებათ უფრო ფართო გამოკვლევების დროს იმ ჩვილებში, ვისაც პათოლოგიური ნევროლოგიური სიმპტომები აღენიშნებათ.

გაეცანით განვითარების საზომს 674-ე და 675-ე ბეჭდებზე და დენვერის განვითარების სკრინინგის ტესტს (DDST) 795-ე და 796-ე ბეჭდებზე, რათა გაარჩიოთ ასაკობრივი სპეციფიკური ნორმალური ტესტი გამოიყენოთ. დათვალიერებით და ბავშვთან თამაშით, შეგიძლიათ ერთდროულად გამოიკვლიოთ განვითარება და შეაფასოთ უხერხულობა და ზუსტი მოტორიკა. სპეციფიკურად, *სისუსტე* შეაფასეთ ჯდომით, დგომით ან გადაადგილებით. დააკვირდით პოზიციას ანუ ჯდომის ან დგომისას პოზას. ყურადღებით დააკვირდით ბავშვის *სიარულს*, ნონასწორობის დაცვასა და თავისუფალ მოძრაობებს. ზუსტი მოტორული განვითარება შეიძლება მსგავსად შეაფასოთ, ნევროლოგიური და განვითარების გამოკვლევით. ისევ განიხილეთ განვითარების საზომი 674-ე და 675-ე ბეჭდებზე. ძირითადი საზომებია პინცეტის დაჭერა, ხელებით საგნების მანიპულაციები, უფრო ზუსტი ტესტებია კუბიკებით კოშკის აშენება ან ფანქრით ხატვა, ვინაიდან ზუსტი მოტორიკა ვითარდება პროქსიმალურიდან დისტალური მიმართულებით.

შემეცნებითი და სოციალურ-ენერგიული განვითარების შეფასება უნდა მოხდეს ნევროლოგიურ და განვითარების გამოკვლევასთან ერთად. ზოგიერთი ნევროლოგიური დაქვეითება ნათლად ჩანს შემეცნებით და სოციალური განვითარების დეფიციტს ან შენელებას.

ნევროლოგიური ან *განვითარების ანომალიები* სავარაუდოა, თუ უპირობო ჰეფლექსები:

- შესაბამის ასაკში არ ვლინდება
- ვლინდება ნორმალურზე მეტი ხანგრძლივობით
- ასიმეტრიულია
- დაკავშირებულია პოზასთან ან გამოქარვასთან

უპირობო ჰეფლექსები, რომლებიც გამოკვლევის ნაწილი უნდა იყოს		ჩვილების ჰეტინული ნევროლოგიური
უპირობო ჰეფლექსი	მანევრი	ასაკი
ხელისგულის ტაცების ჰეფლექსი 	თქვენი თითი ჩაუდეთ ბავშვს ხელისგულში და დააწექით. ბავშვმა უნდა მოხაროს თითები და მოუჭიროს თქვენს თითს	დაბადებიდან 3-4 თვემდე
ფეხის ძირის ჰეფლექსი 	ფეხის ძირს შეეხეთ თითების ფუძესთან. ფეხის ძირი უნდა მოიხაროს	დაბადებიდან 6-8 თვემდე.
Moro-ს (მოროს) ჰეფლექსი (შეხტომის ჰეფლექსი) 	ბავშვი სუჭგზე დააწვინეთ ისე, რომ თავი, ზუჭგი და ფეხებით ეყრდნობოდეს. უეცრად მთელი სხეულით ჩამოსწიეთ 30 სმ-ით. ამ დროს მტევებს განზიდავს და გაშლილს, თითებს გახსნის და ფეხებს მოხრის. ბავშვმა შეიძლება იტიროს	დაბადებიდან 4 თვემდე.
ჯისრის ასიმეტრიული ტონუსის ჰეფლექსი 	როდესაც ბავშვი ზუჭგზე წევს, თავი ეით მხარეს შეუბრუნეთ ისე, რომ ქვედა ყბა მხრის ზემოთ იყოს. მტევი/ფეხი თავის შებრუნების მხარეს იშლება, ხოლო საპირისპირო მხარეს იხრება. ტესტი გაიმეორეთ მეორე მხარეს	დაბადებიდან 2 თვემდე
დაყრდნობის დადებითი ჰეფლექსი 	ბავშვი ხელში დაიჭირეთ ვერტიკალურად ისე, რომ ფეხებით მაგიდას ეხებოდეს. ბარძაყები, მხრები და ჯოჭები გაშლილი აქვს, შეუძლია ფეხებზე დაყრდნობა და 20-30 წმ-ის შემდეგ ხელებზე ჩამოგეჯიდებათ	დაბადებიდან ან 2 თვიდან 6 თვემდე

თუ ჰეფლექსი 4 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, სავარაუდოა თავის ტვინის დაზიანება.

თუ ხელის ტაცების ჰეფლექსის 2 თვეზე მეტად გახანგრძლივება მიუთითებს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებაზე, განსაკუთრებით თუ თითები ცერს ზემოდან გადაფარავენ

8 თვეზე მეტ ხანს გაგრძელება თავის ტვინის დისფუნქციაზე მეტყველებს

4 თვეზე მეტად გახანგრძლივება ნევროლოგიურ დაავადებაზე მიუთითებს; 6 თვეზე მეტ ხანს გახანგრძლივება მჭიდრო კავშირშია ნევროლოგიურ დაავადებასთან.

ასიმეტრიული პასუხისას საჭიროა ტვინის ან მხრის ძვრის მოტეხილობა ან მხრის სახსრის დაზიანება

2 თვეზე მეტ ხანს გახანგრძლივება ნევროლოგიურ დაავადებაზე მიუთითებს ნევროლოგიურ დაავადებაზე.

ჰეფლექსის სისუსტე ჰიპოტონიაზე ან მოდუნებაზე მიუთითებს. ფეხების გაშლა და მოხრევა (მაჯახატისებური) მიუთითებს ნევროლოგიური დაავადებით განპირობებულ სპასტიკურობაზე.

დამატებითი უპირობო ჰეფლექსები, რომლებიც უნდა გამოიკვლიოთ, როდესაც ნევროლოგიურ დაჩვევას ვახორციელებთ

უპირობო ჰეფლექსი		მანევრი	ასაკი	
ფესვური ჰეფლექსი		თითის დაკვრა პირის კუთხის კანზე. ამ დროს ბავშვი პირს აღებს და თავს შეატრიალებს გაღიზიანების მხარეს	დაბადებიდან 3-4 თვემდე	ამ ჰეფლექსის არ არსებობა მიუთითებს მძიმე გენერალიზებულ ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებაზე.
ტანის ამოზნექის (Galant-ის (გალანტის)) ჰეფლექსი		ბავშვი მუცლით დაიყრდენით თქვენს ხელზე და ზურგზე შეა ხაზიდან 1 სმ-ის დაშორებით ხელი ნაკვთით ქვისრიდან დენდეცებამდე. ზურგი ამოიზნიქება გაღიზიანების მხარეს	დაბადებიდან 2 თვემდე	ჰეფლექსის არ არსებობა მიუთითებს ზურგის ტვინის განივ დაზიანებაზე ან ტრავმაზე. ჰეფლექსის მედლივობა მიუთითებს განვითარების შენელებაზე.
დგომის და ნაბიჯის გადადგმის ჰეფლექსი		ბავშვი ვერტიკალურად დაიჭირეთ ისე, როგორც დაყრდნობის ჰეფლექსის გამოკვლევის დროს. ეთით ტერფით ეყრდნობოდეს მაგიდას. ამ ფეხის მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრები მოხრილი უნდა, ხოლო მეორე ფეხით ნაბიჯს წინ გადადგამს. შეიძლება გამოვლინდეს მონაცვლეობითი ნაბიჯები	დაბადებისას (ყველაზე უკეთ გამოხატულია 4 დღის შემდეგ). ქრება სხვადასხვა ასაკში.	დგომის არარსებობა შეიძლება დამბლაზე მიუთითებდეს. ჯდომით დაბადებულ ბავშვს შეიძლება ეს ჰეფლექსი არ აღენიშნებოდეს.
Landau-s (ლანდაუს) ჰეფლექსი		ეთით ხელით ბავშვი მუცლით პირქვე დაიჭირეთ. ბავშვმა თავი უნდა ასწიოს და ზურგი გაასწორის.	დაბადებიდან 6 თვემდე.	ჰეფლექსის მედლივობა მიუთითებს განვითარების შენელებაზე. ნარმოშობის დაგვიანება მიუთითებს მომავალში ნებითი მოტორული განვითარების შენელებაზე.
პარაშუტის ჰეფლექსი		ბავშვი მუცლით პირქვე დაიჭირეთ და თავი ნელა დაუნიეთ. ამ დროს მკლავები და ფეხები უნდა გაიშალოს თავდასცვით პოზაში	4-6 თვეზე და არ ქრება	

ჩვილებს, რომელთაც განვითარების შენელება აქვთ, ნევროლოგიური გამოკვლევით შეიძლება აღენიშნებოდეთ პათოლოგიური ნიშნები, ვინაიდან გამოკვლევათა უმეტესობა ეფუძნება ასაკობრივ ნორმებს.

განვითარების ნორმის საზომია განვითარების კოეფიციენტი, რომელიც ასე გამოითვლება: განვითარების კოეფიციენტი = განვითარების ასაკი / ქრონოლოგიური ასაკი × 100

ჩვილის ან ბავშვის განვითარება უნდა შეფასდეს სტანდარტული ტესტების მიხედვით, როგორიცაა დენვერის განვითარების სკრინინგის ტესტი (DDST) განვითარების თითოეული სახეობისთვის. მაგალითად, თქვენ გინდათ დაადგინოთ ბავშვის ფარითი მოტორული განვითარების კოეფიციენტი, ზუსტი მოძრაობების განვითარების კოეფიციენტი, ენის განვითარების კოეფიციენტი და ა.შ.

განვითარების კოეფიციენტები

>85	ნორმალური
70-85	შესაძლო გახანგრძლივებული, საჭიროებს დაკვირვებას
<70	შენელებული

უხეში და ნატიფი მოტორული განვითარების ნიმუშები

უხეში მოტორული განვითარება

12 თვის ბავშვის, რომელიც ეხლა ცდილობს დგომას (ფარითი მოტორული განვითარების ასაკი 9 თვეა), გადაადგილებას (10 თვე) და სიარულს (10 თვე) უხეში მოტორული განვითარების ასაკია 10 თვე. მისი ფარითი მოტორული განვითარების კოეფიციენტია (10/12 × 100)=83. ეს ბავშვი ჯერ ზონაშია, მას ჩარევა არ ესაჭიროება, თუმცა სასურველია დაკვირვება.

ნატიფი მოტორული განვითარება

12 თვის ბავშვს შეუძლია საგნების ხელიდან ხელში გადატანა (მცირე მოტორული განვითარების ასაკი 6 თვე), ხელით საგნის დაჭერა (7 თვე) და გადაგდება (7 თვე). მას არ შეუძლია თითოეული ხელში კუბიკების დაჭერა და არ აქვს ცერის და თითების მოქნილობა (8-9 თვე). მას ნორმალური უპირობო რეფლექსები აქვს (უმეტესობა არ არის), ტონუსი გაზრდილია, ფეხების მაკრატლის ფორმა, სპასტიკურობა და DDTS ფარითი მოტორული განვითარების ნაწილის შენელება. ამ ბავშვის მცირე მოტორული განვითარების კოეფიციენტია (7/12 × 100)=58 ამ ბავშვს შენელებული აქვს მცირე მოტორული განვითარება და აღენიშნება *ცერებრული დამბლის* ნიშნები

ბავშვების ბამოკვლევის მიდგომები

ყველა ბავშვი საჩუქარია; ზოგიერთი სხვაზე ადრე ხსნის თავის მესაფლეს
– მაიკლ ჯაი

ბავშვის გამოკვლევის მნიშვნელოვანი და ეთიკური ნიშანია ის, რომ მშობლები, ჩვეულებრივ, ახვიჩებიან და მონანიეობას იღებენ უთიერთობაში, რაც საშუალებას გაძლევთ, დაკვირდეთ ბავშვისა და მშობლების უთიერთდამოკიდებულებას. დაკვირდით, ავლენს თუ არა ბავშვი ასაკობრივ ქცევებს. შეაფასეთ ბავშვის და მშობლის "ჯაჭვად მოქცება". თუმცა, ზოგიერთი არასწორი უთიერთობის მიზეზი შეიძლება გახდეს გამოსაკვლევი ოთახის უჩვეულო გარემო, სხვა შემთხვევაში მიზეზი შეიძლება იყოს უთიერთობის პრობლემები. ბავშვის და მშობლების უთიერთობაზე და გამოსაკვლევ ოთახში ბავშვის უნესრიგო ქცევაზე ყურადღებით დაკვირვება გამოავლენს *ფიზიკური, შემეცნებითი და სოციალური განვითარების დარღვევებს.*

ნორმალურ ბავშვებს იშვიათად ეშინიათ, უფრო მეტად უბრაზდებიან ექიმს და ხშირად მთლიანად არაკოოპერაციულნი არიან. საბოლოოდ უთიერთობა თბება. თუ ეს ქცევები გაგრძელდება და არ შეესაბამება განვითარებას (მაგ. ჩვილის უცნაური შფოთვა ან მოზარდის ბავშვის მოქცევა), შეიძლება აღგილი ჰქონდეს *ქცევით ან განვითარების დარღვევას.*

ბამოკვლევის ბამოყენებადი მეთოდები	*ბამოსაყენებელი სათამაშოები და დამხმარე საშუალებები*
ბავშვი გამოიკვლიეთ მშობლის მუხლებზე ჯდომის დროს. ეცადეთ, რომ ბავშვის თვალების დონეზე იმყოფებოდეთ.	გამოიყენეთ ოტოსკოპის სინათლე
პირველ რიგში დათვალიერეთ ბავშვის სათამაშოები, შემდეგ თავად ბავშვი. უფლება მიეცით ბავშვს ზოგიერთი რამის მოსინჯვის (მაგ. სტეტოსკოპის). შემდეგ დაუბრუნებით გასინჯვას "დაუბრუნებით გამოტოვებულ აღგილს".	მიიღეთ სტეტოსკოპი ცხვირზე შპატელისგან გაათეთრეთ თოჯინა
ბავშვს, რომელიც თავიდან გიცინებთ, სთხოვეთ "ხელები ჩაგვიდოთ". შემდეგ სთხოვეთ, გასინჯვაში "დაგეხმაროთ".	სათამაშოთ გამოიყენეთ ბავშვის საკუთარი სათამაშოები
ზოგიერთ ბავშვს, ჰგონია, თუ ვერ გხედავთ, მაშინ თქვენ იქ არ ხართ. ამიტომ გამოკვლევები ჩაატარეთ, როდესაც ბავშვი დედის მუხლებზე დგას და სახით მისკენაა შეტრიალებული.	სმენის შესამოწმებლად გააჩხრიალეთ თქვენი გასაღები
თუ 2 წლის ბავშვს ორივე ხელში რამე უჭირავს (მაგალითად ენის შპატელი), მათ აღარ ეშინიათ და არ გენინააღმდეგებიან.	ოტოსკოპის სინათლე მიანათეთ თქვენი თითის ნვერს, შემდეგ გამოიკვლიეთ ბავშვის ყურები.

"დაკვირვების ძალა": რა ცვლილებები შეიძლება ვიპოვოთ ოთახში დაკვირვების დროს

ქცევის პრობლემები*
- ბავშვისა და მშობლების ცუდი ურთიერთობები
- და-ძმას შორის კონკურენცია
- ახასაკმახინი დისციპლინა
- "ხუთი ხასიათი"

განვითარების შენელება
- ფარითი მოტორიკის შენელება
- ზუსტი მოტორიკის შენელება
- მეტყველების შენელება (გამომხატველი, მგძნობიარე)
- სოციალური ან ემოციური ამოცანების შესრულების შენელება

სოციალური ან გარემო პრობლემები
- მშობლების პრობლემები მაგ., სტრესი, დეპრესია
- სასტიკად მოპყრობის ან უყურადღებობის ისტორია

ნევროლოგიური პრობლემები
- სისუსტე
- ახასნორი პოზა
- სპასტიკურობა
- მოუხერხებელი მოძრაობა
- ყურადღების პრობლემა და ჰიპერაქტიურობა
- ატიზმის ნიშნები
- ძვალ-კუნთოვანი დაზიანებები
- ტერფების დეფორმაცია
- სირაქლის პრობლემა

სპეციფიკური სისტემები
თითოეული ნაწილის სანყის პარაგრაფებში აღწერილია გამოკვლევის კომპონენტები, რომლებიც შეიძლება დასჭირდეს მხოლოდ დაკვირვებით.

*შენიშვნა: ვიზიტის დროს ბავშვის ქცევა არ გამოხატავს მის ჩვეულ ქცევას. მაგრამ თქვენმა დაკვირვებამ უნდა მოამზადოს ნიადაგი მშობლებთან განხილვისთვის.

III ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ერთ-ერთი ყველაზე ხშირი პრობლემა, რომელიც ბავშვების გასინჯვისას არის ფიზიკური ნინააღმდეგობის, ბავშვის ტირილის ან მშობლების ნებართვის გარეშე ანალიზის ჩატარება. ამის ნაცვლად შესწავლა ყველას დააკმაყოფილებს და პედიატრის მუშაობაში "მედიცინის ხელოვნების" ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ბავშვის ნდობის მოპოვება და დამშვიდება იწყება შეხვედრისთანავე. მიდგომები განსხვავდება ვიზიტის დროს გარემოებების მიხედვით. ჯანმრთელი ბავშვის ობიექტური გასინჯვა უფრო მეტი ურთიერთობის საშუალებას იძლევა, ვიდრე მწვავედ დაავადებული ბავშვის.

როდესაც ბავშვს უფლებას აძლევთ, გამოკითხვის დროს ჩაცმული იყოს, ამით ამცირებთ ბავშვის უხერხულობას. ეს ასევე საშუალებას მოგცემთ, უფრო ბუნებრივად ეკონტაქტოთ, ბავში გასინჯეთ თამაშით მშობლებთან ერთად, გახდით და ჩაცმით.

9-დან 15 თვემდე ბავშვებს შეიძლება აღენიშნებოდეთ *შფოთვა უცნობებზე*, შიშის გრძნობა უცნობების მიმართ, რაც ნორმალურს წარმოადგენს. ეს არის სიგნალი ბავშვის ზრდით გამოწვეული გაცნობიერების, რომ უცნობი "ახალია". ასეთი ბავშვების გასინჯვა უცბად არ უნდა დაიწყოთ. ეცადეთ, რომ გასინჯვის უმეტეს დროს ბავშვი დედის მუხლებზე იყოს.

\ბავშვებთან ისაუბრეთ მისი ასაკის შესაფერისად და დაუსვით მარტივი კითხვები მის შესახებ, ავადმყოფობის ან სათამაშოების შესახებ. დახმარებას გაგიწევთ, თუ ბავშვს შეუქებთ გარეგნობას ან ქცევებს, მოუყვებით ჩვენზე ამბავს, ეთამაშებით მარტივ თამაშებს ან მოიფიქრებთ ხუმრობებს, რათა "ყინული გალღვეს". თუ ბავშვი მოხერხებულია და ცოტას ლაპარაკობს, სთხოვეთ მშობლებს, რათა ბავშვს საშუალება მისცენ თანდათანობით თბილად მოგეპყრათ.



მხოლოდ შეხედვითაც კი ბევრ რამეს გამოიკვლევთ
– იოგი ბერა.

კლინიკური გამოკვლევა, ზოგიერთის გამორჩევით, არ საჭიროებს გამოსაკვლევ მაგიდაზე დანოლას; შეგიძლიათ ჩაატაროთ იატაკზე ან ხოლმესაც ბავშვი მშობლის მუხლებზე ზის. თქვენი მიზანია მიაღწიოთ ბავშვთან თანამშრომლობას. მცირე ასაკის ბავშვებისთვის, რომლებიც ტანსაცმლის გახდაზე გენინააღმდეგებიან, გამოუჩინეთ სხეულის ის ნაწილები, რასაც სინჯავთ. ხოლმესაც სინჯავთ ორ ან მეტ და-ძმას, გამოკვლევა დაიწყეთ უფროსიდან, რომელიც უფრო უკეთ გეკონტაქტებათ და სხვებისთვის ეს მაგალითი იქნება.

ბავშვთან თქვენი ურთიერთობა სასიამოვნო უნდა იყოს. აუხსენით გამოკვლევის ყოველი საფეხური. გასინჯვის დროს ესაუბრეთ ბავშვსაც და მშობლებსაც, რათა გადაუტანოთ ყურადღება.

გამოკვლევის თანმიმდევრობა ისე დაგეგმეთ, რომ პირველად ჩაატაროთ ნაკლებად შემანუხებელი პროცედურები, ხოლო უფრო შემანუხებელი – ბოლოში (ყელის და ყურების გამოკვლევა). გასინჯვა დაიწყეთ იმ ნაწილებიდან, რომლებსაც სრულად გამოიკვლევთ, სანამ ბავშვი ზის – მაგალითად, თვალების გამოკვლევა, ცისკრის პარპაშა, ბერკუსია და აუსკულტაცია.

მსირეწლოვანი ბავშვების ბამოკვლევის საკვანძო საკითხები

მიეცით ბავშვს უფლება, ხელი მოჰკიდოს იმ საშუალებებს, რასაც გასინჯვის დროს იყენებთ.
გამოკვლევის დროს ესაუბრეთ დამაიმედებელი ხმით.
არ არის საჭირო სხეულის რომელიმე ნაწილის გასინჯვაზე ნებართვის აღება, რადგან ყველაფერი უნდა გამოიკვლიოთ. ამის ნაცვლად, ჰკითხეთ ბავშვს, რომელი ყურის ან სხვა ნაწილის გასინჯვით უნდა გამოკვლევის დაწყება.
შეწუხებული ბავშვი გასინჯეთ დედის მუხლებზე ჯდომის დროს და ტანსაცმელიც დედას გაახდევინეთ.
თუ ბავშვს ვერ ამშვიდებთ, გასინჯვა შეწყვიტეთ და ბავშვი ცოტა ხნით დაასვენეთ.
გასინჯვას მიეცით თამაშის სახე. მაგალითად, "მოდი ვნახოთ, რამხელა ენა გაქვს!" ან "მოდი ვნახოთ, ბარნი შენს ყურშია?"





დანოლით ზოგიერთი ბავშვი თავს დაუცველად გრძნობს და შეიძლება გასინჯვას ნინააღმდეგობა გაუწიოს, ამიტომ ამ სიტუაციას მზრუნველობით მოეპყარით. ხოლოსაც ბავშვი წევს, პირველ ჯიგში გასინჯეთ მუცელი, შემდეგ ყელი, ყურები ან სასქესო ორგანოები.

გახსოვდეთ, რომ გასინჯვით იღებთ პირველად ინფორმაციას და ახასიათებს გამოჯვილება ხელს შეუშლის ბავშვსაც და მშობელსაც.

ამგვარად, მოთმინება, ყურადღების გადატანა, თამაში, მოქნილობა გასინჯვის ტიპის და მზრუნველობა, მაგრამ სიმტკიცე და სიფრთხილე, ბავშვების სრული გამოკვლევის პირობებია.

ჩვეულებრივ, გამოკვლევაზე ნინააღმდეგობა განვითარებასთანაა დაკავშირებული. ბევრ ბავშვს ფეხზე დგომა უჩვენია და თავს დაცულად მშობელთან გრძნობს. ამ შემთხვევაში მოერიდეთ უმაყოფილების გამოთქმას და დაარწმუნეთ მშობები, რომ ასეთი ქცევა ნორმალურია. ზოგიერთი მშობელი უხერხულობას გრძნობს და ეჩხუბება ბავშვს, რითაც აძლიერებს პრობლემას. ჩართეთ გასინჯვაში მშობელიც (საფენების მოხსნით ან მუცლის პალპაციით) და ეთამაშეთ ბავშვს. თუ საჭიროა, შეასვენეთ ბავშვი, რომ შემდეგ ისევ გააგრძელოთ ურთიერთობა. გაარკვიეთ, გასინჯვის რომელი მეთოდი გირჩევნიათ და მოხერხებულია თქვენთვის. იშვიათი არ არის, თუ მშობელს დაირღვიოთ ბავშვის დანყნარებაში, როდესაც ის ყურების ან ყელის გასინჯვას ენინააღმდეგება. თუმცა, ფორმალური დამშვიდება მისაღები არ არის.

საშუალო ასაკის ბავშვების შეფასება

ჩვეულებრივ, შეიძლება მცირე ნინააღმდეგობა შეგხვდეთ იმ ბავშვების გასინჯვისას, რომლებმაც სკოლის ასაკს მიაღწიეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ბავშვს შეიძლება არასასიამოვნოდ ახსოვდეს ნინა გასინჯვა, ბავშვთა უმრავლესობა გამოკვლევას ურიგად იტარებს, როდესაც ექიმი მას განვითარების შესაბამისად ეპყრობა.



ამ ასაკის ბავშვთა უმრავლესობა მორცხვია. უმჯობესი იქნება, თუ ბავშვს მისცემთ შეხანგს და დაუტოვებთ თეთრხეულს მანამდე, სანამ მისი გახდა დაგჭირდებათ. ასევე დაგეხმარებათ, თუ ბავშვი ფარდის უკან გაიხდის. შეგიძლიათ ოთახიდან გახვიდეთ, როდესაც ბავშვი მშობლის დახმარებით იხდის. ზოგიერთ ბავშვს ურჩევნია, თუ სანინააღმდეგო სქესის და ან ძმა ოთახიდან გავიდეს,

მაგრამ უმეტესობას სურს, მშობელი ოთახში დარჩეს. 11 წლამდე ასაკის ბავშვების გასინჯვისას მშობლის ოთახში ყოფნა სავალდებულოა.

ბავშვს, ჩვეულებრივ, ახლავს მშობელი ან მომვლელი. მაშინაც კი, როდესაც ბავშვი მარტოა, ყოველთვის მშობლების თანხმობითაა, რომლებიც მას მოსაცდელ ოთახში ელოდებიან. ბავშვის გამოკითხვის დროს უნდა გაინიხლოთ როგორც ბავშვის, ასევე მისი მომვლელის საჭიროება. ამასთან ერთად, "ბავშვის კარგი მოვლის" მითითება ნარმოადგენს ექიმის გეგმას იმუნიზაციის, ნინასწარი მარეთვის ან განვითარების შეფასების შესახებ.

კონტაქტის დამყარება. გამოკითხვა დაიწყეთ მისალმებით და თითოეული პიროვნებასთან კონტაქტის დამყარებით. უმჯობესია ბავშვს სახელით მიმართოთ და არა "შენ". დაადგინეთ ყველა მოზრდილის დამოკიდებულება ბავშვთან. "თქვენ ჯიმის ბებია ხართ?" "თუ შეიძლება მითხარით, რა ურთიერთობა გაქვთ ბავშვთან". მშობლებს მიმართეთ "ბ-ნო სმიტ" და "ქ-ნო სმიტ" და არა "დედიკო" და "მამიკო". როდესაც ოჯახის წევრების ვინაობას სწრაფად ვერ დაადგენთ, უხერხულობა შეგიძლიათ აიცილოთ, თუ პირდაპირ იკითხავთ მათ შესახებ. "კიდევ ვინ ცხოვრობს ოჯახში?" "ვინ არის ჯიმის მამა?" "ერთად ცხოვრობთ?" ნუ ჩათვლით, რომ თუ კი მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მხოლოდ ერთი მათგანი მონაწილეობს ბავშვის ცხოვრებაში.

კონტაქტის დამყარებისთვის, ბავშვს შეხედით მის დონეზე. გამოიყენეთ ბავშვებთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილება, რათა შეარჩიოთ ბავშვთან ურთიერთობის ფორმა. ბავშვის თვალების დონეზე (თუ საჭიროა, იატაკზე დაჯექით), ურთიერთობის დამყარება თამაშის ფორმით და მისთვის საინტერესო საკითხებზე საუბარი ყოველთვის კარგი სტრატეგიაა. ბავშვს ან მის თანმხლებ მოზრდილს შეეკითხეთ ტანსაცმელზე, სათამაშოებზე, რომელი წიგნი ან სატელევიზიო გადაცემა მოსწონს ხალისით, მაგრამ ჩუმად. საუბრის დასანყისში აფორიაქებული ბავშვის დანყნარება და კონტაქტის დამყარება გაგიადვილებთ გასინჯვას.

ოჯახთან მუშაობა. როდესაც გასინჯვას რამოდენიმე პირობნება ესწრება, ერთ-ერთი ამოცანაა დაადგინოთ, ვის მიმართოთ კითხვებით. როდესაც გსურთ ინფორმაცია მიიღოთ ბავშვისგანაც და მშობლისგან, გამოკითხვა ბავშვისგან უნდა დაიწყოთ. დაუსვით მარტივი პირდაპირი კითხვები, როგორიცაა "ავად ხარ? მომიყევი ამის შესახებ", რასაც მოჰყვება უფრო სპეციფიკური კითხვები, ვიდრე უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებთ. მშობლებს შეუძლიათ დააზუსტონ ინფორმაცია და გამოყონ ის საკითხები, რაც უნდა განიხილოთ. სიმპტომების დახასიათება ისევე უნდა მოხდეს, როგორც მოზრდილებში. ზოგჯერ ბავშვებს უჭირთ საუბრის დანყება, მაგრამ თუ თქვენ ღაპარაკს დაუნყებთ მშობლებს, შემდეგ კითხვებით შეგიძლიათ ბავშვს დაუბრუნდეთ.

დედამ თქვა, რომ ძალიან ბეტრივა მუცელი. მომიყევი ამის შესახებ.
მაჩვენე, სად ბეტრივა. როგორია ეს ტკივილი?
ტკივილი მწვავეა, როგორც ნემსის ჩხვლეტა, თუ ყრუა?
ტკივილი ერთ წერტილშია, თუ ადგილს იცვლის?
რა გიჩერებს ტკივილს?

ჰა აძლიერებს ტკივილს?
შენი აზრით, ჰა არის ამის მიზეზი?
ჰამდენი გაცდენა გაქვს სკოლაში?

ოჯახის წევრების დასწრება გასინჯვის დროს საშუალებას გაძლევთ დააგვიანოთ მათი უთანხმოება ბავშვთან. უფროსი ასაკის ბავშვი ნებაზე ზის ან შეიძლება დაიღალოს და აწრიალდეს. დააკვირდით, ახერხებენ თუ არა მშობლები ბავშვის გაჩერებას საჭიროების შემთხვევაში.

სხვადასხვა ბებერები. ოთახში მყოფ თითოეულ პიროვნებას, ექიმის ჩათვლით, შეიძლება სხვადასხვა აზრი გააჩნდეს პრობლემაზე და ჰა უნდა მოიმოქმედონ ამისთვის. თქვენი მოვალეობაა, თუ შესაძლებელია, დააგვიანოთ მომავალი მოქმედებები და გეგმები. ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც გასინჯვას არ ესწრებიან (მშობელი ან ბებია-ბაბუა) ასევე შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული მოსაზრებები. "ალ რომ სუზის მამა ყოფილიყო, ჰა შეკითხვა ან მოსაზრება ექნებოდა?" "ჯ-ნო ჯონს, ამის შესახებ ხომ არ გისაუბრიათ დედათქვენთან ან ოჯახის სხვა წევრთან?" "რას ფიქრობს იგი?" ჯ-ნ ჯონსმა ბავშვი მოიყვანა მუცლის არეში ტკივილის გამო და წუხს, რომ სუზის შეიძლება ნყლული ჰქონდეს. ასევე წუხს ბავშვის ყვებაზე. სუზი არ უჩივის მუცლის ტკივილს – ტკივილი იშვიათად უკავშირდება მის საქმიანობას. ბავშვს არ მოსწონს ცვლილებები მის სხეულში – იგი ფიქრობს, რომ სუქდება. ბ-ნ ჯონსი ფიქრობს, რომ სუზი საკმარის ყურადღებას არ იჩენს სკოლის მიმართ. თქვენ, როგორც ექიმმა, უნდა შეაჯეროთ ეს მოსაზრებები იმასთან, რასაც თქვენ ნახავთ 12 ნლის ჯანმრთელი გოგონას, არეული პუბერტული პერიოდში, გასინჯვისას, რომელსაც აღენიშნება მკრივე ფუნქციური ტკივილი მუცლის არეში. თქვენი მიზანია, დაეხმაროთ ოჯახს, ჩაეღრმად იკვლიონ "ნორმის" ფარგლები და გაარკვიოთ ბ-ნ და ჯ-ნ ჯონსების და სუზის მოსაზრებები.

ოჯახი, რომლის საშუალება. ინფორმაციის უმეტესობა, რასაც თქვენ მოიპოვებთ, მოდის ოჯახიდან. ზოგადად, ოჯახის წევრები ყველაზე უფრო მეტად მონანილეობენ ბავშვის მოვლაში და თქვენი ბუნებრივი მოკავშირეები არიან ბავშვის ჯანმრთელობის ხელშენყობაში. ამ კავშირის მიღწევაში დაგეხმარებათ, თუ გახსნილი იქნებით მშობელთა მიკვლინარი ქცევის მიმართ. ბავშვის აღზრდა ასახავს კულტურულ, სოციალურ-ეკონომიურ და ოჯახურ ჩვეულებებს. მნიშვნელოვანია, პატივს სცემდეთ ამ ჩვეულებათა ძალიან დიდ მიკვლინფერენციებს. საუკეთესო მიდგომა იქნება, თუ მშობლებს განიხილავთ, როგორც ბავშვის მოვლის ექსპერტებს და საკუთარ თავს, როგორც მათ კონსულტანტს. ამით გამოხატავთ პატივისცემას მშობლის მიმართ და მინიმუმამდე შეამცირებთ აღბათობას, მშობლებმა ნაკლებად ან არ მიაქცირონ ყურადღება თქვენს ჩრევებს. ბევრი მშობელი ბავშვის აღზრდის დროს მიკვლინ პრობლემას აწყდება, ამიტომ მათ ექიმისგან მხარდაჭერა ესაჭიროებათ და არა ქკუის დარიგება. ასეთი კომენტარები: "რატომ დროულად არ მოიყვანეთ?" ან "აქამდე რას აკეთებდით?" არ გააუმკობესებს მშობელთან უთანხმოობას. გამოხატვა იმისა, თუ რა მძიმეა მშობლის შრომა და მათი მიღწევების შექება ყოველთვის უნდა დაფასდეს. "ბ-ნ სმიტ, თქვენ ძალიან კარგად ექცევით ბობის. მშობლის შრომა ძალიან დიდ დროს მოითხოვს და ბობის დღევანდელი საქციელი ნათლად აჩვენებს თქვენს ძალისხმევას". ან შეგიძლიათ ბავშვს მიმართოთ: "ბობი, შენ ძალიან ბედნიერი ხარ, ასეთი მამა რომ გყავს".

ფარული ბებერები. ბოლოს, ისევე როგორც მოხსენიებებში, ძირითადი ჩივილები ყოველთვის არ გამოხატავს ჰეალის მიზეზს, ხოლ გამოც მშობლებმა ბავშვი მოიყვანეს გასასინჯად. ჩივილები შეიძლება იყოს "მოვლის ბილეთი" ან ხიდი იმის გააზრებისა, რაც შეიძლება არ ჰგავდეს ექიმთან მოსვლის ძირითად მიზეზს. ეცადეთ შექმნათ ნდობის ატმოსფერო, რაც მშობლებს საშუალებას მისცემს, თავისუფლად გამოთქვან თავისი მოსაზრებები. დაუსვით დამხმარე კითხვები, როგორიცაა:

ჯიდევ ხაიმე მოსაზრება ხომ არ გაქვთ ჩენდის შესახებ, რისი თქმაც გსურთ?
თქვენი აზრით, დღეს ის უნდა გავაჯეთოთ?
ჯიდევ ხამე ხომ არ არის, რისი თქმაც/ჯითხვაც გსურთ?

ბავშვების ბამოკვლევის მეთოდები

გამოკვლევის მიმდევრობა ისეთივეა, როგორიც მოზრდილებში. ისევე, როგორც ნებისმიერ ასაკში, მტკივნეული უბნები ყველაზე ბოლოს გასინჯეთ და გააფრთხილეთ ბავშვი, რომელი ადგილის გასინჯვას აპირებთ. თუ ბავშვი რომელიმე გამოკვლევაზე გენინააღმდეგებათ, მას მოგვიანებით დაუბრუნდით.

ზოგადი დათვალიერება და სასიცოცხლო ნიშნები

სომატური ზრდა

სიმაღლე. 2 წლის ზევით ასაკის ბავშვების სიმაღლე გაზომეთ ფეხზე დგომისას, ოპტიმალურია ჯედლის სტადიომეტრით. ბავშვი დააყენეთ ისე, რომ ქუსლები, ზურგი და თავი მიბჯენილი ჰქონდეს ჯედელზე ან სტადიომეტრის ზურგზე.

სიმაღლეში ზრდის შემცირება შეიძლება მიეთითებდეს *ენდოკრინულ დაავადებებზე*, სიდაბლის სხვა მიზეზებზე ან თუ წონაც ჰატარაა, *სხვა ქრონიკულ დაავადებებზე.*

სხვადასხვა სისტემის ზრდის ნიმუშები



თუ გასაზომად ჯედელს იყენებთ, ბავშვს თავზე ბრტყელი ზედაპირის მქონე საგანი დაადეთ ჯედლის პერპენდიკულარულად. ფეხზე დგომისას ნონის სკალები სიმაღლესთან კავშირში ზუსტი არ არის.

ცერის კანონი სიმაღლისთვის: 2 წლის ზევით ასაკის ბავშვები წელიწადში სულ მცირე 5 სმ-ით უნდა იზრდებოდნენ.



გოგონების და ბიჭების სიგრძის და სიმაღლის ცვლილების სიჩქარის მრუდები განსაზღვრულია 1-წლიანი ინტერვალებით.

სიდაბნე, რასაც განმარტავენ, როგორც ასაკთან შედარებით პატარა სიმაღლეს, შეიძლება იყოს ნორმალური ვარიანტი ან ენდოკრინული, ან სხვა დაავადების ფონზე. ნორმალური ვარიანტები მოიცავს *ოჯახურ სიდაბნეს* და *კონსტიტუციურ შენელებას.* ქრონიკული დაავადებებია ზრდის ჰორმონის დეფიციტი, სხვა ენდოკრინული დაავადებები, *კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები* (მაგ. ნაწლავის ანთებითი დაავადებები ან ცელიაკია), *თირკმლების ან მეტაბოლური დაავადებები და გენეტიკური სინდრომები.*

წონა. პატარა ბავშვები და სკოლის ასაკის ბავშვები უნდა აწონოთ თეთრეულით ან პრანგით ფეხზე დგომის სკალაზე. მიუხედავად საწყისი ნერვიულობისა, ბავშვების უმრავლესობა შეიძლება დაითანხმოთ ამ სკალაზე. თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ ასეთივე სკალები.

თავის გარშემოწერილობა. უფრო მოზრდილ ბავშვებში თავის ზომაზე მოქმედებს გენეტიკური ფაქტორები და, როდესაც ბავშვს თავის არანორმალური ზომა აქვს, მის მშობლებსაც გაუზომეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ზრდა ხშირად განიხილება მდგომარეობად, როდესაც ჩვილებს და პატარა ბავშვებს არა აღექვატური წონა და სიმაღლე აქვთ, როდესაც ჯალრიების მიღება საჭიროზე ნაკლებია. ხშირი მიზეზებია *ფსიქოსოციალური, უთანხმობითი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და ენდოკრინული დაავადებები.*

სხეულის მასის ასაკობრივი ინდექსი. ასაკსა და სქესზე დამოკიდებული ჩექები მოსახერხებელია ბავშვებში სხეულის მასის ინდექსის (სმი) განსაზღვრისთვის (იხ. მომდევნო ცხრილი). ბავშვების სმი ასოცირებულია სხეულის ცხიმთან, ჰაც დაკავშირებულია სიმსუქნის შესაბამის ჩისკთან. სმი გამოთვლა დაგეხმარებათ 2 წლის ზევით ასაკის ბავშვებში სიმსუქნის განვითარების ჩისკის განსაზღვრაში. ამჟამად სიმსუქნე ბავშვებში ეპიდემიას ნარმოადგენს და ხშირად მისი განვითარება იწყება 6-8 წლის ასაკიდან. ბავშვობის ასაკში სიმსუქნის შედეგებია ჰიპერტენზია, დიაბეტი, მეტაბოლური სინდრომი და ცედი თვითშეფასება. ბავშვთა სიმსუქნე ხშირად საფუძვლად უდევს მოზრდილთა სიმსუქნეს და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას.

ეგზოგენური სიმსუქნის მქონე ბავშვთა უმრავლესობა, ასევე, მაღალია თავისი ასაკისთვის. ბავშვთა სიმსუქნის ენდოკრინული მიზეზები განაპირობებენ სიდაბალეს.

ბავშვებში სმი ინტერპრეტაცია

ჯგუფი	სმი ასაკობრივი
ნორმაზე ნაკლები წონა	< მე-5 პერცენტილი
სიმსუქნის ჩისკი	≥ 85-ე პერცენტილი
სიმსუქნე	≥ 95-ე პერცენტილი

სასიცოცხლო ნიშნები

სისხლის წნევა. ბავშვებში ჰიპერტენზია უფრო ხშირია, ვიდრე ადრე ეგონათ. ამიტომ, მნიშვნელოვანია მისი ამოცნობა, დადგენა და შესაბამისი მართვა.

ბავშვებს სისხლის წნევა უნევთ ვარჯიშის, ტირილის ან შფოთვის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ბატარა ბავშვები თავიდან შეიძლება შეშფოთებულნი იყვნენ, მას შემდეგ ჩაც აუხსნით და არვენებთ ჰოცედურებს, მათი უმრავლესობა ადვილად შემოდის კონტაქტში. თუ სისხლის წნევა თავიდანვე მომატებულია, გამოკვლევის ბოლოს ისევ უნდა გაუზომოთ წნევა. ეთილი გზაა, მანჟეტის მკლავზე დატოვება (დარჩენილი) და მოგვიანებით გაიმეორეთ გაზომვა. მომატებული მარჯვენებელი ყოველთვის უნდა დაადასტუროთ მომდევნო გაზომვებით.

ბავშვებში სისხლის წნევის მომატების ყველაზე ხშირი "მიზეზია" სავარაუდოდ *არასწორად ჩატარებული გამოკვლევა*, ხშირად არასწორი ზომის მანჟეტით.

მანჟეტი ისევე შეარჩიეთ, როგორც მოზრდილებისთვის არჩევთ. მანჟეტი საკმარისად ფართო უნდა იყოს, რომ დაფაროს მკლავის ან ბარძაყის ორი მესამედი. ვინრო მანჟეტით გაზომვისას მიიღებთ წნევის ცრუ მომატებას, ხოლო ზედმეტად ფართო მანჟეტით – წნევის დაბალ მარჯვენებელს, ჰაც დაკავშირებულია არტერიაზე სტეტოსკოპის გადანაცვლებასთან. *ამგვარად, სწორედ შერჩეული მანჟეტი ბავშვებში სისხლის წნევის გაზომვის საწყისი პირობაა.*

ბავშვებში, როგორც მოზრდილებში, ბარძაყზე გაზომილი სისხლის წნევა 10 მმ ვწყ სვ-ით მაღალია, ვიდრე მკლავზე. თუ წნევები ერთნაირია ან ფეხებზე დაბალია, უნდა ივარაუდოთ *კოარქტაციის* არსებობა.

ისევე, როგორც მოზრდილებში, ბავშვებშიც ის ნერტილი, სადაც ქრება კოროტკოვის ტონები, მიუთითებს დიასტოლურ წნევას. ზოგჯერ, განსაკუთრებით მსუქან ბავშვებში კოროტკოვის ტონები ძნელად მოისმინება. ამ შემთხვევაში სისტოლური წნევის დასადგენად შეგიძლიათ პალპაცია გამოიყენოთ და გახსოვდეთ, რომ პალპაციით გასინჯული სისტოლური წნევა დაახლოებით 10 მმ ვწყ სვ-ით დაბალია, ვიდრე აუსკულტაციით.

შედარებით ახასწორი მნიშვნელობა მიიღება "ინსპექციით". ნემსის მოძრაობის მიხედვით მიღებული ნივთი დაახლოებით 10 მმ ვწყ სვ-ით მეტია, ვიდრე აუსკულტაციით გაზომილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი არ არის ოპტიმალური, მოუსვენარ ბავშვებში ზოგჯერ შეგიძლიათ გამოიყენოთ.



1995 წელს, გულის, ფილტვის და სისხლის ეროვნული ინსტიტუტის, სისხლის მაღალი წნევის ბავშვებში და მოზარდებში ჰიპერტენზიის ონტარიოს სამუშაო ჯგუფის მიერ განსაზღვრულია ნორმა, მაღალი ნორმა და სისხლის მაღალი წნევა, მიღებული სულ ცოტა სამჯერადი გასინჯვის შედეგად:

სისხლის წნევის კატეგორია	საშუალო სისტოლური და /ან დიასტოლური წნევა ასაკის, სქესის და სიმაღლის მიხედვით
ნორმა	<90 პერცენტილი
მაღალი ნორმა	90-95 პერცენტილი
მაღალი წნევა	≥ 95 პერცენტილი

ბავშვებში გახანგრძლივებული ჰიპერტენზიის მიზეზებია თირკმლის პარენქიმული ან არტერიის დაავადებები, აორტის კოარქტაცია და პირველადი ჰიპერტენზია.

ბავშვებს, ჰომლეთაც მაღალი ნნევა აქვთ, უფჩო ფახთო გამოჯვლევა ესაჭიჩოებათ მიზეზის დასადგენად. ჩვიღებსა და პატახა ბავშვებში სპეციფიკური მიზეზი ჩვეულებრივ დგინდება. უფჩო მოზჩიღიღ ბავშვებში და მოზახიღებში უმეტესად ესენციური ანუ პიჩვეღადი ჰიპეჩტენზია აღინიშნება. ყველა შემთხვევაში, ნნევის გაზომვები უნდა გააგჩძელოთ, ჩათა შეამციჩოთ იმის შესაძღებლობა, ჩომ ჰიპეჩტენზიის მიზეზი ბავშვის ნეჩვიულობაა. ზოგჯეჩ, სკოღაში ნნევის ჩამოღენიმეჯეჩ გაზომვა უფჩო დამშვიდებულ სიტუაციაში მონაცემების მიღების საშუალებაა.

ასევე მნიშვნელოვანია, ჩომ ბავშვს, ჩომელსაც აღმოუჩინეთ ჰიპეჩტენზია, *ახ დაესვათ ცჩუ ჰიპეჩტენზიის დიაგნოზი*, ვინაიდან ეს იქნება ღაქა ბავშვის ცხოვჩებაზე, გამოიწვევს აქტიობის შეზღუდვას და შესაძღო გვეჩდით მოვლენებს მჯიდნაღობის შედეგად.

ჯული. ქვემოთ ცხჩილში მოცემულია გულისცემის სიხშიჩეები

გულისცემის საშუალო სიხშიჩეები ბავშვებში მოსვენებულ მდგომაჩეობაში

ასაკი	საშუალო სიხშიჩე	საზღვჩები (ოჩი სტანდაჩტული გადახჩა)
1-2 წელი	110	70-150
2-6 წელი	103	68-138
6-10 წელი	95	65-125

სინუსული ბჩადიკაჩდია აჩის გულისცემის სიხშიჩე <100 წუთში 3 წლამდე ასაკის ბავშვებში და <60 წუთში – 3-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვებში.

კაცის გასაზომად გაზომეთ მისი გული
– მაკჯოლმ სტივენსონ ფოჩბსი

სუნთქვის სიხშიჩე. წუთში სუნთქვის სიხშიჩე ცვაღებადობს 20-დან 40-მდე აღჩეული ბავშვობის ასაკში, 15-დან 25-მდე – გვიანი ბავშვობის ასაკში და მოზჩდილის სიხშიჩეს აღწევს 15 წლის ასაკში.

ბავშვებს, ჩომელთაც აღენიშნებათ სუნთქვის სისტემის დაავადებები, ჩოგოჩცაა *ბჩონქიოლიტი* ან *პნევმონია*, სუნთქვა გახშიჩებული აქვთ (80-90-მდე წუთში), მაგჩამ *ასევე გაზჩდილი აქვთ* სუნთქვითი მუშაობა, ჩოგოჩიცაა ხმაუჩიანი სუნთქვა, ნესტოების გაფახთოვება ან დამატებითი ჯუნთების ჩახთვა.

პატახა ბავშვებში, დაკვიჩდით გულ-მკეჩდის ჯეღის მოძჩაობას ოჩი 30-წამიანი ინტეჩვალით ან 1 წუთის განმავლობაში, უმჯობესია სტიმულაციამდე. გულ-მკეჩდის პიჩდაპიჩი აუსკულტაციით ან პიჩის წინ სტეტოსკოპის დაღებით ასევე შეგიძლიათ სუნთქვის სიხშიჩე დათვალოთ, მაგჩამ შეიძლება ცჩუ მომატება მიიღოთ, თუ ბავშვს აუფოჩიალქებთ. უფჩო მოზჩდილ ბავშვებში გამოიყენეთ იგივე მეთოდი, ჩაც მოზჩდილებში გამოიყენება.

1 წლის ზევით ასაკის ბავშვებში ტაქიკაჩდიის ზღვაჩია წუთში 40-ზე მეტი სუნთქვა.

პნევმონიის გამოჩიცხვის საუკეთესო ნიშანია ტაქიპნოეს აჩახსებობა.

ტემპეჩატუჩა. ბავშვებში ტემპეჩატუჩის გაზომვა უმჯობესია სასმენ მიღში, ვინაიდან სწჩაფია და ბავშვს დისკომფოჩტს აჩ უქმნის.

პატახა ბავშვებს ინფექციის შედეგად შეიძლება ჰქონდეთ ძაღიან მაღალი ტემპეჩატუჩა (104°F-მდე ან 40°C-მდე). 3 წლამდე ასაკის ბავშვებს, ჩომელთაც სეჩიოზულად ავად აჩიან და მაღალი ტემპეჩატუჩა აქვთ, ესაჭიჩოებათ გამოკვლევა სეფსისის, საშაჩე გზების ინფექციის, პნევმონიის ან სხვა ინფექციების დასადგენად.

ხანი

1 წლის ასაკის ზევით ბავშვების ხანის გამოკვლევის მეთოდები იგივეა, რაც მოზრდილებისთვის (იხ. თავი 5, ხანი, თმა და ფრჩხილები)

თავი

თავის და ტვინის გამოკვლევის დროს, განსაკუთრებული ყურადღება მოითხოვს ბავშვის ზრდის და განვითარების დონეს.

სანამ ბავშვს შეეხებით, უკადრებით დაათვალიერეთ თავის ფორმა, სიმეტრია და სახის ცვლილებებს. გვიანი ბავშვობის ასაკამდე შეიძლება სახის პათოლოგიური ცვლილებები არ გამოვლინდეს; ამიტომ, ყურადღებით დააკვირდით სახეს, ისევე როგორც ბავშვის თავს.

ბავშვებში არსებობს დიაგნოსტიკური სახეები (ცხრილში 18-10, გვ. 803-804 ნაჩვენებია ზოგიერთი მათგანი), რაც ასახავს ქრომოსომულ დარღვევებს, ენდოკრინულ დეფექტებს, ქრონიკულ დაავადებებს და სხვა დარღვევებს.

ტესტი

ტესტირების გარდა, ბავშვებში ტვინის განვითარების მეთოდები იგივეა, რაც მოზრდილებში.

ჩვილობის ასაკში ცერებროპათია იშვიათია, მაგრამ ძალიან ხშირია ბავშვებში. როგორც 745-ე გვერდზეა ნაჩვენები, ბავშვებში 12 წლის ასაკისთვის ცერებრული სისტემა განვითარების ზენიტს აღწევს, 8-16 წლისთვის მაქსიმალურ ზომებს აწევს ტვინის და ტონზილური ცერებრული ჯვანძები. ყველაზე სწრაფად ბავშვებში ცერებრული ჯვანძების გადიდება ხდება ინფექციის შედეგად (უფრო ხშირად ვირუსული და იშვიათად ბაქტერიული) და არა ავთვისებიანი პროცესებით, თუმცა ამ უკანასკნელზე ფიქრობს ბევრი მშობელი. მნიშვნელოვანია, ნორმალური და პათოლოგიური ცერებრული ჯვანძების ან ტვინის თანდაყოლილი ტისტების დიფერენციება. 706-ე გვერდზე მოცემულ სურათზე ნაჩვენებია ცერებრული ჯვანძების და ტვინის თანდაყოლილი ტისტების ტიპიური ანატომიური მდებარეობები.

ცერებროპათიის მიზეზი, ჩვეულებრივ, არის ვირუსული ან ბაქტერიული ინფექცია (იხ. ცხრილი 18-13, ტვინის და ხერხემლის დარღვევები, გვ. 807.

როდესაც ცერებრული ჯვანძები 2 სმ-ზე მეტი ზომისაა, მკვრივია ან ფიქსირებული კანთან ან ქვემდებარე კუნთებთან (უძრავია), არღვევს სერიოზული ზოგადი ნიშნები, როგორიცაა წონაში კლება და ტვინის ცერებრული ჯვანძების შემთხვევაში ჩენტგენოლოგიურად პათოლოგიის ნიშნებია, ყველაზე მეტად საჭიროა ავთვისებიანი პროცესის არსებობა.

პატარა ბავშვებში, რომელთაც მოკლე ტვინი აქვთ, ძნელი გასარჩევია ტვინის უკანა ქვედა ცერებრული ჯვანძები *კავშირდება ცერებრული ჯვანძებისგან* (რომლებიც ყოველთვის პათოლოგიურია და ავთვისებიანი პროცესის არსებობის ეჭვს ბადებს.

გასინჯეთ *ტვინის მობილურობა*. მნიშვნელოვანია, დარწმუნდეთ, რომ ბავშვის ტესტი ელასტიურია და ადვილად მოძრაობს ყველა მიმართულებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც პაციენტს თავი ასიმეტრიულად უჭირავს და როდესაც ეჭვია ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებაზე, როგორიცაა მენინგიტი.

ბავშვებში ჯეფის ჰიგიენობის არსებობა მენინგეალური გაღიზიანების ყველაზე ჯანსაღი მაჩვენებელია *Brudzinski-ს (ბრუძინსკისა) და Kernig-ის (კერნიგის) ნიშნებთან* შედარებით. მოზრდილ ბავშვებში ჯეფის ჰიგიენობის დასადგენად, სთხოვეთ ბავშვს გამოსაკვლევ მაგიდაზე დაჯდეს და ფეხები გაშალოს. ნორმალურად, ბავშვს შეუძლია გამართულად იჯდეს და ნიკაპით გულ-მკერდს შეეხოს. პატარა ბავშვებს შეგიძლიათ აიძულოთ, ჯისერი მოხაროს პატარა სათამაშოზე ან სინათლის სხივზე თვალის გაყოლებით. ჯეფის ჰიგიენობის დადგენა შეგიძლიათ ასევე ზურგზე მწოლიარე ბავშვზე, როგორც ქვემოთ სურათზეა ნაჩვენები. თითქმის ყველა ბავშვი, ვისაც ჯეფის ჰიგიენობა აქვს, სერიოზული ავადმყოფია, გაღიზიანებულია და მისი გასინჯვა ძნელია. განვითარებულ ქვეყნებში ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევები მკვეთრად შემცირდა ვაქცინაციის გამო.



ჯეფის ჰიგიენობა არის თავის ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობის მიმართ ჩვისტენტობა. ის მიუთითებს მენინგეალურ გაღიზიანებაზე *მენინგიტით, სისხლდენით, სიმსივნით ან სხვა მიზეზით.* ეს ბავშვები განსაკუთრებით გაღიზიანებულნი არიან და მათი დამშვიდება ძნელია, შეიძლება აღენიშნებოდეთ "პარადოქსული გაღიზიანებადობა" - ხელში აყვანისას გაღიზიანება მატულობს.

როდესაც სახეზეა მენინგეალური გაღიზიანება, ბავშვი *სამფეხას პოზას* იღებს და არ შეუძლია დაიჭიროს ვერტიკალური პოზა და შეასრულოს ნიკაპ-გულ-მკერდის მოძრაობა.



თვალები

პატარა ბავშვებში თვალების გამოკვლევის ორი მთავარი საკითხია მხედველობის, ანუ სიმეტრიის და თითოეული თვალში მხედველობის სიმახვილის გასინჯვა.

მეთანხმებული მზერის ან *თვალების მდებარეობის* და სიმეტრიის და თვალის მამოძრავებელი კუნთების გამოსაკვლევად შეგიძლიათ გამოიყენოთ მე-6 თავში აღნერილი მეთოდები მოზრდილებისთვის. ჰორვანას სინათლეზე რეფლექსის და თვალზე დაფარების და ამების ტესტები პატარა ბავშვებში განსაკუთრებით გამოიყენება.

თვალზე დაფარება-ამების ტესტი შეგიძლიათ თამაშის სახით ჩაატაროთ, როდესაც პატარა ბავშვი თქვენს ცხვირს უყურებს ან გეუბნებათ, იღიმებით თუ არა, როდესაც ხელით უფარავთ ერთ თვალს.

სიელმე (იხ. ცხრილი 18-11, გვ. 805) საჭიროებს ოფთალმოლოგის მუშნაობას.

ორივემ, *სიელმემ* და *ანიზომეტროპიამ* (თვალებში რეფრაქციის მნიშვნელოვანი დარღვევა) შეიძლება გამოინვიოს ამბლიოპია ან მხედველობის დაქვეითება სხვა მხრივ ნორმალურ თვალში. ამბლიოპია შეიძლება დაკავშირებული იყოს "ზარმაც თვალთან", როდესაც მკრთალად მცირდება მხედველობის სიმახვილე, თუ მანამდე არ შესწორდა. (ძირითადად 6 წლის ასაკისთვის).

3 წლამდე ასაკის ბავშვებში, რომელთაც არ შეუძლიათ ნახატების ამოცნობა მხედველობის შესამოწმებელ ხუქებზე, *მხედველობის სიმახვილის* შემოწმება შეუძლებელია. ასეთ ბავშვებში ყველაზე მარტივი გამოკვლევაა ფიქსაციის შეფასება მონაცვლეობით თვალებზე ხელის დაფარებით. ნორმალური მხედველობის მქონე ბავშვი არ გენინააღმდეგებათ, ხოლო ცუდი მხედველობის ბავშვი შეწუხდება, როდესაც დაფარული აქვს ჯანმრთელი თვალი. მხედველობის სიმახვილის ყველა ტესტის დროს მნიშვნელოვანია, რომ ორივე თვალში ერთი და იგივე შედეგი მიიღოთ.



ასაკი	მხედველობის სიმახვილე
3 თვე	თვალები შეთანხმებულია, ბავშვი თვალს აყოლებს
12 თვე	~20/200
4 წლამდე	20/40
4 წელზე ზევით	20/30

თვალებს შორის მხედველობის სიმახვილის ხარისხობრივი განსხვავება (მაგ., 20/20 მარცხნივ და 20/30 მარჯვნივ) დარღვეულია და პაციენტი ოფთალმოლოგთან უნდა გაგზავნოთ.

ორგორც შემდეგ გვერდზეა ნაჩვენები, 3 წლის და ზევით ასაკის ბავშვების მხედველობის სიმახვილე, ჩვეულებრივ, შეგიძლიათ შეამოწმოთ ეროვნული ან სხვადასხვა ოპტოტიპების (სიმბოლოები) მხედველობის ხუქების გამოყენებით. ის ბავშვები, რომლებმაც არ იციან ასოები ან ციფრები, უნდა გამოიკვლიოთ სურათების, სიმბოლოების ან "Є" ხუქის გამოყენებით. "Є" ხუქის გამოყენებით ბავშვი ადვილად გეუბნებათ, რომელ მხარესაა მიმართული "Є".

ბავშვებში მხედველობის ყველაზე ხშირი დარღვევაა მიოპია, რომლის დადგენა ადვილია ამ გამოკვლევით.

ჩვილებში და პატარა ბავშვებში *მხედველობის ველის* გამოკვლევა შესაძლებელია, როდესაც ბავშვი დედის მუხლებზე ზის. ერთი თვალის გამოკვლევისას მეორე თვალი დახუჭული უნდა ჰქონდეს. ბავშვს თავი შუაში გაუჩერეთ და მის პირდაპირ მხედველობის ველში მიიტანეთ სათამაშო. მთლიანად მეთოდი ისეთივეა, როგორც მოზრდილებში, იმის გამოკლებით, რომ ბავშვებში თამაშის ფორმით ატარებთ.





ყუჩები

პატარა ბავშვების ყურების გამოკვლევის დროს გეჩვენებათ, რომ გესაჭიროებათ 10 ხელი და ტიკუებით სავსე ჩანთა, რადგან ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან *სასმენი მილის და დაფის აპკის გამოკვლევის მიმართ* და შეშინებულები, რადგან ვერ აკვირდებიან გამოკვლევას. ხანმოკლე ვარჯიშით თქვენ დახელოვნდებით ამ გამოკვლევის ჩატარებაში. სამწუხაროდ, ბევრ ბავშვს ესაჭიროება მშვიდად ყოფნა ამ გამოკვლევის ჩატარებისას, რის გამოც სჯობს ეს გამოკვლევა ბოლოსთვის მოიტოვოთ.

თუ ბავშვი ძალიან შეშინებული არ არის, ეს გამოკვლევა შეგიძლიათ მაშინ ჩაატაროთ, როდესაც იგი დედის მუხლებზე ზის. დაგეხმარებათ, თუ გამოკვლევას თამაშის სახით ჩაატარებთ, მაგალითად, ოტოსკოპით ეძებთ ნარმოსახვით საგანს ბავშვის ყურში, გართობით ელაპარაკებით გამოკვლევის დროს, რათა ბავშვს შიშმა გაუაროს. ზოგჯერ მოგეხმარებათ, თუ ოტოსკოპის სარკეს შეუყოფთ ბავშვს ყურში და შემდეგ უკან გამოიღებთ, რათა შეამზადოთ ბავშვი, სანამ ნამდვილ გამოკვლევას დაიწყებთ. მშობელს სთხოვეთ, გამოკვლევისთვის ბავშვი მოსახერხებელ პოზაში დაიჭიროს.

არსებობს ორი სახის მარტივი პოზა – ბავშვი წევს და დამშვიდებულია, და ბავშვი ზის მშობლის მუხლებზე. როდესაც ბავშვი ზურგზე წევს, მშობელმა ხელები უნდა დააკავებინოს გაშლილად ან სხეულის გვერდებთან ახლოს. შეგიძლიათ თავი დაუჭიროთ და გადაუწიოთ წინა სახურავი ერთი ხელით, როდესაც მეორე ხელით ოტოსკოპი გიჭირავთ. თუ ბავშვი მშობლის მუხლებზე ზის, მისი ფეხები მშობლის ფეხებს შორის უნდა იყოს. მშობელი უნდა დაგეხმაროთ ბავშვის გაჩერებაში ერთი მკლავის შემოხვევით ბავშვის სხეულზე და მეორე ხელით თავის დაჭერით.

ბევრ სტუდენტს უჭირს ბავშვის დაფის აპკის დანახვა. პატარა ბავშვებში გარეთა სასმენი მილი მიემართება გარედან ზევით და უკან, ამიტომ ყური უნდა აუწიოთ ზევით, გარეთ და უკან, რათა დაფის აპკი უკეთესად დაინახოთ. ბავშვის თავი ერთი ხელით დაამაგრეთ (მარცხენა ხელით, თუ ცალია არ ხართ) და ამავე ხელით გაწიეთ ყური. მეორე ხელით მოათავსეთ ოტოსკოპი.

ოტოსკოპით გამოკვლევის წარმატებისთვის ძირითადი საკითხები

გამოიყენეთ ოტოსკოპის საუკეთესო კუთხე
გამოიყენეთ შეძლებისდაგვარად დიდი კუთხე
დიდი სარკით უკეთესად დაინახავთ დაფის აპკს
პატარა სარკე პნევმატური ოტოსკოპით ვერ უზრუნველყოფს ჰერმეტულობას
ძალიან ნუ დააწვებით
ძლიერი ზეწოლის გამო ბავშვმა შეიძლება იტიროს და პნევმატური ოტოსკოპით მიიღოთ ცრუ დადებითი შედეგი.
სარკე სასმენ მილში შეიყვანეთ 1 ან 2 სმ-ზე.
პირველ ჩიგში მოძებნეთ ორიენტირები
ზოგჯერ სასმენი მილი ჰგავს დაფის აპკს, არ მოტყუვდეთ.
დააკვირდით, ნორმალურია თუ არა დაფის აპკი
ამოიღეთ გოგირდი, თუ ხელს გიშლით გასინჯვაში
სპეციალური პლასტიკის კიურეტით
დასველებული ბამბიანი ჩხირით
მოზრდილ ბავშვებში ყურების გამორეცხვით
სპეციალური ინსტრუმენტები, რაც შეიძლება ასევე შეიძინოთ

ყურის გასინჯვისას არა მხოლოდ ორი პოზა, ზურგზე წოლა ან ჯდომა გამოიყენება, არამედ შესაძლებელია ოტოსკოპის ხმარების ქვემოთ ნაჩვენები ორი ხერხი:

- პირველი მეთოდი ფართოდ გამოიყენება ბავშვებში, როდესაც ოტოსკოპი გიჭირავთ ზევით და გარეთ მიმართულებით ყურში შეყვანისას. იმ ხელის ცალკეული ნაწილი, რომლითაც ოტოსკოპი გიჭირავთ, შეარჩევთ ბავშვის თავის წინ, რათა შეამციროთ ბავშვის უეცარი მოძრაობები.





- მეორე მეთოდი ბევრი პედიატრის მიერ გამოიყენება, ვინაიდან ბავშვებში სასმენ მილს სხვადასხვა კუთხე გააჩნია. ამის გამო ოტოსკოპი ერთი ხელით უნდა დაიჭიროთ და მიმართოთ ქვემოთ ბავშვის ფეხებისკენ, როდესაც

ყურს ზევით სწევთ. ერთი ხელით თავი დაუჭირეთ და ყური აუწიეთ, მეორე ხელით ჯი ოტოსკოპი გეჭიროთ.



ბავშვებში შუა ყურის ანთების დიაგნოსტიკის გაუმჯობესების მიზნით ისწავლეთ *პნევმატური ოტოსკოპის* ხმარება. ეს საშუალებას მოგცემთ, დაადგინოთ დაფის აპკის მობილურობა გაიგოთ სასმენ მილში ნაკვის მომატებით ან შემცირებით, თუ მოუჭერით ოტოსკოპის ხეზინის ბუთულას.

პირველ ჩიგში, შეამოწმეთ პნევმატური ოტოსკოპი, ატარებს თუ არა ჰაერს, ჩისთვისაც თითი დაადეთ სარკის ნვეტს და მოუჭირეთ ხეზინის ბუთს. დააჯვირეთ ბუთზე ზენოლას. შემდეგ ჩადგით სარკე ისე, რომ კარგად დაეცეს; ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჰერმეტულობა დარღვეული იქნება, გასინჯვით მიიღებთ ცრუ დადებით შედეგს (დაფის აპკის მოძრაობის შემცირება).



როდესაც ნორმალურ სასმენ მილში შედის ჰაერი, დაფის აპკი და მისი სინათლის ხერელქსი შიგნით იწევს. როდესაც ჰაერი გამოდის, დაფის აპკი გარეთ, თქვენსკენ მოძრაობს. დაფის აპკის ასეთი წინ და უკან მოძრაობა ჰგავს იალქნის დახრილობის ცვლილებას. თუ დაფის აპკი საგრძნობლად ვერ მოძრაობს, როდესაც თქვენ ნარმოქმნით დადებით ან უარყოფით ნნევას, სავარაუდოა, რომ ბავშვს ჰქონდეს გამონაჟონი შუა ყურში. შუა ყურის ანთების მქონე ბავშვი გასინჯვისას თავს უკან სწევს, რადგან ჰაერის ნნევა მასში ტკივილს იწვევს.

ოტოსკოპით გამოკვლევის წინ და განმავლობაში ფრთხილად ამოძრავეთ ყურის ნიჟარა. ყურადღებით დაათვალიერეთ ნიჟარის უკანა მიდამო ღრილისებრ მოხრაზე.

შუა ყურის მწვავე ანთება ბავშვებში ხშირია. ამ დროს ბავშვს აქვს ნითელი ფერის, ამობურცული დაფის აპკი, სინათლის ხერელქსი სუსტია ან არ არის, ხოლო პნევმატური ოტოსკოპით შემოწმებისას მისი მოძრაობა დაქვეითებულია. დაფის აპკის წინ ასევე შეიძლება დაინახოთ ჩაჩქოვანი ნივთიერება. იხ. ცხრილი 18-11, ყვავილების და ყურების დიაღნოსტიკები, გვ. 805.

შუა ყურში გამონაჟონის არსებობისას (*შუა ყურის ანთება გამონაჟონით*) დაფის აპკის ასეთი მოძრაობა არ აღინიშნება.

მნიშვნელოვანი, დროებითი სმენის დაქვეითება ადრეულ ბავშვობაში, შეიძლება ახდეს შუა ყურის ანთებას გამონაჟონით.

გარეთა ყურის ანთების დროს (და არა შუა ყურის ანთების დროს) ნიჟარის მოძრაობა ტკივილს იწვევს.

მწვავე *მასტოიდიტის* დროს, ყური შეიძლება წინ იყოს ნამოწეული, ხოლო დგარისებრი მოხრის მიდამო – შეწითლებული, შესიებული და მტკივნეული.

მიუხედავად იმისა, რომ სმენის გამოკვლევის ზუსტი მეთოდები არსებობს, რათა დადგინოთ ბავშვებში სმენის დეფიციტი, შეგიძლიათ გამოიყენოთ *სმენის შემოწმება* უხეშად, ჩურჩულის მეთოდით. დადექით ბავშვიდან 2.5 მ-ის დაშორებით და დასვით კითხვები ან მიეცით მარტივი დავალებები. 4 წლის ზევით ასაკის ყველა ბავშვი შეგიძლიათ გამოიკვლიოთ სტანდარტული აპარატურით, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები.

პატარა ბავშვებს, რომლებიც ვერ იტარებენ ამ გამოკვლევას ან მეტყველების შენელება აქვთ, უნდა ჩაუტარდეთ აუდიომეტრული გამოკვლევა.





ცხვირი და სინუსები

ცხვირის ნინა ნანილი შეგიძლიათ დაათვალიერეთ ოტოსკოპის ფართო სარკის გამოყენებით. დაათვალიერეთ ცხვირის ღრუნოვანი გარსი, დააკვირდით მის ფერს და მდგომარეობას. დააკვირდით ცხვირის ძგიდის გამრუდებას და პოლიპების არსებობას.

ფერმკრთალი, ნებოვანი ცხვირის ღრუნოვანი გარსი აღნიშნებათ *ქრონიკული (არასეზონური) ალერგიული რინიტის* მქონე ბავშვებს.

ჩირქოვანი რინიტი ხშირია ვირუსული ინფექციების დროს, მაგრამ შეიძლება *სინუსიტის* სიმპტომთა კომპლექსის ნანილი იყოს.

ცუდი სუნის, ჩირქოვანი გამონადენი ცალი ნესტოდან ცხვირში *უცხო სხეულის არსებობის* შედეგი შეიძლება იყოს. ეს განსაკუთრებით ხშირია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში, რომლების იყოფენ საგნებს სხეულის სხვადასხვა ხვრელებში.



ზედა ყბის სინუსები ჩენტგენოგრამაზე ჯანგად ჩანს 4 წლის ასაკისთვის, სოლისებური სინუსი - 6 წლის ასაკში, ხოლო შუბლის სინუსები - 6-7 წლის ასაკში. მოზრდილი ბავშვების სინუსების პნევმატიზაციის მტკივნეულობის დასადგენად, ისევე შეგიძლიათ ჩაატაროთ, როგორც მოზრდილებში. პატარა ბავშვებში პნევმატიზაციის სინათლის გატარება ნაკლებად მგრძნობიარე და სპეციფიკური ტესტია სინუსიტის ან სინუსებში სითხის არსებობის დასადგენად.

პირის ღრუ და ხახა

აფთრიანქებული და პატარა ბავშვებისთვის, ეს გამოკვლევა შეგიძლიათ ბოლოსთვის მოიტოვოთ, რადგან მოითხოვს მშობლების დახმარებას ბავშვის გასაჩერებლად. პატარა, დამყოლი ბავშვი უფრო მოხერხებულად იჯდება დედის მუხლებზე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები.

მომდევნო სურათზე ნაჩვენებია ზოგიერთი ეშმაკობა, რომლის დახმარებითაც ბავშვს პირს გააღებინებთ. ბავშვი, რომელსაც შეუძლია თქვას "აჰჰჰ", ჩვეულებრივ, საკმარისად (თუმცა ხანმოკლე დროით)



რობორ გააღებინოთ ბავშვს პირი (ცნობილია, რობორც "შეგიძლია, თქვა აჰჰ?")

- აქციეთ თამაშად
- "მოდი, ვნახოთ, ვა გაქვს პირში"
- "შეგიძლია ენა მთლიანად გამოყო?"
- "დაგენიძლავები, რომ პირს დიდად ვერ გააღებ"
- "მაჩვენე შენი ყბილების შიგნითა მხარე"
- "იქ ბარნი ხომ არ არის გაჩხერილი?"
- ნუ აჩვენებთ ენის შპადელს, სანამ აუცილებელი არ იქნება
- თავდაპირველად აჩვენეთ უფროს და-ძმაზე ან მშობელზე
- შეაქეთ ბავშვი, თუ პირს ოდნავ გააღებს და ნახაღისეთ, რომ უფრო დიდზე გააღოს.

აჩენს ხახას, ისე, რომ ენის შპადეღი არ დაგჭირდებათ. ჯანმრთელი ბავშვები უფრო ხალისით ესინჯებიან ექიმს, ვიდრე ავადმყოფები, განსაკუთრებით, თუ დაინახავენ შპადეღს ან ხახიდან ნაცხის აღების არასასიამოვნო გამოცდილება აქვთ.

თუ ენის შპადეღის ხმარება გჭირდებათ, საუკეთესო ხერხია დაანვეთ ქვევით და წინ თქვენსკენ, როდესაც ბავშვი ამბობს "აჰჰ". ყურადღებით იყავით, რომ შპადეღი ღრმად არ შეუყოთ ხახისკენ, რადგან გამოინვევთ ღებინებას. ზოგჯერ პატარა და აფორიაქებული ბავშვი, რომელსაც ესაჭიროება გაჩერება, ჯიღებს ერთმანეთზე აჭერს და პირს არ აღებს. ამ შემთხვევაში, ფრთხილად უნდა შეაცუროთ ენის დამწევი ჯიღებს შორის ენაზე. ეს საშუალებას მოგცემთ, ენა დაუწიოთ ან გამოინვიოთ ღებინების ჭეშტქვეშ, რის გამოც ბავშვი პირს გააღებს და სწრაფად ნახავთ ხახას და ტონზილებს. დაიმახსოვრეთ, რომ დაუგეგმავი, პირდაპირი დანოლა წინა ჯიღებზე უფრო ხელს შეგიშლით გასინჯვაში და შეიძლება შპადეღიც ჩაგიტყდეთ. ამიტომ, ამ გასინჯვისთვის ბავშვი ჯარაგად მოამზადეთ და მშობელიც დარხმარეთ.

დათვალიერეთ *ჯიღები* და ნახეთ, ღრიალად და თანმიმდევრობით არის თუ არა ამოსული. დაკვირდით ჯიღების ფორმას, მდგომარეობას და მდებარეობას. ემაღის დარღვევები შეიძლება გამოხატავდეს ადგილობრივ ან ზოგად დაავადებას.

ყურადღებით დათვალიერეთ ზედა ჯიღების შიგნითა მხარე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ეს არის *საჯვების ბოთღის ჯარიანის* ტიპიური ლოკალიზაცია. ფოტოზე ნაჩვენები მეთოდი, რომელსაც "ტუჩის ანევა" ეწოდება, გაგიადვილებთ ჯიღების ჯარიანის დანახვას.

ჯიღების ჯარიანის მიზეზი ბაქტერიების გააქტიურებაა. ჯარიანი უფრო ხშირად უვითარდებათ იმ ბავშვებს, ვინც ხანგრძლივად იყენებება ბოთღით ("საჯვების ბოთღის ჯარიანი"). იხ. ცხრილი 18-12, პირის ღრუს და ჯიღების დარღვევები, გვ. 806, ჯარიანის სხვადასხვა სტადიისთვის.



ქვემოთ ცხრილი გამოხატავს ჯბილების ამოჭრის ხშირ ნიშნებს. ზოგადად, ქვედა ჯბილები ოდნავ უფრო ადრე ამოდის, ვიდრე ზედა.

◆ *ჯბილების ტიპები და ამოჭრის ვადები*

ჯბილების ტიპი	ამოჭრის მიახლოებითი ასაკი	
	სახძევე (თვეები)	*მედმივი (წლები)*
ცენტრალური საჭრელი	5-8	6-8
გვერდითი საჭრელი	5-11	7-9
ეშვები	24-30	11-12
პირველი მცირე ძირითადი	–	10-12
მეორე მცირე ძირითადი	–	10-12
პირველი დიდი ძირითადი	16-20	6-7
მეორე დიდი ძირითადი	24-30	11-13
მესამე დიდი ძირითადი	–	17-22

ჯბილებზე ღრძების გაჩენის მიზეზები შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი. შინაგანი ღრძების მიზეზი შეიძლება იყოს ტეტრასიკლინის მიღება 8 წლამდე (ყვითელი, ჩუხი ან მოყავისფერი ღრძები). ჩონის ჰიპოპლაზიები (შავი ღრძები) გარეგანი ღრძების მაგალითია. გარეგანი ღრძების განმენდა შესაძლებელია, ხოლო შინაგანის – არა. (იხ. ცხრილი 18-12, პირის ღრუს და ჯბილების დაზღვევები, გვ. 806.

დააკვირდით ჯბილების განლაგების დაზღვევებს. ესენია მალოკლუზია, ზედა ყბის გამოზნექვას (*გადმოფარვა*) და ქვედა ყბის გამოზნექა. ამის ნახვა შეგიძლიათ, თუ სთხოვთ ბავშვს ტუჩს უკბინოს. დააკვირდით ნამდვილ კბენას. ნორმალური ბავშვის ქვედა ჯბილები ზედა ჯბილების ჩაღრმავების შიგნითაა.

მალოკლუზია და თანკბილვის დაზღვევა ხშირად ვითარდება ზედმეტი წოვისგან და შეკვეთილია, თუ ამ ჩვევას შეწყვეტს 6-7 წლამდე. მალოკლუზია ასევე თანდაყოლილი შეიძლება იყოს, ან სახძევე ჯბილების ნაადრევი დაკარგვის შედეგი.

ყურადღებით დათვალიერეთ *ენა* მისი ქვედა ზედაპირის ჩათვლით. ბევრი ბავშვი ენას ხალისით გამოყოფს, გააწვინეთ აქეთ-იქით და დააკვირდით ფერს (ცისფერი შეფერილობის მიზეზი შეიძლება სანერწყვე ჯანფეტი იყოს!)

ხშირი დაზღვევებია *შეღებილი ენა* ვიტალური ინფექციების დროს, *თანდაყოლილი გეოგრაფიული ენა* და *ფოლოსებური ენა* ქუნთრუშას დროს.



დაათვალიერეთ *ტონზილების* ზომები, სიმეტრიას და შესახედაობას. ტონზილების ზომები პირველ ასწლეულში 8-დან 16 წლამდე (იხ. სურათი 745). ბავშვებში ტონზილების ზომები სხვადასხვაა და ხშირად სკალაზე აღინიშნება 1+-დან 4+-მდე, სადაც 1+ ნიშნავს, რომ ტონზილებს შორის სივრცე ადვილად ჩანს, ხოლო 4+-ის დროს ტონზილების კიდეები ერთმანეთს ეხება შუახაზზე, როდესაც პირი ფართოდაა გაღებული.

